RAINER MARIA RILKE

DIE AUFZEICHNUNGEN DES MALTE LAURIDS BRIGGE

Aus dem Deutschen übersetzt
und
mit einem Vorwort versehen
von Naira Gelaschwili

TBILISSI, „MERANI“ „LOMISI“ 1992

რაინერ მარია რილკე

მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები

ვერმანულიდან თარგმნა
და
წინასიტყვაობა დაურთო
ნაირა გელაშვილმა

თბილისი „მერანი“
„ლომისი“ 1992

XX საუკუნის უდიდესი ავსტრიელი პოეტის რაინერ მარია რილკეს რომანი „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ გადმოგვცემს ახალგაზრდა კაცის თვითდადგენის რთულ და წინააღმდეგობრივ პროცესს.

რედაქტორი იზოლდა ლეჟავა

4703000000—37
რ———————————— —91
3 604 (08)—92

© გამომცემლობა „მერანი“
გამომცემლობა „ლომისი“

რ. მ. რილკეს რომანი

ამ ერთადერთი რომანის შექმნით რილკესთვის იმდენად მნიშვნელოვანი სულიერი აქტი განხორციელდა, რომ კარგა ხანს გაუგრძელდა ამის შედეგად წარმოქმნილი დაღლილობა და ნერვიული უმოქმედობა, და თორმეტი წელიწადი დასჭირდა დაგვირგვინებას იმ ახალი შემოქმედებითი ეტაპისა, რომელიც მხოლოდ „მალტეს“ შემდეგ შეიძლებოდა დაწყებულიყო.

რილკემ რომანს „მაღალი წყალგამყოფი“ უწოდა: განასახა რა მალტეს ტკივილადქცეული, ავადმყოფურად განტიფებულ პიროვნებაში საკუთარი სულის ნაწილი, თავისი „ორეული“, ამით მან, გოეთესა და მისი ვერთერისა არ იყოს, მწერლისა და პერსონაჟის ის ცნობილი ურთიერთობა „გადატანა“, მალტეს დაძლევას რომ გულისხმობდა რილკეს პიროვნებაში, მალტესგან განთავისუფლებას და იმ გზით წასვლას, რომელსაც პოეტი ცხოვრების წინაშე სულ სხვარიგ დგომასა და გამძლეობასთან უნდა მიეყვანა, ვიდრე ეს ახალგაზრდა ბრიგეს ხვდა წილად.

(რილკე რომანზე მუშაობას შეუდგა 1904 წლის 8 თებერვალს, რომში, და ინტერვალებით მუშაობდა მასზე თითქმის მთელი ექვსი წლის განმავლობაში. ნაწარმოები გამოიცა 1910 წლის 31 მაისს ორ ტომად. (ლაიპციგი, გამომცემლობა „ინზელ“-ი). ამ დროისათვის რილკეს ადრეული ნაწერების გარდა უკვე გამოქვეყნებული ჰქონდა: „როდენი“, „ვორპსვედე“, ლექსთა კრებული: „ქანინი“, „სურათთა წიგნი“, „ახალი ლექსები“, რექვიემები. რომანი ამ ლექსების პარალელურად იწერებოდა, რამაც განსაზღვრა მათი პრობლემატიკის გარკვეული ერთიანობა. რომანის გამოცემიდან 1922 წლამდე, როცა გასრულდა „ელეგიები“ და „სონეტები ორფეუსისადმი“, რილკემ მხოლოდ ერთი კრებული „მარიამის ცხოვრება“ გამოაქვეყნა და მასშიც ძველი, გამოქვეყნებული ლექსები იყო გადამუშავებული. ასე რომ 1910 წელი რილკეს შემოქმედების შუა პერიოდს აგვირგვინებს).

„ჩანაწერები“ ზღვარს უდებენ მეტისმეტად გაზრდილ ტკივილებს“ — წერს რილკე. ამ „მეტისმეტად“ ანუ სახიფათოდ გაზრდილ ტკივილთათვის მიჯნის დადება რილკეს შინაგანი გადარჩენის გზა იყო. მალტეს სახის შექმნა, რომელიც რილკეს სიტყვებით, „ნაწილობრივ საკუთარ საფრთხეთაგან არის შექმნილი“, შინაგანი კრიზისის მხატვრულ ქმნილებად გარდასახვა — როგორც საკუთარი ავადმყოფობის გაცნობიერება, საკუთარ განცდათა ობიექტივაცია და გამანადგურებელი — გარკვეულად უკვე წარმოდგენდა მათ დაძლევას და ხიფათის თავიდან არიდებას. მხოლოდ ამგვარი გამოჯანმრთელების შემდეგ შეიძლებოდა გზის განგრძობა და ახლის დაწყება („მხოლოდ ახლა შეიძლება, ნამდვილად რაღაც დაიწყოს კაცმა“ — რილკე, წერილებიდან).

ამასთან, პოეტის შემოქმედებით შუაგზაზე წარმოქმნილი ეს რომანი, ერთის

მხრივ „წყალგამყოფად“ რომ გვევლინება, მეორეს მხრივ, მისი შემოქმედების ერთგვარ შინაგან აუზს წარმოადგენს, სადაც თავს იყრის ამ უზარმაზარი პოეტური მდინარების თითქმის ყველა შენაკადი და განშტოება: ის პრიზმასავით კრებს რილკეს პოეზიის უმნიშვნელოვანეს მსოფლმხედველობრივ პლასტებს, ძირეულ ცნებებს, მოტივებს. აჯამებს წინა პერიოდს და წინასწარმეტყველებს გვიანდელს. ადრეული შემოქმედებიდან მომდინარე მაგისტრალური ხაზები აქ საბოლოოდ მუშავდება, სრულიქმნება ანდა უფრო ღრმავდება და რომანში ჩასახულ პრობლემებთან ერთად საბოლოო გადაჭრასა თუ სიმძაფრეს გვიანდელ პოეზიაში აღწევს. „ჩანაწერები“ რილკეს შემოქმედების ფარულ გეგმად შეიძლება მივიჩნიოთ.

საუკუნის დამდეგს შექმნილი „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები“ ქრონოლოგიურად წინ უსწრებს მეოცე საუკუნის დასავლურ რომანს და ჩანასახობრივად მოიცავს მისი განვითარების მრავალ არსებით ნიშანს. რომანში წამოჭრილი პრობლემები დასავლეთის წამყვან ფილოსოფიურ მიმართულებათა (სიცოცხლის ფილოსოფიის, ფენომენოლოგიისა თუ ექსისტენციალიზმის) უმნიშვნელოვანეს საკითხებად გვევლინება.

—·—

თავად რილკე მიუთითებს, რომ რომანში ერთმანეთს ექსოვება სამი პლასტი: „ბავშვობის მოგონებები“, „პარიზის უშუალო შთაბეჭდილებანი“ და „მალტეს ნაკითხობის რემინესცენციები“, მედიტაციები ისტორიულ პიროვნებათა (ბეთჰოვენის, იბსენის, იაკობსენის, სეზანის, საფოს, ბეტინა ფონ არნიმის, კარლოს მამაცისა თუ გრიშა ოტრეპიევის) ირგვლივ.

ბავშვობა რილკესთვის ადამიანური ყოფიერების ყველაზე რთული, ამოუხსნელი, საიდუმლოებით მოცული მონაკვეთია. ერთის მხრივ, ბავშვობა შიშის, ძრწოლის, მარტოობის, უფროსთა უცხო სამყაროში ჩაკარგულობის, უმწეობისა და უსასრულო ტრამვების საუფლოა (გარემომცველი სამყაროს სიუცხოვე და მტრული ბუნება, ხილული და უხილავი საფრთხე მალტე-ბავშვისთვის შენივთულია გამანადგურებელ ჰალუცინაციად, კოშმარულ ხილვად, რასაც ის უწოდებს „დიდს“); მეორეს მხრივ, ბავშვს შესწევს უნარი ცხოველივით უშუალოდ აღიქვას სამყარო. ლექსში „ბავშვობა“ („ახალი ლექსები“) რილკე აღნიშნავს, რომ ბავშვობა ის პერიოდია, „როცა მხოლოდ ის გვემართებოდა, რაც ემართება ცხოველს და საგანს“. ხოლო თუ რა „ემართება“ ცხოველს, ანუ რა არის ცხოველის არსი — რითაც ის რადიკალურად განსხვავდება ადამიანისაგან — ეს დაზუსტებულია მერვე დუინოურ ელეგიაში, სადაც ნათქვამია, რომ ცხოველი ერთიანად მზერად ქცეული არსებაა, მთელი მისი არსება თვალია, და ასე მთელი არსებით ჰვრეტს იგი „განხმულს“, „ღიას“ ანუ სამყაროს გულის-გულს. ცხოველს „თავისი აღსასრული ზურგს უკან აქვს, წინ კი მისთვის მხოლოდ ღმერთია“, და როდესაც ცხოველი „მიდის, მიდის მარადისობაში“. ადამიანის მზერა კი შებრუნებულია, წინ ხედავს მხოლოდ სიკვდილს, და მხოლოდ ცხოველის იერით შეუძლია იცოდეს, თუ „რა ა რ ი ს გარეთ“. ადამიანი მუდამ სამყაროს პირისპირ რჩება; სამყაროს როგორც რაღაც „სხვის“, რაღაც მისგან განსხვავე-

ბულის პირისპირყოფნა — ეს არის ადამიანის ბედისწერა. ადამიანი უმზერს მუდამ ქმნილებას, სხეულს, ფორმამიცემულ, ჩაკეტილ საგნობრიობას და არა განხმულს, არა „არსადობას არას გარეშე“ ანუ მარადისობას. მხოლოდ ბავშვი თუ ახერხებს ხანდახან. გარინდების წუთებში, მიუახლოვდეს „განხმულს“. ამასვე ახერხებენ „დიდი მეტრფენი“, (ანუ ისინი, რომელთა უპასუხო სიყვარულით აღძრული ტანჯვა მთელი სამყაროს აგიზგიზებულ სიყვარულში გადაიზარდა და მარადისობას შეერთო). ანდა სიკვდილს მიახლოებული ადამიანი; რადგანაც „სიკვდილთან ახლოს მყოფნი, სიკვდილს ეეღარ ვხედავთ“, არამედ მხოლოდ იმ ღია სივრცეს, რაც მის უკან იშლება. ამგვარად მხოლოდ ბავშვის, უპასუხოდ მოყვარული მეტრფის, და მომაკვდავის შინაგანი მდგომარეობა შეიძლება მიუახლოვდეს ცხოველის შინაგან მდგომარეობას: ანუ მთელი არსებით, მზერად ქცეული არსებით იხილოს „განხმული“, სამყაროს პირისპირ კი არ იდგეს, არამედ მასში.

ბავშვობის ათვისება (რილკეს სიტყვებით: „ბავშვობის განხორციელება“) თვითშემმეცნებელი ადამიანის უპირველესი, ურთულესი ამოცანაა. ბავშვობის გაუცნობიერებელი შთაბეჭდილებების, განცდების, შეგრძნებების გაცნობიერებას, ბავშვობის საიდუმლოს ამოხსნას უნდება მაძიებელი სულის მთელი ცხოვრება: ზრდადასრულების ასაკიდან სიკვდილამდე.

რაც შეეხება პარიზს; სამშობლოდან გადახვეწილი მალტე სწორედ ციცილიზებულ პარიზში გადააწყდა ყველაზე მძაფრად ცხოვრების საშინელ შეუცნობლობას, აქ დაინახა ადამიანის სრული უმწეობა და მოუმზადებლობა ცხოვრებისა და კერძოდ, ახალი სინამდვილის — ქალაქის წინაშე. აქ დაუშვა შემზარავი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ა: რომ აღმოჩენათა და წინსვლათა, კულტურის, რელიგიის, და ამქვეყნიური მთელი სიბრძნის მიუხედავად, მაინც ცხოვრების ზედაპირზე დარჩა ადამიანი... რომ არაფერი ნამდვილი და მნიშვნელოვანი დღემდე არ არის დანახული, „რომ მთელი მსოფლიო ისტორია მცდარად არის წარმოდგენილი“...

პარიზი რომანში „დიდი ქალაქის“, ურბანისტული გარემოს კლასიკური სახეა. დიდი ქალაქი კი, როგორც საერთოდ, ასევე რილკესთვისაც ადამიანის უკიდურესი გაუცხოების ადგილს წარმოადგენს. ხოლო რაც შეეხება „შეუცნობელს“ რომანის ნამდვილ თემად რომ გვეელინება, იგი რილკესთან „გაუცხოების“ ფაქტორთანაა დაკავშირებული, რადგანაც „შეუცნობელი“ მის ერთ არსებით (სიკვდილის) განზომილებაში არის ადამიანისათვის აწ გაუცხოებული, აწ დაშორებული, — ოდესღაც მისი უახლოესი, „უსაკუთრესი“ არსი.

რამდენადაც ურბანისტულ სინამდვილეში ადამიანი ფიზიკურად ყველაზე უფრო ახლოსაა სიკვდილთან (რომანის პირველივე ფრაზა), ხოლო შინაგანად ყველაზე უფრო გაუცხოებულია მისგან (როგორც ბუნებას მოწყვეტილი), ამდენად სწორედ ქალაქი იქცევა „საშინელების“ მაქსიმალური განცდის ადგილად. „საშინელება“ აქ წარმოგვიდგება, როგორც მაქსიმალური ფიზიკური მიახლოება უკიდურესად უცხოსთან.

ამ უკიდურეს, ზღვარსმისულ შინაგან გამძაფრებაში ისახება მალტეს შემოქმედება. ყოფიერების გამოუცნობი სახის წინაშე მარტოდმარტო მდგომი, ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილი მალტე აცნობიერებს აუცილებლობას, ჩასწვდეს

ცხოვრების დაფარულ არსს, რათა ამოაცოს ის გაცდენილი და გამოტოვებული, კაცობრიობის შემეცნების ისტორიაში რომ აღმოუჩენია. მისი მიზანია ამ „ამოუხსნელის“ ჩაწერა, ხოლო იმპულსი ამ ჩანაწერებისა — ყოფიერების შეუცნობლობით გამოწვეული შიში. მალტეს ჩანაწერები შიშის წინაშე და შიშის წინააღმდეგაა აღმოცენებული („მე რაღაც ვიღონე შიშის წინააღმდეგ: მთელი ღამე ვიჯექი და ვწერდი“).

წერის დაწყებას წინ უსწრებს ფუნდამენტური მნიშვნელობის სულიერი აქტი, რომლის გარეშე არავითარი შემოქმედება არ არსებობს: „მე ვიწყებ ხედვას, მე ვსწავლობ ხედვას“. ჭეშმარიტი ხედვის სწავლა, ნამდვილი მზერის მოპოვება არის ნაწარმოების მაგისტრალური ხაზი, რომელზედაც ასხმულია რომანის ყველა, ერთი შეხედვით, დაუკავშირებელი და მოულოდნელი პასაჟი (და არა მარტო აქ: ხედვის, მზერის ჭვრეტის ცნება რილკეს მთელ შემოქმედებაში მუშავდება, და გამაერთიანებელ ხაზად გასდევს მას. (ამ პუნქტში რილკეს შემეცნების მოძღვრებას, რასაც წარმოადგენს მთელი მისი პოეტიკა, ჰუსერლის ფენომენოლოგიასთან ანათესავებენ).

მალტე იწყებს ხედვას, ხედვას, რომელიც გაახილვადებს საგანთა და მოვლენათა შინაგანობას, ხანგრძლივი „ჩამზერით“, სრული კონცენტრაციით ამოიკითხავს ყოველი საგნის შინაგან მოძრაობას, პირველ რიგში კი საკუთარ წიაღში „ჩაბრუნებული“ აღმოაჩენს თავისი სულის უღრმეს და ფარულ ადგილს, („მე მაქვს რაღაც შინაგანი, რომლის შესახებ არაფერი ვიცოდი წინათ“.), სადაც თავს იყრის ყოველივე — გარედან შემავალი, გარდაიქმნება, სახეს იცვლის და თამაშდება ნამდვილი მოქმედება. იბსენისადმი მიმართულ პასაჟში ეს აღგილი შედარებულია საიდუმლო ქიმიურ ლაბორატორიას: მიმდინარეობს ურთულესი და უფაქიზესი პროცესები. ცეცხლის შუაზე განთებულ ჭურჭლებში მოცახცახე ნივთიერებათა მსგავსად აქ ხდება განცდათა, მოგონებათა და წინათგრძნობათა აღრევა, აფეთქება და დაწმენდა. ამ განცდათა ფერისცვალებისა და მიმოხრევის საზომი იოტი და მისხალია.

მაშასადამე, მალტეს ეს შინაგანი გაზრდა — ნამდვილი ხედვის მოპოვება და შემოქმედების დაწყება პარიზში, ყველაზე ძნელ ადგილას ხორციელდება. პარიზს აქ მეორე ფუნქციური დატვირთვა აქვს: მის ფონზე განხორციელებულია უცხოეთში ყოფნის, სამშობლოდან წასვლის იდეა, რაც მოგზაურობის მოტივს უკავშირდება. რომანის მნიშვნელოვანი შინაგანი პლასტი მოგზაურობაა. მალტე ლაურიდს ბრიგე უსამშობლო, მოხეტიალე, ნიადაგ გზადმყოფი ყარიბია და წარმოადგენს ცნობილი ლიტერატურული სახის — მოგზაურის სახის თავისებურ განვითარებას, რომელიც ისევე ძველია, როგორც თავად ლიტერატურა. ერთის მხრივ, მალტეც, ისევე როგორც რომანტიკოსი გმირი, — ყარიბი და მოგზაურია, იმდენად, რამდენადაც დედამიწაზე, წარმავალობის ნაკადში მოხვედრილი ვერსად ვერ შეჩერდება („დასარჩენი არსად არ არის“). სახლს და სამკვიდროს ვერსად ჰპოვებს, ნიადაგ მიდის და ემშვიდობება: მისი უსახლკარობა, მიუსაყრობა, მიწაზე მის შინაგან უადგილობას შეესაბამება („ჭერი არა მაქვს თავზემოთ და მაწვიმს თვალებში“). მაგრამ განსხვავებით რომანტიკოს მოგზაურისაგან, მიწისგან გაუცხოვებული იმ ქვეყანას რომ აღიქვამს სახლად, კერად და სათვისტომოდ, და ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად განვლოს წარმავლობის გზა, მალტე იმ

ქვეყნისაგან ისევე გაუცხოებულია, როგორც მიწიერი ცხოვრებისაგან („მე ხომ ძლივს მოვიკიდე ამქვეყნად ფეხი... და რა უნდა ვქნა იმ ქვეყანაში?..).

მოგზაურობის იდეის შესაბამისად რომანი იწყება პარიზის ქუჩის სწრაფი კადრებით, გამველის მიერ ფიქსირებული ქუჩის ეპიზოდებით და მთავრდება ძე შეცთომილის ლეგენდის რილკესეული (მალტესეული) ინტერპრეტაციით. ეს არის სახლისა და ჭერის, საკუთარი თავისა და ადგილის, ღმერთის მაძიებელი ყარიბის გზა. ამავე დროს ძე შეცთომილის ლეგენდაში დანახულია ღრმა აზრი საკუთარი კერის, „შეჩვეულ მზამზარეულ ურთიერთობათა" მიტოვებისა და უცხო სამყაროში დროებით გადახვეწისა, რაც საკუთარ თავთან ნამდვილ დაბრუნებას ემსახურება. ძე შეცთომილი მალტეს მითიური პროტოტიპია. მალტეც ხომ უცხოეთში (კონკრეტული აზრით — პარიზში, ზოგადი აზრით — ქალაქში, როგორც ბუნებიდან წასული) იწყებს საკუთარ თავთან მიახლოებას, საკუთარი ადგილის გარკვევას.

თავად მოგზაურობა რომანში უშუალოდ არ არის ნაჩვენები, ის წარმოდგენილია მოგონების ასპექტში და მინიშნებულია ზოგადად („ნიადაგ გზაში ვიყავი. ღმერთმა უწყის, რამდენ ქალაქში ვარ ნამყოფი"). მაგრამ აქ მოგზაურობის შედეგია გაცხადებული: ნამდვილი ხედვის მოპოვება და შინაგანი მოგზაურობის — შემოქმედების დაწყება. მალტეს შემოქმედება უკუსვლით იწყება: სვლა სათავისაკენ. მისი პირველი საღგურია ბავშვობა. პარიზი რეალური მოგზაურობის უკანასკნელი ადგილია (პარიზში იწყება და წყდება მალტეს ჩანაწერები).

რა არის ეს უმთავრესი ნაკლი ადამიანური ცნობიერებისა, რის გამოც კაცი ასეთი მოუმზადებელი და ახალბედა აღმოჩნდა ცხოვრების წინაშე? რის შედეგადაც სიცოცხლე ისეთსავე თავზარს სცემს როგორც სიკვდილი? — დაეწყებული ცოდნა სიცოცხლისა და სიკვდილის არსებით ერთიანობისა (რომანის პირველსავე ფრაზაში ეს ორი ცნება შეპირისპირებაშია მოცემული). მათი, როგორც ურთიერთგამომრიცხავი ძალების შეურიგებელ წინაღმდეგობაში აღქმა მომაკვდინებელი სულიერი წყობა, დამღუპველი ცნობიერება, ამოზრდილი სამყაროს მთლიანობის ვერშემცნობი ხედვიდან და თავის მხრივ გამაპირობებელი ადამიანის სულ უფრო მეტი შინაგანი დაღმასვლისა. „რაც „მალტეში" ასეთი ტანჯვაგამოვლილი და ყველა საშუალებითაა გამოთქმული, მხოლოდ ეს გახლავთ, როგორ არის შესაძლებელი ცხოვრება, თუკი ამ ცხოვრების ელემენტები ჩვენთვის ერთიანად შეუცნობელია? მე ვერც კი მოვახერხე ამ უღრმესი შინაგანი ვალდებულებით შექმნილ წიგნში მთელი ჩემი განცვიფრება გამომეხატა იმის თაობაზე, რომ ადამიანებს საუკუნეების მანძილზე ცხოვრებასთან აქვთ საქმე — და ამ უპირველესი, უშუალო, კაცმა რომ თქვას, ერთადერთი ამოცანის წინაშე (რადგან სხვა რა საქმე გვაქვს ან დღეს ან ხვალ ანდა ბოლომდე?) ასე ახალბედებით უმწეოდ, ასე შიშით... და საცოდავად ედგავართ? არ არის განა ამოუხსნელი?. სიკვდილი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ის სიცოცხლის აზრს კლავს და გვიხშობს... ჩვენ ის განვდევნეთ, რათა სიცოცხლის აზრის პოვნაში ხელი არ შეეშალა, ის, რაც სინამდვილეში ისეთი ახლობელია ჩვენთვის, რომ ჩვენს წიაღში მანძილს ვერც კი დავადგენდით მასსა და სიცოცხლის გულისგულს შორის. სიკვდილი დარჩა გარეთ... ის გავაძევეთ... ბუნებამ კი არაფერი იცის ამ ჩვენეული, რაღაცნაირად მოხერხებული განდევნისა: როცა ხე ჰკვავის, მასში სიკვდილიც

ისევე ხარობს, როგორც სიცოცხლე და ყანაც ხომ სიკვდილით არის აღვსილი" (რილკე, წერილებიდან).

სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთმიმართება, როგორც ცენტრალური მნიშვნელობის პრობლემა, რილკეს ადრეულ შემოქმედებაშივე ყალიბდება და მისი მსოფლმხედველობის, მთელი მისი პოეზიის მამოძრავებელ ღერძად იქცევა. რა არის სიკვდილი? რატომ მეშინია მისი? თავის პერსონაჟს რილკე ამ უმძაფრესი შეკითხვის გზაზე აყენებს. გზაზე, რომელიც გარდაუვალად უნდა მივიდეს ერთადერთ პასუხთან. შეკითხვის სიმძაფრისა და პასუხის პოვნის აუცილებლობას ქალაქის რეალობა განსაზღვრავს: რადგანაც ქალაქში ადამიანის თვითგაუცხოება, საკუთარ არსს მოწყვეტა კულმინაციას აღწევს, სწორედ ეს უკიდურესი დაძაბვა კატეგორიულად მიანიშნებს ადამიანს, იპოვოს მიზეზი საკუთარი თავის კარგვისა.

სწორედ ქალაქის განიასსა და ორომტრიალში დაინახა მალტემ სიკვდილის ახალი, ახალ დროში ჩამოყალიბებული სახეობა: უსახო სიკვდილი; უცხო სიკვდილი; არაორგანული, არაბუნებრივი, არავისი და არანამდვილი, რომელსაც მასიურ ქარხნულ პროდუქციასავით ამზადებს და უშვებს დიდი ქალაქი. ეს სიკვდილი სწორედ მასიურ, არაინდივიდუალურ, ერთხაირ ტანსაცმელს არის შედარებული, მაშინ როდესაც ნამდვილი სიკვდილის სიმბოლოს, უფრო სწორად სიგნატურას რილკესთვის ნაყოფი და მისი თესლი, გული წარმოადგენს. („ადრე სიკვდილი საკუთარ წიაღში ჰქონდათ, როგორც ნაყოფს თესლი აქვს გულში"): „ღმერთო, მეეცი ყველას საკუთაო სიკვდილი" — ლოცულობს პოეტი. ჯერ კიდევ თავის ადრეულ ლექსებში („ჟამნი"). ეს კი ნიშავს მეეცეს ყველას მისი საკუთარი, ბუნებრივი, ნამდვილი ცხოვრება. ადამიანი, რომელიც თავის სულიერ შესაძლებლობებს, პიროვნების თვითდგენას ახორციელებს, სახესა და აზრს აძლევს თავის ცხოვრებას, კვდება „საკუთარი", ნამდვილი, „დიდი სიკვდილით". რადგან ქმნიდა და ამწიფებდა რა თავის ცხოვრებას, ქმნიდა, ზრდიდა, ამუშავებდა თავის სიკვდილსაც: ეს სიკვდილი უკვე მისია, მისი შინაგანი არსიდან, ცხოვრების ღრმა კანონებიდან და გულიდან აღმოცენებული. ამდენად მახლობელი და საკუთარი, საკუთარი და ნამდვილი ცხოვრება აცოცხლებს, ჰკვებავს „საკუთარ სიკვდილს", თავისი თავით აპურებს, ბავშვივით ზრდის მას. ყოველი ადამიანი „საკუთარი სიკვდილის" დამბადებლად უნდა იქცეს, რაც საკუთარი და ნამდვილი ცხოვრების განხორციელებას ნიშნავს („სიკვდილი — კარგი ნამუშევარი, წიაღში ჩაღრმავებით შექმნილი, საკუთარი სიკვდილი, რომელსაც ვეპირდებით, რადგან ჩვენ ვცხოვრობთ მას". რექვიემი (მაგრამ ქალაქის ნაჩქარევი, სახელდახელო, ზერელე ცხოვრება ბადებს უდღეურ, მოუმწიფებელ „ცუდად დამუშავებულ" სიკვდილს, „სიკვდილის მკვდარ ჩანასახს" („სიკვდილის მწვანე თესლს"). „უცხო სიკვდილის" ხილვა მალტეში „ნამდვილ სიკვდილზე" ფიქრს აღძრავს და შიში ამ უსახო სიკვდილის წინაშე სიკვდილის საიდუმლოებასთან დაკავშირებულ ბავშვობის მოგონებებს გამოიწვევს; სწორედ ამ მოგონებებით, როგორც ცენტრალური მნიშვნელობის ეპიზოდებით, იწყება მალტეს შემოქმედება. მალტე იხსენებს თავის ორ წინაპარს: მამის მამას — კამერჰერ ბრიგეს და დედის მამას — გრაფ ბრაეს.

კამერჰერი ბრიგე მისთვის საკუთარი სიკვდილის უკანასკნელი მფლობელია.

პარიზის ქუჩის ნერვულ დინამიკაში შემოდის ის ეპიური სიდინჯე და სივრცე, რომელსაც კამერპერის ხანგრძლივად ნაცხოვრები, კარგად დაპურებული, ეეება, თითქმის სკულპტურული სიკვდილი იწვევს („პაპაჩემს, კამერპერ ბრიგეს ჯერ კიდევ ეტყობოდა, რომ თავის წიაღში სიკვდილი დაჰქონდა და რა სიკვდილი!"). ხოლო რაც შეეხება „მის უდიდებულესობას გრაფ ბრაეს", ეს დრუიდივით მომნუსხველი პიროვნება მალტეს ახსენდება როგორც სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოების უკანასკნელი მფლობელი. ურნეკლოსტერის სასახლეში გათამაშებული სცენა რომანის ცენტრალურ პასაჟს წარმოადგენს. ეს არის მალტეს მთავარი მოგონება, მისი ბავშვობის უმთავრესი დანატოვარი, რომელიც ახლა უნდა აითვისოს და გააცნობიეროს მან. ეს ეპიზოდი გვევლინება სიცოცხლისა და სიკვდილის შემდგომი ცხოვრების ურთიერთგამსჭვალულობის, ერთმანეთში არსებობის მაქსიმალურად გამძაფრებულ გამოვლინებად, უმკვეთრეს ილუსტრაციად.

ურნეკლოსტერის ძველთაძველი სასახლის სულიერ ატმოსფეროს ქმნის სასახლის პატრონის გრაფ ბრაეს მაგიური მზერა: ამ კაცს სიკვდილი არაფრისმთქმელ შემთხვევად მიიჩნდა და მთლიანად უგულვებელყოფდა. ვინც კი ერთხელ ხსოვნის წიაღში მიეღო, ისინი (ხანდახან კი არ ახსენდებოდა) სულ არსებობდნენ და მათი სიკვდილი იოტისოდენა ცვლილებებსაც კი ვერ იწვევდა. თავადი ბრაე ისეთი ტონით ლაპარაკობდა საუკუნის წინ გარდაცვლილ ადამიანებზე, თითქოს ისინი ეს-ეს არის გასულიყვნენ ოთახიდან და ყოველ წუთს შეიძლებოდა შემოსულიყვნენ (აკი შემოდიან კიდეც!). თავად ბრაეს უახლოესი მეგობარია მისი პატარა შვილიშვილი ერიკი. (ყოველდღე ერთად მიუყვებიან გარდაცვლილ წინაპართა პორტრეტების გალერეას: უსიტყვოდ მათთან და ერთმანეთთან მოსაუბრენი). რომანში ლაპარაკია, ამ ორი არსების ერთმანეთისკენ მიმართულ მზერაზე. ბავშვისა და ბერიკაცის ეს შეთანხმებული, სრული მზერა ქმნის ურნეკლოსტერის სასახლეში იმ ზეგრძნობად ველს, სადაც საიმედოდ დაიარებიან გარდაცვლილები. და არაფერია ბერიკაცისთვის აქ უჩვეულო: ის ხომ იმ სამყაროს ბინადარია, საღაც მკვდრები, ცოცხლები და დასაბადებელნი ერთად არსებობენ („სამყაროს შიდა სივრცე"). ის შინაგან, „დაუთვლელ დროში" მყოფობს არადჩამგდები გარეგანი, „აწმყოდ, წარსულად და მომავლად დარბეული დროისა" (მ. ჰაიდეგერი). სასახლის პატრონი, თავადი ბრაე ნამდვილი შემნახველია გარდაცვლილთა ყოფიერებისა, არა მათი წამიერი, თუნდაც ხშირი გახსენების აზრით, არამედ იმ აზრით, რომ ის მათთან და ისინი მასთან ერთად ცხოვრობენ. (გრაფი ბრაე ამ სასახლის ღვთაების, ადგილის დედის აზრს იძენს. სახელწოდება „ურნეკლოსტერი" — მიუთითებს სასახლის ფარულ მნიშვნელობაზე: ურნეკლოსტერი საყდარი — სამარხი. საყდარი, რომელიც ინახავს. (ამ სიტყვას მივყავართ სახლისა და ადგილის ღვთაებათა — ლარების რილკესეულ გააზრებასთან, რაც მის ადრეულ კრებულში — „ლარების შესაწირი — ჩამოყალიბდა). მთელი მისი პიროვნებიდან ღიმილით, ხმითა თუ მზერით სწორედ ეს საიდუმლო ცოდნა გამოაშუქებს: მის საქციელში მეღავნდება ფარული მოთხოვნა—გარშემომყოფნიც ეზიარონ ამ საიდუმლოებას. მალტეს მამას იგი ნიადაგ მის გარდაცვლილ მეუღლეზე, ე. ი. თავის შვილზე ელაპარაკება: „და — მისი ყოველი წინადადება ისე მთავრდებოდა, თითქოს მოხუცი კითხულობდა, სად არისო". ეს შეკითხვა ბიბლიური შეკითხვის აზრს იძენს (რ. ეპელსჰაიმერი), როდესაც კითხვა „სადა ხარ?" „სად არის" ადამიანის

ეთიკური ადგილის, სამყაროში მისი ადგილის გარკვევას გულისხმობს. ბერიკაცი ფაქტიურად ამას ეკითხება თავის სიძეს; რატომ ვერ ხედავ, რატომ არ იცი სად არის შენი მეუღლე, ამდენად: სადა ხარ, სად დგახარ შენ? მალტეც ხომ მუდამ დედის გახსენებას ცდილობს დედის სასახლეში. თითქოსდა ბრაეს მიერ ინსპირირებული კიდეც აღიდგენს დედის ფერგამქრალ ხატებას, სახეს, შემდეგ რომ „ყველგან თან ახლავს". მალტე უპირატესად დედის გენების მატარებელია. ამ გენების პოტენციათა ათვისება სურს, წინააღმდეგ მამისაგან მიღებული შიშისა სიკვდილის წინაშე.

დედამ უანდერძა მალტეს სიკვდილზე ფიქრი, თავად ულსგორის სასახლეში მარტოდ დარჩენილი სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოს ამოუცნობლობამ დაავადა. დედამ ვერ გაიაზრა ინგებორგის სიკვდილის გამოცანა: როგორ, და რომელი ცხოვრებიდან ამოიზარდა ეს საოცრად მშვიდი და უწყინარი სიკვდილი; როგორ შეესაბამებოდა სიკვდილზე დასტური ინგებორგის სიხარულით გაშუქებულ ცხოვრებას. მაგრამ მან იცოდა, რომ ამაზე ფიქრი იყო მთავარი და მალტეს დაუბარა საიდუმლოს ამოხსნა: „იფიქრე, მალტე, ამაზე, ეგების რაიმეს მიხვედე, როცა დიდი გახდები. ეიღაც ხომ უნდა არსებობდეს, ვისაც ამგვარი ამბები ესმის. ასე მგონია, ყველანი ძალზედ მოუცლელნი არიან და ვერც კი ამჩნევენ ამ ქვეყნიდან როცა მივდივართ. თითქოს ვარსკვლავი ვარდებოდეს და არავინ ხედავდეს და არავინ ნატრობდეს რასმე". მთელი რომანი არის ცდა დედის ანდერძის განხორციელებისა: მალტესეული „მემენტო მორი".

გრაფ ბრაეს და ურნეკლოსტერის სასახლის გახსენება მალტეში ააღორძინებს სიკვდილისა და სიცოცხლის განუყოფლობის აზრს. მისთვის არსებითი ხდება მიწიერ და მარადიულ საუფლოთა წონაწორობაში განცდა და ამ წონასწორობის შენარჩუნება: დედამიწის, ადამიანთა ცხოვრებისადმი ყურადღების შენელება, მისი დაკარგვა და გაპოტოვება. ანუ „დედამიწაზე ფეხმოუკიდებლად" იმქვეყნიური რეალობისაკენ გადახრა ისეთივე მცდარი და ნაკლულოვანი გზაა, როგორც მხოლოდ „აქ დარჩენა", ცხოვრების მხოლოდ ფიზიკური, ხილული საზღვრებით შემოზღუდვა: „გზა ღმერთისაკენ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს გზას ცხოვრებისაკენ, ღმერთის სიყვარული და სიცოცხლის სიყვარული ერთმანეთს უნდა დაემთხვას და არა ის, რაც ახლა ხდება: რომ მათ სხვადასხვა ტაძრები აქვთ განსხვავებულ სიმაღლეებზე" (რილკე, წერილები). შემეცნების გზა, შემმეცნებელი მზერა, რომელსაც რომელიმე ეს საუფლო გამორჩება, რომელიც ორივე ტაძარში ვერ გაინათლება, როგორც დარღვეული წონასწორობის მაუწყებელი — ნაკლოვანია და მასზე ადამიანური ცხოვრების წესი ვერ აიგება. რილკეს ეს მსოფლმხედველობრივი პოზიცია გოეთესას თანხვდება: „გსურს შეაბიჯო მარადიულში? ჯერ მოიარე წარმავალი ქვეყნიერება". რილკეს პოეტი ხომ ხანგრძლივად მოგზაურობს ადამიანურის საუფლოში, მიწიერ საგანთა შორის, რათა შეაგროვოს „მთელი ცხოვრების აზრი და სიტკბო", რათა ბოლოს ანგელოზთა წინაშე მდგარმა „განადიდოს" მიწიერი ყოფიერება. „დუინოური ელეგიების" ეს ადგილი მშვენიერად გადმოგვცემს რილკესეული სამყაროს წონასწორობის სურათს: ბოლოს პოეტი ანგელოზთა წინაშე წარსდგება, მაგრამ ანგელოზებს დედამიწის შესახებ ესაუბრება.

რილკე მუდამ თავის განსაკუთრებულ მისიად აცნობიერებდა დედამიწის ‹‹ცბ-

რული ახრის, „ჩვეულებრივ ცხოვრების“ საიდუმლოს ამოკითხვას. სიცოცხლე ისეთივე დიდი საიდუმლოა, როგორც სიკვდილი და მარადისობა. ვინც ჩვეულებრივი, უბრალო საგნებისა და ცხოვრების სასწაულებრიობის, საიდუმლოების შეგრძნებას დაკარგავს, განწირულია ზედაპირული და ცალმხრივი არსებობისთვის. ეს ჭეშმარიტებაც დედისაგან შეითვისა მალტემ. „ჩვენ სასწაულებრივი სულ სხვაგვარად გვესმოდა. მიგვაჩნდა, რომ ყველაზე ჩვეულებრივი და უბრალო რამ ყველაზე უფრო სასწაულებრივი იყო“. აი, რას წერს რილკე სწორედ მალტეზე მუშაობის წლებში კლარა ვესტჰოფ-რილკეს, თავის მეუღლეს, რომელიც იმხანად ბუდისტური მოძღვრებით იყო გატაცებული; „შენ ისე პირდაპირ მიემართები ახლა ღმერთისკენ, არა, მიფრინავ, თავს გადაევლე ყველაფერს და პირდაპირი გზით მიქრი. მე კი უკვე ვიყავი იქ, ჩემს ბავშვობაში და ახლა იქიდან მოვდივარ. წარმომგზავნეს (ოღონდ არა იმისათვის, რომ იმ ქვეყანაზე გიამბოთ), რათა ადამიანურის სიღრმეში ჩავიდე, ყველაფერი ვიხილო, არაფერი გამომრჩეს და უკუვაგდო ღმერთის იმ უამრავ ფერისცვალებათაგან, სადაც ის თავს ჩქმალავს, ჩამუქებულა და ვერშესაცნობად წარმოგვიდგება. მე ის კაცი ვარ, სოკოებსა და სამკურნალო ბალახებს რომ აგროვებს მცენარეთა შორის. ის დაკუზულია და პატარა, უმნიშვნელო საგნებითაა დაკავებული. მაშინ, როდესაც გარშემო ხენი აღმართულან, ხმას ცას უწევენ და შემოქმედს განადიდებენ. მაგრამ მოვა დრო, როცა ნაყენი მზად მექნება და ჟამი, როცა ამ სითხეს, სადაც ყველაფერი — შხამიანი და მომაკვდინებელი — განზავებულია ძლიერმოქმედების გულისთვის, მას მივაახლებ, ავიტან ღმერთთან, რათა წყურვილი მოიკლას და ძალუმად იგრძნოს თავისი შუქის ჩქეფა ძარღვებში“. ამ ცხოვრების ესენციის ღმერთთან მიახლების მისტერიაა გვიანდელი სონეტები და ელეგიები.

ვისაც ცხოვრების, ადამიანთა და საგანთა თვალებში „ჩამზერის“ ხანგრძლივი გზა არ გაუვლია და ცხოვრების მიღმა „პირდაპირ“ მიაბიჯებს მარადიულში: საგანგებო სეანსებით, ვარჯიშითა თუ მწიგნობრობით, ის ილუზიური ცოდნის მყიფე გზას ადგას. ეს რილკესთვის ნაჩქარევი, სულსწრაფი და სიადვილის მაძიებელი გზაა, ისეთივე მცდარი, როგორც მხოლოდ ემპირიულ-ლოგიკური კაუზალობის ფარგლებში დარჩენა. ამიტომ არის, რომ გარდაცვლილის გამოცხადებას მხოლოდ ის უძლებს, ვინც „ცხოვრება იცის“, ვინც უღრმესი ყურადღებით აყურადებდა და კითხულობდა ცხოვრებას, ბუნებას და საკუთარ სისხლს („წიგნები ცარიელია... საკუთარი სისხლი უნდა იკითხოს კაცმა“). ვინც გარდაცვლილს სიცოცხლის ყოვლისშემცველი ერთიანობის ჩვეულებრივ წევრად აღიქვამს და მას ყველა დანარჩენთა გვერდით აყენებს: თავადი ბრაე და მისი გაზრდილი ბავშვი—ერიკი. რაც შეეხება დანარჩენთ: ალქიმიკოს ბიძას, სპირიტიზმით გატაცებულ დეიდას და პედანტური, ცალმხრივი რაციონალიზმის კაცს — მალტეს მამას, — მათ, ყველას, როგორც მოუმზადებელთ, ანადგურებს გარდაცვლილის გამოცხადება. მალტეს მამა მუშტებშემართული უმხედრდება ქრისტინე ბრაეს გამოჩენას, როგორც სიკვდილისა და ცხოვრების მთლიანობის ფაქტს.

ურნეკლოსტერის ეპიზოდში გარდაცვლილის გამოცხადება არ წარმოადგენს თეოსმიზანს. გრაფ ბრაეს შინაგან ცხოვრებას, რომელიც ისედაც სამყაროს გულის მარადიულ სიცოცხლესთან კავშირში მიედინება, არ სჭირდება სულთა

ამგვარი გამოხმობანი. ეს თავად გარდაცვლილთა საქმეა. „მალტემდე“ ცოტა ხნით ადრე მეგობარი ქალის, უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მხატვრის, პაულა ბეკერისადმი მიძღვნილ რექვიემში რილკე გამოთქვამს აზრს: მკვდრებს დიდი საქმე აქვთ, მათ არ სცალიათ. ისინი იქ უნდა იყვნენ: „გარდაცვლილ უოფიერებაში“, შეითვისონ ეს მეტამორფოზა და უხილავად, შინაგანად დაეხმარონ მიწაზე დარჩენილთ. მაგრამ თუკი ისინი, სხვადასხვა მიზეზის გამო (ეს შეიძლება იყოს მათი განსაკუთრებით მძიმე ბედისწერა. რაღაც უჩვეულო საწუხარი, როგორც ქრისტინე ბრაეს შემთხვევაში) მიზიდულობის ძალას დაპყვებიან და „დათვლილ დროში“, საგანთა შორის დაბრუნდებიან, პოეტი მომზადებული უნდა შეხვდეს მათ და ისევე მიიღოს, როგორც ცხოვრების ყველა დანარჩენი გამოვლინება: „არა მგვრის ძრწოლას გარდაცვლილთა შემოხედვა და თუკი მოდიან, კიდევაცა აქვთ იმის უფლება, რომ ჩვენს მზერაში ყოველი საგნის მსგავსად შეჩერდნენ“. აქ მნიშვნელოვანია სწორედ ეს — „ყოველი საგნის მსგავსად“ და არა, გარდაცვლილთათვის უპირატესობის მინიჭებით, არა იმგვარად, რომ მათი მნახველი ამოვარდეს ამქვეყნიური ცხოვრების სფეროდან, საგანთა სამყაროდან, გაედევნოს მათი „მკვდარყოფნის“ გზებს და მათ „ყოფიერებაში ჩაიკარგოს“, რაც წონასწორობის დარღვევა იქნებოდა. მაშასადამე, უფრო სწორია, რომ გარდაცვლილი იქვე დარჩეს (თავის უხილავ არსებობაში და აღარ მოისურვოს საგანთა სამყაროში ხელახლა შემოქცევა, აღარ გახილვადდეს. მაგრამ თუ ამას სჩადის, აქვს კიდეც ამის უფლება. ანალოგიურ აზრს გამოხატავს შელაპარაკება გრაფ ბრაესა და მალტეს მამას შორის (როგორც ვიცით, მალტეს მამა მუშტებშემართული გაემართა ოთახში შემოსულ ქრისტინე ბრაესაკენ, რადგან იგრძნო, რომ ის გარდაცვლილი იყო). ამ დროს გრაფი ბრაე გარდაცვლილთა ამ „უფლების“ მრისხანე მცველად წარმოგვიდგება. „ფიცხი ხარ, კამერჰერო, და უზრდელი, რად უშლი ხალხს ნავის საქმე აკეთოს?“ „ვინ არის ის ქალი?“ „არავინ უცხო. ქრისტინე ბრაე. ის; ვისაც, დიახაც, უფლება აქვს, აქ, ჩვენთან იყოს“.

გარდაცვლილი ინგებორგის გამოცხადების ეპიზოდში იგივე აზრის სხვა ასპექტია გადმოცემული: ზოგჯერ ადამიანები გაუცნობიერებლად გადაამიჯებენ სიცოცხლისა და სიკვდილის, ხილული და უხილავი ცხოვრების მიჯნას, უნებლიეთ წაშლიან გონებაში ამ ზღვარს, მაშინ მათ წამიერად ფაქტის სახით წარმოუდგებათ ამ სამყაროთა ერთიანობა. როდესაც მოულოდნელად ყველას ერთად დაავიწყდა, რომ ინგებორგი მოკვდა, და ყველამ ერთად დაიწყო ლოდინი, სადაც არის მოვაო, — ინგებორგი მოვიდა. აქაც ხაზგასმულია ამ მოლოდინის უბრალოება და ბუნებრიობა: რაღაც „თვალშისაცემად“ კი არ ელოდნენ (არა სპეციალურად, არა საგანგებო ღონისძიებებით), არამედ „ჩვეულებრივად“, „ყოველდღიური მოლოდინით“. მაგრამ ადამიანები ვეღარ ხედავენ უხილავ ინგებორგს, რისი უნარიც შენარჩუნებული აქვს ძაღლს, (რომელზედაც რილკე სხვაგან ასე იტყვის: „შენ ხედავ სულებს და გაშინებს ჯადო-სიტყვები“). მათ მხოლოდ ის დაინახეს, რომ ძაღლმა დაინახა ინგებორგი. ამ შემთხვევაში ცხოველი იქცა მედიუმად ხილულ და უხილავ სამყაროთა შორის.

მაშასადამე, სრული და ნამდვილი მზერა მოიცავს ხილულ და უხილავ სინამდვილეს. მაგრამ ჯერ ხილულისა და წარმავალის წიაღში, სიბნელეში უნდა შეაღწიოს მან. ამასობაში კი ცხოვრება თვალუწვდენელი საშინელებით გასე-

ნილა, რადგან ფიქრით, სიტყვით თუ საქმით ჩადენილი „საშინელება“ როდი ქრება: გროვდება, დედდება, ქმნის საშინელებისა და შიშის ერთიან, წარუვალ ველს, რომელიც მაქსიმალურად სწორედ ქალაქის სინამდვილეში გამკვრივდება და ჩამომძიმდება (გავიხსენოთ პასაჟი: „ჰაერის ყოველი ნაწილაკი საშინელებით გასენილა...“). ქალაქი რილკესთვის საშინელების კონცენტრირებული ველია და შიშის მეტაფორა. უცხო და ზარდამცემია მისი ხმები, რიტმი, სიჩუმე, სურნელი... (რომანის დასაწყისი) და რაც მთავარია, — მისი მასიური ყოფიერება, სადაც ადამიანისთვის უსაზღვროდ ძნელია პიროვნული საწყისის შენარჩუნება.

შიშისმომგვრელი დეტალებითაა აღწერილი ნერვიულავადმყოფთა კლინიკა, სადაც ავტომატური, ყოველგვარი თანაგრძნობისაგან დაცლილი წესრიგი მეფობს. აქ პროფესიული, ერთნაირი გულგრილობით იღებენ და უშვებენ სნეულთა ურიცხვ რიგებს, როგორც ქალაქის ფაბრიკები და მაღაზიები მზა, ერთნაირ პროდუქციას. ნაჩქარეობა და სისწრაფე, რაც შეჭრილია ახალი ცხოვრების ყველა სფეროში, მკურნალობას განსაკუთრებით შეშფოთებულ ხასიათს ანიჭებს. მალტეს მიერ აღწერილი კლინიკა აუტანელი, კოშმარული სინამდვილეა, სადაც ნატიფი სულის ადამიანს ნაცვლად განკურნებისა, ემართება ნამდვილი, ფსიქიური სტრესი. და ეს ყოველივე არ გახლავთ მხოლოდ გვაროვნული არისტოკრატის წუხილი (რომელიც „საერთო მისაღებში, ყველასთან ერთად დაბარეს“). ეს სულიერი არისტოკრატის, პიროვნების, ხელოვანის ტანჯვაა, რომელიც ხედავს პიროვნული საწყისის კარგვას ადამიანური ღირსების შემლახავ ყოფიერებაში, სულის ჩახშობას ქალაქის მასიურ უსახობაში.

სწორედ ხელოვნების დევალვაცია, სულიერ ღირებულებათა საყოველთაო დაცემა, ხელოვანის სამყაროს გამაუფასურებელი, დემაგოგიური ხელყოფა — გახლავთ იმ უამრავ „საშინელებათაგან“ — ერთ-ერთი, რომელიც ახალ დროებას მოჰყოლია. ბეთჰოვენისა და იბსნისადმი მიძღვნილ პასაჟებში მალტე უეცრად გამძაფრებული ტონით (ჩვეულებრივ მისი ინტონაცია დეპრესიულ-ელეგიური ან ღირიულია, მშვიდად სერიოზული ან მტკივნეულად დაძაბული) უმხედრდება ხელოვანის სამყაროს ბიურგერულ „მოხმარებას“, გამოყენებას, მისი შინაგანი საიდუმლოს შერყვნას პრიმიტიული „გაგებითა“ და მიდგომით. რადგან მალტეს მიაჩნია, რომ ადრე ადამიანს მეტი ბუნებრივი სიბრძნე ჰქონდა, („ადრე იცოდნენ, ან შეიძლება გუმანით გრძნობდნენ, რომ სიკვდილი საკუთარ წიაღში ჰქონდათ, როგორც ნაყოფს თესლი აქვს გულში“), ცხადია, ხელოვნებასთანაც მეტი შინაგანი სიახლოვე ექნებოდა. ხოლო ახლა, როცა ადამიანთა ძირითადი მასა სულიერი გამოფიტვითაა დასნეულებული და არანამდვილი ცხოვრებიდან „არანამდვილი სიკვდილისაკენ“ მიემართება, ბუნებრივია, ის ხელოვნების ნამდვილ არსს უსასრულოდ მოწყვეტილია. ახალი დროის ხელოვანი შინაგანად გაცილებით უფრო გამიჯნულია საზოგადოებისაგან, თუნდაც სოციალურად სულაც არ იყოს გარიყული. როდესაც მალტე ძალზე ლაკონურად მიანიშნებს, თუ როგორ კითხულობენ იბსენს, ცხადი ხდება მისი თვალსაზრისი თანამედროვე მკითხველის შესახებ: დღევანდელი მკითხველი თავად კი არ მაღლდება ნაწარმოების სიმაღლემდე, არამედ ნაწარმოები დაჰყავს თავის დონეზე. იგი არად აგდებს ხელოვანის სამყაროს დიდ შინაგან მთლიანობას და თავის შესაფერის პატარა ნაწილს (იმას, რომელიც კმაყოფილებას ანიჭებს) იწოვს

მისგან. მასასა და სულიერ პიროვნებას, ხელოვანს შორის ჩაბუდებული მტრობა ხელოვანისათვის განსაკუთრებით საშიში ხდება მისი შემოქმედების საყოველთაო აღიარების დროს. რადგან განდიდება ხელოვანისა მასთან ბრძოლის უსაშინელესი, შენიღბული ფორმაა, რაკი განდიდება უმეტესად ხელოვანის სამყაროს გაუალბებას ნიშნავს. რილკეს რომანში ნაწინასწარმეტყველია ხელოვნების (პოეზიის, მუსიკის) ფალსიფიკაციის უზარმაზარი მასშტაბები — სახელმწიფოებრივი დემაგოგია ხელოვნების მიმართ, რაც არცთუ დიდი ხნის შემდეგ ასე განხორციელდა თუნდაც გერმანიაში.

განდიდების გზით ათვინიერებენ პოეტის, მწერლის, მუსიკოსის ველურ ქვეყანას, ამწყვდევენ იდეოლოგიისა თუ ვიწრო პირადი ინტერესების გისოსებში, მათ, რომელთა სამყაროს ნამდვილობაც, უპირველეს ყოვლისა, უსაზღვრო შინაგანი თავისუფლების ნიშნით ვლინდება.

„დიდება — ეს საჯარო ჩამონგრევა შემოქმედი და ქმნადი სულისა, რომლის შენების ადგილზედაც ბრბო იკრება და ქვებს განზე უყრის“.

„თუკი ასე გიმხედრდებიან ისინი, ვინც შენ არად გაგდებენ... და თუ მათ ყველას სურს ამოგძირკვოს ძირფესვიანად შენი ძვირფასი აზრების გამო, რას შეედრება ეს ცხადი საფრთხე. შენსავ თავში რომ განგამტკიცებს და გამოგაწრთობს, გვიან მოსული დიდების იმ ცბიერ მტრობას, რომელიც შენ უ ვ ნ ე ბ ე ლ ს გაგხდის, რადგან როგორც ქარი მტვერს, ისე გაგფანტავს!“

„შენ, უმარტოესო!.. როგორ შეიძლეს და დაგეწივნენ ამ განდიდების გზით და წყალობით! განა რა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც თავად შენს არსს უმხედრდებოდნენ, ახლა კი შენთან გაუბიათ ურთიერთობა, როგორც ტოლ-სწორთან. შენს სიტყვებს ყველგან თან დაათრევენ თავიანთი სულის ბნელ გალიებში, აჩეჩნებენ მათ მოედნებზე და აღიზიანებენ კიდეც ჩუმ-ჩუმად გისოსების იმედით — შენს სიტყვებს — ამ საშინელ გარეულ მხეცებს“.

სიტყვის შებღალვის ტრაგედიაა აქ ასე მტკივნეულად განცდილი, ნამდვილი სიტყვისა, რომელიც თავისი შემაშინებლად უძირო სიღრმის, შეუვალი, თავდაპირველი მნიშვნელობის, თავისი დამატყვევებელი ძალის გამო თავისუფალ, ველურ, საშიშ მხეცსაა შედარებული: და ეს დამატყვევებელი სიტყვა თავად არის დატყვევებული ადამიანთა სულის ბნელ გალიებში.

რაც შეეხება მუსიკას (ბეთჰოვენის მუსიკაზეა, კერძოდ, ლაპარაკი), რასაც სამყაროს სულიერ თაღს უწოდებს მალტე, თუკი იგი მსმენელში არ ჩ ა ს ა ხ ა ვ ს მარადიულს, არ ააცახცახებს მის სულს მარადიულთან მიახლოების მომაკვდინებელი ნეტარებით, ასეთი „მოსმენა“ მუსიკისა მხოლოდ გართობაა და იგი შედარებულია უსიყვარულო სექსუალურ ურთიერთობას, როცა მექანიკური ურთიერთშეერთებით გაბერწებულ სხეულებს დაუკარგავთ ჩასახვის, განაყოფიერების, მუცლადღების, ნეტარებისაგან გონდაკარგვის უნარი და ნაცვლად სიყვარულში ჩაკარგვისა ამაზრზენ, ფუჭ, ხორციელ თამაშში იფიტებიან.

ასე თანმიმდევრულად აცნობიერებს მალტე ახალი დროის „საშინელებებს“, ცდილობს იპოვოს იმ გამოუცნობი სენის ძირები, რომელიც შეჰყრია ადამიანის სულს, მისი სიყვარულის, სიცოცხლისა და სიკვდილის ნიჭს, რწმენას, ხელოვნებას. მაგრამ რა მძიმეც არ უნდა იყოს ცხოვრება, რილკეს მოთხოვნა პოეტისადმი ულმობელია: პოეტს, ხელოვანს არა აქვს უფლება არ-

ჩევანი მოახდინოს სინამდვილის წინაშე. სუბიექტური მოწონება-დაწუნების კრიტერიუმით მიუდგეს მას: მან ყველაფერი უნდა მიიღოს, რათა გააცნობიეროს. პოეტის გული დ-ეკელი და კარგ ხმელი სივრცეა. „სადაც ერთნაირად მეიპრობა სიცოცხლეც და სიკვდილიც. მშვენიერებაც და სიმახინჯეც. სიყვარული, ხრწნა და ავადმყოფობა და იქ გაჯერდება. ეს გული მთელი სამყაროს ტანჯვათა და ბედისწერათა ეზაჯეარეკინია.

ბოდლერის ლექსის „ლეში“ (და წმინდა ჟელენის ფლობერისეული ლეგენდის ანალიზი სწორედ ამ აზრის ჩამოყალიბების პროცესს წარმოადგენს: ლეში და ყვავილი ერთნაირად ითხოვს პოეტის მზერასა და ყურადღებას, და სიცოცხლის მთელი ორგანიზმის შესამეცნებლად ორივეს ეძლევა პოეტის გული: რადგანაც „ყოველ ყოფიერში მყოფობს“ კვდომა, ხრწნა და აყვავება. სინამდვილის ბოლომდე მიღება, ამაზრზენისა და საშინელის საკუთარ შინაგან ნათელში განბანა, სრული თავმიცემა. არის ფერხთა განბანის რილკესეული მისტერია. პოეტის მოწამეობრივი გზა: „მთავარი ეს უნდა იყოს, იღებს თუ არა ვინმე თავისთავზე. კეთროვანს მიუწვეს გვერდით და გაათბოს იგი სიყვარულის ღამეთა გულმხურვალებით“. მხოლოდ საკუთარი თავის ასეთი სრული დაძლევის შემდეგ. საგნის ასეთი გაშინაგნების წყალობით იწყება პოეტის წმინდანობა და ზ-ამაღლება, ისევე როგორც შემაზრზენ კეთროვანს ჩახვეული წმინდა ჟელენი მაცხოვრის ხელებში აღმოჩნდება და მასთან ერთად ზეამაღლდება. ხელოვანი, ვინც ერთხელ მაინც უკუაგდებს სინამდვილის რაიმე სახეს, ერთხელ მაინც გააბრუნებს კარზე მომდგარ „კეთროვანს“, „სამარადჟამოდ განიდევნება წყალობის შუქიდან“, რადგან „ნამდვილი საქმე, საკუთრივ სამუშაო ხელოვანისა“ მხოლოდ ამ სიყვარულისა და საკუთარი თავის სრული გაღების შემდეგ იწყება: „და ვინც აქამდე ვერ მიაღწია, ის ცაში იხილავს... ზოგ-ზოგ წმინდანსა და პატარ-პატარა წინასწარმეტყველებს... მაგრამ ხო-კუ-საი, ლი-ტაი-პე და ვიიონი, ვერპარნი, როდენი და სეზანი, და ყველაზე მეტად კი თავად მამაზეციერი, იქაც მხოლოდ მონათხრობით ეცოდინება“.

სილამაზის არა მხოლოდ როგორც დამთავრებული მოცემულობის მის საკუთარ იგივეობაში აღქმა, არამედ სილამაზის თვითგამანძილების პროცესს გადევნება ვიდრე მის უკიდურეს გაუცხოებამდე — სიმახინჯემდე, ანუ სინამდვილის ყოველნაირი გამოვლინების ერთნაირად მიღება (გავიხსენოთ მალტეს კომენტარი ბოდლერის ლექსზე) — რილკეს პოეტიკის ეს ბირთვი გარკვეულად ექსპრესიონიზმის კრედოს უახლოვდება და საფუძველს აცლის მისი შემოქმედების როგორც ესთეტიზმისაღმი წაყენებულ ბრალდებებს.

მაგრამ განსხვავებით ექსპრესიონისტი პოეტისაგან, ვინც „ფეთქდება და ლავასავით გადმოინთხევა“ (რილკე), ვისი ლექსიც „კივილად“ ამოსკდება, — რილკეს შემოქმედებითი გზა განცდიდან — ლექსამდე ძალზედ რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს და თავისი შეჩერებული, შეკავებული. „გარდაქმნილი“ ემოციებით. სუბიექტურობიდან მაქსიმალური ობიექტურობისაკენ სწრაფვით სწორედ იმპრესიონისტული და ექსპრესიონისტული ლირიკის პრინციპებს უპირისპირდება. „ლექსები ეს განცდები კი არ არის, როგორც ჰგონიათ, ეს გამოცდილებანია“. (მალტე)... „...ო. ძველი წყევლა პოეტთა თავზე: მუდამ მოსთქვამენ იქ, სადაც მხოლოდ თ ქ მ ა ეკალებათ, როგორც სნეულნი იყე-

ნებენ ჩვენლის ენას. რათა აღწერონ, რა როგორ სტკივათ" (რეკვიემი). მალტეს, როგორც შემოქმედის გზა ამ ეგზალტირებულ-სპონტანური, სუბიექტური ჩვენლიდან „ობიექტური ოქმისაკენ" გადასვლის გზაა, რაც მისი პიროვნების შინაგანი გარდაქმნის სუფექელსე ხორციელდება და განსაზღვრავს რომანის სტილის განვითარებას.

რომანის თავად თანდათან ალეგორიად თხრობის პრობლემა იქცევა: წამოიჭრება რა „ნამდვილი თხრობის" აუცილებლობის საკითხი, ამ საკითხზე თხრობა ალეგორიის თხრობად გვევლინება.

მალტე იხსენებს: ბავშვობაში მის გარშემო ყოფ ადამიანთაგან არავის შეეძლო რაიმე ისეთი ეთქვა, ისეთნაირად მოეთხრო გარდაცვლილი ქალის — ინგებერგის შესახებ, რომ მალტეს ის დაენახა. მხოლოდ მაშინ ახერხებდა მალტე აღრე გარდაცვლილი ახალგაზრდა ქალის „დანახვას", როდესაც დედა იხსენებდა მას. დედა სხვებივით გარედან კი არ აღწერდა ინგებორგის სამყაროს, წერილმანებში კი არ იფანტებოდა (კორექტივი ნატურალისტური სტილის მიმართ), არამედ ის ჰყვებოდა სრულიად უცნაურ ამბავს, რომელიც მოხდა ინგებორგის სიკვდილის შემდეგ: როგორ „მოვიდა" გარდაცვლილი ინგებორგი თავისიანებთან. მაგრამ ამ ეპიზოდამდე დედა ორად-ორ თავისებურებას აღნიშნავდა ხოლმე ინგებორგისას: „ის ყველას სიხარულს გვანიჭებდა, მალტე, მამაშენსაც კი, სწორედ რომ სიხარულს ანიჭებდა". და მეორე: როდესაც ინგებორგი კვდებოდა, უცბად საწოლში წამოჯდა და... რაღაცნაირად, თავისთვის ჩაილაპარაკა: „ნუ სწუხართ, კარგია, რაც ხდება. მე მეტი მაინც აღარ მინდა". **ამრიგად, „ნამდვილი თხრობის" ნიშანს წარმოადგენს** საგნის, ადამიანის არსებითი შინაგანი თვისების აღმოჩენა და მისი გამომავლინებელი უმკვეთრესი გარეგანი დეტალის მიგნება. მხოლოდ ასე განხორციელდება „ნამდვილი თხრობის" მიზანი: მსმენელმა (მკითხველმა) დაინახოს ის, რაზეც მოუთხრობენ.

რომანის მეორე ნაწილში მალტე უფრო პრინციპულად მსჯელობს „ნამდვილი თხრობის" შესახებ: ახლა, ახალ დროში ადამიანებს აღარ შესწევთ ნამდვილი თხრობის, მოყოლის უნარი, ძველ დროში ნამდვილად უნდა სცოდნოდათ თხრობა. „მოხუც გრაფ ბრაეს ჯერ კიდევ უნდა შესძლებოდა თხრობა" (გავიხსენოთ: „პაპაჩემს, კამერჰერ ბრიგეს ჯერ კიდევ ეტყობოდა, რომ თავის წიაღში სიკვდილი დაჰქონდა" — მალტეს წინაპრები უკანასკნელი მფლობელნი არიან ბუნებრივი, ადამიანური სიბრძნისა, პირველადი ცოდნისა). ნამდვილი თხრობის უნარით ყველაზე მეტად დაჯილდოებულია თავადი ბრაე. და განა შემთხვევითია, რომ მხოლოდ ეს ორი ადამიანი ახერხებს თხრობას და განსაკუთრებით კი თავადი ბრაე — სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის უარმყოფელი, მაშასადამე, ხილულ და უხილავ სამყაროთა ერთიანობის მხედველი? თავად ბრაეს შინაგანი მზერა სხეულის მიღმა სულს ჭვრეტს, სიკვდილის მიღმა უხილავ სიცოცხლეს, მაშ ხომ ცხადია, რომ ყველაზე მეტად მას შეუძლია აღმოაჩინოს საგნის უხილავი, დაფარული სინამდვილე და მისი გამომავლინებელი მთავარი გარეგანი დეტალი. ამავე დროს, როგორც დედა, ასევე თავადი ბრაეც თხრობისას მთლიანად გარდაისახებოდნენ ხოლმე იმ ადამიანად, რომლის შესახებაც ჰყვებოდნენ. მაშასადამე, მათ ჰქონდათ ხელოვანისათვის აუცილებელი უნარი სრული შინაგანი გარდასახეულებისა იმ საგნად, რის გამოთქმასაც ცდილობდნენ.

[illegible] ბრალ საკუთარ. [illegible] რომ [illegible] [illegible] [illegible]

[illegible] ... რადგან ეს არის დანაშაული, თუკი რამეა — არ გავამრავლოთ საყვარელი ადამიანია თავისუფლება ყველა იმ თავისუფლებათა გულისთვის, ჩვენში რომ ვფარავთ. ჩვენ ერთი გვმართებს მარტოდენ, როდესაც გვიყვარს — ღვთმოთ ერთურთი, რადგან როდესაც ერთმანეთს ვიქერთ, — გვაკავშირებდა, არა სჯირდება ამას სწავლა და ძალისხმევა". (რეკვიემი).

სანგრძლივი ფიზიკური ერთადყოფნა უმეტესად შინაგანი ურთიერთდაკარგვის საწინდარია და შინაგან ურთიერთშესარჩუნებას ფიზიკური სიშორე ხელს უწყობს ხშირად. რომანის მეორე ნაწილში ჩართული სიმღერა განსაკუთრებით გადმოგვცემს ამ ადამიანურ, უცნაურ სიძნელეს, ერთ-ერთს მრავალ სხვა (ინსაალმდეგობათა შორის. „შენ მარტო მოხვალ და ერთადერთი შეიძლება გაგცვალო [illegible]. შენ წამი იყავ შეჩერებული, და ახლა ისევ შორეული მაგონებს, ყოველი ჩემი შენს თავს მაგონებს, შენითაა ს

ქუჩა

[ამაშ ასე. ესე იგი ამ ქალაქს ყოველი მხრიდან აწყდება ხალხი, რათა აქ ცხოვრების ეზიაროს. მე კი მგონია: აქ სიკვდილი უფრო ადვილია ვიდრე სიცოცხლე] ვნახე ბალეტი. ვნახე: ჰოსპიტლები. ვნახე კაცი, რომელიც წამალიანცა და დაეცა. მაშინვე ხალხი შემოეხვია და დანარჩენის ნახვას გადავრჩი. ვნახე ორსული ქალი. მძიმედ მიუყვებოდა მაღალ, თბილ გალავანს. ერთ და დრო კედელს ხელს შეავლებდა, თითქოს სურდა დარწმუნებულიყო, ხომ ისევ აქ დგასო. დიახ, იქ იდგა. მის მიღმა რაღა იყო? ხელთ ქალაქის გეგმა მქონდა და ამოვიკითხე: სამშობიარო სახლი. კეთილი. იქ მოალოგინებენ — ეს ხომ მაინც შეუძლიათ. შემდეგ, წმინდა ჟაკის ქუჩა და იქ ვეება, ეუმბათოვანი შენობა; ქალაქის გეგმა მიჩვენებდა: ვალ დე გრაჯი[2], სამხედრო ჰოსპიტალი. კაცმა რომ თქვას, ამის ცოდნა არც მჭირდებოდა, მაგრამ არც არას დამიშავებდა. ქუჩა ათასნაირ სუნს აფრქვევდა ყოველი მხრიდან. რამდენადაც გარჩევა შეიძლებოდა, იოდოფორმის, შემწვარი კარტოფილისა და შიშის სუნი უნდა ყოფილიყო. ზაფხულობით ყველა ქალაქი თავისებურად ყარს. შემდეგ უცნაური შენობა ვნახე, თითქოს ბრმა იყო, თვალლიბრიანი. გეგმაზე ვერსად ვიპოვე, მაგრამ კარს ჯერ კიდევ აჩნდა წარწერა: ღამის

მოც წელსაც ძლივს აღწევენ, რომ აღმოჩნდება: ამოწურულა მათი მარაგი: უკანასკნელი სახით დადიან. ესეც უბედურებაა, რალა თქმა უნდა. ამ ხალხს არ ეხერხება სახის დაზოგვა. ყოველი მათი ბოლო სახე რვა დღეში ცვდება. ალაგ-ალაგ ქაღალდივით ისვრიტება და ჩნდება ულაყური: უსახეობა. და ისინიც დადიან და მთელი ცხოვრება უსახობას დაატარებენ.

მაგრამ ქალი, ის ქალი: მთლიანად თავისთავში იყო ჩაფლული, წინგაღახრილი და ჩარგული საკუთარ ხელებში. ეს მოხდა ნოტრ-დამ-დე შაპ-ის ქუჩის კუთხეში. როგორც კი შევნიშნე, ნაბიჯი შევანელე. როცა საწყალი ხალხი ჩაფიქრდება, ხელი არ უნდა შეუშალო. ეგებ ბოლოს და ბოლოს მიაგნონ რასმე.

ქუჩა ცარიელი იყო. მისი სიცარიელე თავს მაბეზრებდა. ფეხთაქვეშ ნაბიჯს მაცლიდა და ჩემი ნაბიჯით, თითქოს ხის ფეხსაცმელიაო, ხან აქ და ხან იქ გაუთავებლად აკაკუნებდა. ქალი შეკრთა და წელში გაიმართა, მაგრამ ისე სწრაფად მოსწყდა თავის თავს, რომ სახე ისევ ხელებში დარჩა. და მე შემეძლო დამენახა როგორ იდო სახე პეშვებში, მისი გულამოცლილი, ჩაღრმავებული ფორმა. როგორ არ ვეცადე ამ ხელებთან დავრჩენილიყავი და არ დამენახა, რაც იქიდან ამოიგლიჯა, მაგრამ ამაოდ. შემზარა სახის შიდაპირის ხილვამ, მაგრამ კიდევ უფრო ზარდამცემი იყო შიშველი, ჩამოფლეთილი თავი სახის გარეშე.

●

მეშინია. როდესაც შიში გეუფლება, მის წინააღმდეგ რაიმე უნდა იღონო კაცმა. საზიზღრობა იქნებოდა, აქ რომ ავად გავმხლარიყავი... თან ვინმეს რომ აზრად მოსვლოდა და Hotel-Dieu [4]-ში დავეწვინე... იქ ხომ უეჭველად მოვკვდებოდი.

ეს ოტელი შესახედად სასიამოვნო და უსაშველოდ ხალხნარევალია. პარიზის კათედრალს ხეირიანად ვერც კი შეავლებ თვალს იმის შიშით, ოტელის წინ მოედანზე მიმომქროლი ეკიპაჟები ზედ არ შემდგნენო, (რაკი ეს უკანასკნელნი, რაც შეიძლება სწრაფად უნდა გამოცხადდნენ Hotel-Dieu-ს შესასვლელთან). ხსენებული ეკიპაჟები პატარა ომნიბუსებს წარმოადგენენ, რომლებიც განუწყვეტლივ რეკავენ და თავად საგანის ჰერცოგსაც [5] კი მოუწევს ეტლის შეჩერება, თუკი რომელიმე მომაკვდავი სწორედ ამ დროს აიხრებს

ფლის სასტუმროში პირველადი გზით შებრძანებას. მოშაკვლევნი ჯიუტნი არიან, და მთელი პარიზი ფარხლება. როდესაც მალამ ლეგრანი[6]. მეძველმანე ტანჯულთა ქუჩიდან ამ უფლებელნი უბნისაკენ მოექანება.

უნდა ითქვას, რომ ამ გაალქაჯებულ პატარა ოინებებს უზომოდ ამაღელვებელი რძისფერი ფანჯრები აქვთ, რომელთა მიღმაც კაცს შეუძლია უბრწყინვალესი ფანტაზიები წარმოიდგინოს. ამისათვის მეკარე ქალის ფანტაზიაც საკმარისი იქნებოდა. უფრო მდიდარი და მბალური წარმოსახვის პატრონი კი რის წარმოდგენას ალარ შესძლებდა ამ დაბურულ სარკმელთა მიღმა.

მაგრამ მე ვნახე: ღია, სახურავევადაბდილი ეტლებიც რომ მიქროდნენ ოტელისაკენ. მათ ქირაობდნენ დადგენილ ფასად: ორი ფრანკი სიკვდილის წუთებისათვის.

●

ეს დადებული ოტელი ძალზედ ძველია. მის თითო-ოროლა საწოლში ჯერ კიდევ ვეფე ქლოდვიგის[7] დროს კვდებოდა ხალხი. ახლა კი 559 საწოლში ერთად კვდებიან. რასაკვირველია, ქარხნული წესით. ასეთი ჭარბი პროდუქციისას, ცხადია, ცალკეული სიკვდილი ცუდად სრულდება. თუმცა ამის დარდი ვილასა აქვს. აქ ხომ მთავარია რაოდენობა.

დღეს განა ვინმე რამეს გაიღებს კარგად დამუშავებული სიკვდილისათვის? არავინ. თვით მდიდარნიც კი, რომელთაც, დიახაც, ხელი მიუწვდებათ, რუდუნებითა და გულისყურით გარდაიცვალონ, დაუდევარნი და გულგრილნი ხდებიან. ადამიანს სულ უფრო ეშვიათად უჩნდება სურვილი, მოკვდეს საკუთარი სიკვდილით. ცოტაც და საკუთარი სიკვდილი ისევე გაიშვიათდება, როგორც საკუთარი სიცოცხლე. ღმერთო, ღმერთო, ამქვეყნად ყველაფერი მზამზარეული ხვდებათ. იბადებიან, პოულობენ მზა სიცოცხლეს და მორჩა. მხოლოდ ჩაცმაღა სჭირდება. სიკვდილი უნდათ თუ იძულებულნი არიან მოკვდნენ, სულ ერთია! თავს ძალას არავინ ატანს: voilà votre mort, monsieur[8] ისე კვდებიან. როგორც მოუწევთ. კვდებიან სიკვდილით, რომელიც იმ სნეულებას ესადაგება, მათ რომ შეჰყრიათ (რადგან მას შემდეგ, რაც ყველა დაავადება შეისწავლეს, ცნობილია, რომ ესა თუ ის სიკვდილი ამა თუ იმ დაავადებას შე-

ესატყვისება, მას გამოხატავს და არა ადამიანს. და ავადმყოფს ასე ვთქვათ, გასაკეთებელი არაფერი აქვს).

სანატორიუმებში, სადაც ხალხი, მკურნალთა და მოწყალების დათა მადლიერი, ასეთი ხალისით კვდება, კვდებიან დაწესებულების მიერ დაწესებული სიკვდილით. და ეს სიამოვნებას ანიჭებს მომსახურე პერსონალს. მაგრამ თუკი შინ კვდება კაცი, ბუნებრივია, წესიერ საზოგადოებაში მიღებულ თავაზიან სიკვდილს აირჩევს, სიკვდილს, რომლითაც თითქოს მაშინვე უკვე იწყება დიდებული დაკრძალვა და წარმტაცი რიტუალები. მაშინ ამ სახლთან ღარიბ-ღატაკნი იყრიან თავს და ცქერით გულს იჯერებენ. მათ ხომ ბანალური სიკვდილი ელით, ყოველგვარ ცერემონიათა გარეშე. ღატაკებს უხარიათ რაიმე სიკვდილს თუ იპოვიან, ასე თუ ისე რომ მოერგებათ. დიდი თუ მოუვათ, ამას რა უშავს: ოდნავ ხომ მკვდარიც იზრდება კაცი. მაგრამ თუ მკერდზე არ ეტევათ ან ყელში უჭერთ, ცუდად არის მაშინ კი საქმე.

●

როცა კი აწ დაცარიელებულ ჩემს სახლზე ვფიქრობ, ასე მგონია, ადრე სულ სხვაგვარად ცხოვრობდა ხალხი. ადრე იცოდნენ (ან შეიძლება, გუმანით გრძნობდნენ), რომ სიკვდილი საკუთარ წიაღში ჰქონდათ, როგორც ნაყოფს თესლი აქვს გულში. ბავშვებს პატარა სიკვდილი ჰქონდათ, უფროსებს — დიდი. ქალებს სიკვდილი საშოში ჰქონდათ, კაცებს კი მკერდში. სიკვდილი ჰქონდათ და ეს განსაკუთრებულ ღირსებასა და ჩუმ სიამაყეს ანიჭებდა ადამიანებს.

პაპაჩემს, კამერჰერ ბრიგეს ჯერ კიდევ ეტყობოდა, რომ თავის წიაღში სიკვდილი დაჰქონდა და რა სიკვდილი! — ორი თვისა და ისეთი ხმა-მაღალი, რომ მთელ კარ-მიდამოს აყრუებდა.

წაგრძელებული, ძველთაძველი ჩვენი სასახლე ამ სიკვდილს ერთობ ეპატარავებოდა. თითქოს ფლიგელების მიშენება იყო საჭირო, რადგან კამერჰერის სხეული დღითიდღე სივდებოდა და კამერჰერი, რომელსაც სივრცე აღარ ყოფნიდა, ერთთავად ითხოვდა, სხვა ოთახში გამიყვანეთო. ბოლოს საშინელი მრისხანება ეუფლებოდა, რადგან დაღამებას ჯერ ბევრი უკლდა, ოთახი კი ერთიც აღარ ეგულებოდა, სადაც ის უკვე არ წოლილიყო. ერთ დღეს კი მსახურები-

სა და ძაღლების განუყრელი ამალის თანხლებით კიბეს აუყვა და მოურავის წინამძღოლობით იმ ოთახში შეაბიჯა. სადაც სულგანათლებული დედამისი გარდაიცვალა ოცდასამი წლის წინათ. მას მერე ამ ოთახის კარი აღარ შეღებულა, იქ შესვლის ნება არავის ჰქონდა და მთელი ეს ხანი ყველაფერი ხელუხლებლად იდგა, ისევ ისე, ცხონებულმა ქალბატონმა როგორც დატოვა. ფარდები გადახსნეს და ზაფხულის ნაშუადღევის მჭახე სინათლე მფრთხალ, შემკრთალ საგნებს მიეკრა. მოურიდებლად აათვალიერ-ჩაათვალიერა ისინი და ძველი სარკეებიც დააფეთა, როცა მათ ერთბაშად ჩამოგლიჯეს ჩამოფარებული ქსოვილები. იქ მყოფნიც ასევე ირჯებოდნენ: მოახლეებმა აღარ იცოდნენ ზედმეტი ცნობისწადილისაგან ხელები სად წაეღოთ, ახალგაზრდა მსახურები ყველაფერს თვალებდაჭყეტილი მიშტერებოდნენ, ხოლო ხანდაზმულნი ცდილობდნენ გაეხსენებინათ, რა გაეგონათ ამ კარდახშულ, აკრძალულ ოთახზე, სადაც ახლა აგრე მშვენივრად გრძნობდნენ თავს.

მაგრამ ყველაზე მეტად ძაღლებს აღელვებდათ იმ ოთახში ყოფნა, სადაც ყოველ საგანს საკუთარი და ძველი სურნელი შერჩენოდა. მაღალი, ტანთხელი რუსული მწევრები საქმიანად მიმორბოდნენ სავარძლებს უკან, რწევა-რწევითა და გრძელი საცეკვაო ნაბიჯებით ჰკვეთდნენ ვრცელ დარბაზს, ღერბებზე ამოტვიფრული ძაღლებივით უკანა ფეხებზე დგებოდნენ, ვიწრო თათებს ფანჯრის ოქროსფერ რაფებზე აწყობდნენ, ეზოში იცქირებოდნენ და წამდაუწუმ აქეთ-იქით ატრიალებდნენ წამახულ, დაძაბულ, დაქანებულ შუბლიან სახეებს. შეედური ხელთათმანივით ყვითელი, პატარა ტაქსა ძაღლები აბრეშუმისპირიან, განიერ სავარძლებში მოკალათებულიყვნენ და ისეთი სახე ჰქონდათ, თითქოს ყველაფერი წესრიგშიაო. ხოლო დაბღვერილი, ზღარბივით აბურძგნული მეძებარი ზურგს იფხანდა მოოქროვილფეხებიანი, მოხატული მაგიდის კუთხეზე, რომელზედაც სევრული ფაიფურის[9] სიფრიფანა ფინჯნები თრთოდნენ.

დიახ, ეს საშინელი წუთები იყო ამ გაოგნებული, ნამძინარევი საგნებისათვის, ძილში ცხოვრება რომ გაჰპარვოდათ. რა აღარ ხდებოდა მათ თავს: ვიღაცის აჩქარებული ხელით უხეშად გადაშლილი წიგნებიდან ვარდის ფურცლები მოფარფატებდნენ, რომელთაც შემდეგ ფეხით თელავდნენ. პატარა, მყიფე საგნებს ხელს სტაცებდნენ და რაკი ისინი მაშინვე იმსხვრეოდნენ, იქავე ყრიდნენ, გაბზარუ-

ლებს კი ფარდებისა თუ ბუბრის ოქროსფერ ბადის უკან მალავ-დნენ სულაც. და წამდაუწუმ რაღაც ვარდებოდა და ყველაფერი ტყდებოდა, რაც ვარდებოდა — ფაფუკ ხალიჩებზე უჩუმრად და ხის იატაკზე ხმაურით, რადგანაც ასეთი განებივრებული საგნები უმაუ-ბუქეს დაცემასაც კი ვერ უძლებდნენ.

და თუ ვინმეს. აზრად მოუვიდოდა ეკითხა, რა იყო ყოველივე ამის მიზეზი, რა იწვევდა ასე შიშნეულად მოვლილ ოთახში აღასა-რულის ასეთ სისავსეს, მხოლოდ ერთ პასუხს მიიღებდა: სიკვდილი.

კამერჰერ ქრისტოფ დეტლევ ბრიგეს სიკვდილი ულსგორში. რადგან ის იწვა იატაკზე შუა ოთახში და უძრავი და უზარმაზარი მისი სხეული ღურჯი სამხედრო ფორმიდან გადმოღვრას ღამობდა. მის დიდ, უცხო, ახლა ყველასათვის უცნობ სახეზე თვალები ჩაც-ვივნულიყო: ის ვეღარაფერს ხედავდა, .რაც იქ ხდებოდა. თავიდან სურდათ, საწოლში დაეწვინათ, მაგრამ კამერჰერი გაკერჰდა, რადგან საწოლი იმ ღამეების შემდეგ შესძულდა, როდესაც მისმა სნეუ-ლებამ იჩინა თავი. თანაც საწოლი, იქ რომ იდგა, ერთობ პატარა აღმოჩნდა მისთვის და მსახურთ სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარ-და იმისა, რომ ძირს, ხალიჩაზე დაესვენებინათ, რაკი ქვედა სარ-თულზე დაბრუნება მან არ ინება.

და, აი, ახლა იგი იწვა და კაცს შეეძლო ეფიქრა, რომ ბოლოს და ბოლოს უკვე მკვდარიაო. ნელა-ნელა შეღამდა და ძაღლები სათი-თაოდ გაიკრიფნენ ოდნავ გამოღებული კარიდან. უხეშბალნიანი და სახეკუშტი მეძებარიღა იჯდა პატრონთან და ფართო და ბანჯგვლი-ანი თათი დაედო ქრისტოფ დეტლევის დიდ და რუხ ხელზე. მსახუ-რების უმეტესობაც ოთახზე ბევრად უფრო ნათელ, თეთრ დერე-ფანში შეგროვილიყო. ხოლო იქ, შიგნით დარჩენილები დრო და დრო მალულ მზერას აპყრობდნენ ოთახის გულში ამობურცულ დიდ, მკვრივ სიბნელეს და გულში ნატრობდნენ, რომ ის სხვა არა-ფერი ყოფილიყო წამხდარ სხეულზე ჩამოცმული, ვეებერთელა კოს-ტიუმის გარდა.

მაგრამ იქ იყო კიდევ რაღაც. ეს იყო ხმა, ხმა, რომელსაც ჯერ კიდევ შვიდი კვირის წინათ არვინ იცნობდა, რადგან ის კამერჰერის ხმა როდი გახლდათ. ქრისტოფ დეტლევი არ ყოფილა ამ ხმის პატ-რონი, ეს დეტლევის სიკვდილი იყო.

ქრისტოფ დეტლევის სიკვდილი უკვე მრავალი, მრავალი დღე იყო, ულსგორში ცხოვრობდა და ირგვლივ ყველას ესიტყვებოდა

ლა ეკინებით რადაცას სთხოვდა. მოითხოვდა, რომ ეტარებინათ, მოითხოვდა ლურჯ ოთახსა და პატარა სალონს, ითხოვდა დარბახს. ითხოვდა ძალიან ბევრ მოითხოვდა, ეკინათ ირგვლივ, ელაპარაკათ. ეთა-მაშათ და ჩუმად მსხდარიყვნენ. ხან ყოველივეს ერთად ითხოვდა. მოითხოვდა, ეჩვენებინათ მეგობრები, ქალები და გარდაცვლილები **და მოითხოვდა საკუთარ სიკვდილს.** მოითხოვდა და გაჰკიოდა.

ღამით, როდესაც გადაქანცული მსახურები ძილს ამირებდნენ, მაშინ ყვიროდა მისი სიკვდილი, ყვიროდა და გმინავდა. ღრიალებდა **ისე დიდხანს და შეუპოვრად, რომ ძაღლები, თავდაპირველად რომ** აჰყვებოდნენ ხოლმე ყმუილით, ჩუმდებოდნენ და მიწოლასაც ვე-ღარ ბედავდნენ, თავიანთ მაღალ და მოცასცახე ფეხებზე იდგნენ და შიშისგან ძრწოდნენ. ხოლო როდესაც ზაფხულის ვრცელ და მოვერ-ცხლისფრო დანიურ ღამეს მისი ღრიალი მსჭვალავდა შორით, მაშინ ყველანი. როგორც ავდარში, დგებოდნენ სოფლად და უსიტყვოდ უსხდებოდნენ ლამპას გარშემო, იქამდე, ვიდრე ეს ქუხილი გადაივ-ლიდა. ხოლო იმ ქალებს, მალე რომ უნდა ემშობიარათ, სახლის უშორეს ოთახებში აწვენდნენ და ახურავდნენ უმძიმეს საბნებს. მაგრამ მათ ის ხმა მაინც ესმოდათ, ისე ახლოდან, თითქოს მათსავე სხეულებში იბადებოდა. და ისინიც ივედრებოდნენ, რომ მიეცათ ადგომის ნება და მოდიოდნენ თეთრები და ტანგანივრები, ნაკვთებ-წაშლილი სახეებით და დანარჩენებთან ერთად სხდებოდნენ. და მაკე ძროხები, რომელთაც ამ დროისათვის უნდა ეშობათ, ამ ღრი-ალმა დაზაფრა და დააუძლურა და ერთ-ერთ მათგანს მკვდარი ნა-ყოფი შიგნეულთან ერთად ამოაცალეს, რადგან ვერ შეძლო მისი გაჩენა. და ყველანი ცუდად ასრულებდნენ თავიანთ საქმეს, თივის დაბინავებაც ავიწყდებოდათ, რადგანაც დღისით ეშინოდათ ღამის დადგომის და ამდენი უძილობითა თუ დაფეთებული გამოღვიძე-ბით ისე იყვნენ ქანცგაწყვეტილნი, რომ აღარაფრის თავი არ ჰქონ-დათ. ხოლო როდესაც კვირაძალზე თეთრსა და მყუდრო ეკლესიას მიაშურებდნენ, იქ ღმერთს შესთხოვდნენ, რომ ბატონი აღარ ჰყო-ლოდათ: რადგან ეს მართლაც საშინელი ბატონი იყო, და რასაც ისინი ჩუმად ფიქრობდნენ და ლოცულობდნენ, იმას ხმამაღლა ამ-ბობდა მღვდელი ამბიონიდან, რადგან მასაც გაკრთომოდა ღამის სიმშვიდე და ამის გამო სწყდებოდა უფალს. და ამასვე რეკდა ზა-რიც, შემზარავი მეტოქე რომ გამოსჩენოდა, მეტოქე, რომელიც მთელ ღამეს ქუხდა და ვის ხმასაც ზარი ვერ დაფარავდა, თუნდაც

ერთიანად აეხმიანებინა ლითონის მასა. დიახ, ყველა ამას ამბობდა და იქაურ ყმაწვილკაცებში ერთი ისეთიც გამოჩნდა ბოლოს, ვისაც ესიზმრა, რომ სასახლეში წავიდა ვითომ და მოწყალე ბატონს ნაგვის ორთითი თავში ჩაარტყა. და ისე ბოლომოღებულნი იყვნენ ყველანი და ისეთი ღიზმორეულნი, რომ ყურს უგდებდნენ და ბოლოს, თავიანთისვე შეუმჩნევლად ისე შეხედეს, თითქოს ეკითხებოდნენ, იყო თუ არა სინამდვილეში ამის ჩამდენი. ასეთი განცდები და საუბრები გავრცელდა მთელს იმ მხარეში, სადაც კამერჰერი ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ უყვარდათ და ენანებოდათ. მაგრამ თუმც ასე ლაპარაკობდნენ, შეცვლით არაფერი არ იცვლებოდა. ქრისტოფ დეტლევის სიკვდილი, რომელიც ულსგორში ცხოვრობდა, სხვათა სულსწრაფობას არაფრად აგდებდა: ის ათი კვირით იყო მოსული და ეს ხანი დაჰყო და ამ ხნის მანძილზე ის უფრო იყო ბატონი, ვიდრე ქრისტოფ დეტლევი ყოფილა ოდესმე. ის ჰგავდა მეფეს, საშინელს რომ უწოდებენ შემდეგ და მარად.

ეს არ ყოფილა ვიღაც წყალმანკიანის სიკვდილი. ეს ავი და თავადური სიკვდილი გახლდათ, რომელსაც კამერჰერი მთელი სიცოცხლე თავის წიაღში დაატარებდა და საკუთარი თავით ჰკვებავდა. სიამაყის, ნებისა და თავადური ძალმოსილების მთელი სისავსე, რისი დახარჯვაც ქრისტოფ დეტლევმა თავის მდორე ცხოვრებაში ვერ მოახერხა, მის სიკვდილში გადასულიყო, სიკვდილში, ახლა რომ ულსგორში იჯდა და ყოველივე ამას ფლანგავდა.

და როგორ უნდა შეეხედა კამერჰერს მისთვის, ვინც მას ეტყოდა, სხვა სიკვდილით უნდა მომკვდარიყავ, არა ამითო. თავადი ბრიგუ თავისი მძიმე სიკვდილით მოკვდა.

●

და დანარჩენი წინაპრებიც რომ მახსენდება, ვინც საკუთარი თვალით მინახავს ან რომელთა შესახებაც სხვებს უამბნიათ, ვხედავ: ასევე იყო ყველა მათგანი. მათ ყველას საკუთარი სიკვდილი ჰქონდა: იმ კაცებს. იარაღასხმულ სხეულებში სიკვდილს ტყესავით შებოჭილს რომ დაატარებდნენ; ქალებს, რომლებიც ღრმად ბერდებოდნენ და პატარავდებოდნენ და შემდეგ უზარმაზარ სარეცელზე როგორც სცენაზე ისე კვდებოდნენ, მოკრძალებულად და დედოფლური ღირსეულობით. დიახ, ბავშვებიც, თუნდაც სულ პატარები,

ორმელიმე ბავშვური სიკვდილით კი არა კვდებოდნენ, არამედ ძალას იკრებდნენ და კვდებოდნენ ი მ ა ს, რაც უკვე იყვნენ და ი მ ა ს ა ც, რაც გახდებოდნენ, ცოცხლები რომ დარჩენილიყვნენ.

და რა ნაღვლიან სილამაზეს ანიჭებდა ეს განცდა ქალებს, როცა ისინი ორსულად იყვნენ, და იდგნენ ხოლმე, და მათ დიდ ტანში, ხედ უნებურად რომ რჩებოდათ თბილი ხელები, ორი ნაყოფი ერთად ხარობდა: ერთი ბავშვი და ერთი სიკვდილი. და მძიმე და თითქმის მაძღარი ღიმილი, მათ ერთიანად დაცლილ სახეზე, იმიტომ ხომ არა ჩნდებოდა, რომ ხანდახან ფიქრობდნენ ხოლმე, ორივენი იზრდებიანო?

●

მე რაღაც ვილონე შიშის წინააღმდეგ. მთელი ღამე ვიჯექი და ვწერდი და ახლა ისე ვარ დაღლილი, თითქოს ულსგორის უკიდეგანო ველ-მინდვრებში მეხეტიალოს. ძნელია, როცა გაიფიქრებ, რომ ეს ყველაფერი დაკარგულია და უცხო ხალხი ცხოვრობს ახლა იქ, ჩვენს ძველებურ, გრძელ სასახლეში. ალბათ მოახლეებს სძინავთ იმ თეთრ ოთახში, ზედა სართულზე, სძინავთ მძიმე და ოფლიანი ძილით, შეღამებიდან გათენებამდე.

და აღარაფერი აღარაფერი არ გაგაჩნია, დაეხეტები ქვეყნიდან ქვეყნად ჩემოდნითა და წიგნების ყუთით და კაცმა რომ თქვას, ცნობისწადილიც არ გამოძრავებს. რა სიცოცხლეა ეს სიცოცხლე ბოლოს და ბოლოს: უსახლკაროდ, უძაღლებოდ და ნამემკვიდრეო საგანთ გარეშე! მოგონებები მაინც გქონდეს ადამიანს და მათ მაინც არა კარგავდე. მაგრამ აბა ვინ იტყვის, მაქვსო. ბავშვობა კიდეც რომ მომეგონებინა, ხომ ისე გაჩნდებოდა, როგორც რაღაც უკვე დიდი ხნის დამარხული? ვინ იცის, ეგებ უნდა დაბერდე, რომ წარსულს მისწვდე და მოიწოდო? და მეჩვენება, კარგი უნდა იყოს სიბერე.

●

დღეს მშვენიერი შემოდგომის დილა გათენდა. ტიულრის ბაღში [10] მივდიოდი. აღმოსავლეთის საპირისპიროდ, მზის წინ რაც იყო, რაც მას პირდაპირ ეგებებოდა, ყველაფერი დამაბრმავებლად კაშ-

კაშებდა. მზით განათებულ იქაურობას ღიანაცრისფერ ფარდასავით ეკიდა ნისლი. ნაცრისფერ რიჟრაჟში მზეზე ვერცხლისფრად ირუჯებოდნენ ჯერ კიდევ შეუძარცველ ბაღებში გაფანტული ქანდაკებები. ზოგიერთი ყვავილი კი გრძელ კვალში ზეზე დგებოდა და შემკრთალი ხმით ჩუმად ამბობდა: „წითელი"-ო. შემდეგ მაღალი და ხმელ-ხმელი კაცი გამოჩნდა ელისეს მინდვრების მხრიდან. ყავარჯენი ეჭირა, მაგრამ იღლიით კი აღარ ეყრდნობოდა, არამედ უკვე წინ მიჰქონდა მსუბუქად და მხოლოდ დროდადრო აბჯენდა მიწას, ჰეროლდის კვერთხივით მტკიცედ და სმიანად. ის ვერ იკავებდა სიხარულის ღიმილს და გზაში ყველაფერს უღიმოდა: მზეს, ხეებს. მისი ნაბიჯი გაუბედავი იყო, როგორც ბავშვისა, მაგრამ უჩვეულოდ მსუბუქი, თანაც, თითქოს წინანდელ სიარულს იგონებსო.

●

რამდენი რამ შეუძლია ამ პატარა მთვარეს! [11] ახლა დგას დღეები ისეთი დღეები, რომ გეჩვენება, თითქოს ყველა საგანს რაღაც უცნაური შუქი ეღვრება და წონა დაუკარგავს. ყველაფერი ნათელია და ჰაეროვანი, ოდნავ გამოკრთის კრიალა ჰაერში და მაინც ცხადად ჩანს. უახლოეს საგანსაც კი სიშორის ელფერი დაჰკრავს, თითქოს შორიდან ხედავ — თითქოს წაგართვეს და ახლა შორიდან გიჩვენებენ, კი არ გიწვდიან. ხოლო ის, რაც მართლა შორს არის, შორეთს ეკუთვნის: მდინარეები, ხიდები, მოედნები თუ გრძელი ქუჩები, თითქოსდა სივრცეს წაუღია თავის ზურგს უკან და ყველაფერი როგორც მჭვირვალე აბრეშუმზე ისეა სივრცის ზედაპირზე მიმოხატული.

ამ საოცარი განათების დროს წინასწარ ვეღარ იტყვი, რა შეგრძნებას გამოიწვევს ღია მწვანე ეტლი პენ-ნეფზე [12], როგორ ავსებს საერთო სურათს სადღაც გამომკრთალი, რაღაც მსხლტომი წითელი ფერი ანდა სრულიად უბრალო პლაკატი მარგალიტისფრად ჩარუხებული სახლების ცეცხლამრიდ კედელზე. ყველაფერი გამარტივებულია, ნათელ სიბრტყეზეა წარმოდგენილი, როგორც სახე მანეს [13] ნახატზე და არაფერია უმნიშვნელო და ზედმეტი. ბუკინისტები სანაპიროზე ნელ-ნელა ხსნიან თავიანთ ყუთებს. და გარემოს ემატება ახალი ფერები: წიგნების ხასხასა თუ გახუნებული ყვი-

თელი, ყდების მოლურჯო ყავისფერი, რომელიღაც ჩანთის მუქი სიმწვანე და ყველა ეს ფერი საჭიროა, გამოდგება, ერთიმეორეს ესადაგება, აუცილებელი ნაწილის სახით უერთდება იქაურობას და იქმნება ის მთლიანობა და სისავსე, რასაც არაფერი აღარ აკლია.

●

ქვემოთ ასეთი სურათია: ქალი პატარა ურიკას მიაგორებს, წინ არღანი დევს ურიკაზე, უკან კალათი, კალათში კი ბავშვი დგას მყარად. თავზე თბილი ჩაჩი ახურავს და მხიარულად აცხადებს უარს დაჯდომაზე. მაგრამ მაინც სვამენ. მერე ქალი არღანს ატრიალებს, ბავშვი მაშინვე დგება და ფეხებს ატყაპუნებს და პატარა გოგონა, მწვანე საკვირაო კაბაში გამოწყობილი, ცეკვავს და ტამბურინს აჩხრიალებს სახლის ფანჯრებისაკენ.

●

ვფიქრობ, ცოტა მუშაობა უნდა დავიწყო, სწორედ ახლა, ხედვას რომ ვსწავლობ. ოცდარვა წლის ვარ და ჩემს ცხოვრებაში ჯერ არაფერი მომხდარა მნიშვნელოვანი; ისევ ჩამოვთვლი: მე დავწერე ერთი ნაშრომი კარპაჩოზე [14], რომელიც არ ვარგა, დრამა, „ქორწინება“ რომ ჰქვია და რაღაც ყალბს ამტკიცებს ორაზროვანი ხერხებით, და ლექსები. მაგრამ რა ცოტა რამ მოაქვთ ლექსებს, როცა მათ წერას ადრე იწყებენ. კაცმა უნდა მოიცადოს და მთელი ცხოვრების, რაც შეიძლება გრძელი ცხოვრების აზრი და სიტკბო შეაგროვოს აუჩქარებლად... და შემდეგ, გვიან, ცხოვრების ბოლოს შეიძლება გამოუვიდეს ათი სტრიქონი, ათიოდე კარგი სტრიქონი. რადგან ლექსები განცდები კი არ არის, როგორც ჰგონიათ (კაცს განცდები ადრეევ და ჭარბად უჩნდება), არამედ — გამოცდილებანია. ერთი ლექსისთვის საჭიროა, კაცმა მრავალი ქალაქი ნახოს, უამრავი საგანი და ადამიანი, ცხოველები უნდა იცოდეს, უნდა გრძნობდეს, ფრინველები როგორ დაფრენენ. ის მოძრაობა უნდა იცოდეს, პატარა ყვავილები რომ იშლებიან მზის ამოსვლისას. უნდა შეეძლოს ფიქრი უცხო მხარეებში დარჩენილ გზებზე, მოულოდნელ შეხვედრებსა და განშორებებზე, რომელთაც რა ხანია წინასწარ გრძნობდნენ, ჯერაც აუხსნელ ბავშვობის დღეებზე... მშობ-

ლებზე, რომელთაც ასე წყვეტდი გულს, როცა ვერ ამჩნევდი, როგორ უნდოდათ შენთვის სიხარული მოეტანათ, რადგან ის შენი სიხარული არა ყოფილა, უნდა ფიქრობდეს. საყმაწვილო სნეულებებზე, ასე უცნაურად რომ იწყებიან უამრავი ღრმა და მძიმე ფერისცვალებით, ჩაკეტილ, ჩუმ ოთახებში გატარებულ უხმო დღეებზე და ზღვის განთიადებზე, ზღვაზე საერთოდ, ზღვებზე და მოგზაურობის ღამეებზე, ჩვენს გვერდით რომ ჩაიქროლეს, ჩაიშრიალეს და ყველა ვარსკვლავთან ერთად გაფრინდნენ, და არც ეს არის საკმარისი: კაცს უნდა ჰქონდეს მოგონებები სიყვარულის მრავალ ღამეზე, ერთმანეთს რომ არასდროს ჰგვანან, მშობიარეთა კივილსა და მსუბუქ, თეთრსა და მძინარე მოლოგინებულ ქალებზე, რომელთა სხეულიც ისევ იხურება... მომაკვდავთა სასთუმალთანაც უნდა ჰქონდეს ღამე ნათევი ღიაფანჯრებიან, დაბინდულ ოთახში, რომელსაც ავსებს მათი წყვეტილი სუნთქვის შრიალი... მერე მკვდრებთანაც უნდა გაჩერდეს იმავ ოთახში... და არც ეს კმარა: მოგონებები. დავიწყება უნდა შეგეძლოს, თუ ისინი ძალზე ბევრია. და მოთმინებით უნდა აღივსო, რომ დაელოდო მათ დაბრუნებას... რადგან მოგონებები ჯერ კიდევ არ არის, რაც ჩვენ გვჭირდება — მოგონებანი ჩვენს სისხლად რომ გარდიქცევიან, ჩვენს ძვრად და მოძრაობებად, ჩვენში სახელს რომ დაკარგავენ და უსახელოთ ჩვენსავ თავისგან ველარაფრით ვერ განვასხვავებთ, ძარტოდენ მაშინ შეიქნება შესაძლებელი, რომ ერთ ძალიან გამორჩეულ წუთს მათ გულის-გულში აღსდგეს ლექსის პირველი სიტყვა და გამოვიდეს ამ წიაღიდან.

ჩემი ლექსები კი სხვარიგადაა წარმოშობილი, მაშასადამე, არც ლექსებია. და როდესაც ჩემს დრამას ვწერდი, როგორ ვცდებოდი! განა მიმბაძველი არ ვიყავი და უგუნური, რომ ვიღაც მესამე მჭირდებოდა ორი ადამიანის ბედ-იღბალის გადმოსაცემად, ერთმანეთს ცხოვრებას რომ უძნელებენ? რა ადვილად გავები მახეში. ხომ უნდა მცოდნოდა, რომ ამ „მესამეს“, რომელიც ყველას ცხოვრებასა და ყველანაირ ლიტერატურაში დაიარება, ამ აჩრდილს რაღაც არარსებული მესამისა, არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია და რომ ის უნდა უგულვებელვყოთ. ეს მესამე, ისევე, როგორც მრავალი სხვა რამ, მხოლოდ თვალის ასახვევად სჭირდება ბუნებას, მუდამ რომ იმის მცდელობაშია, ადამიანის ყურადღება აარიდოს თავის ულრმეს იდუმალებათ. ის საფარია, რომლის მიღმაც დრამა იშლება. ის ხმაურია ნამდვილი განხეთქილების სამარისებური სიჩუ-

მის კართან. ეტყობა, ორზე ლაპარაკი, ორზე, რომელთაც ეხება საქმე, ყოველთვის ძნელი იყო ყველასთვის. ის „მესამე“, სწორედ იმიტომ, რომ აგრერიგად არანამდვილია, — უადვილესია ამ ამოცანაში. ის ყოველთვის ყველას გამოსდის. დრამების დასაწყისშივე შეიმჩნევა მოუთმენლობა, რომ ერთი სული აქვთ, ამ — „მესამეზე“ როდის გადავლენ. როგორც კი იგი გამოჩნდება, ყველაფერი უკვე რიგზეა. მაგრამ რა მოწყენილობაა, თუ იგვიანებს. უიმისოდ შეუძლებელია რაიმე მოხდეს. ყველაფერი ფერხდება, გროვდება, იცდის, და მერე, ამ დგომასა და განცვიფრებას რომ აღარ გასცდენოდა საქმე? რაო, ბატონო დრამატურგო და შენც პუბლიკავ, ცხოვრება რომ იცით ესოდენ, რაღას იზამდით, უგზო-უკვლოდ რომ გამქრალიყო ეს ყველასათვის საყვარელი „ცხოვრების კაცი“, ანდა ეს უტიფარი ყმაწვილი, ყველა ქორწინებაში რომ იღებს მონაწილეობას მორგებული გასაღებივით? რაღას იზამდით, მაგალითად, ეშმაკს რომ წაეღო იმისი თავი? დავუშვათ. და იმავე წუთს ჩნდება ჩვენი თეატრების ხელოვნური სიცარიელე, მათ სახიფათო ხვრელივით გმანავენ და ჩრჩილებივა მოფარფატებენ ლოჟათა ქსოვილიდან უსაყრდენო შუა სივრცეში. დრამატურგები ვეღარ ტკბებიან ვილებში ცხოვრებით და ოფიციალური მეთვალყურენი დედამიწის ყველა კუთხეში ეძებენ მათთვის იმ „უბადლო და შეუცვლელ გმირს“, მთელ დრამას რომ ამოძრავებდა.

და ამ დროს ისინი ცხოვრობენ ჩვენს შორის, არა ის მესამეები, არამედ ის ორნი, რომელთა შესახებაც წარმოუდგენლად ბევრი იყო მუდამ სათქმელი და არაფერი არ თქმულა ჯერაც, თუმცა ისინი იტანჯებიან, ცხოვრობენ და ვერ გაუგიათ, თავს რით უშველონ.

სასაცილოა. მე ვზივარ ახლა აქ, ჩემს ოთახში, — მე — ბრიგე. ოცდარვა წლის ყველასათვის უცნობი კაცი. ვზივარ და არაფერს არ წარმოვადგენ და მაინც, ეს არაფერი იწყებს ფიქრს. და ფიქრობს თავის ოთახში, მეხუთე სართულზე პარიზის ერთ რუხ ნაშუადღევს ამგვარ საფიქრალს:

შესაძლებელია, ფიქრობს იგი, რომ არაფერი ნამდვილი და მნიშვნელოვანი დღემდე არ იყოს დანახული, შეცნობილი და გამოთქმული? შესაძლებელია, რომ საუკუნეები დრო ჰქონდათ დასაკვირვებლად, საფიქრებლად და ჩასაწერად და საუკუნეები სასკოლო შესვენებასავით გაეპარათ, რომლის დროსაც ბუტერბროტს და ვაშლს მიირთმევენ?

დიახ, შესაძლებელია.

შესაძლებელია, რომ აღმოჩენათა და წინსვლათა, კულტურის, რელიგიისა და ამქვეყნიური მთელი სიბრძნის მიუხედავად ცხოვრების ზედაპირზე დარჩენილიყო ადამიანი? შესაძლებელია, რომ ამ ზედაპირისაც, რომელიც ბუნებრივი სახით კიდევ რაღაცა იქნებოდა, წარმოუდგენლად მოსაწყენი ქსოვილი მიაფარეს, რისი წყალობითაც იგი სასტუმრო ოთახის საზაფხულოდ შალითაგადაკრულ ავეჯს დაემგვანა?

დიახ, შესაძლებელია.

დასაშვებია, რომ მთელი მსოფლიო ისტორია მცდარადაა წარმოდგენილი და წარსული ერთიანად გაყალბებული, რადგანაც მუდამ მის მასებზე ლაპარაკობდნენ, თითქოს ჰყვებოდნენ აჩოჩქოლებულ, ერთმანეთს მიმწყდარ ადამიანთა გროვაზე, ნაცვლად იმისა, რომ ერთის შესახებ ეთქვათ რაიმე, რომელიც მარტო იდგა მუდამ იმ ხალხში, რაკიღა უცხო იყო ყველასთვის და ასე მოკვდა?

დიახ, დასაშვებია.

დასაშვებია, რომ მუდამ ეგონათ, თითქოს, ყველაფერი უნდა აღედგინათ, რაც მოხდა მათ დაბადებამდე? და თვითეულს უნდა მოაგონო, რომ ის წარმოსდგა ყოველივე წინანდელისგან, მაშასადამე, იცის კიდეც ეს წინანდელი, და ჭკუა აღარ ასწავლებინოს სხვებს, რომელთაც სხვა რამ იციან?

შესაძლებელია, რომ ყველა ამ ადამიანმა წარსული, რომელიც სინამდვილედ არასდროს ქცეულა, ზუსტად იცოდეს? შესაძლებელია, რომ სინამდვილე სულაც არაფერს ნიშნავდეს მათთვის, მათი ცხოვრება მიდიოდეს და არაფერსაც არ ეხებოდეს, ვით საათის სვლა ცარიელ ოთახში?

შესაძლებელია.

და განა შეიძლება გოგონებზე არაფერი იცოდეს ვინმემ, რომლებიც, არადა, ხომ არსებობენ? შესაძლებელია, რომ ამბობდნენ: „ქალები“, „ბავშვები“ ანდა „ბიჭები“, და ვერ ხვდებოდნენ (განსწავლულობის მიუხედავად), რომ ასეთ სიტყვებს კარგა ხანია ზოგადობა არ გააჩნიათ და მარტოოდენ აურაცხელ ცალკეულ წევრს წარმოადგენენ?

დიახ, შესაძლებელია.

შესაძლებელია, არსებობდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც, „ღმერთიო“, ამბობდნენ და ასე ეგონოთ, თითქოს ეს რაღაც საერთო იყოს? აი, ორი მოწაფე ბიჭი: დანას ყიდულობს ერთი თავისთვის

და მეორეც ისეთსავე დანას ყიდულობს იმავე დღესვე და ერთმანეთს უჩვენებენ ერთი კვირის შემდეგ ამ დანებს: ოდნავლა წააგვანან დანები ერთურთს, ძლივს მიამსგავსებ — განსხვავებულად წარიმართა მათი ბედი სხვადასხვა ხელში. (ერთის დედა კი ამბობს: თქვენ ხომ ყველაფერი მაშინვე უნდა მოიდნოთო), ჰო, მაშ ასე:

შესაძლებელია გვჯეროდეს: რომ კაცს შეიძლება ღმერთი ჰყავდეს, მაგრამ არასოდეს მოიხმაროს და გამოიყენოს?

დიახ, შესაძლებელია.

და თუ ეს ყოველივე შესაძლებელია, თუ შესაძლებლობის ელფერი მაინც დაჰკრავს, მაშინ ხომ, ყველაფრის გულისათვის ამ ქვეყანაზე, რაღაცა უნდა მოხდეს ახლავე, და კაცი, ვისაც ამდაგვარი შემაშფოთებელი ფიქრები ეწვია, უნდა ადგეს და ამ დიდ ხარვეზთა ამოსავსებად წერას შეუდგეს, თუნდაც ის ვიღაც იყოს, ვიღაც შემთხვევითი ადამიანი, და არა ვინმე გამორჩეული: სულერთია, თუ ადგილზე სხვა არვინაა. და ამიტომ ეს ახალგაზრდა უბადრუკი უცხოელი ბრიგე ავა თავის მეხუთე სართულზე და შეუდგება წერას, დღისით და ღამით. ის ვალდებული იქნება წეროს. დიახ, ასე დასრულდება ეს ამბავი.

●

მაშინ თორმეტი ან დიდი-დიდი ცამეტი წლისა ვიქნებოდი. მამაჩემმა თან წამიყვანა ურნეკლოსტერში. არ ვიცი, რა მიზეზით, თავისი სიმამრის ნახვა გადაწყვიტა. კარგა ხანი იყო, არ ენახათ ერთმანეთი, დედაჩემის სიკვდილის შემდეგ, და მამაჩემი ჯერაც არ იყო ნამყოფი იმ ძველ სასახლეში, სადაც გრაფი ბრაე მოგვიანებით გადასახლდა. ეს უცნაური სახლი, რომელსაც პაპაჩემის სიკვდილის შემდეგ სხვა დაეპატრონა, მერე აღარასდროს მინახავს. ჩემი ბავშვობის მოგონებებში კი ის მთლიან შენობად არც მეცხადება. ერთიანად დაშლილი და დანაწევრებულია ჩემში: აქ ერთი ოთახი, იქით — მეორე და სადღაც ცალკე — დერეფნის ნაწილი, რომელიც ამ ოთახებს კი არ აერთებს, არამედ, თავისთავად, ფრაგმენტივით არის შემონახული. ამგვარად არის გაბნეული ჩემს ხსოვნაში ყველაფერი. ოთახები, ფართო კიბეები, ასე ზარ-ზეიმით ძირს დაშვებული, და სხვა ვიწრო და ხვეული კიბეები, რომელთა სიბნელეშიც ისე დადიოდა ადამიანი, როგორც სისხლი მიდის ძარღვებში. კოშ-

კის სენაკები, ზემო სართულებზე დაკიდული აივნები და პირველი სართულის მოულოდნელი ვერანდები, სადაც პატარა კარით უნებურად ამოპყოფდი თავს, თითქოს გარეთ გისროლესო. ყველაფერი ეს ისევ ჩემშია და სამუდამოდ ჩემში დარჩება. თითქოსდა სურათი ამ შენობისა თვალუწვდენელი სიმაღლიდან პირდაპირ ჩემი სულის სიღრმეში ჩამოვარდა და გადაიმსხვრა მის საძირკველზე.

მთლიანი სახით, მგონი, მხოლოდ ის დარბაზი შემომინახა მეხსიერებამ, სადაც ვახშმად ვიკრიბებოდით შვიდ საათზე ყოველ საღამოს. ეს დარბაზი დღისით არასოდეს მინახავს, ვერც კი ვიხსენებ, ჰქონდა თუ არა ფანჯრები და ეს ფანჯრები სად გადიოდა ყოველთვის, როცა კი იქ შევდიოდით, მძიმე შანდლებში სანთლები ენთო და ყველას მაშინვე ავიწყდებოდა დღის სინათლე, და ყველაფერი რაც გარეთ ენახათ. ეს მაღალი, როგორც მახსოვს, კამაროვანი დარბაზი ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი იყო. თავისი დაბინდული სიმაღლით, თავისი კუთხეებით, ბოლომდე რომ არასოდეს არ ნათდებოდა, იგი იწოვდა თვითეულისგან მთელ წარმოსახვას, დღისით მიღებულ შთაბეჭდილებებს და სანაცვლოდ აღარაფერს არ სთავაზობდა. აქ ყველა იჯდა მოდუნებული: უსურვილოდ, უნებისყოფოდ, ფიქრისა და წინააღმდეგობის გარეშე — თითქოს დარბაზის ბინდში განზავებულიყვნენ, და მათი ადგილები ცარიელი იყო. მაგონდება, რომ ამ გამანადგურებელმა მდგომარეობამ პირველად თითქმის გულისრევა დამმართა, რაღაც ზღვის ავადმყოფობის მსგავსი, რომელსაც მხოლოდ იმით ვძლევდი, რომ, ცალ ფეხს, რაც შემეძლო, ვჭიმავდი და ჩემ წინ მჯდომი მამაჩემის მუხლს ვეხებოდი ხოლმე. მოგვიანებითღა მეცა თვალში, რომ მამაჩემს ეს უცნაური საქციელი, ეტყობოდა, ესმოდა ან ყოველ შემთხვევაში მოსათმენად მაინც მიაჩნდა, თუმცა ჩვენი მამაშვილობა მუდამ გულგრილობით იყო აღბეჭდილი, რის გამოც მისი შეჭწყნარებლობა ვერაფრით ამეხსნა. მე კი ეს ჩუმი შეხება ძალას მაძლევდა გულის შემაღონებლად გაჭიანურებული სადილი ამეტანა. და რამდენიმე კვირის კრუნჩხვიანი მოთმინების შემდეგ, ბავშვის უსაზღვრო შემგუებლობის წყალობით ისე შევეჩვიე ამ ერთადყოფნის საშინელებას, რომ უკვე სრულიად დაუძაბავად შემეძლო ორი საათი ვმჯდარიყავი მაგიდასთან. ახლა დრო შედარებით სწრაფადაც კი გადიოდა, რადგან მე იმით ვიქცევდი თავს, რომ ყველა იქ მყოფს

ვაკვირდებოდი. პაპაჩემი მათ ოჯახს უწოდებდა და სხვებიც ოჯახი, ოჯახიო, გაიძახოდნენ, რაც თავნებობა გახლდათ ჩემს თვალში და სხვა არაფერი, რადგან, ამ ოთხ პიროვნებას, თუმცა ისინი ერთმანეთს შორეულ ნათესავებად ხვდებოდნენ, ერთმანეთთან ხომ მაინც არაფერი აკავშირებდა! ბიძაჩემი, ყოველთვის ჩემს გვერდით რომ იჯდა, ერთი მოხუცი კაცი გახლდათ, რომლის კუშტსა და გარუჯულ სახეზე რამდენიმე შავი ლაქა შეიმჩნეოდა, რაც, როგორც შემდეგ შევიტყვე, დენთის აფეთქების შედეგად დარჩენოდა. ეს პირქუში და ბუზღუნა ადამიანი თავის მაიორობასაც ბუზღუნ-ბუზღუნით დამშვიდობებოდა და ახლა ალქიმიურ ცდებს ატარებდა სასახლის ერთ ჩემთვის უცნობ ოთახში და თან, როგორც მსახურთა ლაპარაკიდან დავადგინე, ერთ-ერთ ციხესთანაც ჰქონდა კავშირი, საიდანაც წელიწადში ერთი-ორჯერ გვამებს იღებდა. ამ გვამებთან დღედაღამ იყო ჩაკეტილი, მათ ჰკვეთდა და რაღაც საიდუმლო ხერხებით იმგვარად ამუშავებდა, რომ ხრწნას უძლებდნენ. მის პირისპირ ფროილაინ მატილდე ბრაეს ადგილი იყო. ეს გაურკვეველი ასაკის პიროვნება დედაჩემის შორეული ბიძაშვილი გახლდათ. ამ ქალის შესახებ სხვა არა უწყოდნენ, გარდა იმისა, რომ ცხოველი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული ერთ-ერთ ავსტრიელ სპირიტისტთან, თავის თავს თურმე ,ბატონ ნოლდედ რომ იხსენიებდა, და ფროილაინ ბრაე ამ კაცს ისე მინდობოდა და ისეთ ერთგულებას უმჟღავნებდა, რომ ერთ ნაბიჯსაც არა დგამდა მისი დასტურის, ანდა, სულაც, რაღაც კურთხევისდაგვარის გარეშე. იმ ხანად ის განსაკუთრებით მოშვებული იყო. მისი რბილი და მდორე სისავსე დაუდევრად იყო ჩაღვრილი [illegible]ესა და ნათელ კაბებში. მოძრაობანი მოღლილი ჰქონდა, გა[illegible]ელი, და თვალები განუწყვეტლივ ეცრემლებოდა. და მაინც [illegible]ეყო ამ ქალში, რაც მე ჩემს ნაზსა და ტანკენარ დედას მა[illegible] რაც უფრო დიდხანს ვუმზერდი, მით უფრო ცხადლივ [illegible]ედავდი მის სახეში ყველა იმ ნატიფ და უჩუმარ ნაკვთებს, ბოლომდე რომ ველარაფრით გამეხსენებინა დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. და აი ახლა, დღენიადაგ რომ ვუცქერდი მატილდე ბრაეს, ისევ ვიცოდი როგორი იყო გარდაცვლილი. დიახ, ვიცოდი, ცხოვრებაში ალბათ, პირველად. პირველად მხოლოდ მაშინ შეიკრა უთვალავ დეტალისაგან გარდაცვლილის ხატი ჩემს სულში, ხატი, რომელიც ყველგან თან მახლავს. მოგვიანებით ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ფროილაინ ბრაეს მართლაც დედაჩემისნაირი სახის ნაკვთები ჰქონ-

კის სუნაკები, ზემო სართულებზე დაკიდული აივნები და პირველი სართულის მოულოდნელი ვერანდები, სადაც პატარა კარით უნებურად ამოჰყოფდი თავს, თითქოს გარეთ გისროლესო. ყველაფერი ეს ისევ ჩემშია და სამუდამოდ ჩემში დარჩება. თითქოსდა სურათი ამ შენობისა თვალუწვდენელი სიმაღლიდან პირდაპირ ჩემი სულის სიღრმეში ჩამოვარდა და გადაიმსხვრა მის საძირკველზე

მთლიანი სახით, მგონი, მხოლოდ ის დარბაზი შემომინახა მეხსიერებამ, სადაც ვახშმად ვიკრიბებოდით შვიდ საათზე ყოველ საღამოს. ეს დარბაზი დღისით არასოდეს მინახავს, ვერც კი ვიხსენებ, ჰქონდა თუ არა ფანჯრები და ეს ფანჯრები სად გადიოდა ყოველთვის, როცა კი იქ შევდიოდით, მძიმე შანდლებში სანთლები ენთო და ყველას მაშინვე ავიწყდებოდა დღის სინათლე, და ყველაფერი რაც გარეთ ენახათ. ეს მაღალი, როგორც მახსოვს, კამაროვანი დარბაზი ყველაზე და ყველაფერზე ძლიერი იყო. თავისი დაბინდული სიმაღლით, თავისი კუთხეებით, ბოლომდე რომ არასოდეს არ ნათდებოდა, იგი იწოვდა თვითეულისგან მთელ წარმოსახვას. დღისით მიღებულ შთაბეჭდილებებს და სანაცვლოდ აღარაფერს არ სთავაზობდა. აქ ყველა იჯდა მოდუნებული: უსურვილოდ, უნებისყოფოდ, ფიქრისა და წინააღმდეგობის გარეშე — თითქოს დარბაზის ბინდში განზავებულიყვნენ, და მათი ადგილები ცარიელი იყო. მაგონდება, რომ ამ გამანადგურებელმა მდგომარეობამ პირველად თითქმის გულისრევა დამმართა, რაღაც ზღვის ავადმყოფობის მსგავსი, რომელსაც მხოლოდ იმით ვძლევდი, რომ, ცალ ფეხს, რაც შემეძლო, ვჭიმავდი და ჩემ წინ მჯდომი მამაჩემის მუხლს ვეხებოდი ხოლმე. მოგვიანებითღა მეცა თვალში, რომ მამაჩემს ეს უცნაური საქციელი, ეტყობოდა, ესმოდა ან ყოველ შემთხვევაში მოსათმენად მაინც მიაჩნდა, თუმცა ჩვენი მამაშვილობა მუდამ გულგრილობით იყო აღბეჭდილი, რის გამოც მისი შემწყნარებლობა ვერაფრით ამეხსნა. მე კი ეს ჩუმი შეხება ძალას მაძლევდა გულის შემაღონებლად გაჭიანურებული სადილი ამეტანა. და რამდენიმე კვირის კრუნჩხვიანი მოთმინების შემდეგ, ბავშვის უსაზღვრო შემგუებლობის წყალობით ისე შევეჩვიე ამ ერთადყოფნის საშინელებას, რომ უკვე სრულიად დაუძაბავად შემეძლო ორი საათი ვმჯდარიყავი მაგიდასთან. ახლა დრო შედარებით სწრაფადაც კი გადიოდა, რადგან მე იმით ვიქცევდი თავს, რომ ყველა იქ მყოფს

ვაკვირდებოდი. პაპაჩემი მათ ოჯახს უწოდებდა და სხვებიც ოჯახი, ოჯახიო, გაიძახოდნენ, რაც თავნებობა გახლდათ ჩემს თვალში და სხვა არაფერი, რადგან, ამ ოთხ პიროვნებას, თუმცა ისინი ერთმანეთს შორეულ ნათესავებად ხვდებოდნენ, ერთმანეთთან ხომ მაინც არაფერი აკავშირებდა! ბიძაჩემი, ყოველთვის ჩემს გვერდით რომ იჯდა, ერთი მოხუცი კაცი გახლდათ, რომლის კუშტსა და გარუჯულ სახეზე რამდენიმე შავი ლაქა ლაქა შეიმჩნეოდა, რაც, როგორც შემდეგ შევიტყვე, დენთის აფეთქების შედეგად დარჩენოდა. ეს პირქუში და ბუზღუნა ადამიანი თავის მაიორობასაც ბუზღუნ-ბუზღუნით დამშვიდობებოდა და ახლა ალქიმიურ ცდებს ატარებდა სასახლის ერთ ჩემთვის უცნობ ოთახში და თან, როგორც მსახურთა ლაპარაკიდან დავადგინე, ერთ-ერთ ციხესთანაც ჰქონდა კავშირი, საიდანაც წელიწადში ერთი-ორჯერ გვამებს იღებდა. ამ გვამებთან დღედაღამ იყო ჩაკეტილი, მათ ჰკვეთდა და რაღაც საიდუმლო ხერხებით იმგვარად ამუშავებდა, რომ ხრწნას უძლებდნენ. მის პირისპირ ფროილაინ მატილდე ბრაეს ადგილი იყო. ეს გაურკვეველი ასაკის პიროვნება დედაჩემის შორეული ბიძაშვილი გახლდათ. ამ ქალის შესახებ სხვა არა უწყოდნენ, გარდა იმისა, რომ ცხოველი მიმოწერა ჰქონდა გაჩაღებული ერთ-ერთ ავსტრიელ სპირიტისტთან, თავის თავს თურმე ,ბატონ ნოლდედ რომ იხსენიებდა, და ფროილაინ ბრაე ამ კაცს ისე მინდობოდა და ისეთ ერთგულებას უმჟღავნებდა, რომ ერთ ნაბიჯსაც არა დგამდა მ-სი დასტურის, ანდა, სულაც, რაღაც კურთხევისდაგვარის გარეშე. იმ ხანად ის განსაკუთრებით მოშვებული იყო. მისი რბილი და მდორე სისავსე დაუდევრად იყო ჩაღვრილი ხალვათსა და ნათელ კაბებში. მოძრაობანი მოღლილი ჰქონდა, გაურკვეველი, და თვალები განუწყვეტლივ ეცრემლებოდა. და მაინც რაღაცა იყო ამ ქალში, რაც მე ჩემს ნაზსა და ტანკენარ დედას მაგონებდა. რაც უფრო დიდხანს ვუმზერდი, მით უფრო ცხადლივ ვხედავდი მის სახეში ყველა იმ ნატიფ და უჩუმარ ნაკვთებს, ბოლომდე რომ ვეღარაფრით გამეხსენებინა დედაჩემის სიკვდილის შემდეგ. და აი ახლა, დღენიადაგ რომ ვუცქერდი მატილდე ბრაეს, ისევ ვიცოდი როგორი იყო გარდაცვლილი. დიახ, ვიცოდი. ცხოვრებაში ალბათ, პირველად. პირველად მხოლოდ მაშინ შეიკრა უთვალავ დეტალისაგან გარდაცვლილის ხატი ჩემს სულში, ხატი, რომელიც ყველგან თან მახლავს. მოგვიანებით ცხადი გახდა ჩემთვის, რომ ფროილაინ ბრაეს მართლაც დედაჩემისნაირი სახის ნაკვთები ჰქონ-

და, — მაგრამ იმგვარად, თითქოს მათში სხვა, უცხო სახე ჩამდგარიყო, და ეს ნაკვთები ერთმანეთისაგან გამიჯნულიყვნენ, გაზიდულიყვნენ და ერთმანეთთან კავშირი დაეკარგათ.

ამ ბანოვანის გვერდით ერთი ჩემი დეიდაშვილის შვილი იჯდა, პატარა, თითქმის ჩემი ასაკის ბიჭი, მაგრამ ტანით უფრო ჩია და სუსტი. ნაოჭებმიყრილი ჟაბოდან მისი გალეული და ფერგაცრეცილი ყელი ამოზიდულიყო და მოგრძო ნიკაპქვეშ ქრებოდა. ტუჩები თხელი ჰქონდა და მტკიცედ მოკუმული, ნესტოები ოდნავ უთრთოდა და მისი მშვენიერი მუქი თვალებიდან მხოლოდ ერთი თვალი მოძრაობდა. ეს თვალი ზოგჯერ მშვიდად და ნაღვლიანად გამომცქეროროდა, მაშინ, როდესაც მეორე მუდამ ერთ კუთხეში იყო მიმართული, თითქოს იქ გაეყიდათ და ახლა სათვალავში აღარ აგდებდნენ.

მაგიდის თავში პაპაჩემის უზარმაზარი სავარძელი იდგა, რომელსაც მსახური, სხვა რომ არაფერი ევალებოდა, მაგიდას უდგამდა. ზოგიერთები ამ ოდნავ ყრუსა და მბრძანებლურ მოხუც თავადს, სავარძელში ერთი ბეწო ადგილი რომ ეპირა, მის ალმატებულებასა და ჰოფმარშალს უწოდებდნენ, სხვანი კი — გენერალს. და რა თქმა უნდა, პაპაჩემს მართლა ჰქონდა ყველა ეს წოდება, მაგრამ მას შემდეგ იმდენ წყალს ჩაევლო, რომ ამდაგვარი მიმართვები უკვე გაუგებარი ხდებოდა. მე კი საერთოდ მეჩვენებოდა, რომ ამ, დროდადრო ასე მკვეთრ, თუმცა საერთოდ დიფუზიურ პიროვნებაში არც ერთ განსაზღვრულ სახელს არ შეეძლო ფეხის მოკიდება. მისთვის პაპის დაძახება ვერ გამებედა, თუმცა ის ზოგჯერ მეგობრულად მეკიდებოდა, თავისთანაც მიხმობდა ხოლმე და თან ცდილობდა ჩემი სახელი ხუმრობის კილოთი წარმოეთქვა. საერთოდ, მთელი ოჯახის დამოკიდებულება ამ კაცისადმი მოწიწებითა და რიდით იყო აღბეჭდილი. მხოლოდ პატარა ერიკს აკავშირებდა რაღაც ნდობით აღსავსე მეგობრობა სასახლის ხანდაზმულ ბატონ-პატრონთან. მისი მოძრავი თვალი დროდადრო გრაფს შეთანხმებულ მზერას ესროდა და მას უმალვე ეგებებოდა მოხუცის მზერაც. იმის დანახვაც შეიძლებოდა, როგორ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ნაშუადღევს გრძელი გალერეის ბოლოში და ხელიხელჩაკიდებულნი როგორ მისდევდნენ კედლის ძველთაძველ და მუქ ნახატებს; უსიტყვოდ, ჩანს, რაღაც სხვა გზით ერთმანეთთან მოსაუბრენი.

თითქმის მთელი დღე გარეთ ვიყავი: პარკში, ტყეში ანდა მინდორზე. თანაც, ჩემდა საბედნიეროდ, ურნეკლოსტერში ძაღლებიც

იყვნენ, ნიადაგ გვერდით რომ დამყვებოდნენ. აქა-იქ მოიჯარეთა სახლები იდგა და რძის ფერმები, სადაც რძეს, პურსა და ხილს მთავაზობდნენ. მგონი, ჩემი თავისუფლებით საკმაოდ უზრუნველად ვტკბებოდი და აღარც შიშნეულ ფიქრებს ვეძლეოდი საღამოს შეხვედრების გამო, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. თითქმის არავის ვესიტყვებოდი, რადგან სიხარულს მანიჭებდა ეს მარტოობა. ზოგჯერ ძაღლებს თუ გავუბამდი მოკლე საუბარს. შესანიშნავად ვუგებდით ერთმანეთს. დუმილი, სხვათა შორის, ჩვენი საერთო ოჯახური თვისება გახლდათ. მას ჯერ კიდევ მამაჩემისგან ვიცნობდი კარგად და არ მიკვირდა, რომ მაგიდასთან თითქმის არავინ ღებდა ხმას.

თუმცა ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეებში მატილდე ბრაე უაღრესად სიტყვამრავლობდა. ის ეკითხებოდა მამაჩემს საზღვარგარეთის ქალაქების ძველ ნაცნობებზე, იგონებდა ძალზე შორეულ შთაბეჭდილებებსა და შემდეგ თვითონვე უჩუყდებოდა გული და ლამის ეტირა, როცა გარდაცვლილ მეგობარ ქალებს იხსენებდა და ვიღაც ყმაწვილს, რომელსაც, როგორც თავად მიგვანიშნა, ქალბატონი ბრაე ჰყვარებოდა; მაგრამ ვაჟის დაჟინებულ და უსასოო ლტოლვისათვის მას თურმე არ ეთანაგრძნო, მამაჩემი თავაზიანად უსმენდა, დასტურის ნიშნად ზოგჯერ თავს ხრიდა და მხოლოდ მაშინ პასუხობდა, როცა აუცილებელი იყო, ხოლო გრაფი, მაგიდის თავში, განუწყვეტლივ იღიმებოდა თავისი ქვემოთ დაშვებული ტუჩებით. ამ დროს მისი სახე ჩვეულებრივზე დიდი მოსჩანდა, თითქოს ბერიკაცი ნიღაბს ატარებსო. ზოგჯერ თავადაც ლაპარაკობდა, მაგრამ მისი ხმა არავისკენ არ იყო მიმართული, და თუმცა ძალზე ჩუმად ჟღერდა, მთელს დარბაზში ისმოდა მაინც. მას ჰქონდა რაღაც, საათის თანაბარი და გულგრილი სვლისა. თითქოსდა ამ ხმის გარემომცველ სიჩუმეს თავისი საკუთარი, ცარიელი რეზონანსი გაეჩნდა, ერთი და იგივე ყოველი მარცვლისთვის.

გრაფი ბრაე განსაკუთრებით საჭირო თავაზიანობად მიიჩნევდა, მამაჩემთან მის გარდაცვლილ მეუღლეზე, დედაჩემზე ელაპარაკა. იგი დედაჩემს გრაფინია სიბილას უწოდებდა და ყველა მისი წინადადება ისე მთავრდებოდა, თითქოს მოხუცი კითხულობდა, სად არისო. დიახ, თავად არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაშინ მეჩვენებოდა, რომ პატარა და თეთრკაბიან გოგონაზე ლაპარაკობდნენ, რომელიც ყოველ წუთს შეიძლებოდა შემოსულიყო. და მე ვუსმენდი მოხუც

თავადს — ამავე ტონით მომუსაიფეს „ჩვენს პატარა ანა-სოფიზე“. და როცა ერთხელ ვიკითხე, თუ ვინ იყო ეს ქალიშვილი, რომელიც, პაპას განსაკუთრებით უნდა ჰყვარებოდა, გავიგე, რომ ის გროსკანცლერ კონრად რევენტლოვის ასულს გულისხმობდა, ოდესღაც ფრიდრიჰ მეოთხის[15] მორგანტულ მეუღლეს, რომელიც აგერ უკვე საუკუნენახევარი იყო როსკილლეში[16] განისვენებდა. დროითი თანმიმდევრობა მისთვის არაფერს ნიშნავდა, სიკვდილი — უმნიშვნელო შემთხვევად მიაჩნდა და ერთიანად უგულებელჰყოფდა. პიროვნებები, ვინც კი ერთხელ მეხსიერებაში აღებეჭდა, სულ იქ არსებობდნენ და მათი სიკვდილი იოტისოდენა ცვლილებასაც კი ვერ იწვევდა. მოხუცის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ ჰყვებოდნენ, რომ მომავალსაც ასე ჯიუტად აღიჭვამდა ის თურმე აწმყოდ. ამბობდნენ, რომ თურმე თავადი ერთხელ ხანგრძლივად ესაუბრა ერთ ახალგაზრდა ქალს, ამ ქალის ვაჟებზე, განსაკუთრებით ერთ-ერთის შორეულ მოგზაურობაზე, ისე რომ ნორჩი ქალბატონი, რომელიც თავისი პირველი ფეხმძიმობის მესამე თვეში გადამდგარიყო, საშინელებისაგან გონდაკარგული იჯდა გაუთავებლად მომასლაათე მოხუცის გვერდით.

მაგრამ ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ვიცინოდი. დიახ, მე ხმამაღლა ვიცინოდი და ვერაფრით ვერ ვჩერდებოდი. საქმე ის გახლდათ, რომ ერთ საღამოს მატილდე ბრაე გვაკლდა ვახშამზე. მოხუცი, თითქმის სრულიად დაბრმავებული მსახური კი მის ცარიელ სკამთან რომ მივიდა, წელში მოიხარა, ლანგარი გაიწოდა, ერთ წამს ასე გაშეშდა და შემდეგ თითქოს ყველაფერი წესრიგშიაო კმაყოფილმა ღირსეულად განაგრძო გზა. ეს სცენა პირველად სასაკილოდ სულ არ მომჩვენებია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა ლუკმა უკვე პირში მქონდა, სიცილი ისეთი სისწრაფით ამივარდა თავში, რომ ლუკმა ყელში გამეჩხირა და უსაშველო ხველა და ფხუკუნი ამიტყდა. მიუხედავად იმისა, რომ მდგომარეობა ჩემთვისავე უხერხული იყო, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ღონეს ვხმარობდი, რათა სერიოზული სახე მიმეღო, სიცილს ვერაფრით ვიკავებდი და მთელი საზოგადოება მე მომჩერებოდა.

მამაჩემმა, ჩემი საქციელი რომ დაეფარა, თავისი ძლიერი და დახშული ხმით იკითხა: „მატილდე ავად არის?“ პაპაჩემმა თავისებურად გაიღიმა და უპასუხა ერთი წინადადებით, რომელსაც. იმ წუთას, რაკი საკუთარი თავი გამჭირვებოდა, ყურადღება არ მივაქ-

ციე და რომელიც დაახლოებით ასე ეღერდა — „არა, მაგრამ არ სურს ქრისტინესთან შეხვედრა“. არც ის ჩამითვლია ამ სიტყვების ზემოქმედებად, რომ ჩემი მეზობელი, შავგვრემანი მაიორი უცბად წამოდგა, რაღაც მობოდიშებასავით ჩაიბურდღუნა, გრაფს თავი დაუკრა და დარბაზი დასტოვა. მხოლოდ ის მეცა თვალში, რომ თავადის ზურგს უკან, კარში ერთხელ კიდევ შემოტრიალდა და პატარა ერიკს და, ჩემდა უსაზღვროდ გასაოცრად, აგრეთვე მეც, რაღაცის მინიშნება და ხელის ქნევა დაგვიწყო, თითქოსდა ჩვენც გარეთ გვიხმობდა. ისე განვცვიფრდი, რომ სიცილი დამეხსნა. ისე კი მაიორისთვის ამ წუთიდან არავითარი ყურადღება აღარ მიმიქცევია, ეს კაცი არ მსიამოვნებდა და ისიც შევნიშნე, რომ არც პატარა ერიკს ჩაუგდია აინუნში.

სადილი, როგორც ყოველთვის, ნელა მიიზლაზნებოდა და ის- ის იყო დესერტზე გადავედით, რომ ჩემი მზერა ერთმა მოძრაობამ მიიპყრო და გაიყოლა, მოძრაობამ, რომელიც დარბაზის ნახევრად ბნელ სიღრმეში შევნიშნე. იქ ერთი, როგორც მეგონა, ყოველთვის ჩარაზული კარი, რომელზეც მითხრეს, შუა სასახლეში გადისო, ნელ-ნელა გაიღო და მე, ცნობისწადილისა და გაოგნების რაღაც უცნობი განცდით შეპყრობილმა, დავინახე, როგორ გამოვიდა სიბნელიდაან თეთრებში ჩაცმული, კენარი ქალი და ჩვენსკენ როგორ გამოემართა. არ ვიცი, რაიმე მოძრაობა წამცდა თუ რაღაც ხმა აღმომხდა, გადაბრუნებული სკამის ხმაურმა მაიძულა, ამ საოცარი აჩრდილისთვის თვალი მომეწყვიტა და მე დავინახე მამაჩემი, რომელიც წამომხტარიყო და ცხედარივით გაფითრებული, ჩამოშვებული, მომუშტული ხელებით ქალისაკენ მიდიოდა ის კი, სრულიად აუღელვებლად მოიწევდა, ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ. უკვე ახლოს იყო გრაფის სავარძელთან, როცა უკანასკნელი წამოხტა, მამაჩემს ხელში ხელი სტაცა, მაგიდასთან დააბრუნა და მტკიცედ შეაჩერა. ამასობაში უცნობმა ქალმა ნელა და უშფოთველად, ნაბიჯ-ნაბიჯ განვლო განთავისუფლებული ადგილი, ენით აუწერელ სიჩუმეში, სადაც მხოლოდ ანათრთოლი ჭიქა წკრიალებდა და მოპირდაპირე კედელში დატანებულ კართან გაუჩინარდა. ამ დროს შევნიშნე, რომ ეს პატარა ერიკი იყო, ვინც უცნაურად წელში მოხრილმა კარი მიხურა ქალის ზურგს უკან.

მე ერთადერთი დავრჩი მაგიდასთან. ისე ჩავმძიმდი ჩემს სავარძელში, ასე მეგონა, დაუხმარებლად ვეღარასოდეს წამოვდგე-

ბოდი. ერთ ხანს ისე ვიყურებოდი, ვერაფერს ვხედავდი, შემდეგ მამაჩემი გამახსენდა და შევნიშნე, რომ პაპაჩემს ისევ მაგრად ეჭირა ხელით. მამას სახეზე მრისხანება ეხატა და სისხლი მოსწოლოდა. პაპაჩემი კი, ვისი თითებიც თეთრი ბრჭყალებივით შემოსალტოდა მამაჩემის მკლავს, ისევ თავისი ნიღბის ღიმილით იღიმებოდა. შემდეგ გავიგონე, რომ რაღაცა თქვა, დამარცვლით, თუმცა ნათქვამის აზრს მაშინ ვერ მივხვდი, მაგრამ, როგორც ჩანს, ღრმად ჩამივარდა ეს სიტყვები სმენის წიაღში, რადგანაც ორიოდე წლის შემდეგ, ჩემი ხსოვნის ფსკერზე ვიპოვე და მას შემდეგ ვიცი ისინი. მან თქვა: „ფიცხი ხარ კამერჰერო, და უზრდელი. რად უშლი ხალხს, თავისი საქმე აკეთოს?“ „ვინ არის ის ქალი?“ — დაიყვირა მამაჩემმა. „ის, ვისაც, დიახაც, უფლება აქვს, აქ, ჩვენთან იყოს, არავინ უცხო. ქრისტინე ბრაე!“ — და უცნაურად სიფრიფანა სიჩუმე ჩამოწვა ისევ და ჭიქამაც ისევ დაიწყო თრთოლვა. შემდეგ კი, ანაზდეულად მამაჩემი მკვეთრი მოძრაობით წამოიჭრა და დარბაზიდან გავარდა.

მთელი ღამე მესმოდა, როგორ სცემდა ბოლთას თავის ოთახში, რადგან არც მე მეძინა. მაგრამ უეცრივ გამთენიისას ძილბურანიდან გამოვერკვიე და შიშით მთლიანად მოდუნებულმა დავინახე, რომ რაღაც თეთრი ჩემს საწოლზე ჩამომჯდარიყო. სასოწარკვეთამ ძალა მომცა, თავი საბანში ჩამემალა. იქ კი შიშისა და უმწეობისაგან ტირილი დავიწყე. მაგრამ უეცრივ რაღაც სიგრილე და სინათლე ვიგრძენი ჩემს ცრემლიან ქუთუთოებზე. მე თვალები რაც შემეძლო მაგრად მოვხუჭე, ცრემლებიც შიგ გამოვიმწყვდიე, რათა არაფერი დამენახა, მაგრამ ხმა, სულ ახლოდან რომ შემესიტყვა, მდორედ და ტკბილად მეფინებოდა სახეზე და მე ვიცანი: ეს ფროილაინ მატილდეს ხმა გახლდათ. წამსვე დავწყნარდი, მაგრამ თავს მაინც დიდხანს ვამშვიდებინებდი. თუმცა კი ვგრძნობდი, ეს გულისხმიერება მეტისმეტად რბილი რომ იყო და უნიათო, მაგრამ მაინც ვტკბებოდი იმით და რაცაღნაირად დამსახურებულადაც ვთვლიდი.

„დეიდა“, — მივმართე ბოლოს, და შევეცადე მის გაღვრილ სახეში დედაჩემის ნაკვთები შემეკრიბა, — „დეიდა, ვინ იყო ის ქალი?“ „ოჰ, — ფროილაინ ბრაემ ისე ამოიოხრა, რომ მაშინ სასაცილოდ მომეჩვენა, — ერთი უბედური, ჩემო ბიჭუნა, ერთი უბედური“.

დილით ერთ ოთახში მოფუსფუსე მსახურნი შევნიშნე, ბარგს რომ ფუთავდნენ. გავიფიქრე, მივემგზავრებით-მეთქი, რაც სრულიად ბუნებრივად მომეჩვენა. შეიძლება ეს მამაჩემის სურვილი იყო, მაგრამ ვერასოდეს გავიგე, რამ აიძულა, იმ საღამოს შემდეგ კიდევ დარჩენილიყო ურნეკლოსტერში: არ გაუემგზავრეთ. კიდევ რვა-ცხრა კვირას დავყავით ამ სახლში, მორჩილად ვითრგუნებოდით მისი უცნაურობებით და ქრისტინე ბრაეც კიდევ სამჯერ ვიხილეთ.

მე არაფერი ვიცოდი მაშინ ამ ქალის შესახებ. არ ვიცოდი, რომ ქრისტინე ბრაე, დიდი ხნის წინათ მეორე მშობიარობას გადაჰყოლოდა და დაეტოვებინა ბიჭი, რომელიც იზრდებოდა და შემაძრწუნებელ ბედისწერას უახლოვდებოდა. მე არ ვიცოდი, რომ ის გარდაცვლილი იყო. მამაჩემმა კი იცოდა და ნუთუ ამ მღელვარე, თანმიმდევრობისა და სიცხადისაკენ მიდრეკილ ადამიანს სურდა თავი აეძულებინა, რათა თავდაჭერითა და კითხვების გარეშე გაეძლო ამ თავგადასავლისთვის? და მე ვხედავდი, თუმც არ მესმოდა, როგორ ებრძოდა ის თავის თავს და ისიც ვიგრძენი. თუმცა ვერ ჩავწვდი, რომ სძლია ბოლოს.

ეს მოხდა მაშინ, უკანასკნელად როცა ვნახეთ ქრისტინე ბრაე, ამჯერად ფროილაინ მატილდეც იჯდა სუფრასთან, მაგრამ სრულიად სხვაგვარი იყო. ისევე, როგორც ჩვენი ჩამოსვლის პირველ დღეებში, შეუჩერებლივ ლაპარაკობდა, და თან ყოვლად არათანმიმდევრულად, ნიადაგ იბნეოდა და რაღაცა ფიზიკური მოუსვენრობაც ემჩნეოდა, რაც აიძულებდა, განუწყვეტლივ ხან თმა, ხან კაბა ესწორებინა, ვიდრე მოულოდნელად ხმამაღლა და მოთქმით არ წამოიკივლა და სავარძლიდან ზეწამოვრილი არ გაუჩინარდა: იმავე წუთს ჩემდაუნებურად იმ საიდუმლო კარისაკენ მივმართე მზერა და მართლაც, შემოვიდა ქრისტინე ბრაე. ჩემს გვერდით მჯდომ მაიორს რაღაც მკვეთრი და მოკლე მოძრაობა წასცდა, ჩემს სხეულში რომ გადმოიზარდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ძალა აღარ ეყო სავარძლიდან წამოსადგომად. თავის ყავისფერ, ბებერ, დალაქულ პირისახეს ხან ერთ ჩვენგანს შოაპყრობდა, ხან მეორეს. პირი დაეღო და მისი ენა წამხდარი კბილების უკან მიმალულიყო. შემდეგ ერთბაშად ეს სახე გაქრა და მაგიდაზე მისი ჭაღარა თავი აღმოჩნდა. მკლავები თითქოს დამსხვრეოდა და ნატეხებად ეყარა —

თავზე და თავქვეშ და საიდანღაც მოჩანდა მისი დამჭკნარი და დალაქული ხელის მტევანი და ცახცახებდა.

და აი, ქრისტინე ბრაემ გვერდით ჩაიარა, ნაბიჯ-ნაბიჯ, სნეულივით ნება-ნება, ენით აუწერელ სიჩუმეში, რომელსაც ერთადერთი, თითქოსდა ძაღლის მიერ გამოცემული ღრჭიალა ბგერა არღვევდა მხოლოდ. და მაშინ, მარცხნიდან, სადაც ვერცხლის ვეება, ნარგიზებით ავსებული გედი იდგა, გადმოიწია მოხუცის ნაცრისფერღიმილიანი დიდი ნიღაბი. მან თავისი ღვინის ჭიქა ასწია და მამაჩემისკენ გამოიწოდა. და მე დავინახე, რომ მამაჩემი, სწორედ მაშინ, როცა ქრისტინე ბრაემ სავარძლის უკან ჩაუარა, სწვდა თავის ჭიქას და როგორც რაღაცა ძალიან მძიმე, ისე აიღო მაგიდიდან. იმავე ღამით ჩვენ გავემგზავრეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვზივარ და ერთ პოეტს ვკითხულობ. დარბაზში ბევრი ხალხია. მაგრამ არ იგრძნობა; ყველანი წიგნებში ჩაფლულან, დროდადრო ფურცელსა და ფურცელს შორის ამოძრავდებიან, მძინარე ადამიანებივით, გვერდს რომ იცვლიან ორ სიზმარს შორის. ეჰ, რა კარგია მკითხველთა შორის ყოფნა! რატომ არ არიან ადამიანები მუდამ ასეთნი? შეგიძლია რომელიმესთან მიხვიდე და წყნარად შეეხო: ვერც კი იგრძნობს. და თუ ადგომისას შენს მეზობელს ოდნავ მხარს გაჰკრავ და მოუბოდიშებ, ის თავს დაიქნევს იმ მხარეს, საიდანაც შენი ხმა ესმის, მისი სახე შენსკენ ბრუნდება და ვერ კი გხედავს. და თმაც ისეთი აქვს, როგორც მძინარე ადამიანს. რა სიამოვნების მომგვრელია ეს ყოველივე. და მე ვზივარ და მყავს პოეტი. ჩემი პოეტი. სწორედ რომ ბედია. ახლა დარბაზში სამასი კაცი მაინც ზის და კითხულობს. მაგრამ შეუძლებელია, თვითეულს სათითაო პოეტი ჰყავდეს (ღმერთმა უწყის ვინა ჰყავთ და ვის კითხულობენ). სამასი პოეტი არც არსებობს. მაგრამ შეხე, რა იღბალია, რომ მე, ვინ იცის, ალბათ ყველაზე უბადრუკს ამ მკითხველთაგან, ვიღაც უცხოელს, — მე მყავს პოეტი, თუმცა ღარიბი ვარ, თუმცა ჩემი კოსტიუმი, გაუხდელად ზედ რომ მაცვია, ალაგ-ალაგ უკვე გაწყალდა და არც ჩემს. ფეხსაცმელებს გაუდის ბზინვა. სამაგიეროდ, საყელო მაქვს ქათქათა, პერანგიც, და მე შემიძლია ასე. როგორც ვარ, ყველა საშაქარლამოში შევიდე, თუნდაც ბულვარზე, ხელით

მშვიდად შევეხო ნამცხვრების სინს და რაიმე ავიღო. თვალში არავის არაფერი არ ეცემოდა, არ დამტუქსავდა და გარეთ არ მიმაბრძანებდა, რადგან ასე თუ ისე, ეს მაინც თავადური ხელია, დღეში ოთხჯერ თუ ხუთჯერ რომ იბანენ. დიახ, ფრჩხილებქვეშ ჭუჭყს ვერ შეამჩნევთ, არც სალოკი თითია მელნით დასვრილი და განსაკუთრებით კი მაჯებია უზადო. ღარიბები აქამდე არ იბანენ ხელებს. ცნობილი ფაქტია. ასე რომ, მაჯების სისუფთავით გარკვეული დასკვნის გამოტანა შეიძლება. გამოაქვთ კიდეც. მაღაზიებში გამოაქვთ დასკვნა. მაგრამ ისეთი სუბიექტებიც არსებობენ, წმინდა მიშელის ბულვარზე, მაგალითად, ანდა რასინის ქუჩაზე, თავს რომ არავის გააცურებინებენ. მათ ფეხებზე ჰკიდიათ სუფთა მაჯები, შემომხედავენ და უკვე იციან. იციან, რომ სინამდვილეში მათი წრისა ვარ. რომ პატარა კომედიას ვთამაშობ მხოლოდ. ახლა ხომ ყველიერია და მათაც არ უნდათ, თამაში ჩამიშალონ. მხოლოდ ჩაიქირქილებენ და თვალს ჩამიკრავენ და ვერავინ ვერაფერს ამჩნევს. სხვა მხრივ კი როგორც თავადს, ისე მეპყრობიან. მეტადრე თუკი ვინმეა იქვე; მაშინ ხომ სულ მსახურებივით ირჯებიან. თავი ისე უჭირავთ, თითქოს ქურქი მეცვას და უკან საკუთარი ავტო მომდევდეს. ხანდახან მათ ორ სუს ვაძლევ და შიშით ვკანკალებ, უარი არ მითხრან-მეთქი. მაგრამ ისინი ფულს მართმევენ. და ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ეს ჩაცინება რომ არა და ეს თვალის, ჩაკვრა. ვინ არის ეს ხალხი საერთოდ? რა უნდათ ჩემგან? მე მელოდებიან? რითი მცნობენ? მართალია, ჩემი წვერი ცოტა მოუვლელად გამოიყურება და ოდნავ, სულ ოდნავ, მათ ავადმყოფურ, ბებერ, გახუნებულ წვერებს წააგავს, მუდამ რომ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემზე, მაგრამ განა არა მაქვს იმის უფლება, რომ დაუდევრად მოვექცე ჩემს წვერს? ბევრი მოუცლელი კაცი იქცევა ასე და ხომ არავის მოუვა თავში, ამის გამო ის ცხოვრებიდან გაძევებულთ მიაკუთვნოს? რადგან სრულიად ცხადია ჩემთვის, რომ ესენი გაძევებულნი არიან და არა მხოლოდ მათხოვარნი. არა, ესენი, კაცნა რომ თქვას, სულაც არ არიან მათხოვრები. განახვავება უნდა შეგეძლოს. ესენი ადამიანთა ნაცარტუტა და ნარჩენებია, ბედმა რომ ზიზღით გადმოაფურთხა. ბედისწერის მათრახქვეშ გაოფლილნი, ისინი ეკვრიან კედელს, ლამპიონისა თუ რეკლამის ბოძს ანდა ქუჩაში თავქვე მიედინებიან და ჭუჭყიანსა და ბნელ კვალს სტოვებენ.

ღვთის გულისათვის, რა სურდა იმ დედაბერს ჩემგან, ხან აქ და ხან იქ თითქოსდა ხვრელიდან რომ ამოძვრებოდა ხოლმე და თან ტუმბოს უჯრას დაათრევდა, სადაც თითო-ოროლა ღილი და ნემსი დაუგორავდა. რისთვის მომდევდა მუდამ გვერდზე და მაკვირდებოდა? თითქოსდა სურდა, ამოვეცანი, ისე მომშტერებოდა თავისი წყლიანი თვალებით, თვალებით, რომელთა დაწყლულებულ ქუთუთოებს შორის თითქოსდა ვიღაც სნეულს მწვანე ნერწყვი შეეფურთხებინა. როგორ მივიდა ეს პატარა და ნაცრისფერი ქალი იქამდე, რომ ერთ-ერთი ვიტრინის წინ მთელი თხუთმეტი წუთი ჩემს გვერდით იდგა და თან ძველსა და გრძელ ფანქარს ბრიალებდა, უსასრულოდ ნელა რომ იწევდა მისი სახიჩარი და მომუშტული ხელებიდან? მე თავი ისე მეჭირა, თითქოს გამოფენილ საგნებს ვათვალიერებდი და სხვას არას ვამჩნევდი. მან კი იცოდა, რომ დავინახე ყველაფერი, მან იცოდა, რომ ვიდექი და ვფიქრობდი ახლა, თუ რას სჩადიოდა დედაბერი ბოლოს და ბოლოს. ოდგან ფანქარი რომ არფერ შუაში იყო, რაღა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი; ვიგრძენი, ეს იყო ნიშანი, ნიშანი თანამოაზრესათვის. ნიშანი, უმალ რომ სცნობენ გაძევებულნი. მივხვდი, იგი მანიშნებდა, სადღაც მივსულიყავი, და რაღაც გამეკეთებინა. ყველაზე საკვირველი კი ის გახლდათ, რომ ვერ მომეშორებინა განცდა: თითქოს ჩვენს შორის მართლაც არსებობდა რაღაც გარკვეული შეთანხმება, რომელსაც ეს ნიშანი გამოხატავდა და მთელი ეს სცენა ისეთ რამეს წარმოადგენდა. რასაც არსებითად ველოდი კიდეც.

ეს ორი კვირის წინათ მოხდა, მაგრამ ახლაც დღე არ გავა, რომ ასეთ ხალხს არ გადავეყარო. უეცრად ვინმე პატარა კაცი ან დედაბერი გამოჩნდება და თავს მიქნევს მუნჯად, ანდა რაღაც საგანს მიჩვენებს და ისევ ქრება, თითქოს რაც საჭირო იყო, ყველაფერი გააკეთაო და ეს მხოლოდ შუადღის ზიმზიმით ჩამობნელებულ ქუჩაში კი არ მოხდება, არა, ისიც დასაშვებია, რომ ერთ მშვენიერ დღეს აზრად მოუვათ და ჩემსავე სახლში მომადგებიან. მათ ხომ ნამდვილად ეცოდინებათ, სადაც ვცხოვრობ და იმასაც მშვენივრად მოახერხებენ, რომ მეკარემ არც გააჩეროს. მაგრამ აქ, ჩემი ძვირფასებო, აქ კი თქვენგან არავითარი საფრთხე არ მელის. საგანგებო საშვი უნდა წარმოადგინოთ, იმისათვის, რომ შენობაში შემოაღწიოთ. ამ საშვით კი მე თქვენ გჯობივართ. თითქოსდა ოდნავ შიშნეულად გავივლი ქუჩას, როგორც შეიძლება კაცს მოეჩვენოს,

მაგრამ ბოლოს მივადგები ამ მინის კარს, შევაღებ, ისე, თითქოს შინ ვიყო, უახლოეს შესასვლელში ვაჩვენებ ჩემს საშვს, (ზუსტად ისევე, თქვენ, რომ მიჩვენებთ ხოლმე თქვენს ნივთებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ მაშინვე ესმით ჩემი და ხვდებიან, თუ რას ვგულისხმობ) — და შემდეგ უკვე წიგნებს შორის ვარ, თქვენგან მოწყვეტილი, ვითარცა მკვდარი და ვზივარ და ვკითხულობ ეოთ პოეტს.

არ იცით, რას ნიშნავს პოეტი? — ვერლენი[17].. არა? არ გახსენდებათ? არა. არ გამოგირჩევიათ იმ ხალხისაგან, ვისაც თქვენ იცნობთ? თქვენ არ ასხვავებთ, საერთოდ, ვიცი. მაგრამ ეს სულ სხვა პოეტია[18], ვისაც ვკითხულობ. მას პარიზში არ უცხოვრია, სულ სხვაა იგი. ეს არის კაცი, ვისაც მთებში მუუდრო სახლი აქვს. სახლი, რომელიც ზარივით რეკს სუფთა ჰაერში. ბედნიერი პოეტი, თავის ფანჯრებზე რომ მოგვითხრობს და წიგნის კარადის შემინულ კარზე, საყვარელსა და მარტოსულ სივრცეს რომ ირეკლავს ჩაფიქრებული. სწორედ ისეთი პოეტია, როგორიც მე მსურდა გაქმიღარიყავი. რადგან მან ასე ბევრი რამ იცის გოგონებზე და მეც ბევრი რამ მეცოდინებოდა მათზე. მან იცის იმ გოგონათა ამბავი, მთელი ასი წლის წინ რომ ცხოვრობდნენ. არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, რომ ახლა ისინი მკვდრები არიან, რადგან მან იცის ყველაფერი და მთავარი სწორედ ეს არის. პოეტი გამოთქვამს მათ სახელებს, ამ ჩუმსა და ნატიფად გამოყვანილ სახელებს მოგრძო ასოების ძველმოდური ჩუქურთმებით და მოზრდილ სახელებს მათი უფროსი დობილებისა, სადაც ცოტა ბედისწერა უკვე გაისმის, მცირეოდენი გულგატეხა და სიახლოვე სიკვდილისა. ვინ იცის, ეგებ მისი წითელი ხის მაგიდის ერთ-ერთ უჯრაში ამ გოგონათა გაცრეცილი წერილები ძევს და დღიურების ამოცვენილი ფურცლები, სადაც დაბადების დღეებია აღნიშნული, პიკნიკები, დაბადების დღეები. ანდა ეგების საძინებელ ოთახში, მუცლიანი კომოდის ერთ-ერთ უჯრაში მათი საგაზაფხულო კაბები აქვს გადანახული თეთრი კაბები, სააღდგომოდ რომ იცვამდნენ პირველად, წინწკლებიანი ჩითის კაბები, უფრო ზაფხულს რომ შეეფერება, ზაფხულს, გოგონები რომ აღარ უცდიდნენ.

რა იღბალია, რომ ასე იჯდე ნამემკვიდრეევი სახლის მუუდრო ოთახში, მარტოოდენ უჩუმარ და უძრავ საგანთა შორის და პირველ წიწკანებს მიუგდო ყური, თავიანთ თავს რომ სცდიან ჭიკჭიკ-

ში გარეთ, მსუბუქ, მომწვანო ბაღში. ასე იჯდა და ნასამხრეკის მზის თბილ ჭაელს უცქერდე, ბევრი იცოდე ადრე გარდაცვლილ გოგონებზე და პოეტი იყო.

ძნელია, როცა ფიქრობ, რომ შენც ასეთი პოეტი გამოხვიდოდი, ცხოვრების ნება რომ გქონოდა სადმე, სადმე, ამქვეყნად, სადმე სოფელში, ერთს რომელსამე მიგდებულ სახლში, აღარავინ რომ აღარ აკითხავს. მხოლოდ ერთ ოთახს დავიკავებდი (ნათელ ოთახს სახლის ფრონტონზე) და ვიცხოვრებდი ჩემს ძველ ნივთებთან, საოჯახო ალბომებსა და წიგნებთან ერთად. ძაღლები მეყოლებოდა, ერთი სავარძელი მექნებოდა, ყვავილები, და ერთიც მაგარი ყავარჯენი ქვა-ღორღიანი ბილიკებისთვის. სხვა არფერი. მხოლოდ და მხოლოდ ერთი წიგნი, მოყვითალო, სპილოსძვლისფერ ტყავში ჩაბმული, ძველი, ყვავილებიანი ემბლემით. მე იქ ჩავწერდი, ბევრს ჩავწერდი, რადგან მრავალი ფიქრი მექნებოდა და მოგონებანი მრავალ ადამიანზე.

მაგრამ სულ სხვაგვარად აეწყო ცხოვრება და ღმერთმა უწყის რატომ და რისთვის. ჩემი ძველი ავეჯი ერთ ფარდულში ინესტება, სადაც მისი დადგმის ნება დამრთეს. ხოლო მე თავად, ო, ღმერთო, ჩემო, ჭერი არა შაქვს თავზემოთ და მაწვიმს თვალებში.

●

ზოგჯერ პატარა მაღაზიებს მივუყვები სენის ქუჩაზე. ძველი ნივთებით მოვაჭრენი, წიგნის პატარა ბუკინისტური მაღაზიები, ანდა სპილენძის გრავიურათა გამყიდველები თავიანთი პირთამდე სავსე ვიტრინებით. მათთან არავინ შედის. თითქოს არც კი ვაჭრობდნენ. თუ შეიხედავ, დაინახავ, როგორ სხედან უზრუნველად და წიგნს კითხულობენ. არა ზრუნავენ ხვალისათვის და არც მოგების გამო შიშობენ. ერთი ძაღლი ჰყავთ, წინ რომ უზიან, ნებივრად მოკალათებული, ან ერთი კატა, რომელიც უფრო ზრდის იქაურობის მყუდრო სიმშვიდეს, როცა წიგნების რიგს მიუყვება, თითქოს სათაურებს შლიდეს მათი ზურგიდან.

ოჰ, მხოლოდ ნატვრა რომ კმაროდეს: ხანდახან ვნატრობ, მქონდეს ასეთი სავსე ვიტრინა და ძაღლთან ერთად ვიჯდე მის უკან მთელი ოცი წლის მანძილზე.

კარგია, როცა ხმამაღლა ამბობ: „არაფერიც არ მომხდარა!“ კიდევ ერთხელ: „არაფერიც არ მომხდარა!“ გშველის?

ჩემი ღუმელი რომ ისევ ახრჩოლდა და ქუჩაში მომიწია გამოხეტებამ, მართლა უბედურება ხომ არ არის ბოლოს და ბოლოს. რომ გავცივდი და გავიცრიცე, ჩემი ბრალია მხოლოდ და მხოლოდ. მშვენივრად შემეძლო ლუვრში ვმჯდარიყავი. თუმცა არა, არ შემეძლო. იქ მუდამ არის სითბოდანატრული, ღატაკი ხალხი, იმ დარბაზებში სითბოს რომ ეძებს. ისინი ხავერდგადაკრულ მერხებზე სხედან და მათი ფეხები, ცარიელი, ვეება ჩექმებივით ჩამწკრივებულან რადიატორთა დაბალ მოაჯირებზე. ესენი უაღრესად თავმდაბალი კაცები არიან, რომელთაც ავსებთ მადლიერება, რომ მუქფორმიანი მსახურები მათ იქ ყოფნას ჩუმად ითმენენ. როგორც კი შეევალ, ჩაიქირქილებენ. ჩაიქირქილებენ და თავის კანტურს მოჰყვეებიან და მერე, როცა სურათების წინ აქეთიქით სიარულს ვიწყებ, თვალს არ მაშორებენ. მუდამ თვალში ეყავარ, მუდამ თვალში, თითქოს მათი თვალები ერთმანეთშია გადაღვრილი, შერეული და ერთ მზერად მოედინება. ასე, რომ, კარგი ვქენი, ლუვრში რომ არ წავედი. მთელი ცხოვრება გზაში ვიყავი და ღმერთმა უწყის რამდენ ქალაქში, ქალაქის უბანში, საასფლაოზე, ხიდზე თუ ჩიხში ვარ ნამყოფი. სადღაც ერთი კაცი ვნახე, ბოსტნეულის ორთვალას რომ მიაგორებდა. Chou — ileur, Chou — fleur [19] — ყვიროდა იგი, და eu-ს რაღაცნაირად გულისმომწყვლელად აგრძელებდა. გვერდზე თეძოკუთხოვანი, მახინჯი ქალი მოჰყვებოდა, დროდადრო მუჯლუგუნს რომ წაჰკრავდა ხოლმე და როცა ურტყამდა, ყვიროდა კაცი. ხანდახან თავისითაც ყვიროდა, მაგრამ ყოველთვის ფუჭად; ადრე მოსდიოდა და იმწამსვე ხელახლა უნდა დაეყვირა, რადგან უკვე იმ სახლთან იდგნენ, სადაც მათი მუდმივი მუშტრები ცხოვრობდნენ. უკვე გითხარით, რომ კაცი ბრმა იყო? ჰო, ის ბრმა იყო, ბრმა იყო და ყვიროდა. მე ვაყალბებ, ასე რომ ვამბობ. ამით ხომ იმ ორთვალას უგულებელვყოფ, რომელსაც ის მიაგორებდა, ისე ვიქცევი, თითქოს არ გამეგონოს, ყვავილოვანი კომბოსტოო, რომ გაიძახოდა. მაგრამ, განა ეს არსებითია? და არსებითიც რომ ყოფილიყო, განა ის არ არის

მთავარი, თუ რას ნიშნავდა მთელი ეს ამბავი ჩემთვის? მე დავინახე ერთი ბებერი კაცი, რომელიც ბრმა იყო და ამიტომ ყვიროდა. მე ეს დავინახე. დავინახე.

ნეტავი ვინმე თუ დაიჯერებს, რომ ამგვარი სახლებიც არსებობს ქვეყნად? არა, იტყვიან, რომ ვტყუი. ამჯერად კი სიმართლეს ვამბობ, არაფერს ვტოვებ და ცხადია, არც რას ვამატებ. საიდან რა უნდა დამემატებინა? ყველამ იცის, რომ ღატაკი ვარ. დიახ იციან. სახლები? უფრო ზუსტად, ეს იყო სახლები, რომლებიც აღარ იყო. სახლები, რომლებიც მთლიანად დაენგრიათ, და რაც იქ დარჩენილიყო, ეს სხვა, გვერდით მდგომი სახლები გახლდათ, მაღალი მეზობელი სახლები. როგორც ჩანს, იმათაც დანგრევის საფრთხე ემუქრებოდა მას შემდეგ, რაც გვერდიდან ყველაფერი ჩამოაცალეს, რადგან მაღალი, გუდრონგადასხმული, საანძე ხეებისაგან შეკრული ხარაჩოები მიედგათ, რაღაცნაირად ირიბად რომ ჩახიდულიყო ნასახლარის სანაგვედქცეულ საძირკველსა და დარჩენილ, გაშიშვლებულ კედელს შორის. არ ვიცი, უკვე გითხარით, თუ არა, რომ სწორედ ამ კედელს ვგულისხმობდი. მაგრამ ეს დარჩენილი სახლების პირველი კედელი კი არ გახლდათ (როგორც შეიძლება ვინმეს ეგონოს), არამედ დანგრეულთა უკანასკნელი. მოსჩანდა მისი შიდა მხარე. მოსჩანდა სხვადასხვა სართულების ყოფილ ოთახებში აქა-იქ ჩამოკონწიალებული შპალერის ნაფლეთებითა და იატაკისა თუ ჭერის ნარჩენებით. კედელს მთელ სიმაღლეზე, კიდეში ვიწრო, ჭუჭყიანი, მოთეთრო ზოლი დაჰყვებოდა, და იქ ყოვლად საზიზღარი, რბილი მოძრაობებით, როგორითაც მატლი საჭმელს ინელებს, მიიკლაკნებოდა ჟანგითშეჭმული, ფეხსადგილის მილების ღარი. ჭერთა ქვეშ, ზონართა ადგილას კი, ოდესღაც ელექტრონი რომ მიედინებოდა, ნაცრისფერი, მტვრიანი კვალი დარჩენილიყო. ალაგ-ალაგ ეს კვალი სრულიად მოულოდნელად უხვევდა, ფერად კედელზე ჩარბოდა და ბნელ ხვრელში ძვრებოდა, ასე ტლანქად და უმოწყალოდ რომ ამოეთხარათ. მაგრამ ყველაზე დაუვიწყარი თავად კედლები გახლდათ. ამ ოთახების სისხლსავსე ცხოვრებას თავი ჯერ არ წაეშლევინებინა. ისევ აქ იყო: კედლებში ჩარჩენილ ლურსმნებზე ეკიდა, იატაკის ნანგრევებზე იდგა, ხელის გულის სიფართოვით რომ შერჩენოდა აქა-იქ კედლებს და კუთხეების მცირე სივრცეში მიკუნჭულიყო. შეიძლებოდა იმის დანახვა, როგორ გამჯდარიყო კედლის ფერებში, რომელთაც ნე-

ლა; წლითიწლობით სახეს უცვლიდა. ლურჯი შეეტანა შმორიან მწვანეში, მწვანე — რუხში და ყვითელი — გაცვეთილ, ძველისძველ, ხრწნაშემდგარ თეთრში. მაგრამ უფრო სუფთა ადგილებზეც მოჩანდა იგი, სურათების, კარადების და სარკეთა უკან რომ რჩება. რადგან მას მათი კონტურები შემოეხაზა და ობობებისა და მტვრის წყალობით ამ ოდესღაც ფარულ, აწ კი გამომზეურებულ კუნჭულებსაც არ დაჰკლებოდა. ის იგრძნობოდა ყველა აწ გაცვეთილ ხახსა და ზოლში, ჩაბუდებულიყო ნესტისაგან დაბერილ ბუშტებში შპალერის ქვედა კიდეზე, იქ ქანაობდა ჩამოგლეჯლ ნაფლეთებში და გულისამრევი, დიდი ხნის წინათ წარმოქმნილი ლაქებიდან წვეთავდა მძიმედ. და ამ ოდესღაც ლურჯი, თეთრი და ყვითელი კედლებიდან, ოთახების ნანგრევთა ჩარჩოებში რომ ჩამსხდარიყვნენ, ამ ოთახების ცხოვრებათა ჰაერი მოჰბერდა, სქელი, დუნე, დამპალი ჰაერი, ჯერ რომ ვერც ერთ ქარს ვერ განეფანტა. იქ იდგნენ შუადღენი და სნეულებანი, ამონასუნთქი ჰაერი და ხანგრძლივი წლების ბოლი და ოფლი, იღლიებიდან რომ მოყონავს და სამოსს ამძიმებს, პირებიდან გადმონთხეული უგემურება და რახის სუნი ჩახურებული ფეხებისა. იქ იდგა ურინის სამჭახე და სქელი მჭვარტლი; კარტოფილის რუხი ორთქლი და მძიმე და გლუვი სუნი ამძაღებული ღორის ქონისა. იდგა მოტკბო და დაუვიწყარი სურნელი დაუდეევრად მიყრილ, მოუვლელ ჩვილთა; შიშის სუნი სკოლაში მიმავალ ბავშვებისა და დახშული სიმხურვალე დაკაცებული ბიჭების საწოლებიდან. და სხვაც ბევრი რამ შეერთებოდა ყველაფერ ამას, ოხშივრად ამოვარდნილი ქუჩაბანდის ბნელი უფსკრულიდა თუ ჩამოწუწული წვიმასთან ერთად, სუფთა რომ არასოდესაა ქალაქის თავზე. ზოგი რამ მოთოკილ, ფრთაშეჭრილ ქუჩის ქარებსაც მოეტანათ, შენობებს შორის თავისუფლად რომ ვერ ნავარდობენ და იმავე ქუჩაზე რჩებიან მერეც, შენობები როცა ინგრევა. და კიდევ ბევრი რამ იყო ისეთი, რომლის სათავეც არავინ იცის. მე ხომ ვთქვი უკვე, რომ ყველა კედელი დაენგრიათ, გარდა ბოლოსი? — ჰოდა, ისევ ამ ბოლო კედლის შესახებ ვყვები. ვიცი, იტყვიან, თითქოს დიდხანს ვიდექი მის წინ. მაგრამ, თუნდაც დავიფიცებ, რომ გავიქეცი, რაწამს ვიცანი. რადგან საშინელი სწორედ ეს არის, რომ მე ვიცანი. ყოველივე ამას ჩემში ვცნობ, ჩემში და ამიტომაც ასე თავისუფლად შემოიჭრება ჩემს არსებაში. ის აქ შინ არის.

ცოტა ქანცგაწყვეტილი ვიყავი ყოველივე ამის შემდეგ. შეიძ-

ლებოდა მეთქვა, შეპყრობილიც და ამიტომ მეტისმეტი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ ის კაციც მაინცდამაინც მე მელოდებოდა. იგი მიცდიდა ერთ პატარა სასაუზმეში, სადაც ერბო-კვერცხი მსურდა შემეკვეთა. ძალიან მშიოდა, მთელი დღე არაფერი მეჭამა. მაგრამ ვერც ახლა მოვახერხე, ერთი ლუკმა მაინც ჩამედო პირში. ვიდრე ერბო-კვერცხი შეიწვებოდა, ისევ გარეთ მომიხდა გასვლა, ქუჩებში, ხალხით ავსებული, შედედებული ნიაღვრებივით რომ მოედინებოდნენ ჩემსკენ, რადგან ყველიერი იყო და თან საღამო. ყველას დრო ჰქონდა: დაყიალობდნენ და ერთმანეთს ეჯგლითებოდნენ. სახეებზე ვიტრინებიდან გამოსული სინათლე ეფინათ და სიცილი ისე სდიოდა მათ პირებს, როგორც ჩირქი ღია ჭრილობას. ისინი სულ უფრო ბევრს იცინოდნენ და სულ უფრო მჭიდროდ ეხეთქებოდნენ ერთმანეთს, რაც უფრო ვცდილობდი წინ წასვლას. ვიღაც დედაკაცის შარფი წამომდებოდა, მივათრევდი და ვერას ვამჩნევდი: ხალხმა გამაჩერა და სიცილი დამაყარა. ვგრძნობდი, მეც უნდა გამეცინა. მაგრამ არ შემეძლო. ვიღაცამ ერთი მუჭა კანფეტი შემომაყარა თვალებში და სახე ისე ამეწვა, თითქოს მათრახი გადაეჭიროთ. ქუჩის კუთხეებში ხალხი მიმწყვდეულიყო, ერთი მეორეზე მისრესილები, და წინ აღარავინ მიდიოდა, მხოლოდ წყნარად და რბილად ირწეოდნენ აქეთ-იქით, დაბლა-მაღლა, თითქოსდა ასე ფეხზე მდგომნი ეძლეოდნენ ერთმანეთს. მაგრამ თუმცა ისინი იდგნენ, ხოლო მე შლეგივით მივექანებოდი ტროტუარისაკენ, სადაც ამ შედედებულ გროვაში ნაპრალები ჩნდებოდა, მაინც ისე იყო სინამდვილეში, რომ ისინი მოძრაობდნენ და მე ადგილიდან არ ვიძროდი, რადგან არაფერი არ იცვლებოდა; როდესაც ავიხედე, ერთ მხარეს იგივე სახლები იდგა და მეორე მხარეს ვიტრინები. ვინ იცის, ყველაფერი უძრავად იყო და, მხოლოდ მე მესხმოდა თავბრუ და სხვებსაც და ამის გამო გვეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ბრუნავდა ირგვლივ. ამაზე ფიქრის დრო აღარ მქონდა. ოფლისაგან სულმთლად დავძიმდი და შიგნით რაღაც მომადუნებელი ტკივილი ამიწრიალდა, თითქოსდა ჩემს სისხლს რაღაც ვეება მიჰყვებოდა მძიმე ხახუნით და ყველგან, სადაც კი გაივლიდა, ძარღვებს ბერავდა. იმასაც ვგრძნობდი, რომ ჰაერი დიდი ხანია გათავებულიყო და ახლა უფრო ამონასუნთქს ვიწოვდი, რომელიც ფილტვებს მიდედებდა.

მაგრამ ყველაფერი ეს უკან დარჩა. მე გავუძელი. ახლა ისევ ჩემს ოთახში ვზივარ ლამპასთან. ცოტა ცივა, რადგან ვერ ვბედავ ღუმე-

ლის ანთებას. ისევ რომ ახრჩოლდეს და გარეთ გასვლა მომიხდეს, მერე? ვზივარ და ვფიქრობ: ღარიბი რომ არ ვიყო, სხვა ოთახს დავიქირავებდი, ავეჯით, აგრე ნახმარი რომ არ იქნებოდა და ესოდენ სავსე წინანდელი მაცხოვრებლებით, როგორც ჩემია. თავდაპირველად მართლა მიჭირდა სავარძლის საზურგეზე თავის დადება, რადგან აქ, მწვანე შალითაში ჭუჭყიანი რუხი ღრმულია, თითქოს ყველა თავს რომ მოერგება. დიდხანს ვიჩენდი სიფრთხილეს და თავქვეშ ცხვირსახოცს ვიფენდი, აწლა კი ამისათვის მეტისმეტად შოქანცული ვარ. აღმოვაჩინე, რომ ასეც შეიძლება, და რომ ეს პატარა ჩაღრმავება სწორედ ჩემი თავისთვისაა; თითქოს ჩემს კეფაზეა ზედგამოჭრილი. მაგრამ, მაინც, ეგზომ უსახსრო რომ არ ვიყო, პირველ რიგში ღუმელს ვიყიდდი და სუფთა, მაგარი, მთიდან ჩამოტანილი შეშით გავახურებდი და არა ამ უბადრუკი tetes-de-moineau-ით [20], რომლის ბოლიც სუნთქვას მიმძიმებს და გონებას მირევს და შემდეგ, ვიღაც ისეთიც უნდა იყო ჩემს გვერდით, ოთახს უხმაუროდ რომ დაალაგებს და ცეცხლს გააჩაღებს, ისე, როგორც ეს მე მჭირდება. რადგანაც ხშირად, როცა მთელი თხუთმეტი წუთი ღუმელის წინ ვარ ჩაჩოქილი და სულს ვუბერავ, ცეცხლის სიმხურვალისაგან შუბლგაფიცხებული და თვალებში ალმურჩამდგარი, მთლიანად ვხარჯავ მთელი დღისთვის განკუთვნილ ძალ-ღონეს, და შემდეგ ხალხში რომ გავდივარ, რა თქმა უნდა, ის ადვილად მერევა. დროდადრო, ქუჩები მოზიმზიმე ხალხით რომ იქნებოდა გაჭედილი, ეტლს ავიყვანდი, ჩავიქროლებდი, ყოველდღე ერთ-ერთ დიუვალში [21] ვისადილებდი... და საკონდიტროებში აღარ შევლასლასდებოდი. ნეტავ ის კაცი თუ იქნებოდა დიუვალთან? არა. იქ არ მისცემდნენ იმის უფლებას, რომ დამჯდარიყო და დამლოდებოდა. მომაკვდავებს იქ არ უშვებენ. მომაკვდავებს? ახლა ხომ ჩემს ოთახში ვზივარ. ახლა შემიძლია ვცადო და წყნარად გავიხსენო. თუ რა შემემთხვა. კარგია, როცა შეუცნობლად არაფერს ტოვებ. მაშასადამე, შევედი და მაშინვე ის მეცა თვალში, რომ მაგიდა, სადაც ყველაზე უფრო ხშირად ვჯდებოდი, ვიღაც კაცს დაეკავებინა. პატარა ბუფეტში მყოფთ მივესალმე, შევუკვეთე და კაცს გვერდით მივუჯექი. და იმ წუთშივე ვიგრძენი იგი, მიუხედავად იმისა, რომ უძრავად იჯდა. სწორედ მისი ეს უძრაობა შევიგრძენი და ერთბაშად მივხვდი. ჩვენს შორის კავშირი გაიბა უკვე და მე ვიცოდი, რომ ის გახეკებულიყო შეძრწუნებისაგან. ვიცოდი, რომ ეს კაცი

ძრწოლას დაედამბლავებინა, ძრწოლას იმის წინაშე, რაც მასში ხდებოდა. ვინ იცის, შიგნით რომელიღაც ორგანო ეფლითებოდა, ანდა შხამი, რომელსაც ის დიდხანს უფრთხოდა, სწორედ ახლა შედიოდა მისი გულის ერთ-ერთ სენაკში ანდა ეგების ვეება წყლული ტვინში მზესავით ამოსდიოდა და მთელ ქვეყანას უსხვაფერებდა? ენით აუწერელი დაძაბვით თავი ვაიძულე მისკენ გამეხედა, რადგან ჯერ კიდევ იმედი მქონდა, ეგებ ყველაფერი მომეჩვენა-მეთქი. მაგრამ ერთბაშად წამოვხტი და გარეთ გავვარდი, რადგანაც თურმე არ შევმცდარიყავ. ის იჯდა იქ, სქელ, შავ ზამთრის პალტოი და ნაცრისფერი, დაჭიმული პირისახე შალის ყელსახვევში მძიმედ ჩაერგო. პირი მოკუმული ჰქონდა, თითქოს რაღაც ძლიერ დარტყმას ჩაეჭყლიტა, მაგრამ იმისას კი ვერას იტყოდით, მისი თვალები ისევ ხედავდნენ თუ არა რაიმეს: მათ სათვალის დაორთქლილი, ბოლისფერი, ოდნავ მთრთოლვარე მინები ფარავდა. ცხვირის ნესტოები დაბერვოდა და მისი თმა საფეთქლებზე ისე ჭკნებოდა, თითქოს გვალვაში მოხვედრილიყო. წაგრძელებული და ყვითელი ყურები უკან ვეება ჩრდილებს ისროდნენ. დიახ, მან იცოდა, რომ ახლა ყველაფერს შორდებოდა; არა მხოლოდ ადამიანებს. ცოტაც და ყოველივე აზრს დაჰკარგავდა და მნიშვნელობას: ეს მაგიდაც, ფინჯანიც და სკამიც, რომელსაც ებღაუჭებოდა. ყველაფერი ყოველდღიური და უახლოესი გაუგებარი გახდებოდა ანაზდეულად, უცხო და მძიმე. და ასე იჯდა და ელოდებოდა, როდის მოხდებოდა ეს ყველაფერი, აუმხედრებლად ელოდებოდა.

მე კი ჯერ ისევ ვუმხედრდები. ვუმხედრდები, თუმცა, ვიცი, ჩემი გული ბეწვზე ჰკიდია და დიდხანს ალბათ ვეღარ ვიცოცხლებ, კიდეც რომ დამეხსნან ჩემი მტაცვალები. თავს ვეუბნები: არაფერიც არ მომხდარა-მეთქი მაგრამ ის, კაცი ხომ სწორედ იმიტომ ვიგრძენი ასე, რომ თავად ჩემშიც რაღაც ხდება, რაც თანდათან ყველაფრისგან მწყვეტს, მაუცხოებს.

ო, როგორ თავზარს მცემდა ყოველთვის, მომაკვდავებზე რომ ამბობდნენ ხოლმე: ვეღარავის ვეღარ სცნობდაო. ყველასა და ყველაფრისაგან გარიყული სახე წარმომიდგებოდა ასეთ დროს თვალწინ, რომელიც ბალიშიდან წამოიწევდა და ეძებდა: რაიმე ნაცნობს, რაღაცას ერთხელ უკვე ნანახს ეძებდა, მაგრამ ვერაფერს ვერ პოულობდა. ასე ძლიერ რომ არ მეშინოდეს, თავს იმით ვინუგეშებდი, რომ არ არის შეუძლებელი, ქვეყნიერებას სხვაგვარად ხედავდე

და მაინც ცოცხლობდე. მაგრამ მე მეშინია, გამოუთქმელად მეშინია იმ ცვლილებისა, სიცოცხლის ბოლოს რომ გველოდება. მე ხომ დღემდე ვერ მოვიკიდე ამქვეყნად ფეხი, ამ ქვეყნად, მე რომ კარგი მგონია და იმ ქვეყნად რაღა უნდა ვქნა, როგორ ვიცხოვრო? ო, ჩემი ნება რომ ყოფილიყო, რა სიხარულით დავრჩებოდი აქ, აქაურ საგნებსა და მოვლენებს შორის, რომლებიც თანდათან შევიყვარე, და თუ აუცილებელია რაღაც ცვლილება, ვინატრებდი, ძაღლებთან ცხოვრების ნება მაინც მქონოდა: მათი სამყარო ხომ ჩვენი სამყაროს მონათესავეა, ძაღლებიც ხომ იგივე საგნებს შესცქერიან, რასაც ჩვენ ვუმზერთ?

შცირე ხანს კიდევ შემიძლია ყოველივე ამის თქმა და ჩაწერა. მაგრამ მოვა დღე, როცა ხელი აღარ დამემორჩილება და როდესაც მას წერად მოვუხმობ, სულ სხვა სიტყვების წერას დაიწყებს, სიტყვების, რომლებიც არ მიგულისხმია. მოატანს ჟამი სულ სხვაგვარი თვალთახედვისა, არცერთი სიტყვა არ დარჩება ჩვეულ ადგილას, ყოველი აზრი ღრუბელივით განიფანტება და წყალივით ძირს ჩამოიღვრება, და მიუხედავად მთელი შიშისა, საბოლოოდ ხომ მაინც იმ კაცივითა ვარ, რაღაც დიდის პირისპირ რომ დგას? ადრეც, ვიდრე წერას შევუდგებოდი, ხშირად მქონია ამგვარი განცდა, მაგრამ ამჯერად ჩემი შთაბეჭდილებანი კი არა, მე თავად უნდა გარდავიქმნა და გარდავისახო, თითქოს სხვისი შთაბეჭდილება ვიყო და ის მე სიტყვად და ნაწერად მაქცევდეს. სულ მცირეოდენი რამ მაკლია, ყოველივე ამას რომ ჩავწვდე და დავეთანხმო. ერთი ნაბიჯიღა და ჩემი უსაზმნო უბედურება ნეტარებად გადიქცეოდა. მაგრამ ამ ნაბიჯის გადადგმა არ შემიძლია: მე წავიქეცი და ვეღარ ვდგები, რადგანაც სულმთლად დამსხვრეული ვარ. ხომ ყოველთვის ასე მჯეროდა, რომ რაღაც საშველი გამოჩნდებოდა და აი, წინ, ჩემს საკუთარ ნაწერში ვხედავ, რასაც ვითხოვდი, ყოველ საღამო. იმ წიგნებიდან გადმოვიწერე, სადაც ვიპოვე, რათა უფრო მომეახლოვებინა და ვითარცა ჩემი საკუთრება, ჩემი ხელიდან აღმომხდარიყო. და ახლა მინდა, რომ ერთხელ კიდევ დავწერო იგი, აქ ჩემს მაგიდასთან დაჩოქილმა მინდა დავწერო: რადგან ასე უფრო დიდხანს **მ ა ქ ვ ს** იგი ვიდრე კითხვისას, ყოველი სიტყვა უფრო გრძელდება და იმის დრო აქვს, ნელა მიჩუმდეს.

„Mécontent de tous et mécontent de moi, je voudrais bien me racheter et m'energueillir un peu dans le silence et la solitude

de la nuit. Ames de ceux que j ai'aimés, âmes de ccux gue j'ai chantes, fortifiezmoi, soutenezmoi, éloignez de moi le mensonge et les vapeurs corruptrices du monde: et vous, Seigneur mon Dieu! accordez-moi la grâce de produire quelques beaux vers qui me prouvent à moi-même que je ne suis pas le dernier des hommes, que je ne suis pas inférieur à ceux que je méprise"[22].

●

„ძენი უმეცართა და უპატიოთა, სახელი და დიდება მათი დაშრეტილ არს ქვეყნისაგან... ხოლო აწ მე ვარ უბანი მათი და ჩემდა იგავი აქუთ.

... გზაი ყვეს ჩემ ზედა...

...მყუეს მე ვითარცა უნებდათ.

და აწ ჩემ ზედა დაინთხეს სული ჩემი და უპყრიე მე დღეთა მწუხარებისათა. ...ხოლო ღამესა ძუალნი ჩემნი განმწარნეს, ხოლო ძარღუნი ჩემნი დაიხსნეს... მრავლითა ძალით მომიცვეს სამოსლისა წილ, ვითარცა პირსა სამოსლისა უპყრივარ...

მუცელი ჩემი აღდუღნა და არა დუმნეს, წინ მიძღოდენ მე დღენი სიგლახაკისანი... ხოლო მოიქცნეს ტირილსა შინა ჩემსა, ხოლო გალობა ჩემი გოდებასა ჩემდა[23].

●

ექიმმა ვერ გამიგო ,ვერაფერი. ძნელიც იყო საამბობლად. გადაწყვიტა, ელექტრომკურნალობა ეცადა. კეთილი, მივიღე ფორმულარი: პირველ საათზე სალპეტრიერში[24] უნდა მივსულიყავი. ვიყავი. დიდხანს მივდიოდი ნაირნაირ ქოხმახთა გასწვრივ, რამდენიმე ეზო გავიარე, სადაც პატიმრებივით თეთრჩაჩიანი ავადმყოფები აქა-იქ შიშველ ხეებქვეშ მიმოდიოდნენ. ბოლოს შევედი გრძელ, ჩაბნელებულ, კორიდორის მსგავს შენობაში, რომელსაც ერთ მხარეს დაბინდული მწვანე შუშის ოთხი ფანჯარა ჰქონდა, ერთმანეთისაგან განიერი შუაკედლებით გამოყოფილი. ფანჯრებს წინ გრძელი ხის სკამი ჩაუდიოდათ, და ამ სკამზე ისხდნენ სწორედ ისინი, -და-

ვიანთ. კაცად რომ მივაჩნივარ და მელოდებოდნენ. დიახ, ყველანი აქ ბრძანდებოდნენ.

როდესაც შენობის ბინდბუნდს თვალი შევაჩვიე, შევამჩნიე, რომ მათ შორის, ვინც იქ ერთმანეთის მხარდამხარ უსასრულო რიგში იჯდა, რამდენიმე სხვა ჯურის ადამიანიც უნდა ყოფილიყო, უბრალო ხალხი, ხელოსნები, მსახურები და მტვირთავები. ქვემოთ, გასასვლელის ვიწრო მხარეზე, გამორჩეულ სკამებზე ორი სქელი ქალი გაბრტყელებულიყო და მასლაათობდა, როგორც ჩანდა, მეკარეები. საათს დავხედე. პირველს აკლდა ხუთი წუთი. ხუთ, ვთქვათ, ათ წუთში უნდა შევსულიყავი, ე. ი. არც ისე ცუდად იყო საქმე. აუტანელი ჰაერი იდგა, მძიმე, ტანსაცმლის სუნითა და ამონასუნთქით დამძიმებული. ერთ ადგილას, კარის ჭრილიდან ეთერის ძლიერი, ალმავალი სიგრილე მოჰბერდა. ბოლთის ცემა დავიწყე. ვფიქრობდი, აი, აქ დამიბარეს, ამ ხალხთან ერთად, ამ გაჭედილ, საერთო მისაღებში-მეთქი. ეს, ასე ვთქვათ, პირველი აშკარა დადასტურება იყო იმისა, რომ გაძევებულებს ვეკუთვნოდი. ნუთუ ექიმმა ეს ჩემს გარეგნობაში ამოიკითხა? კი მაგრამ, მე ხომ საკმაოდ ხეირიან კოსტიუმში გამოწყობილი ვეწვიე, სადარბაზო ბარათიც გავუგზავნე. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მიხვდა. ეგებ მე თვითონ გავეცი თავი? ჯანდაბას, რაც მოხდა, მოხდა, ახლა არც ისე გულმოსასვლელად მეჩვენებოდა. ხალხი წყნარად იჯდა და ყურადღებას არ მაქცევდა. ზოგიერთ მათგანს ტკივილი აწუხებდა და ცალ ფეხს ოდნავ ღუნავდა, რა არის, უფრო გაეძლო. კაცებიდან ზოგს თავი ბრტყელი ხელებით ეჭირა, სხვათა სახეები კი მძიმე ძილს გადაესწორებინა. ერთი ზორზოხა, წითელ და გასიებულკისრიანი კაცი წინგადახრილი იჯდა, იატაკს ჩაშტერებოდა და დროდადრო წკლაპუნით აფურთხებდა ერთ ლაქას, ამისათვის შესაფერისად რომ მიეჩნია. ბავშვი სლუკუნებდა ერთ კუთხეში გრძელი, გამხდარი ფეხები სკამზე აეკეცა, ხელი შემოეხვია და ტანზე ისე მიეკრა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებაო. ერთ პატარა, ფერგაცრეცილ ქალს, თავზე გვერდულად რომ დაეკოსებინა შავი ყვავილებით მოკაზმული კრეპის ქუდი, მიმშკნარ ტუჩებზე ღიმილი შეჰყინვოდა, თუმცა დაწყლულებული ქუთუთოები განუწყვეტლივ ეცრემლებოდა: მასთან ახლოს ერთი გოგონა დაესვათ, მრგვალ და გლუვსახიანი, წინწამოყრილი, უმეტყველო თვალებით. მას პირი დაეღო და თეთრი დორბლიანი ღრძილებიდან ბებრული, ოღროჩოღრო ღოჯები მოუჩანდა. და ყველგან

დოლბანდები მხვდებოდა თვალში. დოლბანდები, ფენა-ფენა რომ ფარავდნენ მთელ თავს, ისე რომ ერთადერთი თვალიღა მოჩანდა, თვალი, რომელიც აღარავის არ ეკუთვნოდა. დოლბანდები რომლებიც ფარავდნენ და დოლბანდები რომლებიც აჩენდნენ, რაც მათ ქვეშ იყო. დოლბანდები, რომლებიც შეეხსნათ და იქ როგორც ჭუჭყიან ლოგინში ესვენა ხელი, უკვე ხელი რომ აღარ იყო; და შეხვეული ფეხი, რიგიდან გამოშვერილი, უზარმაზარი, თითქმის კაცის ხელა. მე აქეთ-იქით დავდიოდი და თავს ძალას ვატანდი, რომ მშვიდად ვყოფილიყავი. ჩემს წინ ტიხარს ვათვალიერებდი გულმოდგინედ. შევნიშნე, რომ ტიხარი მთელი წყება ცალფრთიანი კარებისაგან შედგებოდა და ჭერამდე არ აღწევდა, ისე, რომ ჩვენი კორიდორი იმ ოთახებისაგან, შიგნით ერთმანეთის გვერდით რომ უნდა ყოფილიყო განლაგებული, ბოლომდე არ იყო გამიჯნული. საათს დავხედე. მთელი საათი მევლო აქეთ-იქით. ცოტა ხნის შემდეგ ექიმებიც მოვიდნენ: ჯერ რამდენიმე ახალგაზრდამ ჩაიარა გულგრილი სახით, ბოლოს ის, ვისთანაც უკვე ვიყავი, ღია ფერის ხელთათმანები ეცვა, Chape du a' huit reflets [25] ეხურა და უზადო მოსასხამი ესხა. დამინახა, ოდნავ ასწია ქუდი და დაბნეულად გამიღიმა. ვიმედოვნებდი, რომ მაშინვე გამომიძახებდნენ, მაგრამ ერთი საათი კიდევ გავიდა. ვერ ვიხსენებ, როგორ გავლილ. მთავარი იყო, რომ გავიდა. ერთი მოხუცი კაცი მომიახლოვდა, დალაქულწინსაფრიანი, რაღაც ჯურის კარისკაცი და მხარზე შემეხო. ერთ-ერთ გვერდითა ოთახში შევედი. ის ექიმი და ახალგაზრდები მაგიდის ირგვლივ ისხდნენ და შემომცქეროდნენ, სკამი მომაწოდეს. ასე, ახლა კი უნდა მომეთხრო, რა და როგორ მჭირდა, რაც შეიძლება მოკლედ. S'il vous plait [26]. რადგან, ბატონებმა, ბევრი დრო არა გვაქვსო. უცნაური გრძნობა დამეუფლა. ახალგაზრდა ექიმები ისხდნენ და მიყურებდნენ იმ ქედმაღლური, პროფესიული ცნობისმოყვარეობით, რომლის შეთვისებაც უკვე მოესწროთ. ჩემი ნაცნობი ექიმი შავ წვერზე ხელს ისვამდა და დაბნეულად იღიმებოდა. გავიფიქრე, ტირილი წამსკდება-მეთქი, მაგრამ შომეესმა, როგორ ვთქვი ფრანგულად: „მე უკვე მქონდა პატივი, რომ თქვენთვის, ბატონო ჩემო, ყველა ცნობა მომეწოდებინა, რაც კი შემეძლო. თუ საჭიროდ მიგაჩნიათ რომ ეს ბატონებიც ეზიარონ ყველაფერს, ცხადია, ჩვენი საუბრის შემდეგ, თავად შეგიძლიათ, რამდენიმე სიტყვით გადასცეთ, რადგანაც მე უაღრესად გამიჭირდება". ექიმი თავაზიანი ღიმილით წამოდგა,

ასისტენტებთან ერთად ფანჯარასთან მიდგა და ხელის საკვანძოთ რამდენიმე სიტყვა წარმოთქვა. სამიოდ წუთის შემდეგ, სამი ახალგაზრდიდან ერთ-ერთი, ახლომხედველი და ნერვიული, მაგიდასთან დაბრუნდა და შეეცადა რა ჩემთვის მკაცრად შემოეხედა, მკითხა: „კარგად გძინავთ, ბატონო ჩემო?“ „არა, ცუდად“, რის შემდეგაც ისევ ჯგუფისკენ ისკუპა. მცირე ხანს კიდევ თათბირობდნენ. შემდეგ ექიმი მომიბრუნდა და მამცნო, რომ ხელახლა დამიძახებდნენ. მე შევახსენე, პირველი საათისათვის ვიყავი-მეთქი დაბარებული. მან გაიღიმა და ერთი-ორჯერ სწრაფად გაასავსავა პატარა და თეთრი ხელები, რითაც სურდა ენიშნებინა, უსაშველოდ დაკავებული ვარო. ასე და ამრიგად, ისევ ჩემს კორიდორში დავბრუნდი, სადაც ჰაერი კიდევ უფრო დამძიმებულიყო და კვლავ შევუდექი ბოლთის ცემას, თუმცა მომაკვდინებელ დაღლილობას ვგრძნობდი. ბოლოს ნოტიო, შეგუბებული სუნისაგან თავბრუ დამესხა: გასასვლელ კართან შევჩერდი და ოდნავ გავაღე. დავინახე, რომ გარეთ ნაშუადღევი იყო ისევ, ცოტაოდენ მზესაც მოვკარი თვალი და ამან გამოუთქმელი შვება მომგვარა. მაგრამ ერთი წუთიც არ ვმდგარვარ იქ, ისევ დამიძახეს. ვიღაცა ქალმა, ორიოდ ნაბიჯის მოშორებით პატარა მაგიდას რომ მისჯდომოდა, რაღაც შემომსისინა. ვინ გიბრძანათო კარის გაღება. ვუთხარი, ამ ჰაერს ვეღარ ვუძლებ-მეთქი. კარგი, ეგ თქვენი საქმეა, მაგრამ კარი დახურული უნდა იყოსო. ეგებ ფანჯრის გაღება შეიძლებოდეს-მეთქი. არა, აკრძალულიაო. გადავწყვიტე, ისევ ბოლთისცემას შევდგომოდი, რაკი ეს რაღაცნაირად მაუწყებდა და არც არავის აღიზიანებდა. მაგრამ პატარა მაგიდასთან მჯდომ ქალს ახლა აღარც ეს მოუვიდა თვალში. ადგილი არა გაქვთო? არ მაქვს-მეთქი. ბოლთის ცემა აკრძალულია. ადგილი უნდა მოძებნოთ, ერთი ადგილი მაინც იქნებაო. ქალი მართალი იყო. ერთი ადგილი მაშინვე აღმოჩნდა: გადმოკარკლულთვალებიანი გოგოს გვერდით. და ახლა ვიჯექი იქ და ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი რაღაც საშინელებას მიქადდა. მაშასადამე, მარცხნივ ის შემპალრრძილებიანი გოგო მეჯდა, ხოლო რაც ჩემს მარჯვნივ იყო, მხოლოდ მცირე ხნის შემდეგ შევიცანი. ეს გახლდათ უზარმაზარი, უძრავი მასა, რომელსაც ჰქონდა მხოლოდ სახე და ერთი დიდი, მძიმე და გაშეშებული ხელი. სახის ის ნაწილი, რომელსაც ვხედავდი, ცარიელი იყო, უნაკვთებო და უმოგონებო და შემაზრზენი გახლდათ, რომ შას კოსტიუმი ისე ედგა, როგორც ცხე-

დარს, რომელიც კუბოსთვის გამოაწყვეს. ვიწრო, შავი ყელსახვევი ისე დუნედ და რაფრისმთქმელად შემოხვეოდა საყელოს, როგორც მკვდარზე მენახა და პერანგსაც ეტყობოდა, რომ სხვებს ჩამოეცვათ ამ ნებადაკარგულ სხეულზე, მისი ხელიც სხვებს დაედოთ იქ, შარვალზე, სადაც იყო, თმაც თითქოს ცხედრის განმბანელ ქალებს დაევარცხნათ და ეს თმა, როგორც ცხოველთა ფიტულების ბეწვი, აგრე დავარცხნილი გახევებულიყო. ყოველივე ამას ყურადღებით ვათვალიერებდი და თავში გამიელვა, რომ მთელი ეს გარემო საგანგებოდ ჩემთვის იყო ჩაფიქრებული და რომ ბოლოს და ბოლოს ჩემი ცხოვრების გზაზე იმ ადგილს მივაღწიე, სადაც სამუდამოდ დავრჩებოდი კიდეც.

დიახ, ბედისწერა უცნაური გზებით დადის.

უეცრად, სრულიად ახლოს ბავშვის შეშინებული, უარის გამომხატველი წამოკივლება გაისმა ზედიზედ, რომელსაც ჩუმი, შეკავებული ტირილი მოჰყვა. ვიდრე მე დავიძაბე, რათა გამერკვია, სად რა ხდებოდა, კვლავ ათრთოლდა სუსტი, დათრგუნვილი კივილი და მე გავიგონე ხმები, რომლებიც ვიღაცას რაღაცას ეკითხებოდნენ, ერთი ხმა, რომელიც ჩუმად ბრძანებდა, და შემდეგ სადღაც რაღაც გულგრილი მანქანა აზუზუნდა, არაფერს და არავის რომ არა ნაღვლობდა. ახლაღა გამახსენდა ის ნახევარი კედელი, და ჩემთვის ცხადი გახდა, რომ ყველაფერი ეს იმ კართა მიღმა ხდებოდა და რომ იქ მუშობა იყო გაჩაღებული. მართლაცდა დროდადრო დალაქულ-ხალათიანი კარისკაცი გამოჩნდებოდა ხოლმე და თავს იქნევდა. აღარც კი ვფიქრობდი, რომ შეიძლებოდა მე ვეგულისხმე. მე მეხებოდა? არა. ორმა კაცმა ბორბლებიანი საკაცე მოაგორა. მათ აიღეს ის მასა და ზედ დააწვინეს და მე დავინახე, რომ ეს თურმე ერთი დადამბლავებული მოხუცი კაცი ყოფილიყო, რომლის სახესაც მეორე, შომცრო, ცხოვრებისაგან შელახული ნახევარიც გააჩნდა თურმე: ღია, ნაღვლიანი, მღვრიე თვალით. ის შიგნით შეიყვანეს და ჩემს გვერდით უზარმაზარი ადგილი განთავისუფლდა. და მე ვიჯექი და ვფიქრობდი, თუ რას უზამდნენ ახლა ამ ჩლუნგ გოგოს და დაიყვირებდა ისიც თუ არა. მანქანები შიგნით ისე სასიამოვნოდ და ფაბრიკისებურად ზუზუნებდნენ, რომ შემაშფოთებელი ამაში არა ჩანდა რა.

მაგრამ უეცრად ყველაფერი დადუმდა. და სიჩუმეში ქედმაღალმა, თავმომწონე ხმამ, რომელიც მეცნაურა, წარმოთქვა: „Riez"

პაუზა. „Riez“. Mais riez, riez!“[27]. მე უკვე ვიცინოდი. აუხსნელი იყო, რატომ არ სურდა კედლის მიღმა იმ კაცს სიცილი. ერთი მანქანა აგუგუნდა, მაგრამ მყისვე დამუნჯდა. სიტყვები გაისმა და ისევ ის ენერგიული ხმა, რომელმაც ბრძანა:

„Ditez-nous le mont-avant“. დამარცვლით: „a-v-a-n-t“. სიჩუმე. „On n'entend rien. Encore une tois...“[28]

და მაშინ, როცა იქიდან ასეთი თბილი, ნოტიო და ცხვირისმიერი დუდღუნი გაისმა, მაშინ პირველად, პირველად მრავალი, მრავალი წლის შემდეგ ისევ გამოჩნდა ის, რამაც ჩემში პირველი, ღრმა შეძრწუნება შემოდენა, როდესაც მე, სულმთლად ბავშვი სიცხიანი ვიწექი: რაღაცა დიდი, უზარმაზარი. დიახ, ასე ვამბობდი მაშინაც მუდამ, როცა ყველანი ჩემი საწოლის გარშემო იდგნენ, მაჯისცემას მისინჯავდნენ და მეკითხებოდნენ, თუ რა მაშინებდა: რაღაცა დიდი. და ექიმი როცა მოიყვანეს და როცა ის იდგა და მესაუბრებოდა, მასაც ასევე ვევედრებოდი, რაიმე ეღონა, რათა ის „დიდი“ წასულიყო და დაკარგულიყო. სხვა დანარჩენი არაფერს ნიშნავდა. მაგრამ ის კაცი სხვებისაგან არ განსხვავდებოდა. მას არ შეეძლო „დიდის“ განდევნა. თუმცა მაშინ ხომ პატარა ვიყავი და ჩემი შველა თითქოს ადვილი უნდა ყოფილიყო. მერე ის დროთა ვითარებაში თავისით გაქრა. სიცხიან ღამეებშიც აღარ მოსულა, მაგრამ აი, ისევ გამოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ სიცხე არ მქონდა, ახლა აქ იყო. და აწ ჩემივე წიაღიდან იზრდებოდა და იბურცებოდა როგორც სიმსივნე, როგორც ჩემი მეორე თავი და ჩემი სხეულის ნაწილი ხდებოდა. თუმცა ხომ არაფრით შეიძლებოდა, მე მკუთვნებოდა, რადგან ასეთი ვეება გახლდათ, აქ ბრძანდებოდა როგორც დიდი, მკვდარი ცხოველი, რომელიც ოდესღაც სიცოცხლეში ჩემი ხელის მტევანი იყო ან ჩემი მკლავი. და ჩემი სისხლი ტრიალებდა ჩემში და მასში, როგორც ერთსა და იმავ სხეულში. და გული მეტისმეტად მეძაგრებოდა, რათა სისხლი იმ „დიდშიაც“ გადაესროლა: სისხლი თითქმის აღარ კმაროდა. და ჩემი სისხლი უხალისოდ შედიოდა იმ „დიდში“ და ბრუნდებოდა სნებაშეყრილი და წახდენილი. მაგრამ „დიდი“ სულ სივდებოდა და სახის წინ მეზრდებოდა როგორც თბილი, მოლურჯო კოპი და პირთან მეზრდებოდა და ჩემს ცალ თვალს უკვე მისი ჩრდილი ეფინა.

ველარ ვიხსენებ, როგორ გამოვაღწიე იმ უამრავი ეზოებიდან.

საღამო იყო და გზა მერეოდა უცხო უბანში და უსასრულო, გალავნიან ბულვარებს მივუყვებოდი და ბოლო რომ არსად მოჩანდა, უკანვე ვბრუნდებოდი, ვიდრე რომელსამე მოედანზე არ გავიდოდი. იქ რომელიმე ქუჩას ვირჩევდი და მივყვებოდი და სხვა ქუჩებიც მოდიოდნენ, აბასოდეს რომ მენახა და კიდევ მოდიოდნენ, სხვები და სხვები.

ელმავლები მიმოქროდნენ წამდაუწუმ. დამაბრმავებელი სინათლითა და მჭახე, წყვეტილი რეკვა-წკრიალით. მაგრამ მათ დაფებზე ისეთი ქუჩების სახელი ეწერა, მე რომ არ ვიცოდი. მე არ ვიცოდი, რომელ ქალაქში ვიყავი და მქონდა თუ არა აქ სადმე ბინა და რა უნდა მეღონა იმისათვის, რომ აღარ მევლო.

●

და ახლა ეს ავადმყოფობაც დამემატა, ყოველთვის ასე უცნაურად რომ მაფორიაქებდა. დარწმუნებული ვარ, მას ჯეროვნად ვერ აფასებენ, ზუსტად ისევე, სხვა სნეულებათა მნიშვნელობას რომ აჭარბებენ. ამ დაავადებას არავითარი გარკვეული თავისებურებანი არ გააჩნია: იმ ადამიანის თავისებურებებს იძენს, გისაც შეეპყრობს. სომნამბულური შეუმცდარობით ადამიანში აღმოაჩენს მის ულრმეს საფრთხეს. საფრთხეს, ჩავლილი რომ სჩანდა უკვე, ამოაქვს მისი სულის სიღრმიდან და წინ უყენებს, სულმთლად ახლოს: რათა ერთ წამში თავს დაატეხოს. კაცები, სკოლის წლებში უმწეო ცოდვას რომ სჩადიოდნენ, და ამ ცოდვის მოტყუებულ თანაზიარად თავიანთი საცოდავი, გალეული ბიჭური ხელები ჰყავდათ, მოვა დრო და კვლავ შეესცოდავენ; ან რომელიმე სნეულება, ბავშვობაში გადატანილი, ისევ თავიდან დაიწყება მოულოდნელად, ან დაკარგული ჩვეულება ანაზდეულად აღსდგება ისევ — რაღაც ყოყმანით თავის ტრიალი, ძალზე დიდი ხნის წინ რომ სჩვეოდათ, და იმას, რაც ეგზომ უცნაურად ბრუნდება ჩვენში, უკან მოჰყვება მოგონებათა კორიანტელი, რომელიც მას ისევე დასთრევს, როგორც წყლის ხავსი ჩაძირულ საგანს. ამ მოგონებებს კი თან მოაქვთ ჩვენი სულის ფარული ცხოვრება, რომლის შესახებ ვერაფერსაც ვერ შევიტყობდით. ეს ცხოვრება აღიმართება სულის ფსკერიდან, ზემოთ მიიწევს და მორევივით ტრიალებს იმის ქვეშ, რაც აშკარად და ხილულად ხდებოდა, და ეხეთქება ამ წარსულს, ჩვენ რომ ასე-

თი ცხადი გვეგონა და გარკვეული, ეხეთქება, ავიწროებს და ხახეს უცვლის... რადგან ამ უცნაურ ცხოვრებაში, ამდენი ხანი რომ არ გვახსოვდა, რაც შეუცნობლად არსებობდა და რაც ახლა ზემოთ, ჩვენი ცნობიერებისაკენ ილტვის ჯიუტად — დაუხარჯავი, ხელშეუხები ძალა ბობოქრობს, ხოლო ის, რაც მუდამ გვახსოვდა, გაცრეცილი და დაქანცულია მრავალგზისი მოგონებებით.

და ახლა ვწევარ ჩემ საწოლში, მეხუთე სართულზე და ჩემი დღე, რომელსაც არაფერი აშფოთებს, არ ანაწილებს, უისრებო ციფერბლატსა ჰგავს. დიდი ხნის წინათ დაკარგული ნივთისდაგვარად, თავის ადგილზე რომ აღმოჩნდება ისევ ერთ დილით, შენახული და მშვენიერი, თითქმის იმაზე უფრო ახალი, ვიდრე იყო დაკარგვის დღემდე, თითქოსდა ვინმეს ეპატრონოს მთელი ეს ხანი, სწორედ ასევე ჩემს საბანზე ხან აქ და ხან იქ უეცრად ჩნდება ჩემი ბავშვობის დაკარგული მოგონებები და თან თითქოს სულმთლად ახალი. ყველა დაკარგული შიში ისევ აქ არის.

შიში, რომ მატყლის პატარა ბეწვი, საბნის ქობიდან ამოწვერილი — მაგარია, მაგარი და ბასრი, როგორც ლურსმანი. შიში, რომ ჩემი საღამურის პატარა ღილი ჩემს თავზე ბევრად უფრო დიდია, დიდი და მძიმე; შიში, რომ პურის ერთი ნამცეცი, ჩემი საბნიდან ძირს რომ მიგორავს, მინად იქცევა და დაიმსხვრევა ძირს დაცემისას და დამთრგუნველი წუხილი, რომ ყველაფერი დაიმსხვრევა ამით ერთბაშად, ყველაფერი სამარადჟამოდ; შიში, რომ გახსნილი წერილის ზოლიანი კიდე, რაღაც აკრძალული რამ არის, რაღაც ენით აუწერლად ძვირფასი, არავინ რომ არ უნდა ნახოს, რომელსაც ოთახში საიმედოდ ვერსად დამალავ. შიში, რომ ჩამეძინება და ნახშირის ნატეხს გადავყლაპავ, ღუმელის წინ რომ ბზინავს შავად; შიში, რომ რაღაც რიცხვი მეზრდება ტვინში, იზრდება, იქამდე, ვიდრე ჩემში სივრცე აღარ ეყოფა; შიში, რომ ეს ტინია, რაზედაც ვწევარ; შიში, რომ დავიყვირებ და ჩემს კარებთან ხალხი მოირბენს და შემოამტვრევს ბოლოს და ბოლოს; შიში, რომ შეიძლება თავი გავცე და ვთქვა, რაც მაშინებს; შიში, რომ მაინც ვერაფერს ვიტყვი, რადგან ყველაფერი გამოუთქმელია და სხვა შიშები... შიშები...

მე ვითხოვე ჩემი ბავშვობა და ის დაბრუნდა და ვგრძნობ, რომ ისეთივე მძიმეა, როგორიც იყო, და ამით არაფერი არ ეშველა. რომ გავიზარდე.

გუშინ სიცხემ დამიწია და დღეს დღე დაიწყო როგორც გაზაფხული, როგორც გაზაფხული სურათებში. მინდა შევეცადო და ეროვნულ ბიბლიოთეკაში წავიდე ჩემს პოეტთან, რომელიც ამდენი ხანია არ წამიკითხავს; და მერე ეგებ ბაღებშიც შევძლო გასეირნება ნელი ნაბიჯით. ვინ იცის, ეგებ ქარი დაჰქრის გუბურის თავზე, სადაც ასეთი ნამდვილი წყალი დგას, მოდიან ბავშვები, წითელაფრიან ნავებს უშვებენ და უყურებენ.

დღეს არ მეგონა, თუ ასეთი რამ შემემთხვეოდა. ისე მხნედ გავედი ქუჩაში, თითქოს ამაზე უბრალო არა იყო რა, და მაინც შემხვდა რაღაც ისეთი, რამაც ქაღალდივით ამიღო, ერთიანად დამჭმუჭნა და გვერდზე მისროლა. რაღაც გაუგონარი შემემთხვა დღესაც. წმინდა მიშელის ბულვარი ცარიელი იყო და ვრცელი, და მე, მსუბუქად მივაბიჯებდი მის ნელ დაღმართზე. ზემოთ ფანჯრები იხსნებოდნენ მინისებური ხმოვანებით და მათი მბრწყინავი ათინათი თეთრი ჩიტივით მიფრინავდა ბულვარის თავზე. გვერდით წითელბორბლებიანმა ეტლმა ჩაიარა და ქვემოთ, უფრო მოშორებით, ვიღაცას ღია მწვანე რაღაც მიჰქონდა. ცხენები, თავიანთი სხივმფინარე აღკაზმულობით სწრაფად მიჰქროდნენ ახლად მორწყულ, ჩამუქებულ, სუფთა ქუჩაზე, ქარი უბერავდა, ახალი, ლბილი და ყველაფერი მატულობდა: სურნელებანი, ზარები და შეძახილები. ერთ კაფეს ჩავუარე, სადაც საღამოობით წითელ ბოშებად გადაცმული ანსამბლი უკრავდა. ღია ფანჯრებიდან სინდისის ქენჯნით ზოიპარეებოდა ღამენათევი ჰაერი. თმადავარცხნილი კელნერები იდგნენ და შესასვლელთან იატაკს სწმენდნენ. ერთი მათგანი, წელში მოხრილი მუჭა-მუჭა ყრიდა ყვითელ ქვიშას მაგიდების ქვეშ. უეცრად ამხანაგი დაეჯახა გვერდით ჩავლისას და ხელით რაღაც დაანახა გარეთ ქუჩაში, კელნერი რომლსაც სახე ერთიანად გაჭარხლებოდა, ერთხანს გაფაციცებით იყურებოდა ნაჩვენები მიმართულებით, შემდეგ მის უწვერო ლოყებს სიცილი ისე მოედო თითქოს ზემოდან ქვიშასავით მოაფრქვიეს. მან ხელი დაუქნია მეორე კელნერს, მოცინარი სახე რამდენიმეჯერ სწრაფად მიატრიალ-მოატრიალა, მარჯვნივ და მარცნივ, რათა ყველასათვის დაეძახა და თავადაც არაფერი გამორჩენოდა. ჰოდა, ყველანი ასე იდგნენ და ქვემოთ იმზირებოდნენ თუ მზერით ეძებდნენ, გაღიმებულნი თუ გაბრაზებულნი, თითქოსდა ჯერ ვერ

აღმოეჩინათ, თუ რა იყო იქ სასაცილო. ვიგრძენი, რაღაც შიში დამეუფლა. რაღაცა ქუჩის მეორე მხარეს მეწეოდა. მაგრამ მე მხოლოდ ნაბიჯს ავუჩქარე და უნებურად ჩემს წინ მიმავალი რამდენიმე კაცი შევათვალიერე, ოღონდ მათში სასაცილო ვერა ვიპოვე რა. თუმცა, დავინახე, რომ ერთი მათგანი, ლურჯწინსაფრიანი დამტარებელი ბიჭი, რომელსაც მხარზე ცარიელი კალათა შეედგა, ვიღაცას გასცქეროდა. გული რომ იჯერა, ადგილზევე შემობრუნდა სახლებისაკენ, შუბლზე თითი მიიჭირა და ისეთი რამ ანიშნა ქუჩის იქითა მხარეს მოცინარ ნოქარს, რაც ყველასათვის ნაცნობი და გასაგებია. შემდეგ თავისი შავი თვალები დააკვესა და კმაყოფილი, რწევა-რწევით ჩემსკენ გამოემართა.

ველოდებოდი, რომ მაშინვე, როგორც კი ჩემს თვალს სივრცე მიეცემოდა, რაღაც ან ვიღაც უჩვეულოსა და თვალშისაცემს დავინახავდი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ წინ მხოლოდ ერთი მაღალი და ხმელ-ხმელი კაცი მიდიოდა, რომელსაც შავი პალტო ეცვა და მოკლედ შეკრილ, გახუნებულ თმაზე ფაფუკი, შავი ფერის ქუდი ეხურა. დავრწმუნდი, რომ არც კაცის ჩაცმულობაში და არც მის საქციელში სასაცილო არა იყო რა და ის იყო დავაპირე, მის მიღმა ქუჩის ბოლოსკენ გამეხედა, რომ მოულოდნელად კაცმა რაღაცაზე წაიბორძიკა. რადგანაც ახლოს მივყვებოდი, მეც ყურადღება გავამახვილე, მაგრამ იმ ადგილს რომ მივაღწიე, იქ არაფერი არ აღმოჩნდა, სულ არაფერი. ორთავემ გზა განვაგრძეთ, მან და მე, და მანძილი ჩვენს შორის არ იცვლებოდა. აი, მივედით გადასასვლეთან და სწორედ აქ მოხდა, რომ კაცმა თავისი არაერთნაირი ფეხებით ტროტუარის საფეხურები სულ ხტუნვა-ხტუნვით ჩაირბინა, ისე რომ ბავშვები შეიკუნტრუშებენ ხოლმე სიარულისას, როდესაც რამე გაეხარდებათ. იქითა ტროტუარის ასასვლელი კი უბრალოდ აიარა ერთი გრძელი ნაბიჯით. მაგრამ ძლივს იყო ტროტუარზე ასული, რომ ერთი ფეხი ოდნავ ასწია და მეორე ფეხით ჰაერში შეხტა, შემდეგ ისევ შეხტა, კიდევ და კიდევ, ახლაც მშვენივრად შეიძლებოდა, ეს ანაზდეული მოძრაობა კაცს წაბორძიკებად მიეჩნია, თუკი თავს დაარწმუნებდა, რომ იმ ადგილას, ძირს რაღაც ეგდო, კურკა ანდა ნაყოფის წვნიანი კანი. და საკვირველი სწორედ ის გახლდათ, რომ თვითონ ამ კაცს ეტყობა, სჯეროდა ამგვარი დაბრკოლების არსებობისა, რადგანაც ყოველთვის ნახევრად გაბრაზებული, ნახევრად მოსაყვედურე მზერით გამოპ-

ხედავდა ხოლმე ამ ნავსიან ადგილს, როგორც საერთოდ იქცევიან ასეთ შემთხვევაში. ერთხელ კიდევ ჩამძახა რაღაც გამაფრთხილებელმა ხმამ, ქუჩის მეორე მხარეს გადავსულიყავი. მაგრამ არ მივყევი და იქვე დავრჩი, ამ კაცის ზურგს უკან და მთელი ყურადღება მისი ფეხებისაკენ მივმართე. უნდა გამოვტყდე, რომ უცნაური შეება ვიგრძენი, როცა მთელი ოცი ნაბიჯის მანძილზე ის ხტუნვა აღარ განმეორდა, მაგრამ როდესაც ზემოთ ავიხედე, დავინახე, რომ ამასობაში ამ კაცს სხვა უბედურება დამართნოდა: პალტოს საყელო ზემოთ ასწეოდა და რამდენსაც არ ცდილობდა, ხან ერთი ხელით, ხან მეორეთი მის ჩამოწევას, საყელო არა და არ ნებდებოდა. ხდება ხოლმე. თვითონ ამ ამბავს დიდად არ ავუღელვებივარ, მაგრამ მაშინვე ჩემდა უსაზღვროდ განსაცვიფრებელად აღმოვაჩინე, რომ ამ ადამიანის მოფუსფუსე ხელებში ორი მოძრაობა იმალებოდა: ერთი — ფარული, სწრაფი, რომლითაც კაცი თავის საყელოს შეუმჩნევლად ზემოთკენ სწევდა და მეორე — ის დაწვრილებითი, შემაჩერებელი, გადაჭარბებულად გულმოდგინე მოძრაობა, რომლითაც საყელოს ჩამოწევას ლამობდა. ჩემმა აღმოჩენამ ისე ამირია გონება, რომ მთელი ორი წუთი გავიდა, ვიდრე მივხვდებოდი: ამ კაცის კისერში, ზემოთაწეული საყელო მიღმა, და ნერვიულად აფორიაქებულ ხელებში იგივე, საშინელი ორტაქტიანი ხტუნვა იმალებოდა, რომელმაც ის-ის იყო მისი ფეხები მოატოვა. ამ წუთიდან მას მივეჯაჭვე, მივხვდი, რომ ეს ხტუნვა მთელს მის სხეულში დაწრიალებდა და ცდილობდა, ხან აქ და ხან იქ გამოერღვია და გამომხტარიყო. მივხვდი მის შიშს ხალხის წინაშე და თავადვე დავიწყე თვალთვალი, გამვლელები ხომ არაფერს ამჩნევენ-მეთქი. და ცივი ჩხვლეტა ვიგრძენი ზურგში, როცა უეცრად მისმა ფეხებმა მოკლე და აცახცახებული ნახტომი გააკეთეს, მაგრამ არც ეს შეუნიშნავს ვინმეს და ამ დროს თავში მომივიდა, რომ მეც დამეწყო ცოტა ბორძიკი, თუკი ვინმე შემოგვხედავდა, რაღა თქმა უნდა, ეს მშვენიერი საშუალება იქნებოდა ცნობისმოყვარეთა დასარწმუნებლად, რომ გზაზე მართლაც ეგდო რაღაც ციცქნა და შეუმჩნეველი, რომელსაც ორივემ ფეხი დავადგით. მაგრამ, ვიდრე მე შველაზე ვფიქრობდი, მას თვითონვე ეპოვა ახალი, ბრწყინვალე გამოსავალი. დამავიწყდა მეთქვა, რომ მას ყავარჯენი ეჭირა. ჰო, ეს უბრალო, შავი ხის ჯოხი იყო, სადა, მომრგვალებული კავით და ამ კაცს, შიშით გათანგული გამოსავალს რომ ეძებდა, აზრად მოსვ-

ლოდა, ყავარჯენი, ჯერ ცალი ხელით (რადგან ღმერთმა იცის, მეორე კიდევ რისთვის დასჭირდებოდა) ხერხემლის გარდიგარდმო ზურგზე მიეკრა და კავი პალტოს საყელოზე ჩამოეცვა, ისე, რომ იგი კისერსა და ხერხემლის პირველ მალას შორის მტკიცე საყრდენის როლს ასრულებდა. ეს ისეთ პოზას წარმოადგენდა, რომ არ იყო მაინცდამაინც თვალშისაცემი, დიდი-დიდი, მხიარულ ხუმრობად შეიძლებოდა მიჩნეულიყო. მოულოდნელი გაზაფხულით შეიძლებოდა მისი ახსნა და მიტევება.

არვის მოსვლია აზრად მოხედვა და საქმე კარგად წავიდა. დიდებულადაც კი მიდიოდა. მხოლოდ შემდეგ გადასასვლელზე ისევ გაჩნდა ორი ნახტომი, თუმცა, სრულიად უმნიშვნელო. და თანაც ერთი, უფრო აშკარა, ისე მოხერხებულად გააკეთა (გზის გარდიგარდმო ბედად რეზინის მილი ეგდო), რომ არაფერი იყო საშიში. დიახ, ჯერ ყველაფერი კარგად მიდიოდა. ხანდახან მეორე ხელიც სწვდებოდა ხოლმე ყავარჯენს, უფრო მაგრად აჭერდა ზურგს და საფრთხეც იმ წამსვე. არიდებული იყო თავიდან. მაგრამ არაფერი შემეძლო მეღონა იმის წინააღმდეგ, რომ ჩემი შიში მაინც იზრდებოდა. ვიცოდი, რომ ვიდრე ეს კაცი ასე მიდიოდა და უსაშველო დაძაბულობის ფასად ცდილობდა გულგრილი და დაბნეული სახე ჰქონოდა, მის სხეულში განუწყვეტლივ გროვდებოდა და მატულობდა ეს შემზარავი ცახცახი. და მისი შიში უკვე მეც გადმომეცა, შიში, რომლითაც ის ამ განუხრელ მატებას გრძნობდა. და მე ვხედავდი, როგორ ებღაუჭებოდა იგი ყავარჯენს, როცა მის შიგნით ეს ჩუმი თრთოლვა იწყებოდა. მაშინ ამ კაცის ხელები ისე დაუნდობლად და მრისხანედ გამოიყურებოდნენ, რომ მთელ იმედს მის ნებისყოფაზე ვამყარებდი. ახლა მას დიდი ნებისყოფა სჭირდებოდა. მაგრამ ან ნებისყოფას რაღა შეეძლო. დადგებოდა წუთი, როცა მას ძალა გამოელეოდა და ეს წუთიც შორს აღარ იყო. და მე, გულამოვარღნილი, რომ მივდევდი უკან, ჩემს მცირეოდენ ძალას ხურდა ფულივით ვაგროვებდი, მის ხელებს შევყურებდი და ვეევედრებოდი აეღო. და მე დარწმუნებული ვარ, რომ აიღო. რა ჩემი ბრალი იყო, რომ მეტი არ მქონდა. წმინდა მიშელის ქუჩაზე ბევრი ეტლი და ხალხი ირეოდა, ხშირად ორ ეტლს შორის აღმოვჩნდებოდით ხოლმე, აქ კი ის სულს ითქვამდა და რომ ოდნავ მაინც შეესვენა, ცახცახს ნებდებოდა: ოდნავ ხტუნავდა და თავს აქნევდა. ეგების ეს ცბიერება გახლდათ, რომლითაც დატყვე-

ვებული ავადმყოფობა ამ კაცის დაძლევას ლამობდა. ნებისყოფა ორ ადგილზე გახვრეტილიყო: წელანდელ დანებებას გააფთრებულ კუნთებში ჩუმი, მაცთუნებელი მიმზიდველობა და თან ის ჰოძალადე ორტაქტი დაეტოვებინა, მას ხტუნვისაკენ რომ უბიძგებდა, მაგრამ ყავარჯენი ჯერ ისევ თავის ადგილას იყო. და ხელებიც ავად და მრისხანედ გამოიყურებოდნენ. ასე გავედით ხიდზე და საქმე ჯერ ისევ კარგად მიდიოდა. მაგრამ რაღაცა გაუბედაობა შეეპარა იმის სიარულს... და აი, ორი ნაბიჯი გაირბინა და გაჩერდა. მარცხენა ხელი ნელა მოსცილდა ყავარჯენს და ისე ნელა და ცახცახით აღიმართა ზემოთ, თითქოს ჰაერის გაკვეთა უპირსო. მან ქუდი ოდნავ გადაიწია, ხელი შუბლზე მოისვა, მძიმედ, თავი ოდნავ მოატრიალა და მისი მზერა აბარბაცდა ცაზე, სახლებზე, ქვემოთ წყალში, მაგრამ ვერაფერს მოეჭიდა და... აქ ის დანებდა. ყავარჯენი გაუვარდა, ხელები ისე გაშალა, თითქოს ცაში სურდა აფრენა და მისგან ბუნების სტიქიონივით ამოსკდა რაღაც, რამაც წინ გადაზნიქა, მერე უკანვე მიაწყვიტა, თავი აუცახცახა, წელში მოხარა და... მისი სილრმიდან ამოიფრქვა ძალა ცეკვისა; გამვლელთა წრეში, რადგანაც უკვე ბევრი ხალხი შემოხვეოდა და ვეღარ ვხედავდი.

რა აზრი ჰქონდა სადმე წასვლას? ერთიანად დავცარიელდი. ცარიელი ქალალდივით ავეკარი სახლების რიგს და ბულვარს ავუყევი.

●

ვცდილობ, წერილი მოგწერო, თუმცა ვერ ვხედავ შენთან დამშვიდობების აუცილებლობას. მე მაინც ვცდილობ, მჯერა, ვალდებული ვარ, ეს გავაკეთო, რადგან წმინდანი ვიხილე პანთეონში[29], მარტოსული, წმინდანი ქალი, და სახურავი და კარი, და შიგნით ლამპარი სინათლის მქრალი წრით, და გაღმა კი მძინარე ქალაქი, მდინარე და მისი შორი შემოგარენი მთვარის სხივებში, წმინდანი ფხიზლობს მძინარე ქალაქის თავზე. ვიტირე, რადგან ყველაფერი ერთბაშად, ასე მოულოდნელად დამიხვდა იქ. მე ვიტირე ამის წინაშე, არ ვიცოდი თავისთვის როგორ მეშველა.

მე პარიზში ვარ. ზოგს უხარია, ვინც ამას იგებს, უმეტესთ კი შურთ. მართალნი არიან. ეს არის დიდი ქალაქი, დიდი და საკვირველი ცთუნებებით. რაც მე შემეხება, უნდა გამოვტყდე, რომ გარკვეული თვალსაზრისით, მე მათ მძლიეს. ვფიქრობ, სხვაგვარად

ეს არ ითქმის. მე ამ ცთუნებებმა მძლიეს და ამან გარკვეული ცვლილებანი გამოიწვია, თუ ჩემს ხასიათში არა, ჩემს მსოფლმხედველობაში მაინც, ჩემს ცხოვრებაში კი უეჭველად. ამ გავლენების შედეგად ყოველი საგნის რაღაც სრულიად განსხვავებული აღქმა ჩამომიყალიბდა. გარკვეული თავისებურებანი გამიჩნდა, ახლა ადამიანთაგან უფრო ძლიერ რომ მაშორებენ, ვიდრე ყველაფერი, რაც დღემდე იყო. სახეცვლილი სამყარო. ახალი ცხოვრება, სავსე ახალი მნიშვნელობებით. ამ წუთს ცოტა არ იყოს მიჭირს, რადგანაც ყოველივე მეტისმეტად ახალია. მე ახალბედა ვარ ჩემს ახლანდელ ცხოვრებაში.

შესაძლებელია, რომ ზღვა ვნახო ერთხელ?

კი, მაგრამ, დაფიქრდი, წარმოვიდგინე, რომ შენ შესძლებდი ჩემთან ჩამოსვლას. მითხარი, ექიმი ხომ არ გეგულება სადმე? დამავიწყდა ამის გაგება. თუმცა უკვე აღარც მჭირდება.

გაგონდება ბოდლერის დაუჯერებელი ლექსი „Une Charogne“?[30] შეიძლება მხოლოდ ახლა მესმოდეს. გარდა ბოლო სტროფისა, ის მართალია. რა უნდა ექნა, თუკი იმ ლეშს გადეყარა? მისი ვალი იყო, რომ ამ საშინელში, მხოლოდ მოჩვენებითად საზიზღარში დაენახა ყოფიერი, ყოველ არსებულში რომ მყოფობს. არ არსებობს არჩევანი და უარყოფა. განა შემთხვევითად მიგაჩნია, რომ ფლობერმა თავისი „Saint-Julien—l′ Hospitalier“[31] დაწერა? მე მგონი, გადამწყვეტი ეს უნდა იყოს: იღებს თუ არა ვინმე თავის თავზე, რომ კეთროვანს მიუწვეს გვერდით და გაათბოს -ეი სიყვარულის ღამეთა გულმხურვალებით. ამას კი მხოლოდ კეთილი ბოლო შეიძლება ჰქონდეს. ოღონდ, ნუ იფიქრებ, რომ თითქოს აქ იმედგაცრუებით ვიტანჯებოდე, პირიქით, ზოგჯერ მაკვირვებს, რა მზადყოფნით ვამბობ უარს ყველაფერზე, რასაც ველოდი, სინამდვილის გულისათვის, მაშინაც კი, როცა ეს სინამდვილე აგრერიგად უკეთურია. ღმერთო ჩემო, რომ შეიძლებოდეს ამ განცდის რამენაირად გაზიარება! მაგრამ განა ის ი ქ ნ ე ბ ო დ ა მაშინ, ი ქ ნ ე ბ ო დ ა მაშინლა? არა, ის არის მხოლოდ შარტოობის საფასურად.

ჰაერის ყოველი ნაწილაკი საშინელებით გასენილა და დამძიმებულა. ამ საშინელებას შევისუთქავთ გამჭვირვალე მატერიასთან ერთად. მაგრამ ის ჩვენში დაილექება, წამსვე წამახულ, გეომეტრიულ სხეულებად გადაიქცევა და შინაგან ორგანოთა შორის ჩაგვე-

ხერგება. რადგან ყველაფერი — რაც კი ხდებოდა სასამართლო მოედნებზე, წამებისათვის განკუთვნილ საკნებში, საგიჟეებში, საოპერაციო მაგიდებზე, გვიან შემოდგომით ხიდების თაღებქვეშ — მთელი ეს მომხდარი საშინელება, გადატანილი ტანჯვა-წამება, წარუვალია, არასდროს ქრება, უხილავად რჩება ყველგან, რჩება ჰაერში და იქ გროვდება: ის თვითონ აგროვებს თავის შემზარავ სინამდვილეს, ჯიუტად, ბრაზით შეპყრობილი ყველა ცოცხალი არსების მიმართ, რადგან ყველა გაურბის მას. ადამიანებსაც ხომ ასე სწადიათ, დაივიწყონ ყველა ტკივილი და ღამღამობით მათი ძილი გულმოწყალედ და ლბილად ქლიბავს ღრმად ამოტვიფრულ, ტანჯვით ავსებულ ნაოჭებს ტვინში: სურს გადაშალოს, მაგრამ სიზმრები ძილს განდევნიან და აღადგენენ ისევ ამ ხაზებს და ადამიანები ღვიძებენ, ქოშინებენ, ანთებენ სანთელს, იცდიან, ვიდრე მისი სინათლე სიბნელეში განზავდებოდეს და დამტკბარი წყალივით სვამენ მერე ამ ნახევრად ბნელ დამშვიდებას. მაგრამ ეჰ! რა ბეწვზე ჰკიდია ეს სიმშვიდე! უმცირესი შერხევა და მზერა მოსწყდება ნაცნობ და მახლობელ საგნებს და წუთის წინ მათი ასეთი მანუგეშებელი ხაზები საშინელების უზარმაზარი სახის ნაკვთებად გადაიქცევა. ერიდე სინათლეს, რომელიც უფრო აშიშვლებს ოთახს. ნუ მიმოიხედავ, როცა საწოლში წამოჯდები, ნუ შეამოწმებ, ზურგიდან რაიმე ვეება ჩრდილი თავს მბრძანებელივით ხომ არ წამოგადგა. ვინ იცის, ეგებ სჯობდა კიდეც, რომ სიბნელეში დარჩენილიყავ, ამ შემაშინებელი გაურკვევლობისათვის ჩუმად გაგეძლო და მაშინათვე მას სინათლით არ გამიჯვნოდი? ეგებ ის სჯობდა, გული გაგეხსნა ამ ბუნდოვანი შიშის ქვეყნისთვის, შენს გულს ეცადა და ამ ქვეყნის დამძიმებულ გულად ქცეულიყო? მაგრამ ეს შენ არ გააკეთე. და აი, ახლა დაძაბულხარ, ისე შეკრულხარ და შეკუმშულხარ შენსავე თავში, რომ შენში სივრცე აღარც კი რჩება.. გსურს აგრერიგად შემოიზღუდო ყველაფრისაგან, რაც კი თავზარს გცემს... და თითქმის გამშვიდებს, როდესაც ფიქრობ, რომ ახლა ის „უზარმაზარი და საშინელი" ამ შენ შინაგან სივიწროვეში ველარ დაეტევა, რომ თვითონაც უნდა დაპატარავდეს... მაგრამ საშინელება ხომ შენს გარეთ ხდება ცხოვრებაში და იქ იზრდება! გარეთ კი აბა შენ რას გააწყობ, და როცა იქ გროვდება და იქ აზვირთდება, მაშინ შენს არსებაშიც შემოიჭრება დაუკითხავად: შენს კიდურებს კი არ შიაშურებს, ნაწილობრივ მაინც რომ გემორჩილებიან ანდა

შენი. უფრო გულგრილი ორგანოების ფლეგმას. არა, ყველაზე მგრძნობიარე კაპილარებიდან შემოდის იგი, აქ გროვდება და სისხლძარღვები მას მილებივით შეიწოვენ ქვემოდან ზემოთ, შენი განტოტვილი, ურიცხვშტოიანი არსების ყველაზე ზედა განშტოებებისაკენ და ასე თანდათან, მთელი ცხოვრების მანძილზე გავსებს საშინელება. სულ ზემოთ იწევს შენს არსებაში — გაავსებს და გასცდება შენს გულს, გაგცდება შენ თვითონ... შენს ზემოთ მიდის... და რაღა გრჩება? — მხოლოდღა სუნთქვა, ერთადერთი, სიცოცხლესთან რაც გაკავშირებს, შენი ბოლო სამყოფელი და შენც მასღა ებღაუჭები... მაგრამ იგი სუნთქვასაც ავსებს და... ოჰ! ახლა საითღა? სადღა წახვალ?... უკვე მთავრდები: გული შენი გამოგდენის შენსავ თავიდან, გული თითქოს ზურგს უკან გრჩება და დგახარ შენივე სხეულის გარეთ და უკან ვერაფგზით ვეღარ ბრუნდები, როგორც ხოჭო, ფეხით რომ სრესენ, გადმოინთხევი შენსაე თავიდან — და ვერაფერი ვეღარ გიშველის: ვეღარც შენი შემგუებლობა და ვეღარც შედარებითი გამძლეობა შენი სხეულის ზედაპირისა.

●

ო, ღამე, საგნებს რომ აუჩინარებს, უფერებო და უსაგნებო. ო, წყვდიადით სავსე ფანჯრები, ო, გულმოდგინედ მიხურული ოთახის კარი: სახლი, საგნები, ოდითგან დღემდე, ჩვენ რომ გადმოგვცემს, ჩვენც რომ ვირწმუნეთ, შევეჩვიეთ და ბოლომდე ვერასოდეს ვერ შევიცანით. ო, სიჩუმე. სიჩუმე საკიბურში, სიჩუმე გვერდითა ოთახიდან, სიჩუმე ჭერზე. ო, დედა, ო, ერთადერთო, ვინც ამ სიჩუმეს ჩამოეფარე, ოდესღაც, ბავშვობაში, ვინც ამ სიჩუმეს საკუთარ თავზე იღებ და ამბობ: „ნუ გეშინია, ეს მე ვარო“. ვისაც შეგწევს გამბედაობა, ღამით მთლიანად ამ სიჩუმედ გარდაისახო ბავშვის გულისთვის, სიჩუმის შიშით რომ დაზაფრულია. შენ ანთებ სანთელს და უკვე შრიალი ხარ. წინგაწვდილ ხელით მოგაქვს სინათლე. და ამბობ: „ეს მე ვარ, მე, ნუ გეშინია“. ნელა დგამ შანდალს, ნელა და არავითარი ეჭვი არ არის: შენა ხარ. შენ ხარ ნათელი მახლობელ, გულითად საგანთა ირგვლივ, რაიმე ფარულ აზრის გარეშე ჩვენს გარშემო რომ განლაგებულან! კეთილად, მარტივად და ერთაზროვნად. და თუ რაიმე აწრიალდება სადმე კედელში, ანდა

ნაბიჯი გაისმება სადმე წინკარში, შენ გაიღიმებ მხოლოდ და მხოლოდ. იღიმი: მთლიანად მშვირვალდები მაგ ღიმილით და შენი არსების უშრეტ სინათლით, ასე შეჰღიმი ბავშვის შიშით აკანკალებულ სახეს, სახეს, რომელიც გეკითხება და პასუხს ელის, თითქოს საიდუმლოდ იყო შეთქმული ყველა ამ ჩქამთან და შეთანხმებული. თუ შეედრება რაიმე ძალა ძალას შენსას ამქვეყნიურ მეუფეობაში? შეხედე მეფეთ, წვანან შიშისგან გახევებულნი და მეზღაპრენი მათ გარეთობას ვერ ახერხებენ. და შიშს ისინი ამქვეყნად ვერსად ემალებიან: სატრფოთა ნეტარ მკერდზე დამხობილთ ანაზდეულად შეიპყრობს ძრწოლა, ადამბლავებს და სურვილს უქრობს.

შენ კი მოდიხარ და თავზარდამცემს შენს ზურგს უკან აჩერებ ხელით. და მთლიანად მას წ ი ნ ხარ. ფარდასავით კი არ ეფარები, რომლის ჩამოგლეჯაც მას შეუძლია, არა, თითქოსდა გამოასწარ ჩვენს დაძახილზე და ყველაფერზე ადრე მოხვედი, რასაც კი ძალუძს მოვიდეს ჩვენთან, თითქოს ზურგსუკან ეს გამოშურება გქონდეს მარტოდენ, მარადჟამული შენი სავალი, ფრენა შენი სიყვარულისა.

●

ნიღბების ჩამომსხმელს, რომლის სახლთანაც ყოველდღე მიწევს ჩავლა, ორი ნიღაბი გამოუკიდია გარეთ კედელზე: ერთი — ახალგაზრდა, წყალში დამხრჩვალი ქალის სახეა, რომლის ნიღაბიც მორგში აიღეს, რადგან ეს სახე ლამაზი იყო, რადგან ეს სახე განგებ, სხვათა დასანახად იღიმებოდა, თითქოს თვითონაც იცოდა, რომ იღიმებოდა. ხოლო მის ქვემოთ — კაცის სახე [32], სახე, რომელმაც მკვდარმაც იცოდა, რაც დაემართა — ეს იყო მკვრივად შეკრულ შეგრძნებათა მძიმე გორგალი, ულმობელი თვითშედეგება ნიადაგ აქროლების მსურველ მუსიკის: სახე კაცისა, ვისაც ღმერთმა ენა დაუხშო, რათა სხვა ხმები აღარ ესმინა, იმ ხმების გარდა, მისსავე წიაღში რაც გაისმოდა, რათა თავგზა არ აბნეოდა სწრაფწარმავალ ხმოვანებათა სხლტომასა და სიმღვრივეში, მას, ვის სიღრმეშიც მათი სიცხადე და გრძლივობა თრთოდა. სმენა დაუხშო, რათა ამ კაცში მთელი სამყარო მხოლოდ სიჩუმედ ჩაღვრილიყო; უხმო, დაძაბული, მომლოდინე ქვეყნიერება, როგორიც იყო ბგერის შექმნამდე.

შენ, ხელოვანო და სამყაროს სრულქმნილების გამსრულებელო! როგორც ის წყალი, წვიმად რომ დასდის დედამიწას და ზღვების ზედაპირს, დაუდევრად რომ ეშვება ძირს, შემთხვევით ინთხევა, შემდეგ კი სულმთლად უჩინარი, ხალისიანად ზეაღსდგება მიწის პირიდან კანონის ძალით, ზემოთ მიიწევს და ლივლივებს და იქ ქმნის ზეცათ, — სწორედ ასევე ამოსკდა შენგან ჩვენეულ დანალექთა აზღვავება და სამყაროს მუსიკად გადაეთაღა.

შენს დიდ მუსიკად: ო, ნეტავ იგი სიმაღლეში დარჩენილიყო, ასე მთელი სამყაროს ირგვლივ, და აქ, ჩვენს ირგვლივ არ ეხმიანა. შენთვის ფორტეპიანო უნდა დაედგათ შორს, თებაისში[33] და ანგელოზი წაგძღოლოდა და მიეყვანე ინსტრუმენტის იმ უსაზღვრო სიმარტოვეში, უდაბნოს მძიმე მწვერვალთა გავლით, სადაც მეფენი განისვენებენ, მეუდაბნოები და ჰეტერანი. მიგიყვანდა და თავად კი მაშინვე გაგეცლებოდა, ისევ ჰაერში აიჭრებოდა შეშინებული: აი, იწყებსო. და დაიწყებდი — ნიაღვარად გადმოსკდებოდი, დიდო დინებავ, და სამყაროს დაუბრუნდები გაუგონარი მუსიკის ღვარებს — რადგანაც მისი გაძლება და მისი გაგება შეუძლია მხოლოდ სამყაროს. ბედუინები სიშორეში განიბნეოდნენ, ცრუმორწმუნენი. ხოლო ვაჭართა ქარავანი დაემხობოდა შენეული მუსიკის პირას — რადგან გრიგალი ეგონებოდა. თითო-ოროლა ლომი თუ დაჯდებოდა შენს შორიახლოს შუაღამისას, საკუთარი თავით დამფრთხალი, შეშინებული საკუთარი, აჩქროლებული სისხლის მუქარით.

რადგან აწ ვიღამ გამოდენოს შენი მუსიკა ადამიანთა ბილწი ყურიდან? და ვინ განდევნის მათ მუსიკის დარბაზებიდან — საკუთარი თავით მოვაჭრეთ, ბერწი, გამშრალი სმენის პატრონებს, სმენის, რომელიც მუდამ ფრუშობს და არასოდეს არ ილებს მუცლად? აი, თესლი გადმობრწყინდება! ისინი კი კახპებივით ქვემოთ რჩებიან და თამაშობენ ამ წმინდა თესლით. ან ის ეცემა უხმოდ მათ შორის, ქვემოთ რომ წვანან გამოფიტულნი ფუჭი, უსაგნო სიამოვნებით, ვითარცა თესლი ონანისა[34].

მაგრამ, ბატონო, სადაც არ უნდა წოლილიყო შეუბღალავი, ქალწულებრივი სმენის პატრონი, შენეული ხმოვანებისას — ის მოკვდებოდა ნეტარებისგან ან უსასრულოს ჩაისახავდა და მისი განაყოფიერებული ტვინი გასკდებოდა ხმამაღალი მშობიარობით.

მე არ ვამცირებ ამის მნიშვნელობას. ვიცი, გაბედულებაა საჭირო. მაგრამ დავუშვათ ერთი წუთით, რომ ვინმეს აღმოსჩენოდა, კიდეც ეს Courage de luxe[35] და მათ გაჰყოლოდა, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაეგო: შემდეგ სად მიიპარებიან ეს ადამიანები და რას აკეთებენ იმ უამრავ სხვა დღეებში და იძინებენ თუ არა ღამით? ამის დადგენა განსაკუთრებით აუცილებელი იქნებოდა: სძინავთ თუ არა. მაგრამ მხოლოდ გაბედულება საქმეს ვერ შველის. რადგან ისინი სხვებივით კი არ მიდიან-მოდიან, რომელთა გადევნებაც სულ იოლი რამ იქნებოდა. ისინი უცბად ჩნდებიან და ისევ ქრებიან, როგორც კალის ჯარისკაცები, ბავშვები რომ ჩაამწკრივებენ და მერე ერთბაშად მოუსვამენ ხოლმე ხელს. ცოტა მოშორებული ადგილებია, სადაც ისინი ჩვეულებრივ დგანან, მაგრამ მივარდნილი სულაც არ ეთქმის. ბუჩქნარი უკან იხევს, გზა ოდნავ უხვევს პატარა მდელოს გაყოლებაზე. აქ დგანან ისინი, მათ ირგვლივ გამქვირვალე სივრცეა მხოლოდ, თითქოსდა ვულკანური მინის ქვეშ იდგნენ. შეიძლებოდა, ჩაფიქრებულ მოსეირნებად მიგეჩნია ეს შეუმჩნეველი და პატარა, ყველა თვალსაზრისით, თავმდაბალი კაცები, მაგრამ შეცდებოდი ხედავ იმათ მარცხენა ხელს, რაღაცას რომ ეძებს ძველი პალტოს ირიბ ჯიბეში? როგორ პოულობს, როგორ ამოაქვს და როგორ იჭერს რაღაცა ციცქნას მოუხერხებლად და თვალშისაცემად მაღლა ჰაერში? ერთი წუთიც არ გადის და ორი, სამი ჩიტი უკვე ეშვება: ბეღურები, ცნობისწადილით და სკუპ-სკუპით რომ მიდიან მისკენ, და თუ კაცი ახერხებს, რომ უძრაობაზე მათ უაღრესად ზუსტ წარმოდგენას თავისი დგომა შეუსატყვისოს, მაშინ სრული საფუძველი იქმნება იმისათვის, რომ ჩიტები კიდევ უფრო მიუახლოვდნენ. ბოლოს, პირველი აფრინდება და ერთხანს ნერვიულად ჟღურტულებს და დაფარფატებს იმ ხელის სიმაღლეზე, რომელიც (ღმერთმა ხომ იცის) მათ ტკბილ და დასორსვლილ პურის ციცქნა ნატეხს სთავაზობს თავისი არასმომთხოვნი და ხაზგასმით უარისმთქმელი თითებით. და რაც უფრო ბევრი ხალხი იკრიბება კაცის გარშემო, შესაბამის მანძილზე, რა თქმა უნდა, მით უფრო ნაკლები აქვს მათთან საერთო. ის დგას, როგორც ლამპარი მანათობელი, რომელიც პატრუქის ნარჩენით იწვის, იწვის და ანათებს, თვითონაც თბება თავისი ცეცხლით, მაგ-

რამ ოდნავადაც არ ირხევა. და თუ როგორ იზიდავს და როგორ იტყუებს, ამის განსჯა იმ პატარა და სულელ ჩიტებს არ შეუძლიათ. მაყურებელნი რომ არ ყოფილიყვნენ და ამ კაცს დასცლოდა იქ საკმაოდ ხანგრძლივად დგომა, მჯერა, ერთხელაც ანგელოზი მოფრინდებოდა, დასძლევდა ზიზღს და გალეული ხელის გულიდან იგემებდა ძველი პურის პატარა და მოტკბო ნატეხს. მას ეღობება ახლაც ხალხი, როგორც ყოველთვის: იმისთვის ზრუნავს, რომ ჩიტები მოდიოდნენ მხოლოდ და მხოლოდ. ესეც დიდ ფუფუნებად მიიჩნიათ და ამტკიცებენ, ის კაცი სხვას არც არაფერს ელოდებაო. აწკი რას უნდა ელოდებოდეს ეს გაცვეთილი, ჩამოკონკილი, გალუმპული თოჯინა, ოდნავ ირიბად რომ ჩარჭობილა დედამიწაში, როგორც ძველი ხომალდის ქიმებიდან ჩამოხსნილი ხის კაცუნები, დანიელი, მენავეები თავიანთ ბალებში რომ არჭობენ ხოლმე? ნეტავ ეს დგომა იმის გამო ხომ არ დასჩემდა, რომ ესეც ადრე თავისი ცხოვრების ქიმზე იდგა, სადაც ყველაზე მეტად ეხლებოდნენ ქარტეხილები? ასე გამოხუნებული და ჩამორეცხილი იმიტომ ხომ არ არის ახლა, რომ ოდესღაც სულმთლად ფერადი იყო. არ გინდა ჰკითხო?

მაგრამ ქალებს ნურაფერს ჰკითხავ, თუ დაინახავ რომელიმეს, მშიერ ჩიტებს პურს როგორ უწვდის. მათ შეიძლება კიდეც გაჰყვეს ადამიანი. ქალები ჩიტებს ისე, სიარულისას აპურებენ. მათი გაყოლა ადვილი იქნებოდა. მაგრამ დაეხსენ. მათ არ იციან. ეს როგორ მოხდა: ერთხელაც მთელი გროვა პური უჩნდებათ ხელჩანთებში. და ისინი წინ იშვერენ პურის დიდ ნაჭრებს თავიანთი სიფრიფანა მანტილიიდან, ნაჭრებს, რომლებიც გაღეჭილია ოდნავ და სველი. ქალებს სიამოვნებთ, მათი ნერწყვი მთელ სამყაროს რომ უერთდება, რომ პატარა ჩიტუნები აქეთ-იქით დაფრენენ და პირით ამ ზემოს დაატარებენ, თუმცა, ცხადია, ივიწყებენ ამას მაშინვე.

●

და მე ვიჯექი შენს წიგნებთან, შენ, შეუვალო[36], მუდამ რომ მხოლოდ შენებურად გრძნობდი ცხოვრებას, და ვკითხულობდი და ვცდილობდი ჩემებურად ფამეგო, ისევე, როგორც ცდილობენ სხვები, არაფრად რომ არ აგდებენ შენი სამყაროს დიდ მთლიანობას, მის ციცქნა ნაწილს იწოვენ მხოლოდ, თავიანთი სულის შესატყვისს

და კმაყოფილნი სტოვებენ წიგნებს. რადგანაც მაშინ, ჯერ კიდევ არა მქონდა შეცნობილი — დიდება — ეს საჯარო ჩამონგრევა შემოქმედი და ქმნადი სულისა, რომლის შენების ადგილზედაც ბრბო იკრება და ქვებს განზე უყრის.

შენ, ახალგაზრდავ, ვინც და სადაც არ უნდა იყო, ვისაც თავზარს გცემს მარტოობის და მტრობის შიში, დაიმახსოვრე: შენთვის მხოლოდ სასიკეთოა, რომ ამქვეყნად არავინ გიცნობს. და თუ ასე გიმხედრდებიან ისინი, ვინც შენ არად გაგდებენ, და თუკი შენი მახლობელნიც გყიდიან და გწირავენ ჩუმად და მათ ყველას სურთ ამოგძირკვონ ძირფესვიანად შენი ძვირფასი აზრების გამო, რას შეედრება ეს ცხადი საფრთხე, შენსავ თავში რომ განგამტკიცებს და გამოგაწრთობს, გვიან მოსული დიდების იმ ცბიერ მტრობას, რომელიც შენ უვნებელს გაგხდის, რადგან როგორც ქარი მტვერს ისე გაგფანტავს!

ნუ სთხოვს ნურავის, შენს შესახებ ილაპარაკოს, თუნდაც აუგად. და როცა ჟამი გამოხდება და შეამჩნევ, შენი სახელი ირგვლივ ხალხში როგორ ტრიალებს, იმაზე უფრო მნიშვნელოვნად მას ნუ მიიჩნევ, ხალხის პირში რაც ჩავარდნილა. იფიქრე, რომ ის უკვე წახდა და მოიშორე. სულ სხვა სახელი ამოირჩიე, რომელიმე, რომ ღმერთს შეეძლოს გვიან ღამით შენი მიხმობა და ეს სახელი ირგვლივ ყველას გადაუმალე.

შენ უმარტოესო, გამიჯნულო, როგორ შეიძლეს და დაგეწიეს ამ განდიდების გზით და წყალობით! განა რა ხანმა განვლო მას აქეთ, რაც თავად შენს არსს უმხედრდებოდნენ, ახლა კი შენთან გაუბიათ ურთიერთობა როგორც ტოლ-სწორთან. შენს სიტყვებს ყველგან თან დაათრევენ თავიანთი სულის ბნელ გალიებში და აჩვენებენ მათ მოედნებზე და ალიზიანებენ კიდევ ჩუმ-ჩუმად გისოსების იმედით— შენს სიტყვებს — ამ საშინელ გარეულ ცხოველებს.

და როცა პირველად გკითხულობდი, ისე როგორც საჭიროა შენი წაკითხვა, შენმა სიტყვებმა გამოარღვიეს გალიები და თავს დამესხნენ ჩემს უდაბნოში, სასოწარკვეთილნი, როგორც შენ თავად იყავი ბოლოს, შენ, გზა რომლისაც შეცდომითაა მოხაზული ყველა რუკაზე. ნახტომივით იკრება ცაში ეს უიმედო ჰიპერბოლა შენეულ გზისა, ერთადერთხელ რომ იხრება ჩვენსკენ და თავზარდაცემული ისევ გვშორდება. რა განაღვლებდა, ვიღაც ქალი რჩება თუ მიდის? ვიღაცას რეტი ესხმება თუ სიგიჟე იპყრობს? მკვდრე-

ბი ცოცხლობენ თუ ცოცხლები ცოცხლად კვდებიან? — რას იძიებდი? ეს ყველაფერი შენთვის ისეთი ბუნებრივი იყო ყოველთვის. შენ მიდიოდი ამ ხილული ცხოვრების გაელით, შეუჩერებლად, ისე როგორც წინკარს გადიან. მაგრამ იქ უკვე ჩერდებოდი და იცდიდი წელში მოხრილი — იქ, შიგნით, სადაც ცხოვრება დულს და გადმოდის, ილექება და სახეს იცვლის: სულის სიღრმეში, ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე ოდესმე შეუღწევიათ. რაღაცა კარი აღიმართა ანაზდად შენს წინ და შენ აღმოჩნდი ცეცხლის შუქზე კოლბათა შორის[37]. იქ, სადაც არვინ არასოდეს წაგიყვანია, უნდობელო, იქ იჯექი და უკვირდებოდი: როგორ იცვლიდნენ სახეს განცდები, ერთი განცდა სულ სხვა განცდად რომ გარდიქმნებოდა. და იქ, რადგანაც სიახლეში გქონდა შენ ჩ ვ ე ნ ე ბ ა და არა შექმნა ანდა თუნდაც თქმა, უზარმაზარი რამ განიზრახე: ეს ერთი ციცქნა მოძრაობა, ყველა ეს ოდნავი რხევა სულისა, რასაც თავადაც ჯერჯერობით მარტოოდენ გამადიდებელი შუშით ხედავდი, სრულიად მარტოს გაგეზარდა ისეთ ზომამდე, ვეებერთელა რომ გამხდარიყო ათასთა თვალწინ, ყველას წინაშე. ასე გაჩნდა შენი თეატრი. შენ არ შეგეძლო დაგეცადა, რომ ეს თითქმის უსივრცო, საუკუნეთა მანძილზე წვეთ-წვეთობით დაწნეხილი ჩვენი შინაგანი, უხილავი ცხოვრება სხვა რომელიმე ხელოვნებას აღმოეჩინა და ნელ-ნელა გაეხილვადებინა ზოგიერთთათვის, რომელნიც ბოლოს თავს მოიყრიდნენ და მოითხოვდნენ, ერთად ენახათ ამ დიდებულ მიხვედრათა დადასტურება მათ წინ გადახსნილ სცენის ახალ სიმბოლოებში. არა, შენ ამას ვერ დაუცდიდი. შენ უკვე არსებობდი და შენი ვალი იყო, რომ ეს ვერ გასაზომი რაღაცა განცდა, ნახევარი გრადუსით რომ იწევდა ზევით, გადახრის კუთხე ჯერ სრულად დაუძაბავი ნებისყოფისა, რომელიც შენ გამოთვალე სულმთლად ახლოდან, მონატრების ერთი წვეთის მცირე ამღვრევა და ეს მისხალი ფერისცვალება ნდობის ატომში, — ეს დაგედგინა და გეჩვენებინა. რადგანაც ამგვარ ამბებში იყო ახლა ცხოვრება: ჩვენი ცხოვრება, რომელიც ჩვენში შესრიალებულიყო, შიგნით მიკუნჭულიყო, ისე ღრმად, რომ ეჭვიც არავის აღარ ჰქონდა მის იქ ყოფნაზე. და შენ ისეთს, როგორიც იყავი — ჩვენებისათვის გაჩენილი, დროს გარეშე ტრაგიკული პოეტი, — ეს უფაქიზესი აღმოჩენები ერთი დარტყმით უნდა გარდაგექმნა უდამჯერებლეს ექსტებად, ყველაზე უფრო რეალურ საგნებად. და შეუდექი უმაგალითო ძალმომრეობას შენს

შემოქმედებაზე, უფრო და უფრო მოუთმენლად და სასოწარკვეთით რომ დაეძებდა სულში ნანახის ექვივალენტებს ხილვად, გარეთა საგანთა შორის. აქ იყო ბაჭია, იყო სხვენი, დარბაზი, სადაც ვოლაც კაცი დააბიჯებდა: მიწის ზრიალი გვერდით ოთახში, ხანძარი, ფანჯრებს წინ აალებული. აქ იყო მზე. იყო ეკლესია და კლდე, რომელიც ეკლესიას ჰგავს. მაგრამ ეს ყველაფერი აღარ კმაროდა. ბოლოს კოშკები გახდა საჭირო და აღიმართნენ, მთაგრეხილები და ზვავები უზარმაზარი, შეცნობადით ავსებულ სცენას შეუცნობელის გულისთვის რომ აზანზარებენ — და ყველაფერს მარხავენ წამში. აქ კი მეტი აღარ შეგეძლო: ის ორი ბოლო, ასე ტანჯვით რომ მოღუნე ერთმანეთისკენ—ერთმანეთისგან მიისწრაფოდა: შენი შეშლილი ძალა ამოსკდა ელასტიური კვერთხის სიღრმიდან, იგი გასწორდა... და თითქოს არც კი ყოფილიყო ქმნილება შენი.

აბა, სხვაგვარად ვინ მიხვდებოდა, სიცოცხლის ბოლოს ფანჯრებს რატომ არ სცილდებოდი, შენთვის ჩვეული თვითნებობით იქ რად იდექი: გამვლელებისთვის გსურდა გეცქირა, რადგანაც აზრი დაგებადა, რომ ერთ დღეს ეგებ რაიმე შეგექმნა მათგან, თუკი შენს საქმეს ისევ თავიდან შეუდგებოდი.

●

მაშინ პირველად მეცა თვალში, რომ ქალის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლიათ. როდესაც მის შესახებ მიამბობდნენ, ვგრძნობდი, თავად ის რომ ვანზე რჩებოდათ, იხსენებდნენ გარეშე პირთ და წვრილად აღწერდნენ ადგილ-სამყოფელს, გარემოცვას და გარემოებებს, უამრავ საგანს, ერთ წერტილამდე, ყველაფერი ეს სადაც წყდებოდა, რბილად და ასე ვთქვათ, ფრთხილად წყდებოდა მსუბუქი კონტურით, რომელიც რაღაცნაირად მასზე მიმანიშნებდა და რისი თავიდან შემოხაზვა შეუძლებელი ხდებოდა ხოლმე. „როგორი იყო?“ — ვკითხულობდი მაშინ. „ქერა, დაახლოებით შენნაირი“, ამბობდნენ ისინი და ყველაფერს ჩამოთვლიდნენ ისევ წვრილ-წვრილად, რაც კი იცოდნენ მის შესახებ. მაგრამ ამით ის კონტური ისევ მთლიანად ინისლებოდა და მისი წარმოდგენა აღარ შემეძლო. მის ნამდვილად დანახვას მხოლოდ მაშინ ვახერხებდი, როდესაც დედა იმ ამბავს მიამბობდა, ნიადაგ რომ ვითხოვდი ხოლმე.

და მაშინ დედას ჩვეულებად ჰქონდა, რომ ყოველთვის, როცა

კი ძაღლის ეპიზოდზე გადავიდოდა, თვალებს ხუჭავდა, და ასე მთლიანად ჩაკეტილ, თუმცა მაინც თითქოს გამქვირვალე სახეს რაღაცნაირად უჯიათად იჭერდა ორთავე ხელით, მას საფეთქლებს რომ უგრილებდნენ, „მე ეს ვნახე, მალტე“, იფ-ცებოდა ის, „მე ეს ვნახე“. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მიამბო ეს ამბავი, როცა აღარავის დანახვა აღარ ეწადა და ყოველთვის, მოგზაურობაშიც კი, თან დაჰქონდა პატარა, ხშირნასვრეტიანი ვერცხლის საწური, რითაც ყველანაირ სითხეს წურავდა, რადგან მკვრივ საკვებს რა ხანია ვეღარ იტანდა. მხოლოდ ბისკვიტი ან პური იყო, რასაც ის, მარტო დარჩენილი, აჭუცმაცებდა და ნამცეც-ნამცეც შეექცეოდა, ბავშვებმა რომ იციან ისე. ქინძისთავების წინაშე შიში უკვე მთლიანად დაუფლებოდა, სხვებს კი მხოლოდ ამას ეუბნებოდა მოსაბოდიშებლად: „ვეღარაფერს ვეღარ ვიტან, მაგრამ თქვენ ნუ შეწუხდებით, მაინც შესანიშნავად ვგრძნობ თავს“. ჩემკენ კი უეცრად შეეძლო შემობრუნებულიყო (რადგან მაშინ უკვე წამოზრდილი ვიყავი) და ღიმილით, მას რომ უაღრესად ძაბავდა, ეთქვა: „რამდენი ქინძისთავია, მალტე, და როგორ ყველგან ყრია, და როცა ფიქრობ, რა ადვილად ცვივიან ძირს...“ ცდილობდა ეს ხუმრობით ეთქვა, მაგრამ მას თავზარს სცემდა ყველა იმ ცუდად მიმაგრებულ ქინძისთავზე ფიქრი, ყოველ წუთს რომ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო.

●

მაგრამ, ინგებორგზე რომ მიამბობდა, არავითარი საფრთხე უკვე აღარ ელოდა... მაშინ ის თავს არ იზოგავდა, მაშინ ის ხმამაღლა ლაპარაკობდა; იცინოდა, როცა ინგებორგის სიცილი აგონდებოდა. მაშინ შეიძლებოდა დანახვა, თუ რა ლამაზი უნდა ყოფილიყო ინგებორგი. „ის ყველას სიხარულს გვანიჭებდა, მალტე“. — ამბობდა დედა, — „მამაშენსაც, სწორედ რომ სიხარულს ანიჭებდა. მაგრამ შემდეგ, როდესაც ირგვლივ ყველა ამბობდა, რომ მოკვდებაო, თუმცა ოდნავ შეუძლოდ გამოიყურებოდა, და ჩვენ ყველანი ვუმალავდით ამ საშიშროებას, ერთხელ საწოლში წამოჯდა და იმ ადამიანივით, რომელსაც სურს გაიგონოს, როგორ ჟღერს რაიმე, რაღაცნაირად თავისთვის ჩაილაპარაკა: თავს ნუ იწვალებთ... ჩვენ ყველამ ვიცით... და შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ კარგია რაც

შემოქმედებაზე, უფრო და უფრო მოუთმენლად და სასოწარკვეთით რომ დაეძებდა სულში ნანახის ექვივალენტებს ხილვად, გარეთა საგანთა შორის. აქ იყო ბაქია, იყო სხვენი, დარბაზი, სადაც ვიღაც კაცი დააბიჯებდა: მიწის ზრიალი გვერდით ოთახში, ხანძარი, ფანჯრებს წინ აალებული. აქ იყო მზე. იყო ეკლესია და კლდე, რომელიც ეკლესიას ჰგავს. მაგრამ ეს ყველაფერი აღარ კმაროდა. ბოლოს კოშკები გახდა საჭირო და აღიმართნენ, მთაგრეხილები და ზვავები უზარმაზარი, შეცნობადით აკსებულ სცენას შეუცნობელის გულისთვის რომ აზანზარებენ — და ყველაფერს მარხავენ წამში. აქ კი მეტი აღარ შეგეძლო: ის ორი ბოლო, ასე ტანჯვით რომ მოღუნე ერთმანეთისკენ—ერთმანეთისგან მიიწრაფოდა: შენი შეშლილი ძალა ამოსკდა ელასტიური კვერთხის სიღრმიდან, იგი გასწორდა... და თითქოს არც კი ყოფილიყო ქმნილება შენი.

აბა, სხვაგვარად ვინ მიხვდებოდა, სიცოცხლის ბოლოს ფანჯრებს რატომ არ სცილდებოდი, შენთვის ჩვეული თვითნებობით იქ რად იდექი: გამვლელებისთვის გსურდა გეცქირა, რადგანაც აზრი დაგებადა, რომ ერთ დღეს ეგებ რაიმე შეგექმნა მათგან, თუკი შენს საქმეს ისევ თავიდან შეუდგებოდი.

●

მაშინ პირველად მეცა თვალში, რომ ქალის შესახებ არაფრის თქმა არ შეუძლიათ. როდესაც მის შესახებ მიამბობდნენ, ვგრძნობდი, თავად ის რომ გაზზე რჩებოდათ, იხსენებდნენ გარეშე პირთ და წვრილად აღწერდნენ ადგილ-სამყოფელს, გარემოცვას და გარემოებებს, უამრავ საგანს, ერთ წერტილამდე, ყველაფერი ეს სადაც წყდებოდა, რბილად და ასე ვთქვათ, ფრთხილად წყდებოდა მსუბუქი კონტურით, რომელიც რაღაცნაირად მასზე მიმანიშნებდა და რისი თავიდან შემოხაზვა შეუძლებელი ხდებოდა ხოლმე. „როგორი იყო?“ — ვკითხულობდი მაშინ. „ქერა, დაახლოებით შენნაირი“, ამბობდნენ ისინი და ყველაფერს ჩამოთვლიდნენ ისევ წვრილ-წვრილად, რაც კი იცოდნენ მის შესახებ. მაგრამ ამით ის კონტური ისევ მთლიანად ინისლებოდა და მისი წარმოდგენა აღარ შემეძლო. მის ნამდვილად დანახვას მხოლოდ მაშინ ვახერხებდი, როდესაც დედა იმ ამბავს მიამბობდა, ნიადაგ რომ ვითხოვდი ხოლმე.

და მაშინ დედას ჩვეულებად ჰქონდა, რომ ყოველთვის, როცა

კი ძაღლის ეპიზოდზე გადავიდოდა, თვალებს ხუჭავდა, და ასე მთლიანად ჩაკეტილ, თუმცა მაინც თითქოს გამჭვირვალე სახეს რაღაცნაირად უჯიათად იჭერდა ორთავე ხელით, მას საფეთქლებს რომ უგრილებდნენ. „მე ეს ვნახე, მალტე“, იფიცებოდა ის, „მე ეს ვნახე“. თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში მიამბო ეს ამბავი. როცა აღარავის დანახვა აღარ ეწადა და ყოველთვის, მოგზაურობაშიც კი, თან დაჰქონდა პატარა, ხშირნასვრეტიანი ვერცხლის საწური, რითაც ყველანაირ სითხეს წურავდა, რადგან მკვრივ საკვებს რა ხანია ვეღარ იტანდა. მხოლოდ ბისკვიტი ან პური იყო, რასაც ის, მარტო დარჩენილი, აჭუცმაცებდა და ნამცეც-ნამცეც შეექცეოდა, ბავშვებმა რომ იციან ისე. ქინძისთავების წინაშე შიში უკვე მთლიანად დაუფლებოდა, სხვებს კი მხოლოდ ამას ეუბნებოდა მოსაბოდიშებლად: „ვეღარაფერს ვეღარ ვიტან, მაგრამ თქვენ ნუ შეწუხდებით, მაინც შესანიშნავად ვგრძნობ თავს“. ჩემკენ კი უეცრად შეეძლო შემობრუნებულიყო (რადგან მაშინ უკვე წამოზრდილი ვიყავი) და ღიმილით, მას რომ უაღრესად ძაბავდა, ეთქვა: „რამდენი ქინძისთავია, მალტე, და როგორ ყველგან ყრია, და როცა ფიქრობ, რა ადვილად ცვივიან ძირს...“ ცდილობდა ეს ხუმრობით ეთქვა, მაგრამ მას თავზარს სცემდა ყველა იმ ცუდად მიმაგრებულ ქინძისთავზე ფიქრი, ყოველ წუთს რომ შეიძლებოდა ჩამოვარდნილიყო.

●

მაგრამ, ინგებორგზე რომ მიამბობდა, არავითარი საფრთხე უკვე აღარ ელოდა... მაშინ ის თავს არ იზოგავდა, მაშინ ის ხმამაღლა ლაპარაკობდა; იცინოდა, როცა ინგებორგის სიცილი აგონდებოდა. მაშინ შეიძლებოდა დანახვა, თუ რა ლამაზი უნდა ყოფილიყო ინგებორგი. „ის ყველას სიხარულს გვანიჭებდა, მალტე“, — ამბობდა დედა, — „მამაშენსაც, სწორედ რომ სიხარულს ანიჭებდა. მაგრამ შემდეგ, როდესაც ირგვლივ ყველა ამბობდა, რომ მოკვდებაო, თუმცა ოდნავ შეუძლოდ გამოიყურებოდა, და ჩვენ ყველანი ვუმალავდით ამ საშიშროებას, ერთხელ საწოლში წამოჯდა და იმ ადამიანივით, რომელსაც სურს გაიგონოს, როგორ ეღერს რაიმე. რაღაცნაირად თავისთვის ჩაილაპარაკა: თავს ნუ იწვალებთ... ჩვენ ყველამ ვიცით... და შემიძლია დაგამშვიდოთ, რომ კარგია რაც

ხდება... მე მეტი მაინც აღარ მინდაო. წარმოიდგინე, მან თქვა: მეტი აღარ მინდაო, მან, რომელიც ჩვენ ყველას გვახარებდა. ნეტავ, ოდესმე თუ ჩასწვდები ამას, როცა დიდი გახდები, მალტე? იფიქრე ამაზე მოგვიანებით. ვინ იცის, ეგებ რაიმეს მიხვდე. ძალიან კარგი იქნებოდა, ვინმე ისეთი რომ არსებობდეს, ვისაც ამგვარი ამბები ესმის".

„ამგვარი ამბები" აფიქრებდა დედას, როდესაც მარტო იყო. ის კი სულ მარტო იყო იმ ბოლო წლებში.

„მე ვერასოდეს მივხვდები ამას, მალტე", — ამბობდა ზოგჯერ. თავისი უცნაურად გაბედული ღიმილით, რომელსაც არ სურდა ვინმეს დაენახა და რომელიც თავის მიზანს სავსებით ასრულებდა უკვე იმით, რომ ბაგეზე ჩნდებოდა ხოლმე. „მაგრამ რომ არც არავის იზიდავს ამის გარკვევა? მე რომ კაცი ვიყო, დიახ, სწორედ, კაცი რომ ვიყო, ამაზე ვიფიქრებდი, ზუსტად, წესისა და რიგის მიხედვით, და თავიდან. რადგან რაღაც სათავე ხომ უნდა არსებობდეს. და თუკი ამ დასაწყისს ჩავწვდებოდი, ეს უკვე რაღაცა იქნებოდა. ოჰ, მალტე, ასე მივდივართ ამ ქვეყნიდან და მეჩვენება, რომ ყველა რაღაც დაბნეულია და მოუცლელი და საკმაო ყურადღებას არ გვაქცევენ. როცა მივდივართ, თითქოს ვარსკვლავი ვარდებოდეს და არავინ ხედავდეს და არავინ ნატრულობდეს რასმე... არ დავიწყო რაიმეს ნატვრა, მალტე. სურვილი, ეს არ უნდა დათმოს ადამიანმა. მე მგონი, შესრულება არ არსებობს. მაგრამ არსებობს სურვილები, რომლებიც დიდხანს ძლებენ, თითქმის მთელი ცხოვრება, ისე. რომ დრო აღარც კი გრჩება, მათ შესრულებას დაელოდო".

დედამ ინგებორგის პატარა სეკრეტერი ზემოთ დაადგმევინა თავის ოთახში და ხშირად წავასწრებდი ხოლმე მის წინ მჯდომს, რადგან მე უნებართვოდ შემეძლო შესვლა: ჩემი ნაბიჯები მთლიანად ხალიჩაში ინთქმებოდა, მაგრამ დედა მაინც მგრძნობდა და ხელს მხარზემოდან მიწვდიდა ნელა. ეს ხელი თითქმის სრულიად უწონო იყო და მას ისევე ვკოცნიდი, როგორც სპილოსძვლის ჯვარცმას, სალამოობით ძილის წინ რომ მაძლევდნენ ხოლმე. ამ დაბალ კარადას, დედაჩემის წინ თხელი დაფით რომ იხსნებოდა, ის როგორც ინსტრუმენტს ისე უჯდა. „შიგ იმდენი მზეა", — ამბობდა დედა. მართლაც, შიგნით საოცარი ნათელი იდგა ძველი ყვითელი ლაქის წყალობით, რომელზედაც ყვავილები იყო მიმოხატული,

ყველგან ერთი ლურჯი და ერთი წითელი და თუკი ალაგ-ალაგ სამი ყვავილი იყრიდა თავს, შუაში იისფერი ჰქონდათ, მათ რომ მიჯნავდა. ეს ფერები და მათთან ერთად ვიწრო თარაზული ორნამენტის მწვანე იმდენადვე ჩაბინდულიყვნენ თავისთავში, რამდენად სხივმფინარეც ძირი იყო, თუმცა ცხადად გასარჩევი კი არა. ეს ქმნიდა ტონების უცნაურად რბილსა და დაბურულ ერთიანობას, იმის გამო, რომ ისინი შინაგანად ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, მაგრამ ამაზე არას ამბობდნენ.

დედა ხსნიდა პატარა უჯრებს და ყოველი მათგანი ცარიელი იყო. „ოჰ, ვარდები“, ამბობდა ის და წინ იხრებოდა მწუხარე და ბინდიან სურნელებაში, რომელიც არასდროს იფანტებოდა. ამასთან მას მუდამ ეგონა, უცბად რაღაც შეიძლება კიდევ აღმოჩენილიყო რომელსამე საიდუმლო უჯრაში, უჯრაში, რომელიც არავის აღნდებოდა და მხოლოდ რაღაც ფარული ზამბარის დაჭერას ემორჩილებოდა. „ერთხელაც იქნება და გადმოხტება, აი, ნახავ“, — ამბობდა ის სერიოზულად და შიშნეულად და საჩქაროდ ხელავდა ყველა უჯრას, ხოლო ის ქაღალდები, რაც მათში მართლა დარჩენილიყო, დედას სათუთად შეეგროვებინა და ჩაეკეტა, წაუკითხავად. „მაინც ვერ გავიგებდი ამას. მალტე, ნამდვილად ძალიან ძნელი იქნებოდა ჩემთვის.“. მას მუდამ ეგონა, რომ ყველაფერი ძალიან რთული იყო მისთვის. „ცხოვრებაში არ არსებობს კლასები დამწყებთათვის, კაცს მაშინვე ურთულესი მოეთხოვება“. მარწმუნებდნენ, რომ დედა ასეთი თავისი დის, გრაფინია ოლეგორ სკეელის სიკვდილის შემდეგ გამხდარიყო, რომელიც დაიწვა თურმე, როცა მეჯლისის წინ, შანდლებიან სარკესთან თმაში ყვავილებს ისწორებდა. მაგრამ ბოლო ხანებში მას ხომ ინგებორგი ეჩვენებოდა ყველაზე უფრო ამოუხსნელ იდუმალებად.

ახლა კი მინდა ის ეპიზოდი აღვწერო, სწორედ ისე, როგორც დედა მიყვებოდა ხოლმე, როდესაც ვთხოვდი.

„ეს იყო შუა ზაფხულში, ხუთშაბათს, ინგებორგის დაკრძალვის შემდეგ. ტერასიდან, სადაც ჩაის შევექცეოდით, კაცს შეეძლო ვეებერთელა რცხილებს შორის საგვარეულო აკლდამის სახურავი დაენახა. სუფრა ისე იყო გაშლილი, თითქოს არასდროს მჯდარიყოს აქ კიდევ ერთი ადამიანი და ჩვენც ხალვათად შემოვსხდომოდით მაგიდას. თვითეულს, რაღაც წამოეღო, წიგნი თუ ხელსაქმის კალათა, ისე რომ ადგილი აღარც რჩებოდა. აბელონე (დედაჩემის სულ

უმცროსი და) ჩაის ასხამდა და ყველანი გართულნი იყვნენ რაღაცის მიწოდება-გადაწოდებით. მხოლოდ პაპაშენი იჯდა ჩუმად სავარძელში და სახლისაკენ იმზირებოდა. ის დრო გახლდათ, როცა ჩვეულებრივ ფოსტას' ველოდით და ისე ხდებოდა, რომ სწორედ ინგებორგს მოჰქონდა ხოლმე, რომელიც ვახშმის თადარიგის გამო კარგა ხნით იგვიანებდა. მისი ავადმყოფობის კვირებში, საკმარისი დრო გვქონდა, რომ მის მოსვლას გადავჩვეოდით, რაკი ყველამ ვიცოდით, რომ მოსვლა არ შეეძლო, მაგრამ ამ ნაშუადღევს, მალტე, როცა ინგებორგს მართლა აღარ შეეძლო მოსვლა, ის მოვიდა. ვინ იცის, ეგებ ჩვენი ბრალი იყო, ეგების ჩვენ დავუძახეთ. რადგან მაგონდება, რომ ვიჯექი და დაძაბული ვცდილობდი გამეაზრებინა თუ რა შეიცვალა ბოლოს და ბოლოს. და უცბად ვხედავ: ვეღარ ვიხსენებ თუ რა შეიცვალა. იმ წუთს სრულიად დამავიწყდა, რომ ინგებორგი მკვდარი იყო — ავიხედე და დავინახე, რომ ყველა სახლისკენ იცქირებოდა, რაღაც განსაკუთრებულად და თვალში საცემად კი არა, არამედ მართლა მშვიდად და ყოველდღიური მოლოდინით. და ის-ის იყო (ცივი ოფლი მასხამს, მალტე, როცა მაგონდება) — და ის-ის იყო, ღმერთო, დამიფარე, უნდა მეთქვა „სად არის ამდენ ხანს...", რომ ამ დროს მაგიდის ქვემოდან ტყვიასავით გამოვარდა კავალერი [38], ისე, როგორც სჩვეოდა მუდამ და მის შესაგებებლად გაექანა. მე ეს დავინახე მალტე, მე ეს დავინახე. ის გაექანა ინგებორგის შესახვედრად, თუმცა ინგებორგი არ მოსულა: მისთვის მოვიდა. მივხვდით, რომ ძაღლი მისკენ გაიქცა. ოჯერ მოგვხედა, თითქოს რაღაცას გვეკითხებოდა. შემდეგ კი ერთბაშად მიაწყდა, ზუსტად ისე, მის სიცოცხლეში როგორც იცოდა და უკვე მასთან იყო. რადგან მან დაიწყო ინგებორგის ირგვლივ ხტუნვა, მალტე, რაღაცის ირგვლივ, რაც იქ არ იყო, და შემდეგ ახტა, რომ სახე აელოკა, მაღლა ახტა და ჩვენ გვესმოდა, როგორ წკმუტუნებდა სიხარულით და როცა ის ასე ხტებოდა, ზედიზედ, კაცს შეიძლებოდა მართლა ეფიქრა, რომ ძაღლი ამ ნახტომებით ფარავდა ინგებორგს. მაგრამ უეცრად მან დაიყმუვლა, საკუთარივე ბიძგისაგან ჰაერში შემოტრიალდა, უკან გადმოქანდა, მოუხერხებლად და რაღაც განსაკუთრებულად ბრტყელად დააწყდა დედამიწას და აღარ იძვრიოდა. მეორე მხრიდან მსახური გამოვიდა სახლიდან, ხელში წეკრალებით. ერთ ხანს ყოყმანობდა. როგორც ჩანს, ადვილი არ იყო

ჩვენი სახეებისკენ გამოშურება და მამაშენმაც უკვე ანიშნა ხელით, შეჩერდიო. მამაშენს, მალტე, ცხოველები არ უყვარდა. მაგრამ ახლა ის ნელა გაემართა, ნელა, როგორც მაშინ მომეჩვენა და ძაღლისკენ დაიხარა. რაღაცა უთხრა მსახურს, რაღაცა, მალტე, ერთმარცვლინი. დავინახე, როგორ ისკუპა მსახურმა კავალერის ხელში ასაყვანად, მაგრამ მამაშენმა თავად აიყვანა და თითქოს ზუსტად იცოდა სად მიდიოდა, სახლში შევიდა".

●

ერთხელ ამ ამბის თხრობისას თითქმის რომ დაგვაღამდა, მზად ვიყავი დედაჩემისთვის „ხელის" შესახებ მეამბნა. იმ წუთში შეეძლებდი ამას. უკვე ამოვისუნთქე კიდეც, მაგრამ უეცრად გამახსენდა, თუ რა კარგად გავუგე იმ მსახურს, მათი სახეებისკენ რომ ვერ შესძლო წასვლა და მიუხედავად სიბნელისა, დედაჩემის სახის შემეშინდა, თუკი იმასვე დაინახავდა, რაც მე დავინახე. კიდევ ერთხელ ამოვისუნთქე საბოლოოდ. რათა შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს სხვა არც არაფერი მდომებია. ამ ამბიდან რამდენიმე წელი იყო გასული, როცა ურნეკლოსტერის სასახლეში ჩვენი უცნაური ღამის შემდეგ დღენიადაგ იმ მიზნით დავეხეტებოდი, რომ პატარა ერიკს გავნდობოდი, მაგრამ იმ ღამინდელი საუბრის შემდეგ ის ისევ გულდახურული გახდა ჩემს მიმართ და თავს მარიდებდა. მგონი, პატივს აღარა მცემდა. სწორედ ამიტომ მსურდა მისთვის „ხელის" შესახებ მეამბნა. მეგონა, მის თვალში ფასი მომემატებოდა (ეს კი რაღაც მიზეზით აუცილებლად მჭირდებოდა), თუკი გავაგებინებდი, რომ მე ეს ნამდვილად განვიცადე; მაგრამ ერიკი თავის არიდების ისეთი ოსტატი გახლდათ, რომ ვერაფერი გავახერხე. მერე უეცრად გავემგზავრეთ კიდეც. და ისე მოხდა, რომ ამბავს, რომელიც ეგზომ შორს ძევს ჩემს ბავშვობაში, მხოლოდ ახლა ვყვები პირველად (და ბოლოს და ბოლოს ისევ ჩემს თავს ვუყვები). რაც საკმაოდ უცნაურია.

თუ რა პატარა უნდა ვყოფილიყავი მაშინ. იმით ვამკვნი, რომ მახსოვს, სავარძელში ვიყავი ჩამუხლული, რათა უფრო მოხერხებულად მივწვდომოდი მაგიდას, სადაც ვხატავდი. ეს იყო მწუხრის ჟამს, ზამთარში, თუ არა ვცდები, ქალაქის სახლში. მაკლია ჩემს

ოთახში იდგა ფანჯრებს შორის და ოთახში სხვა არაფერი ენთო იმ ლამპის გარდა, ჩემს სახატავ ფურცლებს რომ ანათებდა და მადმუაზელის წიგნს, რადგან მადმუაზელი ჩემს გვერდით იჯდა და ოდნავ უკან გადახრილი წიგნს კითხულობდა. ის ჩვენგან შორს იყო ხოლმე წიგნის კითხვისას. ისიც კი არ ვიცი, წიგნში იყო თუ სადმე სულ სხვაგან. შეეძლო საათობით ეკითხა, იშვიათად ფურცლავდა, და ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ წიგნის გვერდები მის თვალთა ქვემოთ თავისთავად ივსებოდა ახალ-ახალი ნაწერით, თითქოსდა ის რაღაც სულ სხვა სიტყვებს ეძებდა, სიტყვებს, მას რომ სჭირდებოდა და იქ რომ არ იყო. ასე მეგონა ხოლმე, როცა ვხატავდი. ვხატავდი ნელა, რაიმე გარკვეული განზრახვის გარეშე და როცა აღარ ვიცოდი, შემდეგ რა დამეხატა, ყველაფერს ერთბაშად ვხედავდი თუ თავს ოდნავ მარჯვნივ გადავხრიდი; ასე ყველაზე უფრო სწრაფად ვამჩნევდი. კიდევ რა აკლდა. აქ იყვნენ ცხენებზე ამხედრებული ოფიცრები, საომრად რომ მიიჩქაროდნენ, ან უკვე ბრძოლის შუაგულში ტრიალებდნენ და ეს უფრო ადვილი დასახატი იყო, რადგან ბოლიღა ხდებოდა საჭირო, რომელიც ყველაფერს ფარავდა.

დედა კი ამტკიცებდა, თითქოს კუნძულებს ვხატავდი. კუნძულებს დიდი ხეებითა და სასახლით, კიბეებითა და ყვავილოვანი ნაპირებით, წყალში რომ იძირებოდნენ. მაგრამ მე მგონი, ის იგონებდა ან კუნძულები მოგვიანებით უნდა დამეხატა.

მაშ ასე, მე მხედარს ვხატავდი, ერთადერთ მხედარს, უცნაურად აღკაზშულ ცხენზე. ცხენი ისეთი ჭრელი გამოდიოდა, რომ სულ ფანქრების ცვლაში ვიყავი, მაგრამ ყველაზე ხშირად წითელი მჭირდებოდა, და მეც წამდაუწუმ ვტაცებდი ხოლმე ხელს. და აი, ერთხელაც რომ დამჭირდა, ფანქარი გაგორდა (ახლაც ვხედავ როგორ მიგორავს) განათებული ფურცლის გასწვრივ მაგიდის კიდეზე, და ვიდრე ხელს ვტაცებდი, გვერდით ჩამიქროლა, ძირს დავარდა და გაუჩინარდა. ის აუცილებლად მჭირდებოდა, და მართლა გასაბრაზებელი იყო, რომ ახლა ფორთხვით უნდა გავდევნებოდი. ისეთი მოუხერხებელი არსებისათვის, როგორიც მაშინ გახლდით, დიდ ამბავს ნიშნავდა ძირს ჩამოცოცება: საკუთარი ფეხები მეტისმეტად გრძელი მეჩვენებოდა და ველარ ვახერხებდი მათ გაშლას. დიდხანს ჩაჩოქილი ჯდომისაგან კიდურები დამბუჟებოდა. ველარც კი ვარჩევდი, ჩემი რა იყო და სავარძლისა რა. ბოლოს, როგორც იქნა ძირს

ჩამოვხტი, ცოტა შეცბუნებული, და აღმოვჩნდი ხალიჩაზე, მაგიდის ქვეშ კედლამდე რომ ეფინა. მაგრამ აქ ახალმა სიძნელემ იჩინა თავი. ზემოთ სინათლეს შეჩვეული და თეთრ ქაღალდზე აღბეჭდილი ფერებით ჯერ ისევ აღფრთოვანებული ჩემი თვალები სრულიად ვერაფრის გარჩევას ვერ ახერხებდნენ მაგიდის ქვეშ, სადაც სიბნელე ისეთი ჩაკეტილი და გამკვრივებული მეჩვენებოდა, რომ მეშინოდა, არ დავეჯახო-მეთქი. ბოლოს ჩემს შეგრძნებას მივენდე და ჩამუხლული, მარცხენა ხელზე დაყრდნობილი, მეორე ხელით გრილი, გრძელბეწვიანი ხალიჩის ვარცხნას შევუდექი, რბილად რომ ნებდებოდა ჩემს თითებს, მაგრამ ფანქარს ვერსად ვპოულობდი. მომეჩვენა, უამრავი დრო დავკარგე-მეთქი, და უკვე მინდოდა მადმუაზელისათვის მომეხმო და მეთხოვა, ჩემთვის ლამპა მოემარჯვებინა, როცა შევნიშნე, რომ უნებურად დაძაბული ჩემი თვალებისათვის სიბნელე ნელ-ნელა მჭვირვალდებოდა. უკვე შემეძლო იქითა კედელი გამერჩია, ძირს ღია ფერის თამასა რომ მიუყვებოდა. ჯარ მაგიდის ფეხებზე გავამახვილე ყურადღება, მერე კი პირველ რიგში, ჩემი საკუთარი, წინგაწვდილი ხელი შევიცანი, სრულიად მარტო რაღაც წყლის ცხოველივით რომ მოძრაობდა ქვემოთ, თითქოს ფსკერს სინჯავსო. ჩემს ხელს, ახლაც კარგად მახსოვს, თითქმის ცნობისწადილით შევცქეროდი. მომეჩვენა, რომ მან ბევრი ისეთი რამ იცოდა, რაც მე მისთვის არ მესწავლებინა. როგორც, მაგალითად, ეს მოძრაობა, ძირს ასე ერთპიროვნულად რომ დაეცეცებოდა და ადრე რომ არასდროს შემენიშნა. მივდევდი მას, როცა ის ასე წინ მიიწევდა, მაინტერესებდა, და ყოველნაირად და ყველაფრისთვის მზად ვიყავი. მაგრამ როგორ უნდა ვყოფილიყავი მზად იმისათვის, რომ ანაზდეულად კედლიდან სხვა ხელი გამოემართა მის შესახვედრად, უფრო დიდი, უჩვეულოდ გამხდარი ხელი, რომლის მსგავსიც არასოდეს მენახა. ისიც ასევე რაღაცას ეძებდა საპირისპირო მხრიდან ჩემსკენ და ორი წაწვდილი ხელი ბრმად მიემართებოდა ერთმანეთისაკენ. თუმცა ჩემი ცნობისწადილი ჯერ არ ამოწურულიყო, მაგრამ უეცრივ გაქრა და დარჩა მხოლოდ შეძრწუნება. ვგრძნობდი, რომ ხელებიდან ერთ-ერთი მე მეკუთვნოდა და რომ ის რაღაც ისეთ ამბავში გაება, რასაც აღარაფერი ეშველებოდა. ყველა უფლების გამოყენებით, რაც კი მასზე გამაჩნდა, ის შევაჩერე და ბრტყლად და ნელ-ნელა უკანვე გამოვწიე, ისე, რომ ამასობაში, იმ მეორეს, რომელიც ძებნას განაგრძობდა, თვალს არ ვა-

შორებდი. მივხვდი, რომ ის არ მოისვენებდა. არ შემიძლია გითხრათ, როგორ ავცოცდი ისევ ზემოთ. საკარძელში რაც შეიძლებოდა ღრმად ჩავჯექი, კბილები მიკაწკაწებდა, ვგრძნობდი, სახე სისხლისაგან დამეწრიტა და მეჩვენებოდა, თვალებში ლურჯი ფერი აღარ დამრჩა-მეთქი. „მადმუაზელ“ — მინდოდა მეთქვა და არ შემეძლო. მაგრამ ის უეცრად თვითონვე შეკრთა, წიგნი იქვე ისროლა, საკარძელთან ჩაიმუხლა და დამიძახა. მგონი, მანჯღრევედა კიდეც. მაგრამ მე საკუთებით გონზე ვიყავი. რამდენიმეჯერ ნერწყვი გადავყლაპე, რადგან უკვე მოყოლა მსურდა. მაგრამ როგორ? აუწერელი დაძაბვით ძალა მოვიკრიბე, მაგრამ ამის გამოხატვა, ისე, რომ ვინმეს რაიმე გაეგო, შეუძლებელი გახლდათ. უკეთუ ამ ამბისათვის საერთოდ არსებობდა სიტყვები, მე მეტისმეტად უძალკო ვიყავი, რომ ისინი მეპოვა. და ანაზდეულად შემიპყრო შიშმა: ამ სიტყვებს ხომ შეეძლოთ, ერთხელაც, ჩემი ბავშვობის შემდეგ გამომცხადებოდნენ. და ყველაზე დიდ საშინელებად მომეჩვენა, რომ მაშინ იძულებული ვიყავ-ხდებოდი, მეთქვა ისინი. სინამდვილე იქ, ქვემოთ, ერთხელ კიდევ გადამეტანა. სხვაგვარად, სახეცვლილად, თავიდან. მომესმინა, როგორ ვეთანხმები, როგორ ვიღებ მას. ამის ძალა კი აღარ შემწევდა.

ცხადია, ეს ჩემი წარმოსახვაა მხოლოდ, როცა ვამტკიცებ, მაშინ უკვე ვგრძნობდი, რომ რაღაცა გაჩნდებოდა-მეთქი ჩემს ცხოვრებაში, პირდაპირ ჩემში, რაც მარტოს უნდა მეტარებინა და რითაც მარტოს უნდა მევლო ყველგან, მუდამ და მუდამ. ვხედავ, როგორ ვწევარ ჩემს პატარა, თეჯირიან საწოლში და არ მეძინება და როგორ ბუნდოვნად ვხედავ წინასწარ, რომ ცხოვრება სწორედ ასეთი იქნებოდა: საკუთ პირწმინდად საკვირველი ამბებით, მხოლოდ ერთისთვის რომ არის ნაგულისხმები და არ გამოითქმება. არა, რა თქმა უნდა, მაშინ კი არა, მერე, გვიან, თანდათან დაგროვდა ჩემში რაღაც დარდიანი და მძიმე სიამაყე. ვხედავდი, როგორ ვივლიდი შინაგანი ცხოვრებით სავსე და მდუმარე. დაუცხრომელ სიმპათიას განვიცდიდი უფროსთა მიმართ. აღფრთოვანებული ვიყავი მათით და გადავწყვიტე კიდეც მეთქვა ეს. გადავწყვიტე მადმუაზელისათვის მეთქვა, როგორც კი შემთხვევა მომეცემოდა.

შემდეგ მეწვია ერთი ავადმყოფობა, ერთ-ერთი იმ მრავალთაგან, რომელთა წყალობით ჩემთვის ცხადი ხდებოდა ხოლმე, რომ „ხელის“ ამბავი არ იყო ჩემი პირველი საკუთარი გამოცდილება. სიცხე ფათურობდა ჩემში და სულ ქვემოდან, სულის ფსკერიდან ამოჰქონდა რაღაც ამბები, სურათ-ხატები, განცდები, რომელთა შესახებაც მანამდე არაფერი ვიცოდი. და მე ვიწექი, ზედ ჩემივე თავი დამხვავებოდა და ვუცდიდი წუთს, როცა მიბრძანებდნენ. ეს ყოველივე ისევ ჩემში შემეტანა და იქ ფენა-ფენა დამელაგებინა, წესიერად და თანმიმდევრულად. დავიწყე კიდეც. მაგრამ ჩემს ხელებქვეშ ყველაფერი უფრო იზრდებოდა, იწეწებოდა და საშინლად მატულობდა. შემდეგ კი მრისხანებამ შემიპყრო და როგორც იყო, ისევე გროვა-გროვად ჩავყარე ყველაფერი ჩემში, ძალით ჩავტენე და ჩავტკეპნე. მაგრამ მის ზემოდან ველარ შევიკარი და ძე ნახევრად ღიამ დავიყვირე. ვყვიროდი და ვყვიროდი. და ბოლოს, როდესაც საკუთარი თავიდან გამოხედვა მოვახერხე, დავინახე, რომ ისინი დიდი ხანია უკვე ჩემი საწოლის ირგვლივ შეგროვილიყვნენ და ხელებს მიჭერდნენ და ერთი სანთელიც იყო იქ და მათი ვეება ჩრდილები მათ ზურგებს უკან დაბარბაცებდნენ. მამაჩემმა მიბრძანა მეთქვა, თუ რა ხდებოდა; ეს მეგობრული, დაოკებული ბრძანება იყო, მაგრამ მაინც ბრძანება. და ის მოუთმენლობამ შეიპყრო, როცა პასუხი არ გავეცი.

დედა არასდროს მოდიოდა ღამით, თუმცა არა, ერთხელ მოვიდა. მე ვყვიროდი. და შემოვიდა მადმუაზელი, სივერსენი — სახლის მმართველი ქალი და გეორგი — მეეტლე: მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. და ბოლოს მათ ეტლი გააგზავნეს მშობლების მოსაყვანად, დიდ მეჯლისზე რომ იყვნენ მიწვეულნი, მგონი, ტახტის მემკვიდრე პრინცთან. და უცბად შემომესმა, ეტლი როგორ შემოგრიალდა და გავუუჩდი, წამოვჯექი და კარისკენ დავიწყე ცქერა, და აი მეზობელ ოთახებში ოდნავი შრიალი გაისმა და დედა შემოვიდა, გრძელ სამეჯლისო კაბაში გამოწყობილი, რომელსაც ის არად აგდებდა და თითქმის გამოიჭცა. თეთრი ბეწვი ზურგს უკან გადაიგდო და შიშველი მკლავებით შემომეხვია. და მე გაოცებულმა და აღტაცებულმა როგორც არასდროს, შევიგრძენი მისი თმა, მისი პატარა, მოვლილი სახე და ცივი თვლები მის ყურის ბიბილოებზე და აბრეშუმი

მხრების კიდეზე, ყვავილთა სურნელება რომ ასდიოდა. და ჩვენ ასე ვიდექით, გულაჩუყებულნი ვტიროდით და ერთმანეთს ვკოცნიდით, ვიდრე არ ვიგრძენით, რომ მამა იქვე იდგა და ერთმანეთს უნდა მოვშორებოდით. „მაღალი სიცხე აქვს“, — მომესმა დედაჩემის შემკრთალი ნათქვამი. მამა ხელში მწვდა და მაჯისცემის სინჯვას შეუდგა. მას მონადირეთუხუცესის კოსტიუმი ეცვა, „სპილოს ორდენის“ [39] ლამაზი, ბრტყელი, ცისფერი ზონრით. „რა უაზრობა იყო ჩვენი მოხმობა“, წარმოსთქვა მან ოთახის სიღრმისკენ, ისე, რომ ჩემთვის არც შემოუხედავს. ისინი უკან დაბრუნებას შეპირებოდნენ, უკეთუ სერიოზული არაფერი აღმოჩნდებოდა. და სერიოზული ხომ მართლაც არაფერი ყოფილა. ჩემს საბანზე კი დედაჩემის საცეკვავო ბარათი [40] ვიპოვე და თეთრი კამელიები, რომლებიც არასოდეს მენახა და თვალებზე დავიდე, რადგან ვიგრძენი, რა გრილი იყო.

●

მაგრამ რაც უსაშველოდ გრძელდებოდა, ეს იყო შუადღეები ამგვარი ავადმყოფობის დროს. უძილო და მშფოთვარე ღამის შემდეგ დილით ყოველთვის ძილი მერეოდა და როცა ვიღვიძებდი და მეგონა, უკვე თენდება-მეთქი, შუადღე იყო და შუადღე რჩებოდა და აღარ აპირებდა დამთავრებას. და ასე ვიწექი გაშლილ საწოლში და შეიძლება ოდნავ ვიზრდებოდი კიდურებში და მეტისმეტად ქანცგაწყვეტილი ვიყავი იმისათვის, რომ რაიმეს წარმოსახვის თავი მქონოდა. ვაშლის ხილფაფის გემო დიდხანს მრჩებოდა პირში. ეს კი აურაცხელ შესაძლებლობებს მთავაზობდა, უკეთუ მას რაიმე სხვა მნიშვნელობას მივანიჭებდი და მოვახერხებდი, რომ ამ წმინდა სიმჟავეს ფიქრების ნაცვლად ეტრიალა ჩემში. მოგვიანებით, როცა ძალა მიბრუნდებოდა, ზურგქვეშ ბალიშების ზვინს აღმიმართავდნენ ხოლმე და მე შემეძლო წამოვმჯდარიყავი და ჯარისკაცებით მეთამაშა. მაგრამ ისინი ისე ადვილად ყირავდებოდნენ უსწორმასწორო საბნის მაგიდიდან და თან მთელი მწკრივი ერთბაშად; და მე ხომ ჯერ წესიერად არც კი ვიყავი სიცოცხლეში დაბრუნებული, რომ ყოველთვის ისევ თავიდან დამეწყო, უცბად ეს ჩემთვის მეტისმეტი აღმოჩნდებოდა ხოლმე და მე ვითხოვდი, იმწუთშივე მოეშო-

რებინათ ყველაფერი და მსიამოვნებდა, რომ ისევ მხოლოდ ჩემს ორ ხელს ვხედავდი, ოდნავ მოშორებით, ცარიელ საბანზე.

როდესაც დედა ზოგჯერ ნახევარი საათით შემოვიდოდა და ზღაპარს მიკითხავდა (ნამდვილი ხანგრძლივი კითხვა სივერსენს ევალებოდა), ეს მართლა ზღაპრის გულისთვის კი არა ხდებოდა. რადგან ჩვენ უკვე გამორკვეული გვქონდა, რომ ზღაპრები არცერთს არ გვიყვარდა. ჩვენ სასწაული სულ სხვაგვარად გვესმოდა. მიგვაჩნდა, რომ ყველაზე ბუნებრივი ამბები ყველაზე სასწაულებრივი იყო. დიდად არაფრად ვაგდებდით ჰაერში ფრენას, ფერიები იმედს გვიცრუებდნენ და სხვა არსებად გადაქცევა ჩვენთვის ერთობ ზედაპირულ ფერისცვალებას წარმოადგენდა. მაგრამ კითხვით ცოტას მაინც ვკითხულობდით, რათა საქმიანი იერი გვქონოდა. არ გესიამოვნებდა, როცა იძულებულნი ვხდებოდით, ვინმე შემოსულისთვის განგვემარტა, თუ რას ვაკეთებდით. განსაკუთრებით მამაჩემს ვეპასუხობდით ხოლმე გადაჭარბებულად ზუსტად და მკაფიოდ.

მხოლოდ მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიყავით, რომ იელს არავინ შეგვიშლიდა და როცა გარეთ ბინდდებოდა, მივეცემოდით ხოლმე მოგონებებს, საერთო მოგონებებს, რომლებიც ორივეს ძალზე ძველი გვეჩვენებოდა და ღიმილს გვგვრიდა, რადგან მას შემდეგ ორთავეს ხანი შეგვმატებოდა. გვახსენდებოდა: ერთი დრო იყო, როცა დედა ნატრობდა, რომ მე პატარა გოგონა ვყოფილიყავი და არა ის ბიჭი, რომელიც სამწუხაროდ უკვე ვიყავი. ეს სურვილი როგორღაც გამოვიცანი და აზრად მომივიდა, ზოგჯერ ნაშუადღევს დედაჩემის ოთახის კარზე დამეკაკუნა და როცა ის კითხულობდა, ვინ არისო, მაშინ ბედნიერი ვიყავი, რომ შემეძლო მეპასუხა, სოფია-მეთქი. თან ისედაც სუსტ ხმას ისე ვინაზებდი, რომ ხორხში მიღლტინებდა. და მერე როცა ოთახში შევდიოდი (პატარა გოგონას საშინაო კაბაში გამოწყობილი, ისედაც რომ მეცვა ხოლმე, ბოლომდე აკეცილი სახელოებით), უბრალოდ სოფია ვიყავი, დედას პატარა სოფია, შინაურულად რომ ფუსფუსებდა და დედა რომ თმას უწნავდა, რათა იმ ცუდ მალტეში არ არეოდათ, თუ მოვიდოდა. ამისი მოსვლა კი არავის ეპიტნავებოდა. დედას და სოფიას ერთნაირად სიამოვნებდათ, რომ მალტე იქ არ ბრძანდებოდა და რომ მათი საუბრები (რომელთა დროსაც სოფია ისევ იმ წვრილი ხმით ლაპარაკობდა) უმეტესად მალტეს უკვანო საქციელს ეხებოდა და ფასტიროდა. „ოჰ, ოჰ, ეს მალტე“, ოხრავდა დედა. სოფიამ კი იმდენი

რამ იცოდა ბიჭების უსაქციელობაზე საერთოდ, თითქოს ბიჭების მთელ ლაშქარს იცნობდა.

„ნეტავი გამაგებინა, რა დაემართა სოფიას“, — უცბად იტყოდა ხოლმე დედა ამ მოგონებების დროს. ამაზე მალტეს, ცხადია, პასუხის გაცემა არ შეეძლო, მაგრამ როცა დედა აზრს გამოთქვამდა, სოფია ალბათ უკვე მოკვდაო, მაშინ კი მალტე ჯიუტად ედავებოდა და აფიცებდა, ეს არცერთ შემთხვევაში არ დაეჯერებინა, სოფიას არსებობა რა გინდ ძნელი დასამტკიცებელიც არ უნდა ყოფილიყო.

●

ახლა, როცა ვიგონებ, მიკვირს, რომ ამ სიცხეების ქვეყნიდან ყოველთვის მაინც მრთელი და საღ-სალამათი ვბრუნდებოდი. და თავს ერთ მშვენიერ დღეს ისევ იმ უაღრესად ერთობლივ ცხოვრებაში აღმოვაჩენდი ხოლმე, სადაც თვითეულს სურდა, განემტკიცებინა განცდა, რომ ნაცნობ საგანთა შორის იმყოფებოდა, და სადაც ასე ფრთხილად იტანდნენ ერთმანეთს გასაგები და ცხადი მოვლენების საუფლოში. იქ რაიმეს ელოდებოდნენ და ის მოდიოდა ან არ მოდიოდა, რაღაც მესამე კი გამორიცხული გახლდათ. იყო მოვლენები, სამწუხარო მოვლენებად რომ მიეჩნიათ, ერთხელ და სამუდამოდ, იყო სასიხარულო მოვლენები და უამრავი — არაფრისმთქმელი. უკეთუ ვინმეს რაიმე სიხარულს უმზადებდნენ, ეს იყო, სიხარული და სხვა არაფერი, და ისიც ამის შესაბამისად უნდა მოქცეულიყო. მთლიანად ეს ყველაფერი ფრიად მარტივ რასმე წარმოადგენდა და თუ კაცი ერთხელ აუღებდა ალღოს, მერე ყველაფერი თითქმის თავისთავად მიდიოდა. გრძელი ერთნაირი გაკვეთილები, როცა გარეთ ზაფხული იდგა; სეირნობანი, რომელთა შესახებაც ფრანგულად უნდა მოგეთხრო; სტუმრები, რომელთა გულისთვისაც სახლში გიხმობდნენ, და რომელნიც სასაცილოდ მიიჩნევდნენ, თუკი მაინცდამაინც იმ დროს მოწყენილი იქნებოდი და შენით ერთობოდნენ, როგორც შეიძლება კაცი გაერთოს ჩიტების ნაღვლიანი სახით, სხვა სახე რომ არ გააჩნიათ; და დაბადების დღეები, რა თქმა უნდა, ბავშვებს რომ იწვევდნენ შენი გულისთვის. ბავშვებს, რომელთაც ძლივს თუ იცნობდი, დამორცხვებულ ბავშვებს, სხვებსაც რომ ამორცხვებდნენ, ანდა თავხედებს, სახეს რომ გიკაწრავდნენ და გილილავებდნენ, (სახეს, რომელიც ის-ის იყო გა-

ჭირვებით მიგელო), და შემდეგ უეცრად რომ მიემგზავრებოდნენ, როცა ყველაფერი გადმოქოთებული იყო სკივრებიდან და უჯრებიდან და გროვა-გროვად ეყარა იატაკზე. მხოლოდ მაშინ, მარტოდმარტო რომ თამაშობდი, როგორც ყოველთვის, შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ამ შეთანხმებულ და არსებითად უწყინარ სამყაროში უეცრად რაღაც გაუთვალისწინებელზე გადაგებიჯებინა და ისეთ მიმართულებათა შორის ამოგეყო თავი, რომელნიც მთლიანად განსხვავებული ბუნებისანი იყვნენ და რომელთა აღრევე გათვალისწინება სრულიად შეუძლებელი გახლდათ.

●

მადმუაზელს დროდადრო შაკიკი აწუხებდა, ესოდენ მძაფრად რომ წამოუვლიდა ხოლმე და ასეთ დღეებში მე ძნელი საპოვნელი გახლდით. ვიცი, მეეტლეს გზავნიდნენ პარკში, ფუკი მამაჩემს გავახსენდებოდი და თვალს ვერსად მომკრავდა. შემეძლო ზემოდან, ერთ-ერთი სასტუმრო ოთახიდან დამენახა, როგორ გარბოდა ჩვენი მეეტლე გრძელ ხეივანში და როგორ მეძახდა. ეს სასტუმრო ოთახები, ულსგორის სასახლის ფრონტონზე ერთიმეორის გვერდით განლაგებული, სულ ცარიელი იყო; რაკი ამ დროს იშვიათად თუ ვინმე გვესტუმრებოდა ხოლმე. ამ ოთახებს მოსდევდა ის დიდი კუთხოვანი დარბაზი, ესოდენ ძალუმად რომ მიზიდავდა. იქ არაფერი იდგა ერთი ძველი ბიუსტის გარდა, რომელიც, მგონი, ადმირალ იუელის [41] გამოსახულებას წარმოადგენდა. მაგრამ სამაგიეროდ ირგვლივ მთელ კედლებში დატანებული იყო ღრმა, ნაცრისფერი კარადები. ისე, რომ ფანჯარაც კი ამ კარადების თავზე, ცარიელ, თეთრად შეფეთქილ კედელში გამოეჭრათ. გასაღები, ერთ-ერთი კარადის კარში რომ ვიპოვე, ყველა დანარჩენსაც აღებდა. ასე დავათვალიერე მოკლე ხანში ყველაფერი, რაც კი ეკიდა: მეთვრამეტე საუკუნის კამერჰერთა ფრაკები, საშინლად ცივი ჩაქსოვილი ოქრომკედის გამო, მათი პიჯაკები, „დანებროგისა“ [42] და „სპილოს ორდენთა“ შესამოსელი, პირველად ქალის კაბები რომ გეგონებოდათ, ისეთი მდიდრული და საგანგებო შესახედაობა ჰქონდათ და მათი სარჩული ისე ლბილად ხვდებოდა ხელს. შემდეგ კი ნამდვილი სამეჯლისო კაბები, გაფხორილი სარჩულების წყალობით ერთმანეთისაგან შორიშორს და ისე გაჰევებული რომ ეკიდა, თითქოს

რაღაც უსაშველოდ გრძელი სპექტაკლის თოჯინები ყოფილიყვნენ; სპექტაკლისა, რომელსაც ისე სამუდამოდ გასვლოდა ყავლი, რომ ამ თოჯინების თავები ახლა სულ სხვა რამეში გამოეყენებინათ. ამათ გვერდით კი ის კარადები იყო განლაგებული, რომლებიც მთლად დაებნელებინა იქ დაკიდულ, ბოლომდე შეკრულ სამხედრო ფორმებს. ეს ფორმები დანარჩენ სამოსთან შედარებით გაცილებით უფრო ნახმარი ჩანდნენ და მგონი, არც სურდათ, რომ შენახულიყვნენ.

არავის მოეჩვენება გასაკვირად, რომ ამ ტანსაცმელს საკიდარიდან ვხსნიდი და სინათლეზე გამომქონდა, რომ ხან ერთსა და ხან მეორეს ტანზე ვიფარებდი ან მხრებზე წამოვისხამდი, ოღონდ: რომ ერთი კოსტიუმი, რომელიც თითქოს უნდა მომრგებოდა, ფაცა-ფუცით ჩავიცვი, ცნობისწადილითა და მღელვარებით შეპყრობილი მეორე ოთახში გავვარდი და უამრავ სხვადასხვაფერი მწვანე მინისგან შეკრულ, ვიწრო სარკესთან მივირბინე. ოჰ, როგორ ვცახცახებდი იმის წადილით, რომ შიგ შევსულიყავი, სარკის წიაღში, და რა ცნობისწამღები გახლდათ, როცა უკვე იქ ვიყავი: რაღაცა მოიწევდა იმ ბურუსიდან, უფრო ნელა, ვიდრე თავად ის, ვინც სარკეში ისეფებოდა. რადგან სარკე იმავ წუთს როდი იჯერებდა და ნამძინარევს როდი უნდოდა მაშინვე გაემეორებინა, რასაც კარნახობდნენ. მაგრამ ბოლოს ნებას უნდა დაჰყოლოდა და მაშინ განსაცვიფრებელ რასმე აჩენდა, რაღაც უცხოს, რაღაც სულ სხვას, ვიდრე ელოდნენ, რაღაც სრულიად უცაბედსა და თავისთავადს, რასაც სწრაფად შეავლებდა თვალს კაცი, რათა მეორე წუთს მაინც საკუთარი თავი შეეცნო და არც მთლად რაღაცა ირონიის გარეშე, ერთ წამში რომ შეეძლო მთელი სიამოვნების ჩაშხამება. მაგრამ თუ მაშინვე ლაპარაკს დაიწყებდი, წელში მოიხრებოდი, საკუთარ გამოსახულებას თავს დაუქნევდი, ასე შიგნიდან გარეთ საკუთარი თავისაკენ გამომზირალი, გაშორდებოდი და შემდეგ, თითქოს რაღაცა გადაწყვეტილებითა და თან აღელვებული კვლავ დაუბრუნდებოდი, მაშინ ხომ წარმოსახვა უკვე მთლიანად შენს მხარეზე იყო, ვიდრე მთელი ეს თამაში თავად არ მოგბეზრდებოდა.

მაშინ სწორედ იმ გავლენას ვაკვირდებოდი, სამოსს რომ შეუძლია მოახდინოს ადამიანზე. ჩავიცვამდი თუ არა რომელიმეს ამ კოსტიუმთაგან, უნდა მეღიარებინა, რომ მისი გავლენის ქვეშ ვექცეოდი. ის მიდგენდა მოძრაობებს, გამომეტყველებას, ჩემს

მეხვედრებსაც კი ის მკარნახობდა. ჩემი ხელის მტევანი, მაქმანიანი მანჟეტები რომ ეცემოდა, სულაც აღარ იყო ჩემი ჩვეულებრივი ხელი; ის აქტიორივით მოძრაობდა, დიახ, მინდოდა მეთქვა, თავისთავს თვითონ შესცქეროდა-მეთქი, რა გადაჭარბებულადაც არ უნდა ეღერდეს. მაგრამ ეს გარდასახვანი ისე შორს კი არ მიდიოდნენ. რომ გაუცხოვება მეგრძნო რაიმე ჩემი თავისგან, პირიქით, რაც უფრო მრავალფეროვანი იყო ეს გარდაქმნები, მით უფრო მეტად ვრწმუნდებოდი ჩემსავე თავში. სულ უფრო გაბედული ვხდებოდი, სულ უფრო შორს მივყვებოდი ჩემს წარმოსახვას, ზემოთ მივქროდი, რადგან ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ყოველთვის მოვახერხებდი თავის დაჭერას. სწრაფად მზარდ თავდაჯერებულებაში ცთუნებას ვერ ვამჩნევდი. ჩემს ბედისწერას ისღა აკლდა, რომ, ბოლო კარადა, რომელსაც, მეგონა, ვერ გავაღებ-მეთქი, ერთ მშვენიერ დღეს ჩემს ნებას დაჰყვა და წინ სამოსის ნაცვლად ნიღბების მთელი წყება გადამიშალა, რომელთა ზღაპრული სიჭრელისგან თავბრუ დამეხვა. შეუძლებელია იმის ჩამოთვლა, რაც იქ ეკიდა. გარდა შავი, ნიღბიანი მანტიისა, კარგად რომ მახსოვს, იქ იყო სხვადასხვა ფერის დომინოები[43], ქალის ქვედატანები, წკრიალწკრიალი რომ გაჰქონდათ ჩაკერებული მონეტების გამო. იყო პიეროები[44], სულელური რომ მეჩვენებოდა, ნაოჭებასხმული თურქული შარვლები, არაბული ქუდები, პატარა ქაფურის ტოპრაკები რომ დასთრევდათ უკან და არაფრისმაქნისი თვლებით მოოჭვილი გვირგვინები. მთელი ეს ჭრელა-ჭრელა პატივისცემას არ აღმიძრავდა, იმდენი საცოდავი არანამდვილობა იდგა მათში, და ისე გამოშიგნულად და უბადრუკად ეკიდნენ იქ, და ისე დუნედ და უნიბოთოდ ეთრეოდნენ ძირს, სინათლეზე როცა გამქონდა. მაგრამ რამაც მართლა გამაოგნა, ეს იყო უზარმაზარი წამოსასხამები, ჭსოვილები, შარფები, პირბადეები, მთელი ეს დამყოლი, ვრცელი და გამოუყენებელი აღკაზმულობა, ასეთი სალუქი და მოალერსე, ან ისე სრიალა, რომ ხელიდან უსხლტებოდა ადამიანს, ან ისე მსუბუქი, რომ სიოსავით მილივლივებდა, ან ერთობ მძიმე. მათ პირველად დამანახეს უსასრულოდ მრავალფეროვანი შესაძლებლობანი: გავშხდარიყავი მონა ქალი, რომელსაც ჰყიდნენ, ან ჟანა დ' არკი, მოხუცი მეფე ან ჯადოქარი. ყველაფერი შემეძლო, განსაკუთრებით კი იმის წყალობით, რომ ნიღბებიც იქვე იყო, დიდი, დამუქრებული, თუ განცვიფრებული პირისახენი ნამდვილი წვერებითა და ჩა-

მობურული ან ზემოთ აყრილი წარბებით. მანამდე ნიღბები არასდროს მენახა, მაგრამ იმთავითვე ვხვდებოდი, რომ ისინი უნდა არსებულიყვნენ ამქვეყნად. გამეცინა, რადგან გამახსენდა. რომ ერთი ძაღლი გვყავდა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ნიღაბს ატარებსო. წარმომიდგა მისი კეთილი თვალები, მუდამ თითქოსდა ბანჯგვლიანი ნიღბის სიღრმიდან რომ იმზირებოდნენ. ისევ ვიცინოდი და თან ვიმოსებოდი და ამასობაში სულ დამავიწყდა. თუ ვინ უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ახალიც იყო და საინტერესოც, რომ ეს შემდეგ, პირდაპირ სარკის წინ გადამეწყვიტა. ნიღაბს, რომელიც ავიფარე. უცნაური, ფუტურის სუნი აუდიოდა და მჭიდროდ მეკვროდა სახეზე. მაგრამ მაინც შემეძლო იქიდან მოხერხებულად მეჭვრიტა. ასე რომ, როცა ნიღაბი უკვე სახეზე მქონდა. მაშინდა შევუდექი ქსოვილების არჩევას, ვიდექი და ჩალმასავით ვიხვევდი თავზე, ბოლოს ნიღბის ქვედა კიდე ყელთან უზარმაზარ წამოსასხამში ჩაეფლო. ხოლო გარშემო მჭიდროდ შეფუთული აღმოჩნდა. მეტი აღარ შემეძლო. თავი საკმარისად შებურულ-შენიღბულად დავიგულე, ერთ კვერთხსაც დავავლე ხელი და ასე გავბაჯბაჯდი. მართალია, არცთუ მსუბუქად, მაგრამ როგორც მეჩვენებოდა, ძალზედ ღირსეულად, სასტუმრო ოთახში სარკესთან.

ჩემი ჩაცმულობა მართლაცდა დიდებული აღმოჩნდა. ყოველგვარ მოლოდინს ვადააჭარბა. სარკემაც იმავ წუთს აირეკლა და უკან დააბრუნა, ისეთი დამარწმუნებელი რამ გახლდათ. სულაც არ იყო საჭირო ბევრი მოძრაობა. ეს გამოცხადება სრულყოფილებას წარმოადგენდა მაშინაც კი, როცა არაფერს არ აკეთებდა. მაგრამ ღირდა კი იმის გაგება, თუ ვინ ვიყავი ბოლოს და ბოლოს. ამიტომ ოდნავ შევტრიალდი და ორივე ხელი ზემოთ აღვმართე: თითქოს ვლოცულობდი. რაც, როგორც მაშინვე შევნიშნე, ერთადერთი სწორი პოზა გახლდათ. მაგრამ სწორედ ამ საზეიმო წუთს, საიდანღაც სრულიად ახლოდან, ჩემი მრავალფენოვანი სამოსით დახშული, რაღაც მრავალბგერა ხმაური შემომესმა; შიშისაგან თავგზააბნეულმა ის არსება სარკეში თვალთაგან დავკარგე და საშინელმა სიანჩხლემ შემიპყრო, როცა დავინახე, რომ პატარა, მრგვალი მაგიდა, ღმერთმა იცის თუ რა და რა, ალბათ ძალზე მყიფე საგნებთან ერთად გადამეყირავებინა. როგორც შემეძლო დავიკუზე და მაშინვე დავინახე ჩემი ავბედითი მოლოდინის დადასტურება: თითქოს ყველაფერი დალეწილიყო, ორივე, სრულიად არაფრისმაქნისი

მომწვანო-მოლურჯო ფაიფურის თუთიყუში, ცხადია, თვითეული თავისებურად უკეთურად დამსხვრეულიყო. რაღაც შუშის ყუთს კი, საიდანაც ვერცხლის ქაღალდში შეხვეული რაღაც მწერების მსგავსი კანფეტები მოგორავდნენ, თავისი სახურავი შორს მოესროლა და იმ სახურავის ნახევარიღა მოსჩანდა, ხოლო მეორე ნახევარი საერთოდ გამქრალიყო. მაგრამ ყველაზე საშინელი უთვალავ წვრილ ნამსხვრევად ქცეული ფლაკონი გახლდათ, საიდანაც რაღაც ძველისძველი ესენცია გადმოღვრილიყო და აი, ახლა საზიზღარ ლაქად აჩნდა ღია ფერის იატაკს. სასწრაფოდ მოვწმინდე რაღაცით, ძირს რომ დამთრევდა, მაგრამ ლაქა უფრო ჩაშავდა და მთლად დაუშნოვდა. ნამდვილმა სასოწარკვეთამ შემიპყრო. ავდექი და რაღაც ისეთ საგანს დავუწყე ძებნა, რითაც ყველაფერს წესრიგში მოვიყვანდი, მაგრამ ვერაფერი ვიპოვე და თან ისე შებურული ვიყავი და ისე მეშლებოდა ხელი ძებნასა და მოძრაობაში, რომ მრისხანება მომეძალა ჩემი უაზრო მდგომარეობის გამო, რომელსაც ველარც კი ვაცნობიერებდი. ყველაფერს ვიგლეჯდი ტანიდან, მაგრამ ყველაფერი უფრო მჭიდროდ შეკვროდა. წამოსასხამის ზონრები მახრჩობდა და თავზე წამოდგმული ჩალმაც ისე მაწვებოდა, თითქოს თანდათან იზრდებაო. თან ჰაერიც შეიხუთა, თითქოს დადამბლავდა ამღვრეული სითხის ძველთაძველი სურნელებისაგან.

გავარვარებული და განრისხებული სარკესთან მივიჭერი და ღონემიხდილი ვუყურებდი ნიღბიდან, რა გაფაციცებით მუშაობდნენ ჩემი ხელები. და სწორედ ამას უცდიდა სარკეც. წუთი, როცა მას თავი უნდა გამოეჩინა, დამდგარიყო. ვიდრე ჩემი შებოჭილობა სულ უფრო იზრდებოდა და მე მთელ ძალღონეს ვძაბავდი, რათა რამენაირად ამ ჩემი შეფუთულობიდან თავი დამეღწია, სარკე მაიძულებდა, რა ვიცი რა საშუალებებით, მისკენ მეცქირა და მკარნახობდა რაღაც სურათს, არა, რაღაცა სინამდვილეს, რაღაცა უცხო, მიუწვდომელ, კოშმარულ სინამდვილეს, რომელიც მგუდავდა და არაჟს მეკითხებოდა, რადგან ახლა ის იყო მოქმედი და უფრო ძლიერი, მე კი სარკე ვიყავი. მივშტერებოდი ჩემს წინაშე მდგომ ამ ვეება, ზარდამცემ უცნობს და ჯოჯოხეთად მეჩვენებოდა მასთან ასე პირისპირ ყოფნა. მაგრამ იმ წუთას, ამას რომ ვფიქრობდი, მოხდა ყველაზე უარესი: მე გონი დავკარგე, უბრალოდ, მთლიანად გამოვითიშე. ერთი წამი რაღაც ენითაუწერელ მტკივნეულ და ამაო

ლტოლვას განვიცდიდი ჩემივ თავისაკენ: რადგან ჯერჯერობით მხოლოდ ის იყო, ის უცნობი, და სხვა აღარაფერი მის გარდა.

ადგილს მოვწყდი და გავექეცი. მაგრამ ეს მე კი არა, თვით უცნობი გარბოდა. ის ყველაფერს ეჯახებოდა, ბინას ვერ სცნობდა, არ იცოდა საითკენ წასულიყო, ერთი კიბე ჩაირბინა და გასასვლელში ვიღაცას შეასკდა, ვინც კივილით გადახტა განზე. რომელიღაც კარი გაიღო და რამდენიმე ადამიანი გამოვიდა. ოჰ! ოჰ! რა კარგი იყო, რომ მათ იცნობდა. ეს სივერსენი გახლდათ, კეთილი სივერსენი, მოახლე გოგო და მსახური. მხოლოდ არჩევანი იყო საჭირო. მაგრამ ისინი როდი გამოიქცნენ გადასარჩენად. მათი გაოგნება საზღვარს გადასცდა. იდგნენ და იცინოდნენ. ღმერთო ჩემო, მათ შეეძლოთ ასე მდგარიყვნენ და ეცინათ, მე კი ვტიროდი. მაგრამ ნიღაბი ცრემლებს არ ატარებდა. ცრემლები სახეზე მეღვრებოდა, მაშინვე შრებოდა და ისევ მეღვრებოდა. და ბოლოს დავიჩოქე იმათ წინაშე, როგორც არავინ არასოდეს არ დაჩოქილა; დავიჩოქე, ხელები აღვაპყრე მათკენ და შევღაღადე: „ამომიყვანეთ, თუ კიდევ შეიძლება და დამიჭირეთ“. მაგრამ არ ესმოდათ. ხმა აღარ მქონდა.

შემდეგ სივერსენი სიცოცხლის ბოლომდე ჰყვებოდა, ძირს როგორ დავცემულვარ და ისინი კი როგორ განაგრძობდნენ სიცილს, იმ რწმენით, რომ ჩემი დაცემაც მთელი ამ სანახაობის ნაწილი იყო. მაგრამ შემდეგ აღარ განვძრეულვარ და პასუხიც აღარ გამიცია. და როგორ დასცემიათ თავზარი, როცა ბოლოს მიმხვდარან, რომ მე გულწასული ვიყავი და იმ ქსოვილებში საგანივით ვეგდე, ნამდვილი საგანივით.

●

დრო სწრაფად გადიოდა და შეუმჩნევლად მოატანდა ხოლმე ის დღეც, როცა მოქადაგე დოქტორ ესპერსენს ვპატიჟებდით. ორივე მხარისათვის ეს ფრიად მომქანცველი და შემაღონებელი პურადობა გახლდათ. თავის უაღრესად ღვთისმოსავ მეზობლებს მიჩვეული, მას რომ ლამის ზედ ადნებოდნენ, დოქტორი ჩვენთან რაღაც ადგილს ვერ პოულობდა. მე ვიტყოდი, იჯდა და ხმელეთზე ამოვარდნილი თევზივით უჰაერობისაგან სულსა ღაფავდა. ლაყუჩებით სუნთქვა, მას რომ გამოემუშავებინა, სულ უფრო უჭირდა, პირთან ბუშტები უჩნდებოდა და მთელი ეს პროცესი არცთუ საიმედო

შთაბეჭდილებას ტოვებდა. სასაუბრო მასალა, თუკი სიზუსტეს გამოვიჩენთ, საერთოდ არ არსებობდა. ამ მასალის ნამცეცების ათვისება მოსაუბრეთაგან წარმოუდგენელ ძალას ითხოვდა და ამით ფაქტიურად მთელი მარაგი ნადგურდებოდა კიდეც. დოქტორი ესპერსენი ჩვენთან რაღაც სახლიკაცის როლით უნდა დაკმაყოფილებულიყო, რაც სწორედ რომ არასოდეს ყოფილა ჩვენთვის. ის როგორც თავად თვლიდა, სულის დარგში იყო განწესებული. სული საჯარო დაწესებულება გახლდათ მისთვის, რომლის წარმომადგენლადაც თავი მიაჩნდა და ახერხებდა კიდეც, რომ არასოდეს სამსახურის გარეშე არ ყოფილიყო, თვით თავის მეუღლესთან, თავის „მოკრძალებულ, ერთგულ რებეკასთანაც კი, ურიცხვი მშობიარობის გზით თანდათან რომ უახლოვდებოდა ნეტარებას“, როგორც სხვა კერძო შემთხვევაში აღნიშნა ლაფატერმა [45].

რაც შეეხება მამაჩემს, მისი დამოკიდებულება ღმერთის მიმართ საკვლევით კორექტული გახლდათ და უზადო თავაზიანობით აღბეჭდილი. ზოგჯერ ეკლესიაში, სუნთქვაშეკრული რომ იდგა და მოთმინებით უცდიდა იმ წუთს, როცა წელში უნდა მოხრილიყო, მეჩვენებოდა, ღმერთთანაც მონადირეთუხუცესის მოვალეობას ასრულებს-მეთქი. დედას კი, პირიქით, თითქმის შეურაცხმყოფელად მიაჩნდა, რომ ვინმეს შეიძლება, რაღაც მოწესრიგებული და ზრდილობიანი დამოკიდებულება ჰქონოდა ღმერთთან.

ის რომ სხვა, მძაფრი და მრავალფეროვანი რიტუალების რელიგიას ზიარებოდა, მისთვის მართლაც ნეტარება იქნებოდა, საათობით მუხლი ედრიკა და ძირს განრთხმულიყო და უზარმაზარი ჯვარი დაეკიდა მკერდზე ანდა მხრებით ეზიდა. მას ჩემთვის ლოცვა არ უსწავლებია, მაგრამ სიმშვიდე ეუფლებოდა, როცა ხალიჩით ვიჩოქებდი და ხან წელშიმოხრილი, ხან გამართული, მლოცველივით ვიწვდიდი ხელებს. ჩემს თავთან საკმაოდ განმარტოებულმა მე ადრევე გავიარე განსაცდელთა და გამოცდილებათა უგრძესი რიგი, რომელიც შემდეგ, ძალიან გვიან, ღმერთისკენ წარვმართე და ისე მძაფრად, რომ ის შეიქმნა და დაიმსხვრა შექმნისთანავე. ცხადია, ამის შემდეგ ყველაფერი თავიდან უნდა დამეწყო. და ამ დაწყებისას ზოგჯერ ვფიქრობდი, დედაჩემი მჭირდება-მეთქი. თუმცა, რა თქმა უნდა, გაცილებით სწორი იქნებოდა, რომ სრულიად მრატოს გამევლო ეს გზა. და ესეც რომ არა, ამ დროს დედა უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო.

დოქტორ ესპერსენთან დედას ხუმრობა და გართობაც შეეძლო, დედა იწყებდა საუბარს, დოქტორი რომ სერიოზულად იღებდა, და როგორც კი ესპერსენიც აჰყვებოდა, დედა ფიქრობდა, ეს სავსებით საკმარისიაო, და ყურადღებას აღარ აქცევდა, სრულიად ავიწყდებოდა, თითქოს დოქტორი იქ აღარც იყო. „როგორ შეუძლია ასე იაროს სახლებში და ადამიანს მაინცდამაინც მაშინ დაადგეს თავზე, როცა ის კვდება?" — ამბობდა დედა ესპერსენზე.

დოქტორი მასაც დაადგა თავზე ამ შემთხვევის გამო, მაგრამ დედამ ალბათ ვეღარც დაინახა: აღქმის უნარი უკვე დაჰკარგვოდა, ყველაზე ადრე კი სახე ჩაუქრა. ეს შემოდგომაზე მოხდა. უკვე ქალაქში ვაპირებდით გადაბარგებას, რომ დედა უეცრად ავად შეიქნა, ან უფრო სწორედ, მან მაშინვე დაიწყო კვდომა: კვდებოდა ნელა და უნუგეშოდ, მთელ სხეულზე კანი უშრებოდა და უჭკნებოდა. ექიმები მოდიოდნენ. ერთ დღესაც ყველანი ერთად შეიყარნენ და მთელი ჩვენი სახლი გაავსეს. მათი თათბირი რამდენიმე საათს გაგრძელდა, თითქოსდა სახლი საიდუმლო საბჭოსა და მის თანაშემწეთ დაესაკუთრებინათ, ჩვენ კი ხმის უფლება არა გვქონდა. მაგრამ შემდეგ მათ უცბად დაკარგეს ყოველგვარი ინტერესი დედაჩემის მიმართ. ისევ მოდიოდნენ ხოლმე, ოღონდ სათითაოდ, თავაზიანობის გულისთვის, რათა ერთი სიგარა მოეწიათ და ერთი ჭიქა პორტვეინი მიერთვათ. ამასობაში კი დედა მოკვდა.

დედაჩემის ერთადერთ ძმასღა ელოდებოდნენ, გრაფ ქრისტიან ბრაეს, რომელიც ერთი ხანობა თურქეთის სამსახურში იდგა, სადაც ის, როგორც ყველა ამბობდა, ფრიად გამოერჩიათ და დაეწინაურებინათ. გრაფი ერთ დილას ჩამოვიდა უცხოელი მსახურის თანხლებით და მე ძალიან გამიკვირდა, რომ ის მამაჩემზე მაღალი და ალბათ უფრო ხნიერიც აღმოჩნდა. ბატონებმა მაშინვე რაღაც გადაულაპარაკეს ერთმანეთს, რაღაც, რაც ჩემის მიხვედრით, დედას ეხებოდა. შემდეგ მამაჩემმა თქვა: „ძალზე დამახინჯებულია". ამ ნათქვამს მაშინ ვერ მივხვდი, მაგრამ გამაკრეოლა, როცა მომესმა. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მამაჩემმაც თავს ძალა დაატანა და გაჭირვებით წარმოსთქვა. მაგრამ თუ ის იტანჯებოდა, როცა დედაჩემის დამახინჯება აღიარა, მხოლოდ შელახული თავმოყვარეობის გამო.

მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ, ამჯერად უკვე ურნეკლოსტერში, ისევ გავიგონე, რომ გრაფ ქრისტიანს ახსენებდნენ. და სწორედ მატილდე ბრაე გახლდათ, ვინც მასზე განსაკუთრებული სიყვარულით ლაპარაკობდა. ახლა დარწმუნებული ვარ, რომ ცალკეულ ეპიზოდებს ის თვითონ თხზავდა, რადგან ბიძაჩემის ცხოვრება, რომლის შესახებაც ნიადაგ მხოლოდ მითქმა-მოთქმა აღწევდა საზოგადოების და ასე განსაჯეთ, ოჯახის ყურამდეც კი, უსასრულო მრავალფეროვნებით შეიძლებოდა გადმოცემულიყო, რაკი ამ ჭორების გაბათილება მას არასოდეს უცდია. ურნეკლოსტერი ახლა მის მფლობელობაშია. მაგრამ არავინ იცის, ცხოვრობს თუ არა იგი იქ. ეგებ ჯერ ისევ მოგზაურობს ჩვეულების მიხედვით. ვინ იცის, ეგებ მისი სიკვდილის ამბავი დედამიწის უშორეს კუთხიდან უკვე გზაშია, მოწერილი უცხო მსახურის ხელით ცუდ ინგლისურ ანდა რომელსამე უცნობ ენაზე. ვინ იცის, ეგებ ამ მსახურმა არც არაფერი ნიშანი მოგვცეს, როცა ბატონის სიკვდილის შემდეგ მარტო დარჩება. ვინ იცის, ეგებ, ორივენი რა ხანია, რაც დაიღუპნენ და რომელიმე ჩაძირული გემის მგზავრთა სიაში სულ სხვა გვარებით წერიან.

ოღონდ მაშინ ურნეკლოსტერში ეტლი რომ ჩაიქროლებდა, მუდამ ველოდი: აი, ახლა შემოვა და დავინახავ-მეთქი და გული განსაკუთრებულად მიწყებდა ძგერას. მატილდე ბრაეც გვარწმუნებდა: სწორედ ასე მოვაო, ასე იცის, უცბად გაჩნდება ხოლმე, მაშინ, როდესაც ყველაზე ნაკლებ მოელიანო. არასდროს მოსულა, ჩემი ფიქრი კი კვირების მანძილზე ამ კაცს დასტრიალებდა, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მოვალენი ვიყავით, რაღაც ურთიერთობა გვქონოდა ერთმანეთთან და მე უდიდესი სიამოვნებით მოვისმენდი მის შესახებ რაიმე ნამდვილს.

და როცა მალე ამის შემდეგ ჩემმა ცნობისმოყვარეობამ გარკვეულ გარემოებათა წყალობით მთლიანად ქრისტინე ბრაესკენ აიღო გეზი, მე თვითონ მიკვირდა, რომ სულ არა ვცდილობდი ამ ქალის ცხოვრებიდან რაიმე შემეტყო. მხოლოდ ის აზრი მაწუხებდა, იყო თუ არა მისი პორტრეტიც გალერეაში. ამის დადგენის სურვილმა ისე უჯიათად და მტანჯველად შემიპყრო, რომ რამდენიმე ღამე თვალს რული არ გამკარებია, ვიდრე სრულიად მოულოდნელად, ის ღამე არ დადგა, როცა, მე, ღმერთო ჩემო, ავდექი, სანთელი ავიღე და ჩემი

ოთახიდან გამოვედი. სანთლის ალი ისე თრთოდა, თითქოს შიშისგან კანკალებსო. ხოლო მე შიშზე არ ვფიქრობდი. საერთოდ, არაფერზეც არ ვფიქრობდი: მივდიოდი. მაღალი კარები, თითქოს მეთამაშებოდა, ისე მსუბუქად იღებოდა ჩემს წინ, ჩემს ზემოთ და გზას მაძლევდა. ოთახები მშვიდად მეგებებოდნენ და ბოლოს იმ ბნელი სიღრმით, რომელმაც უცბად შემომასუნთქა, მივხვდი, რომ გალერეაში ვიყავი უკვე. მარჯვნივ ღამით ავსებულ ფანჯრებს შევიგრძნობდი, ხოლო მარცხნივ სურათები უნდა ყოფილიყო გამწკრივებული. სანთელი რაც შემეძლო მაღლა ავწიე: დიახ, იქ სურათები იყო.

თავიდან გადავწყვიტე მხოლოდ ქალებისათვის შემეხედა, მაგრამ შემდეგ ყველა ვიცანი სათითაოდ, ულსგორშიც ხომ ასე ეკიდნენ და როცა მათ ასე ქვემოდან ვაშუქებდი, ისინი ირხეოდნენ და სინათლეში სურდათ შემოსვლა და მე გულქვაობად მეჩვენებოდა, რომ ცოტა ხნით მაინც არ დამეცადა. აქ იყო ისევ ის ქრისტიან მეოთხე[46], ლამაზად დაწნული თმით, მის ფართო, რბილად ამოზნექილ ყვრიმალებს რომ დაჰყვებოდა. აქ იყვნენ, მე მგონი, მისი ცოლები, რომელთაგან მხოლოდ ქრისტინა მუნკს ვიცნობდი და აი, უეცრივ ფრაუ ელენ მარსვინმა შემომანათა გამომცდელად, ქვრივის სამოსსა და იგივე მარგალიტისმძივიან თავსაბურავში გამოწყობილმა. აქ იყვნენ მეფე ქრისტიანის შვილები: სულ უფრო და უფრო ნორჩები — ახალ-ახალი ცოლებისაგან. „უბადლო“ ელეონორა თეთრ ბედაურზე ამხედრებული, თავისი ცხოვრების ბრწყინვალე ხანაში, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე. გიულდენლოვები: ჰანს ულრიკი, რომელიც ისეთი სისხლჭარბი იყო თურმე, რომ ესპანეთში ქალებს ჰგონებოდათ, სახეს იღებავსო, დაუვიწყარი ულრიკ ქრისტიანი და ულფელდების ლამის მთელი საგვარეულო. ხოლო თვალები შავად რომ მოეხატათ, ჰენრიკ ჰოლკი უნდა ყოფილიყო, ოცდაცამეტი წლის ასაკში რაიხსგრაფი რომ გახდა თურმე და ფელდმარშალი, უცნაური გარემოების შედეგად: ქალწულ ჰილბორგ კრაფსესაკენ მიმავალს, გზაში დასიზმრებოდა, რომ საცოლეს მაგივრად მახვილი მიაგებეს ვითომ, სიზმარი გულთან ახლოს მიეტანა, უკანვე გაბრუნებულიყო და შესდგომოდა თავის საბედისწერო, ხანმოკლე ცხოვრებას შავი ჭირით რომ დაემთავრებინა ბოლოს. მათ ყველას ვიცნობდი. ნიმვეგენის კონგრესის[47] წევრებიც გვყავდა ულსგორში, ერთმანეთს რომ წააგავდნენ ოდნავ, რადგანაც ყველა ერთდროულად

დაეხატათ: მათ ყველას ტუჩებზე წარბივით გადარკალოდა წვრილი ულვაში, ხოლო ტუჩები კი ისეთი ცოცხალი და მგრძნობიარე ჰქონდათ, რომ ლამის თვალებივით იმზირებოდნენ.

ჰერცოგი ულრიჰი რომ ვიცანი, თავისთავად გასაგებია, და ოტო ბრაე და კლაუს დაა, და შტენ როზენსპარე, თავისი მოდგმის უკანასკნელი შთამომავალი, რადგანაც მათი სურათები იქ, ულსგორში მქონდა ნანახი, ანდა ძველ ჩანთებში ნაპოვნი სპილენძის გრავიურებიდან ვიცოდი, რომლებზეც მათი სახეები იყო ამოტვიფრული.

მაგრამ შემდეგ ბევრი გამოჩნდა ჩემთვის უცნობი: ქალები ნაკლებად, ბავშვები მრავლად. ხელი დიდი ხანი იყო რაც დამექანცა და მიცახცახებდა, მაგრამ სანთელს ისევ ზემოთ ვწევდი, რათა ბავშვები დამენახა რამენაირად. მე გავუგე მათ, ამ პატარა გოგონებს, ხელზე ჩიტი რომ დაესვათ და დავიწყებოდათ. ზოგჯერ პატარა ფინია იყო ჩაცუცქული იმათ ფეხებთან, ბურთი იდო იქვე,ხოლო მახლობელ მაგიდაზე ყვავილები და ხილი ელაგა, მაგიდის უკან სვეტზე ჯერ ისევ ეკიდა გრუბების, ბილებისა და თუ როზენკრაცების[48] პატარა ღერბი; ამდენი რამ დაეხვავებინათ ბავშვების გარშემო, თითქოსდა უამრავ რამეზე უხდიდნენ ბოდიშს. გოგონები კი უძრავად იდგნენ, გრძელ კაბებში გამოწყობილი და იცდიდნენ. აშკარად ჩანდა, რომ იცდიდნენ. მაშინ კვლავ დავიწყე ფიქრი ქალებზე და ქრისტინე ბრაეზე და იმაზე, შევძლებდი თუ არა მის ცნობას.

მინდოდა სწრაფად გავქცეულიყავი გალერეის ბოლოში, მერე უკან გამოვყოლოდი კედელს და ისევ მეძებნა, მაგრამ რაღაცას დავეჯახე. ისე ელვისებურად შემოვბრუნდი, რომ პატარა ერიკი უკან გადახტა და დაიჩურჩულა: „ცოტა ფრთხილად, მაგ შენი სანთლით“.

„შენა ხარ?“ — ვიკითხე სუნთქვაშეკრულმა, თან ჯერ ვერ გამეგო, კარგი რამ მოხდა თუ საშინლად ცუდი, აქ რომ გადავაწყდი. მან მხოლოდ ჩაიცინა და აღარ ვიცოდი ახლა რაღა მექნა. ჩემი სანთელი ლიფლიფებდა და მისი სახის გამომეტყველებას წესიერად ვერც კი ვხედავდი. ალბათ მაინც ძალიან ცუდი იყო, აქ რომ დამიხვდა. მაგრამ ამ დროს მომიახლოვდა და მითხრა: „იმისი სურათი აქ არ არის, ჩვენ ისევ ვეძებთ“. თავისი ნახევარხმითა და ცალი მოძრავი თვალით მან რაღაცნაირად ზემოთკენ მიმანიშნა და მე მივხვდი, რომ ჭერს გულისხმობდა. მაგრამ ერთბაშად თავში უცნაურმა აზრმა გამიელვა:

„ჩვენ?“ — შევეკითხე — „განა ქრისტინე ზემოთ არის?“

„დიახ“ — თავი დამიქნია და გვერდით მომიდგა.

„თვითონაც ეძებს?“

„ჰო, ჩვენ ვეძებთ“.

„მაშ, სურათი სხვაგან წაიღეს?“

„ჰო, შენ წარმოიდგინე!“ — თქვა მან აღშფოთებით, მაგრამ არ შესმოდა რა სურდა ქრისტინე ბრაეს.

„თავისი თავის დანახვა უნდა“... — სულ ახლოს ჩამჩურჩულა ერიკმა.

„ჰა, ასე“... — ვითომ გავიგე და მან უცბად სანთელს შეუბერა და ჩააქრო. ვიდრე ჩააქრობდა დავინახე, წინ როგორ გადმოიწია სინათლეში და წარბები ზემოთ აჭიმა. შემდეგ კი დაბნელდა. უნებურად უკან დავიხიე.

„რას ჩადიხარ?“ — დავიყვირე მოდუნებულმა და სასაგამშრალმა. ის ჩემსკენ გადმოხტა, მკლავზე ჩამომეკიდა და ახითხითდა.

„რა იყო?“ — იქით გავწიე, მინდოდა მკლავიდან ჩამომეწყვიტა, მაგრამ მაგრად ჩამბღაუჭებოდა, და ვეღარაფერი მოვახერხე, როცა კისერზე მომხვია ხელი.

„გინდა გითხრა?“ — დაისისინა მან და ოდნავ მომანერწყვა ყურის ბიბილოზე.

„ჰო, ჰო, ჩქარა“.

აღარ ვიცოდი, რას ვამბობდი. ის ისევ კისერზე ჩამომეკიდა და თან ფეხისწვერებზე იწევდა.

„მე სარკე მივუტანე“, — თქვა და კვლავ ახითხითდა.

„სარკე?“

„ჰო, რადგან სურათი ხომ არ არის აქ?“

„არა, არ არის“, — ვანიშნე ხელით.

მან ცოტა იქით, ფანჯრისაკენ წამათრია და ისე მაგრად მტაცა ხელი მკლავში, რომ წამოვიყვირე.

„ის სარკეში არ არის“, — ჩამბერა ყურში.

უნებურად ხელი ვკარი და რაღაცამ ჭახანი გაიღო, ასე მეგონა, რაღაც მოვტეხე-მეთქი.

„წადი, წადი“ — და ახლა თავად გამეცინა. „სარკეში არ არის, როგორ თუ სარკეში არ არის?“

„სულელი ხარ“, — ავად მომახალა და მერე აღარ უჩურჩულია. მისი ხმა გადაიფურცლა, თითქოსდა ის თავისი ხმის რაღაც ახალი, ჯერ გამოუყენებელი ნაწილით ალაპარაკდა: „ან სარკეში ჩანს-ადა-

ბიანი" — დამარცვლა ხანშიშესულივით დამრიგებლურად და მკაცრად, „და მაშინ მისი სურათი აქ ვერ იქნება, ან აქ არის და მაშინ არ შეიძლება სარკეში ჩანდეს".

„რასაკვირველია", — გუპასუხე საჩქაროდ, ისე, რომ არც კი დავფიქრებულვარ. მეშინოდა, არ წასულიყო და მარტო არ დავეტოვებინე. ხელიც კი ვტაცე.

„გინდა მეგობრები ვიყოთ?" — შევთავაზე. რამდენჯერმე მათხოვნინა და შემდეგ მედიდურად მომიგო: „ჩემთვის სულერთია". — შეეცადე, მაშინვე დამეწყო ჩვენი მეგობრობა, მაგრამ მოხვევნა ვერ გამებედა. „ძვირფასო ერიკ", როგორც იქნა, აღმომხდა ბოლოს და მგონი, ოდნავ შეეხე კიდეც. უეცრად საშინლად დავიღალე. მიმოვიხედე, ველარ გამეგო, აქ როგორ მოვხვდი, ან როგორ არ შემეშინდა, როცა აქ წამოსვლა დავაპირე. აღარ მესმოდა, სად იყო ფანჯრები და სად სურათები და როცა წავედით, იძულებული ვიყავი მას მივყოლოდი. „ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებენ", — დამამშვიდა დიდსულოვნად და კვლავ ჩაიხითხითა.

ძვირფასო. ძვირფასო ერიკ, ჩემი ერთადერთი მეგობარი ალბათ მაინც შენ იყავი, რადგან სხვა არასდროს არავინ მყოლია. სამწუხაროა, რომ მეგობრობა არ მოისურვე. შემეძლო ზოგი რამ მომეთხრო შენთვის. ეგებ, აგვეტანა კიდეც ერთმანეთი. ვინ იცის. მაგონდება, შენს სურათს ხატავდნენ მაშინ. პაპამ ვიღაც მოაყვანინა, ვინც შენ გხატავდა, ყოველ დილით თითო საათი. მხატვრის სახეს ველარ ვიხსენებ, მისი სახელიც ამომივარდა თავიდან, თუმცა მატილდე ბრაე წამდაუწუმ იმეორებდა.

ნეტავ თუ ისე გხედავდა ისიც, როგორც მე გხედავ? ჰელიოტროპისფერი კოსტიუმი გეცვა. მატილდე ბრაე გიყდებოდა ამ შენს კოსტიუმზე. მაგრამ ეს სულერთია. გხედავდა ის კაცი? მხოლოდ ეს მინდა ვიცოდე. დავუშვათ, რომ ის ნამდვილი მხატვარი იყო. დავუშვათ, სულ არ ფიქრობდა, რომ შეგეძლო მომკვდარიყავი, სანამ შენს სურათს დაამთავრებდა, დავუშვათ, ასე გულჩვილად არ უდგებოდა საქმეს, რომ ის უბრალოდ მუშაობდა, რომ მაგ შენ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ თაფლისფერ თვალებს აღტაცებაში მოჰყავდა მხოლოდ, რომ არცერთი წუთით არ უგრძვნია უხერხულობა იმის გამო, რომ ცალი თვალი არ მოძრაობდა. სხვაც ყველაფერი და-

ვუშვათ, რაც საჭიროა ნამდვილი პორტრეტის შესაქმნელად: მაშინ აქ შენი სურათია, შენი სურათი, უკანასკნელი ურნეკლოსტერის გალერეაში.

(და როცა ათვალიერებ გალერეას და უკვე ყველა სურათს ნახავ, იქ ბოლოში კიდევ მოსჩანს ვიღაც ბიჭი. ერთი წამით! ვინ არის ეს ბიჭი? — ერთ-ერთი ბრაე. ხედავ ვერცხლისფერ სვეტს ფრუმე-მინდორზე [49] და ფარშევანგის ფერად ბუმბულებს; იქვე სახელიც წერია: „ერიკ ბრაე". განა ეს ის ერიკ ბრაე არ არის, სიკვდილით რომ დასაჯეს? [50] რა თქმა უნდა. საკმაოდ გახმაურებული ამბავია. მაგრამ იმ კაცს აქ ვერ ვხედავთ. ეს ბიჭი ბიჭად გარდაიცვალა. სულერთია როდის. არ შეგიძლია ამის დანახვა?).

* * *

როდესაც სტუმრები გვყავდა და ერიკს უძახდნენ, მატილდე ბრაე ნუდამ იმას ირწმუნებოდა, რომ პირდაპირ დაუჯერებელი იყო, როგორ ჰგავდა ბიჭი მოხუც გრაფინია ბრაეს, დიდედაჩემს. ამ ქალზე ამბობდნენ, ნამდვილი ქალბატონი იყოთ. მე არ ვიცნობდი. სამაგიეროდ ძალზე კარგად მახსოვდა მამაჩემის დედა: თავისი სიცოცხლის ბოლომდე ულსგორის ნამდვილი ბატონ-პატრონი, ვინც გულში მუდამ ჯავრობდა დედაჩემზე, რომ მან როგორც მონადირეთ-უხუცესის მეუღლემ ამ ოჯახში შემოაბიჯა. ამ დღიდან მოკიდებული ისე იქცეოდა, თითქოს თავის თავს უკან აყენებსო და მოსამსახურეთ ყოველ წვრილმანზე დედასთან აგზავნიდა, თუმცა მნიშვნელოვან საქმეებს ისე მშვიდად სწყვეტდა და განაგებდა, რომ არასდროს არავისთვის ჩაუბარებია ანგარიში. დედაჩემს, მგონი, სხვა არც რა სურდა. ის სულ არ იყო იმისთვის გაჩენილი. რომ დიდი ოჯახი წარემართა, სრულებით არ გააჩნდა უნარი, გაერკვია — რომელი საქმე იყო მნიშვნელოვანი და რომელი — უმნიშვნელო. რაზედაც ელაპარაკებოდნენ, მუდამ ეგონა, ეს არის მთავარიო და სხვა დანარჩენი სრულიად ავიწყდებოდა, რაც, არადა, ასევე მოსაგვარებელი იყო. ის არასოდეს უჩიოდა დედამთილს. ანკი ვისთან უნდა დაეჩივლა; მამაჩემი ერთობ პატივისმცემელი და დამჯერე ვაჟი გახლდათ, პაპაჩემს კი ბევრი არაფერი ეკითხებოდა.

ფრაუ მარგარეტ ბრიგე, როგორც ჩემმა მეხსიერებამ შემომინახა, ტანმაღალი, გოროზი ქალი იყო. მხოლოდ პაპაჩემზე ბევრად უფ-

რულად შემიძლია წარმოვიდგინო. ის თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა ჩვენს შორს და არავის გვაგდებდა სათვალავში. არცერთ ჩვენგანზე არ იყო დამოკიდებული და არავინ ვეპირდებოდით. ეხლოდ შინაბერა გრაფინია ოქსეს არ იშორებდა გვერდიდან, რომლისთვისაც ოდესღაც რაღაც შემწეობა აღმოეჩინა და ამის გამო ისიც უსაშველოდ დავალებულად გრძნობდა თავს. ეს შემთხვევა, როგორც ჩანს, რაღაც გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგან ქველმოქმედება ფრაუ ბრიგეს ბუნება არ გახლდათ. ბავშვები არ უყვარდა და ვერც ცხოველები ეკარებოდნენ ახლოს. არც კი ვიცი, უყვარდა თუ არა საერთოდ რაიმე. ჰყვებოდნენ, რომ ის, სრულიად ნორჩი გოგონა დანიშნული ყოფილა მშვენიერ ფელიქს ლიხნოვსკიზე, რომელიც შემდეგ ასე შემზარავად დაიღუპა ფრანკფურტში და როდესაც გრაფინია გარდაიცვალა, მის ნივთებშორის მართლაც აღმოჩნდა დაღუპული საქმროს პორტრეტი, რომელიც მოგვიანებით, თუ არა ვცდები, თავადის ოჯახს დაუბრუნეს. ვინ იცის, ვფიქრობ ახლა, ამ კარჩაკეტილი, სოფლური ცხოვრების გამო, როგორიც წლითიწლობით სულ უფრო მეტად ხდებოდა ულსგორის ცხოვრება, მარგარეტ ბრიგე სხვა ბრწყინვალე ცხოვრებას ასცდა: თავის საკუთარსა და ბუნებრივს. არ ვიცი, მისტიროდა თუ არა იმ ცხოვრებას. ვინ იცის, ეგებ შეიძულა კიდეც, რაკი ეს ცხოვრება მას არ ეწვია და ამით გამოტოვა შესაძლებლობა — მარჯვედ, ლამაზად და დიდებულად ყოფილიყო ნაცხოვრები. თავისი განცდები ფრაუ ბრიგეს ძალზე ღრმად მიეჩქმალა სულის წიაღში და ზედ აურაცხელი ნაჭუჭი ჩამოეცვა, უამრავი მყიფე, ოდნავ ლითონისებრ მბზინავი ნაჭუჭი, რომელთაგან ყოველი ზემოთა ახლისა და გრილის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ოღონდ, დროდადრო ის თავს გასცემდა ხოლმე რაღაც გულუბრყვილო მოუთმენლობით, აქაოდა საკმაო ყურადღებას არ მაქცევთო. ჩემ დროს, მაგალითად, უცბად შეეძლო სუფრასთან ლუკმა ისე ხმამაღლა და რაღაც განსაკუთრებულად რთულ ყაიდაზე ჩაეყლაპა, რომ ყველას ყურადღება მიეპყრო და ერთი წამით ყოფილიყო ისეთი სენსაციური და საინტერესო, როგორიც, ალბათ, მთელი სიცოცხლე უნდოდა ყოფნა. ახლა ვფიქრობ, რომ მგონი მამაჩემი ერთადერთი იყო, ვინც ამ ერთობ მრავალჯერად შემთხვევას სერიოზულად იღებდა. მოწიწებით წინგადახრილი შეაჩერდებოდა ხოლმე დედამისს და ჩანდა, რომ თავის საკუთარ ჯანმრთელ სასუნთქ მილებს იმ წუთშივე სთავაზობდა და მთლიანად

უთმობდა. კამერჰერი, რაღა თქმა უნდა, მაშინვე სწყვეტდა ჭამას, ერთ ყლუპ ღვინოს მოსვამდა ხოლმე და ყოველგვარი მოსაზრებებისაგან თავს იკავებდა.

თავადი ბრიგე ერთადერთხელ ამხედრებოდა თურმე თავის მეუღლეს, ისიც სუფრასთან. მას შემდეგ დიდი ხანი იყო გასული, მაგრამ ამ ამბავს ისევ ერთთავად ჰყვებოდნენ ირგვლივ, ჩუმ-ჩუმად და გესლიანად. თითქმის ყველგან აღმოჩნდებოდა ხოლმე ვინმე ისეთი, ვისაც ჯერ კიდევ არ გაეგონა. ჰყვებოდნენ, რომ გრაფინიას ერთი ხანობა, თურმე, ფრიად აღიზიანებდა ღვინის ლაქები, ზოგჯერ ვინმეს ბედოვლათობის წყალობით სუფრაზე რომ ჩნდებოდა. ყოველ ასეთ ლაქას, რა მიზეზითაც არ უნდა ყოფილიყო გაჩენილი, მაშინვე ამჩნევდა და როგორც საშინელ უგვანობას დაუნდობლად ამხელდა. სწორედ ასეთი ამბავი მომხდარიყო ერთხელ ხალხმრავალ და საპატიო წვეულებაზე. რამდენიმე უწყინარი ლაქა, მან უსაშველოდ გააზვიადა და გაუთავებელ და გამქირდავ ბრალდებებს მოჰყვა. და როგორც არ ცდილობდა თურმე პაპაჩემი მისი ყურადღება ხელის ოდნავი მინიშნებითა და სახუმარო შეძახილებით სხვა საგანზე გადაეტანა, ის მაინც უჯითად განაგრძობდა საყვედურებს, ვიდრე მოულოდნელად სიტყვა პირზე არ შეაშრა: საქმე ის გახლდათ, რომ იმ წუთას რაღაც ჯერარყოფილი და სრულიად შეუცნობელი რამ მოხდა თურმე: კამერჰერმა შავი ღვინო მოატანინა, რომელიც ისის იყო ჩამოერიგებინათ და ახლა მოხუცს მთელი ყურადღება მოეკრიბა და თვითონვე ივსებდა ჭიქას, მაგრამ სასწაული სწორედ ის იყო, რომ იგი, თურმე, არ შეჩერებულა და სულ უფრო მზარდ სიჩუმეში ნელა და ფრთხილად განაგრძობდა ღვინის ჩამოსხმას, როცა ჭიქა უკვე კარგა ხნის ავსებული იყო პირთამდე... კიდევ კარგი დედაჩემმა, რომელიც სიცილს ვერასოდეს იკავებდა, ახლაც ხმამაღლა გაიცინა და საერთო დაძაბულობა გაჰფანტა: ყველამ შვებით ამოისუნთქა, კამერჰერმაც ზემოთ აიხედა და მსახურს ცარიელი ბოთლი გადასცა.

შემდეგში სხვა ახირებამ იმძლავრა დიდედაჩემის ხასიათში: ვერ იტანდა სახლში თუ ავად ხდებოდა ვინმე. ერთხელ, როდესაც მზარეული ქალი დაშავდა და გრაფინიამ მის შეხვეულ ხელს მოჰკრა თვალი, მაშინვე იმის მტკიცებას მოჰყვა, მთელ სახლში იოდოფორმის სუნი ტრიალებსო და ძლივს გადააფიქრებინეს მსახურის

დათხოვნა. მასთან არავის უნდა ეხსენებინა ავადმყოფობა და თუ ვინმე იმდენ წინდაუხედაობას გამოიჩენდა, რომ უსიამოვნო საგანზე ჩამოაგდებდა სიტყვას, გრაფინია პირად შეურაცხყოფად იღებდა და შემდეგ დიდხანს არ უვიწყებდა.

იმ შემოდგომას, როცა დედაჩემი გარდაიცვალა, გრაფინია სოფია ოქსეესთან ერთად თავის ოთახებში ჩაიკეტა და ჩვენთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა. საკუთარ ვაჟსაც კი აღარ იღებდა. მართლაც და ეს სიკვდილი ფრიად უდროოდ და უადგილოდ დაგვატყდა თავს. ოთახებში ციოდა, ღუმელები ხრჩოლავდა და სახლი თაგვებით აივსო. თავს ვერსად დააღწევდი. მაგრამ მხოლოდ ეს არ იყო ყველაფერი. ფრაუ მარგარეტ ბრაე აღშფოთებული გახლდათ, რომ დედა მოკვდა. რომ დღის წესრიგში ისეთი საკითხი დადგა. რაზეც ლაპარაკს ის მუდამ კრძალავდა. რომ ახალგაზრდა ქალბატონმა გაბედა და დაასწრო მას, ვისაც თვითონაც ჰქონდა მოფიქრებული სიკვდილი, თუმცა დრო ჯერ არ დაედგინა. რადგან რომ. უნდა მომკვდარიყო, ხშირად ფიქრობდა. მაგრამ არ სურდა ვინმეს აეჩქარებინა. ის მოკვდებოდა, მაგრამ მაშინ, როცა თვითონ მოეპრიანებოდა და შემდეგ შეეძლოთ ყველანი ერთად დახოცილიყვნენ, თუკი ასე ეჩქარებოდათ.

დედაჩემის სიკვდილი ჩვენთვის ბოლომდე არასდროს უპატიებია. სხვათა შორის, იმ ზამთარს რაღაც ერთბაშად მოტყდა. სიარულისას ისევ ისეთი მაღალი ჩანდა, მაგრამ სავარძელში რაღაცნაირად მოიკუნტებოდა ხოლმე და სმენაც თანდათან აკლდებოდა. შეგეძლო მჯდარიყავი და საათობით სახეში გეცქირა მისთვის, ვერაფერს გრძნობდა. სადღაც, საკუთარ წიაღში იყო ჩაკარგული და ძალზე იშვიათად და ისიც წამიერად თუ უბრუნდებოდა მიტოვებული სახლივით გაუდაბურებულ თავის განცდებს. დროდადრო რაღაცას შეესიტყვებოდა შინაბერა ოქსეს, მას რომ მოსასხამს უსწორებდა; ან თავისი დიდრონი, საგულდაგულოდ დაბანილი ხელებით ისე აიკრეფდა ხოლმე კაბის კალთებს, თითქოს წყალი ყოფილიყო მის ფეხებთან დაღვრილი, ანდა თითქოს ჩვენს სისუფთავეში ეპარებოდა ეჭვი.

ის გაზაფხულის დამდეგს მოკვდა, ღამით, ქალაქში: სოფია ოქსემ, თუმცა კარი ღია ჰქონდა, ვერა გაიგო. დილით რომ ნახა, უკვე შუშასავით ცივი და უფერო იყო.

მალე, ამის შემდეგ დაიწყო კამერჰერის დიდი და საშინელი ავადმყოფობა. თითქოსდა თავადი ბრიგე თავისი მეუღლის სიკვდილს ელოდებოდა, რომ შემდეგ ისე დაუდეევრად და შმაგად მომკვდარიყო, როგორც ჰმართებდა.

* * *

დედაჩემის გარდაცვალებიდან სულ რაღაც ერთი წელი იყო გასული, აბელონე პირველად რომ შეევამჩნიე. ის ყოველთვის ჩვენთან ტრიალებდა და ამით ბევრი რამ აკლდებოდა. ამასთან აბელონეს არც მიმზიდველი გარეგნობა ჰქონია. ეს ჯერ კიდევ ძალიან ადრე დაეადგინე და შემდეგ სერიოზულად აღარასოდეს შემიმოწმებია ჩემი შთაბეჭდილება. კითხვა იმისა, თუ რა დანიშნულება ჰქონდა აბელონეს, მანამდე სასაცილოდ მომეჩვენებოდა. აბელონე იქ იყო და მას ისე იყენებდნენ, როგორც შეეძლოთ. მაგრამ ერთხელაც ჩემს თავს შეეეკითხე: „რისთვის არის აბელონე აქ?" თვითეული ჩვენგანის იქ ყოფნას გარკვეული აზრი ჰქონდა, თუნდაც ეს აზრი არც ისე თვალსაჩინო ყოფილიყო, როგორც მაგალითად, ფროილაინ ოქსეს შემთხვევაში. მაგრამ, რისთვის იყო აბელონე ჩვენთან? ერთხანობა ლაპარაკობდნენ, თითქოს აბელონეს გული უნდა გადაეყოლებინა. მაგრამ ეს აზრი მალე დავიწყებას მიეცა. არავინ არას აკეთებდა აბელონეს გასართობად და მას სულაც არაფერი ეტყობოდა იმისა, რომ ერთობოდა.

მაგრამ ერთი სიკეთე სჭირდა აბელონეს: მღეროდა. ანუ იყო დღეები, როცა მღეროდა. რაღაც ძლიერი, შეუმცდარი მუსიკა იდგა მასში. უკეთუ მართალია, რომ ანგელოზნი მამრნი არიან, მაშინ შეიძლება ითქვას, სწორედ რაღაც მამაკაცური იყო მის ხმაში: სხივმფინარე, ზეციური მამაკაცურობა. მე, რომელიც ჯერ კიდევ ბალღობაში ესოდენ უნდობლად ვეკიდებოდი მუსიკას (იმიტომ კი არა, რომ ის ყველა დანარჩენზე უფრო ძლიერ მიტაცებდა ჩემი წიაღიდან. არამედ იმიტომ, რომ შევნიშნე, ბოლოს იმავე ადგილას კი აღარ მაბრუნებდა, სადაც თავიდან შემეგება, არამედ სადღაც უფრო დიდ სიღრმეში ჩავყავდი, რაღაც მოუმწიფებელ, უცნობ საუფლოში), ვუძლებდი ამ მუსიკას, რომელზედაც ასე შემართულად შეიძლებოდა აზიდულიყავი ზემოთ, სულ უფრო მაღლა და მაღლა, იქამ-

დე. ვიდრე გაიფიქრებდი, უკვე ცაო რა ხანია. მაშინ ვერ ვგრძნობ-დი, რომ აბელონე მოგვიანებით სხვა ზეცათაც გადამიხსნიდა.

ჩვენი ურთიერთობა პირველ ყოვლისა იმაში ვლინდებოდა, რომ ის დედაჩემის ქალიშვილობაზე მომითხრობდა. აბელონე ყოველნაირად ცდილობდა დავერწმუნებინე, რომ დედა ბავშვობაში ძალზედ გაბედული იყო და სიცოცხლით სავსე. მარწმუნებდა, არავინ მოიძებოდა ცეკვასა და ჯირითში მისი ბადალიო. „ის ყველაზე თამამი იყო და დაუდგრომელი. მერე კი უცბად ადგა და გათხოვდა“, ამბობდა ამდენი წლის შემდეგ ჯერ ისევ გაკვირვებული აბელონე. „ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ყველანი გაოგნდნენ“.

ერთხელ დავინტერესდი, თუ თვითონ რატომ არ იყო გათხოვილი. აბელონე შედარებით ასაკოვნად მეჩვენებოდა და რომ კიდევ შეეძლო გათხოვება, აზრადაც არ მომსვლია.

„არავინ იყოო“, მიპასუხა უბრალოდ და ერთბაშად გალამაზდა. ნუთუ აბელონე ლამაზია? განცვიფრებული შევეკითხე ჩემს თავს. მალე სახლი დავტოვე და სორიოში[52] არისტოკრატთა აკადემიაში გავემგზავრე სასწავლებლად. დაიწყო საზიზღარი და საშინელი ხანა. მაგრამ როცა იქ ყველასაგან განცალკევებით ფანჯარასთან ვიდექი და ცოტა ხნით ყველა თავს მანებებდა, მაშინ გარეთ ხეებს გავცქეროდი და აი, ამ წუთებში და ღამღამობით რწმენა ჩამესახა, რომ აბელონე ლამაზი იყო და მე დავიწყე მისთვის ყველა იმ მოკლე თუ ვრცელი წერილის მიწერა, სადაც, როგორც მეგონა, ულსგორზე ვწერდი და იმაზე, რომ უბედური ვიყავი ფრიად. მაგრამ ისინი, როგორც ახლა ვხედავ, სიყვარულის წერილები გამოდიოდა. რადგანაც ბოლოს დადგა არდადეგები, ჯერ რომ არაფრით არა დგებოდა და ჩვენ თითქმის შეთანხმებული აღმოვჩნდით, რომ ერთმანეთს სხვათა თანდასწრებით არ შევხვედროდით.

დათქმული სრულიად არაფერი გვქონია, მაგრამ როცა ეტლმა პარკში შეუხვია, ჩამოვხტი, ალბათ იმ მიზეზით, რომ არ მსურდა უცხო სტუმარივით ეტლი ზედ კარზე მიმეყენებინა. შუა ზაფხული იდგა. ერთ-ერთ ბილიკზე გავიქეცი აყვავებული ოქროწვიმისკენ და იქ აბელონეც შემომეგება. ლამაზი, ლამაზი აბელონე.

არ მსურს როდესმე დავივიწყო, როგორ შემომხედე. როგორ მოგქონდა შენი შემოხედვა, თითქოსდა რაღაც სრიალას აკავებდი მაღლა აწეულ სახეზე.

ოჰ, ნუთუ მანდ ჰავა ოდნავადაც კი არ შეცვლილა? ნუთუ სილ-

ბო არ შეემატა ულსგორის შემოგარენს ჩვენი სითბოსგან? განა ზოგიერთი მაგ ვარდებიდან უფრო ხანგრძლივად არ ყვავილობს ახლა ჩვენს ბაღში, დეკემბრამდეც კი?

შენს შესახებ სხვა არაფერი არ მინდა მოვყვე, აბელონე. არა იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთს ვატყუებდით, ვატყუებდით, რადგან შენ ერთადერთი კაცი გიყვარდა, მუდამ, მაშინაც, ვინც არასოდეს დაგვიწყებია — შენ, მოყვარულო, მართლა შემძლებელო სიყვარულისა, ხოლო მე — ყველა ქალი. არაფრის თქმა არ მინდა, მხოლოდ იმიტომ, რომ, როდესაც ვამბობთ, უსამართლობას ჩავდივართ თითქოს.

* * *

აქ ხალიჩებია ხვ, აბელონე, კედლის ხალები. წარმოვიდგენ ხოლმე, თითქოს აქა ხარ. სულ ექვსი ხალიჩაა, მოდი, ნელ-ნელა წინ ჩავუაროთ, რა სიმშვიდე დგას ყველაში არა? მრავალფეროვნებით არ გამოირჩევიან. ყველგან ერთი და იგივე ოვალური, ლურჯი კუნძულია გამოსახული, მოლივლივე დაბინდულ-წითელ ფონზე. სადაც ყვავილები და პატარა, თავისთვის მოფუსფუსე ცხოველები მიმოფანტულან. მხოლოდ იქ, ბოლო ხალიჩაზე კუნძული ოდნავ ზემოთ იწევს, თითქოს შემსუბუქდაო. კუნძულზე მუდამ ერთი ქალი დგას, ოღონდ სულ სხვადასხვანაირად შემოსილი. ზოგჯერ მოახლე ქალის მომცრო ფიგურაც ახლავს. ხოლო ცხოველები, რომელთაც ღერბები უჭირავთ, სულ იქ არიან — დიდად გამოსახულნი შუა კუნძულზე, თითქოს მონაწილეობენ ყველაფერში, რაც იქა ხდება. მარცხნივ ლომია და მარჯვნივ, უფრო ნათელი ფერის — ცალეშვა. მათ ერთნაირი ალმები უჭირავთ, თავს ზემოთ რომ აუწევიათ: სამი ვერცხლისფერი, ამომავალი მთვარე, წითელი მინდვრის თავზე ლურჯი ზონრით შეერთებული. დაინახე ეს ყველაფერი? გინდა დავიწყოთ პირველი ხალიჩით!

ქალი მიმინოს აპურებს. რა დიდებული კაბა აცვია! ფრინველი ქალის ხელიდან კენკავს და ოდნავ ირხევა. ქალი მიმინოს შეჰყურებს და თან მეორე ხელს თასისკენ იწვდის, მოახლეს რომ მიურთმევია, რათა ჩიტს მარცვალი კიდევ მიაწოდოს. მარჯვნივ, ძირს, შლეიფზე პატარა ფინია ჩაყუნცულა, აბრეშუმივით ბეწვი რომ აქვს და ზემოთ იხედება, იმის იმედით, ეგებ მეც ვინმეს გავახსენდეო,

და შეამჩნიე, ქვემოთ კუნძულს დაბალი ვარდების ღობე რომ ეკ-ლება გარს? ღერბიანი ცხოველები ამაყად იწევენ ზემოთ და ალამი კიდევ ერთხელ ეხვევა მანტიასავით. ღერბი ლამაზი აბზინდით არის შეკრული. ქარი უბერავს.

ხომ უფრო ჩუმად უახლოვდები მომდევნო ხალიჩას. რადგან შენიშნე, რომ ქალი ასე ღრმად ჩაძირულა საკუთარ თავში, ის გვირგვინსა წნავს ჩაფიქრებული, ყვავილების პაწია გვირგვინს. უახლოეს მიხაკებს იღებს ფართო სინიდან, რომელიც მოახლეს უჭი-რავს. მათ უკან გრძელ სკამზე ხელუხლებლად დგას ვარდებით სავსე კალათა. მაგრამ ქალს ვარდები აღარ უნდა და კალათას მაიმუნი დაპატრონებია. ლომს გულგრილი სახე აქვს, ალბათ მოსწყინდა ყველაფერი, ცალეშვა კი ისე იყურება, თითქოს ყველაფერი ესმის, რაც ხდება.

განა მუსიკას არ უხმობს ეს სიმშვიდე? განა ეს სიმშვიდე არ შე-იცავს მას? მძიმედ და დიდებულად მოკაზმული, ქალი მისულა პა-ტარა ორღანთან (რა ნელა, არა?) და უკრავს, ასე, ზეზეულად. მას საკრავის მილები მიჯნავს მოახლისაგან, რომელიც საბერველს ამოძ-რავებს. ასე ლამაზი ჯერ არასოდეს ყოფილა ქალი. საოცარია მისი თმა — მისი ორი მძიმე ნაწნავი, რომლებიც შუბლზე თავსაბურავს ზემოთ შეუკრავს და ბოლოები, ნასკვიდან რომ ამოზიდულა, ჯიღა-სავით ადგანან თავზე. გუნებაწამხდარი ლომი ძლივ-ძლივობით უძ-ლებს მუსიკას და ამოსახეთქ ღრიალს იკავებს. ცალეშვა კი ღაბა-ზია, თითქოს ტალღებში ირწეოდეს.

კუნძული ფართოვდება. კარავი აღუმართავთ, ლურჯი სტავრისა და ოქროთი მოსირმული. ცხოველებს პირით უჭირავთ კარვის კალ-თები. და დედოფლურ სამოსში გამოწყობილი, ქალი თითქმის უბ-რალოდ გამოდის კარვიდან. რადგან: აბა, რა ფასი აქვთ მთელ მის მარგალიტებს მასთან შედარებით? მოახლეს პატარა ზარდახშა აუხ-დია, და ქალი მძიმე ყელსაბამს იღებს: დიდებულ სამკაულს, მუდამ სიბნელეში რომ იყო ჩაკეტილი. ფინიაც იქვე ზის, მისთვის გან-კუთვნილ შემაღლებულ ადგილზე და ოქროს ჯაჭვს შესცქერის. და ვერ შენიშნე, მაღლა, კარვის კიდეში, რა წარწერა ჩანს? იქ წერია: „A mon seul désir“ [54].

რა მოხდა? რატომ მიხტის მიღმა ბაჭია? და რატომ გრძნობ მა-შინვე, რომ ბაჭია მიხტის? რაღაც მოუსვენრობა იგრძნობა ირგვ-ლივ. ლომს საქმე აღარაფერი აქვს. ქალს თავად უჭირავს ალამი.

ან ეგებ ალამს უჭირავს ქალი? მეორე ხელით ცალეშვას რქას ჩასჭიდებია. ნუთუ ეს გლოვაა? განა შეიძლება გლოვა ასეთი შემართული იყოს? ხოლო ძაძა აგრე შეფარული, როგორც ეს მრუმე-მწვანე ხავერდი, ალაგ-ალაგ ჩუმი ჭკნობა რომ შეჰპარვია?

მაგრამ აი, დღესასწაულიც მოდის. არავინაა მოწვეული. მოლოდინი აქ არ არსებობს. ყველაფერი უკვე მოხდა, ყველაფერი უკვე აქ არის. ყველაფერი სამარადჟამოდ. ლომი მუქარით იხედება ირგვლივ: არავისა აქვს მოსვლის უფლება.

ქალი დაღლილი ჯერ არ გვინახავს. აქ კი? ნუთუ დაღლილია? თუ მხოლოდ ჩაუმუხლავს, რადგან რაღაც ძალიან მძიმე უპყრია ხელთ. შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ზარდახშაა, მაგრამ მეორე ხელი ცალეშვასკენ გაუწვდია და გახარებული ცხოველი ფეხებზე დამდგარა, წინა ფეხებით კი მის კალთას ეყრდნობა. ეს სარკეა, ქალს რომ უჭირავს. ხედავ? ცხოველს სარკეში ახედებს.

აბელონე, თავს ვირწმუნებ, რომ აქა ხარ. აბელონე, ხვდები, რას ნიშნავს ეს? მე მგონი, უნდა ხვდებოდე.

II ნაწილი

და აი, აღარც Dame á la Licorne [1]-ის ხალიჩებია ბუსაკების ძველ ციხე-კოშკში. დამდგარა ჟამი, როს სახლებიდან ყველაფერი მიიკარგება, მათ აღარაფრის შენარჩუნება არ შეუძლიათ. საფრთხე უფრო მყარი გამხდარა, ვიდრე სიმყარე უხიფათობის, დელე ვისტების [2] გვარტომიდან დღეს აღარავინ მოგყვება გვერდით, მასპინძელივით ვინც გაჩვენებდა ამ გობელენებს; სისხლში არ ჰქონიათ დღევანდელობა. გარდასულან, მიმობნეულან. აღარც შენს სახელს წარმოთქვამს ვინმე ამ მნახველთაგან, პიერ დ'ობიუსონ [3], დიდო დიდოსტატო ძველისძველ გვარის, ვისი ნებასურვილითაც მოიქსოვა, ალბათ, ეს სურათები, ყველაფერს რომ განადიდებენ და საიდუმლოს არკი ამხელენ (ო, რატომ იყო, რომ პოეტები მუდამ სხვაგვარად წერდნენ ქალებზე: სიტყვამრავლად და სიტყვაკაზმულად, და არა ისე, როგორც ფიქრობდნენ. ალბათ, ეს უნდა გვცოდნოდა მხოლოდ, სხვა არაფერი). და აი, ახლა შემთხვევით ხვდები ხალიჩების წინ, მრავალ შემთხვევით მოხვედრილს შორის, და თითქმის გაკრთობს, რომ არავის მოუწვევიხარ, უნებართვოდ შემოსულივით დაიარები. მაგრამ აქ ხომ სხვებიც არიან, თუმცა ძალიან ბევრი — არასდროს, და ნელა მიმოდიან ნათელ დარბაზში. ახალ-

გაზრდებს გული არ უდგებათ, ძლივს ჩერდებიან; ეტყობა, მათი დარგი მოითხოვს, ამ საგნებს ერთხელ მაინც შეავლონ თვალი, მათი ე'ა თუ ის ნიშანი დაიმახსოვრონ.

აქ გოგონებსაც შეხვდებით ზოგჯერ. რადგანაც სწორედ მუზეუმებში ტრიალებენ ის გოგონები, ოდესღაც რომ დაეკარგნენ ოჯახებს, სახლებს, სახლებს, რომლებიც ვეღარაფერს ვერ აკავებენ. ხალიჩების წინ ისინი თავიანთ თავს პოულობენ და ივიწყებენ კიდეც მცირე ხნით. მათ ხომ ყოველთვის უგრძნობდათ გული, რომ ეს იყო, ეს არსებობდა — აი, ასეთი ჩუმი ცხოვრება, აღბეჭდილი ნარნარი, თითქმის იდუმალი ჟესტებითა და ნელი მიმოხვრით. და ახლა ბუნდოვნად ახსენდებათ, რომ ერთ დროს ეგონათ, მათაც ასეთი ცხოვრება ხვდებოდათ წილად. მაგრამ გაიფიქრებენ ამას თუ არა, მაშინვე რვეულებს იღებენ ჩანთიდან და იწყებენ ხატვას. სულ ერთია, რას გადახატავენ, რომელიმეს იმ ყვავილთაგან თუ პატარა, კმაყოფილ, ნაამებ ცხოველს. რას დახატავთ, სულ ერთია, არა აქვს მნიშვნელობაო, წინასწარ თუ უთხრეს, და აბა, მართლაც რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, რომ ხატავენ. რადგან, განა ამისთვის არ დასტოვეს ერთ დღეს სახლები, მათ დასატოვებლად გვარიანმა გაბრძოლებამ რომ მოუწიათ? ისინი კარგი ოჯახებიდან არიან, მაგრამ, ახლა ხატვისას მკლავს მაღლა რომ სწევენ, ზურგზე კაბა ეხსნებათ ხოლმე, რაკი ბოლომდე არა აქვთ შეკრული. რამდენიმე ღილს, ეტყობა, ვერ სწვდებიან. რადგან როდესაც ეს კაბები იკერებოდა, აზრადაც არავის მოსვლია, რომ ქალიშვილები ერთ მშვენიერ დღეს სახლებიდან გაიკრიფებოდნენ. ოჯახში კი მუდამ არის ვინმე ისეთი, ქალს ღილების შეკვრაში რომ მიეხმარება. მაგრამ აქ, ღმერთო დიდებულო, ასეთ უზარმაზარ ქალაქში ღილებისთვის ვიღაც სცალია! მეგობარი გოგონებიც ამ დღეში არიან, ყველანი დაჰკარგვიან სახლსა და კერას და აგრე ხდება, რომ ისინი ერთმანეთს უკერავენ კაბებს და ეს მართლაც სასაცილოა, რადგან ამ დროს ისევ ოჯახი აგონდებათ, ოჯახი, რომლის მოგონებაც არ უხარიათ.

და აი, დგანან და ხატავენ, და უნებურად აეშლებათ ხოლმე ფიქრები: ეგებ შინ დავრჩენილიყავით, ნუთუ არ შეიძლებოდაო. ალბათ, შეიძლებოდა, თუკი სათნონი იქნებოდნენ, დანარჩენებთან ნაბიჯაწყობილ, გულითად ღვთისმოსაობას თუ შეინარჩუნებდნენ. მაგრამ რა უაზრო, რა გამორიცხული ეჩვენებოდათ, სხვებთან ერთად, ერთობლივად ეცადათ ღვთისმოსაობა. გზა ღმერთისაკენ დავიწროვ-

და: ამ კიწრო გზაზე ოჯახები ვეღარ ეტევიან. მაშასადამე, დანარჩენი, საერთო ქონება უნდა გაეყოთ გაჭირვებაში. მაგრამ თუკი პატიოსნად იყოფდნენ, თვითეულს ისე მცირე რამ ხვდებოდა წილად, რომ ლაპარაკადაც არ ღირდა. ამის გამო იწყებდნენ ტყუილს, ჩხუბს, კინკლაობას. არა, მართლაცდა ბევრად უკეთესია, იდგე და ხატავდე, სულ ერთია რას. დროთა განმავლობაში მსგავსებასაც მიაღწევ. და ხელოვნება, რომელსაც ასე ნელ-ნელა, აუჩქარებლად ეუფლები, მართლაც რომ შესაშური ბედნიერებაა.

და ეს გოგონები ვეღარ ახერხებენ, ჩაუკვირდნენ იმ უკიდურესად დაძაბულ საქმიანობას, რაც წამოუწყიათ; მათ არც კი უნდათ დაიჯერონ, რომ ხატვისას თავიანთვისვე შეუმჩნეველად მხოლოდ ერთ რასმე სჩადიან: საკუთარ თავში ახშობენ იგივე ცხოვრებას, რაც მათ წინაშე ამ ხალიჩების ნაქარგ სურათებზე მთელი თავისი გამოუთქმელობით გადაშლილა და გაბრწყინებულა. გოგონებსაც სურთ შეიცვალონ, ახლა, როცა ამდენი რამ იცვლება ქვეყნად. ისინი უკვე მზად არიან, ფარ-ხმალი დაყარონ და ისე იფიქრონ თავიანთ თავზე, როგორც კაცები ლაპარაკობენ მათზე მათ ზურგსუკან. გოგონებს ეს წინსვლად მიაჩნიათ. თითქმის დარწმუნებულნი არიან უკვე, რომ ადამიანი სიამოვნების საძიებლადაა გაჩენილი და ეძებს და ეძებს ერთ სიამეს, მერე მეორეს, უფრო მძაფრს, კიდევ უფრო მძაფრს და ასე შემდეგ; რომ სწორედ სიამოვნების მიღებაა ცხოვრების აზრი, და სხვაგვარად ულიმლამოდ ჩავლილად უნდა ჩაითვალოს კაცის სიცოცხლე. გოგონებმა უკვე დაიწყეს ირგვლივ მიმოხედვა და ძებნა, გოგონებმა, რომელთა ძალაც მუდამ ის იყო, რომ მათ ეძებდნენ და პოულობდნენ.

ჩემის აზრით, იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი, რომ ქალები დაიღალნენ. საუკუნეთა მანძილზე მთელი სიყვარული თავიანთი მხრეებით ატარეს, ისინი მუდამ მთელ დიალოგს ახორციელებდნენ, დიალოგის ორივე ნაწილს, მამაკაცი მხოლოდ მათ სიტყვებს იმეორებდა და ისიც უხეიროდ, და უძნელებდა ქალს სიბრძნის შეძენას და თვითჩაღრმავებას თავისი გაფანტულობით, თავისი დაუდევრობით, თავისი ეჭვიანობით, რაც დაუდევრობის სახეობაა და სხვა არაფერი. მიუხედავად ამისა, ქალებმა გასძლეს, ყოველ წუთს, დღედაღამ უძლებდნენ სიძნელეს და აღივსნენ სიყვარულით და ტანჯვით. და უზომო ტანჯვა-სატკივრის ძალით წარმოდგნენ მათგან ძლევამოსილი მეტრფენი, რომელნიც, მამაკაცს რომ უხმობდნენ, ამ

ხმობაში დასძლიეს იგი, გადალახეს და ამაღლდნენ მასზე. ისინი აღზევდნენ და გასცდნენ მამაკაცს, როდესაც იგი მათ ძახილზე აღარ მივიდა, — გასპარა სტამპა[4] იქნება ეს თუ პორტუგალიელი ქალი[5], — ისინი არ დაეხსნენ თავიანთ სიყვარულს, ვიდრე მათი ტანჯვა მკაცრ, ყინულოვან ბრწყინვალებაში არ გადაიზარდა, რომლის გაძლებაც უკვე შეუძლებელი იყო. ჩვენ ვიცით ეს ქალები, რადგან წერილები დარჩათ, სასწაულებრივად გადარჩენილი, ანდა წიგნები წაგვიკითხავს, მგოდებელი თუ დამადანაშაულებელი ლექსებით სავსე, ან მათი სურათები გვინახავს რომელიმე გალერეაში, ტირილის პირბადიდან გამომზირალი მათი სახეები, ტირილისა, რომელიც მხატვარს იმიტომ თუ გამოუვიდა, რომ არ იცოდა, რა იყო ეს. მაგრამ ასეთი ქალების რიცხვი ხომ განუზომლად მეტი იქნებოდა. ვინ მოსთვლის, რამდენმა მისცა ცეცხლს სასიყვარულო წერილები, ანდა რამდენი ისე დაშრიტა ტრფობის სახმილმა, რომ წერილების წერის ძალაც წაართვა; იყვნენ გამკაცრებულ-გაბევებული მოხუცი ქალები, უძვირფასეს თესლს რომ მალავდნენ სულის წიაღში; ფორმდაკარგული, გაუხეშებულ-გამძლავრებული ქალები, ქანცგაწყვეტამ რომ გააძლიერა და თავიანთ ქმრებს ნებით რომ დაემსგავსნენ, თუმცა შიგნით, სულის სიღრმეში სულ სხვანაირები რჩებოდნენ მაინც, რადგან იქ, სიბნელეში მათი სიყვარული იღვწოდა მუდამ; მშობიარენი, რომელთაც შობა არასდროს სურდათ, და როდესაც ბოლოს და ბოლოს მერვე მშობიარობას ეწირებოდნენ, გოგონების ჟესტები და მოძრაობანი ჰქონდათ სულთაბრძოლისას, გოგონებისა, სასიყვარული სარეცელი რომ უხარიათ; და ის ქალები, დამთხვეულებისა და ლოთების გვერდით რომ რჩებოდნენ მთელი ცხოვრება, რადგან მიაგნეს საშუალებას, ისე შორს წასულიყვნენ მათგან საკუთარ თავში, რასაც სხვაგან ვერ მოახერხებდნენ. და როდესაც ხალხში გამოდიოდნენ, ვერ იკავებდნენ შინაგან ციმციმს და ანათებდნენ, თითქოს თავიანთი დღე და მოსწრება ნეტარ წმინდანებთან ჰქონოდეთ საქმე. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ქალი ცხოვრობდა ქვეყნად, ან ვინ და როგორნი იყვნენ ისინი. თითქოსდა ქალებმა წინასწარ გააკამტვერეს ყველა ის სიტყვა, რითაც კი მათი წვდომა და გამოთქმა იქნებოდა შესაძლებელი.

●

მაგრამ ახლა, როცა ამდენი რამ იცვლება ქვეყნად, აღარ დადგა დრო, რომ ჩვენც, კაცებიც, შევიცვალოთ და გარდავიქმნათ? ნუთუ ვერ შევძლებთ ძალთა მოკრებას, რათა მცირეოდენ ჩვენც განვვითარდეთ და სიყვარულში ჩვენი წილი სამუშაო თანდათან, ნელ-ნელა ვიკისროთ? ჩვენ მუდამ გვარიდებდნენ სიყვარულის სიმძიმეს, გვზოგავდნენ, და აგრე გაგვისხლტა იგი ხელიდან ჩვენს განუწყვეტელ გაფანტულობასა და დაუდევრობაში: ბავშვის სათამაშოებით ავსებულ ყუთში ასე აღმოჩნდება ხოლმე ზოგჯერ ნამდვილი მაქმანის ნაჭერი, რომელიც ბავშვს ჯერ უხარია, შერე კი აღარ და ბოლოს ყველაზე მეტად შელახული და დასვრილი გდია იმ დაშლილ-დალეწილ სათამაშოებში. ყველა დილეტანტის მსგავსად ჩვენ გაგვრყვნა და წაგვახდინა იოლმა სიამემ და ოსტატების სახელი კი გვაქვს გავარდნილი. ო, რა იქნებოდა, უარგვეყო ჩვენი მოჩვენებითი, ყალბი წინსვლანი. სულ, სულ თავიდან დაგვეწყო, და გვესწავლა სიყვარულის სამუშაოს აღსრულება, რომელსაც ჩვენს მაგივრად მუდამ სხვა ასრულებდა. რა იქნება, წავიდეთ, მივიდეთ ქალებთან და ახალბედანი და დამწყებნი გავხდეთ, ახლა, როცა ყველაფერი ასე იცვლება?

●

და ახლა უკვე ვიცი, რა როგორ ხდებოდა, დედა მაქმანებს რომ გაშლიდა ხოლმე. მან ინგებორგის სეკრეტერის ერთადერთი უჯრა დაიტოვა თავისთვის.

„მოდი, ვნახოთ, მალტე“, — მიძახდა და ისე უხაროდა, თითქოს ყველაფერი ერთბაშად უნდა მიეღო საჩუქრად, რასაც კი პატარა, ყვითლად გასარკული უჯრა მალავდა. შერე კი დიდი მოლოდინით დაძაბული, ვეღარ ახერხებდა სიფრიფანა ქაღალდის შემოხსნას და მუდამ მე უნდა მივხმარებოდი. მაგრამ მეც საშინელი მღელვარება მიპყრობდა ყოველთვის, როცა კი მაქმანებს მოვკრავდი თვალს. ისინი პატარა ხის კოუბებზე იყო გადახვეული, რომლებსაც მთლიანად ფარავდნენ. და ჩვენ ნელ-ნელა ვშლიდით ხვეულს და მონუსხულები დავცქეროდით მაქმანის სახეს, თუ რაგვარ სანახაობას გა-

დაგვიშლიდა. ბოლოს კი ყოველთვის შევკრთებოდით ხოლმე, ისე მალე შიშვლდებოდნენ ხის კოჭები.

ჯერ იტალიურ ზონრებს ვათვალიერებდით, ძაფებამოწვერილ, მაგარ მაქმანებს, რომელთა გვირისტებშიც ყველაფერი, მთელი ცხოვრება მკაფიოდ და განუწყვეტლივ მეორდებოდა, ისევე, როგორც გლეხის ბაღჩაში. მერე კი უცბად ჩვენს მზერას ვენეციური ნემსის წვერები ეღობებოდა, თითქოს სატუსაღოები ვყოფილიყავით ან მონასტრები. მაგრამ მაშინვე ქრებოდა ისევ. და თავისუფლად შეგვეძლო შორს გაგვეხედა მსუბუქ ბაღებში: ყვავილ-ფოთლები სულ უფრო და უფრო ხელოვნური ხდებოდა და ბოლოს მჭიდროდ და თბილად აგვეკვრებოდა ხოლმე თვალებზე, თითქოს სათბურში შევსულიყავით. აი, უცნობი; მბრწყინავი ყვავილები ნარნარით შლიდნენ ვეება ფურცლებს, მათი ლერწები ირწეოდნენ ერთმანეთს ეჭდობოდნენ, თითქოს თავბრუ ესხმითო. ხოლო ალანსონური მაქმანების დიდრონი, გულგადახსნილი ყვავილები თავიანთი ფერადი მტვრით ყოველივეს ნისლავდნენ ირგვლივ. შემდეგ კი მთლად დაქანცულნი და რეტდასხმულნი უეცრად ვალანსენის[6] გრძელ გზაზე გავდიოდით, და ზამთარი იდგა, დილასისხამი, და თრთვილი ეფინა იქაურობას. და მივარღვევდით ბინშის[7] გაუვალ, დათოვლილ ბარდნარს, და უცბად ისეთ ადგილას ამოვყოფდით ხოლმე თავს, სადაც ჩვენამდე არვის გაევლო. აქ კი იმგვარად ჩამოშვებულიყვნენ მძიმე ტოტები, მათ ქვეშ საფლავი უნდა, ყოფილიყო. მაგრამ ამ ვარაუდს მე და დედა ერთმანეთს ვუმალავდით. სიცივე სულ უფრო გვატანდა სახსრებში, და როცა ბოლოს პატარა, უაღრესად ნაზი ყაისნაღით ნაქსოვი მაქმანების ჯერი დგებოდა, დედა ამბობდა: ო, ახლა ყინულის ყვავილები დაგვეფინება თვალებზეო, და მართლაც ასე ხდებოდა, რადგან ჩვენს არსებაში ძალიან, ძალიან დიდი სითბო დაგროვილიყო.

როდესაც მაქმანებს ხელახლა ვახვევდით, ორივენი ჩუმად ვოხრავდით, რადგან ეს საქმე ჩვეულებრივ დიდხანს გრძელდებოდა, ჩვენ კი მაინც არ გვსურდა სხვისთვის მიგვენდო.

„წარმოიდგინე, ჩვენი მოსაქსოვი რომ ყოფილიყო ეს მაქმანები“, — ამბობდა დედა და მართლა შეშინებული იყურებოდა. არა, ამის წარმოდგენაც კი არ შემეძლო. და მე აღმოვაჩინე, რომ ერთი ციდა ცხოველებზე ვფიქრობდი ამ დროს, რომლებიც განუწყვეტლივ

ქსოვენ და წნავენ, და რომელთაც ხელს არავინ უშლის. არადა, ცხოველები რა შუაშია, რა თქმა უნდა, ეს ქალების ხელობა იყო.

„ის ქალები ნამდვილად ზეცაში წავიდნენ“, — ვამბობდი მონუსხული. მაგონდება: მაშინ უეცრად გამახსენდა, რომ ზეცის შესახებ კარგა ხანი იყო აღარაფერი მეკითხა. დედამ ამოისუნთქა, მაქმანები უკვე გადახვეული იყო და ერთად ელაგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ზეცა ისევ დამავიწყდა, დედამ ძალიან ნელა და ჩუმად თქვა: „ზეცაში? მე მგონი, ისინი მთლიანად აქ არიან, შიგნით, ამ მანქანებში, როცა მათ ასე დაჰყურებ, განა ვერა გრძნობ, რომ ესეც შეიძლება მარადიული სასუფეველი იყოს? ჩვენ ხომ ასე ცოტა რამ ვიცით ზეცის შესახებ“.

●

ხშირად, როდესაც სტუმრები გვყავდა, სულ იმას ამბობდნენ, შულინები რა ვიწროდ არიანო. მათი დიდი, ძველი სასახლე რამდენიმე წლის წინ დაიწვა, და ახლა ისინი ორთავე ვიწრო, გვერდითა ფლიგელში ცხოვრობდნენ და მაშასადამე, მართლაც ვიწროდ იყვნენ. მაგრამ სტუმრიანობა სისხლში ჰქონდათ და ამაზე უარის თქმა ნამდვილად არ შეეძლოთ. თუკი ვინმე მოულოდნელად შემოგვივლიდა, შულინებისგან მოდიოდა უთუოდ, და თუკი ვინმე უცბად საათს შეხედავდა და დაფეთებული წასვლას დააპირებდა, იმასაც, უეჭველად, შულინების სახლში ელოდნენ..

თუმცა დედა იმ დროს სახლიდან თითქმის აღარ გადიოდა, მაგრამ ამას შულინები ვერ გაიგებდნენ და ჩვენც იძულებულნი ვიყავით, ზოგჯერ მაინც გავდგომოდით მათი სახლის გზას. ეს იყო დეკემბერში, მას შემდეგ, რაც ერთი-ორჯერ უკვე ჩამოთოვა ადრიანად. მარხილი სამი საათისთვის იყო ნაბრძანები, მეც მივდიოდი. ეს კი იყო, რომ ჩვენი დროზე გამგზავრება არასდროს ხერხდებოდა. დედას არ უყვარდა, როცა უცდიდნენ ხოლმე. და ამიტომ, ყოველთვის ყველაზე ადრე ჩადიოდა ქვემოთ. და რაკი იქ ვერავის პოულობდა, და თან უცბად რაღაც აუცილებლად მოსაგვარებელი საქმეც ახსენდებოდა, უკანვე ბრუნდებოდა და იწყებდა ვიღაცის ან რაღაცის ძებნას, და თავად ხდებოდა ძნელი საპოვნელი. დანარჩენები კი ქვემოთ იდგნენ და ელოდნენ. ბოლოს და ბოლოს, როცა დედა უკვე მარხილში იჯდა და ქურქში ეხვეოდა, აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ

ისევ რაღაც დავიწყებოდა. მაშინ სიეერსენის ძებნას იწყებდნენ, რაკი მან ერთადერთმა იცოდა მუდამ, სად შეიძლებოდა ყოფილიყო ის რაღაც დავიწყებული, მაგრამ მერე მარხილი რატომღაც მოულოდნელად წყდებოდა ადგილს, სიეერსენის დაბრუნებამდე.

ისეთი ჩამობურული დღე იდგა, ვერც იტყოდი, დღეაო. ხეებიც იმგვარად იდგნენ, თითქოს ნისლში გზა აბნეოდათ და ახლა აღარ იცოდნენ საით წასულიყვნენ. მართლაც მედიდური თავდაჯერებულობა გახლდათ იმ ბურუსში მგზავრობა. ამასობაში ისევ წამოთოვა, ნელა და მძიმედ. ყველაფერი წაიშალა, გადასწორდა და თითქოს თეთრ ფურცელზე ჭიესრიალებდით. აღარაფერი არსებობდა ზარების წკრიალის ეარდა და იმასაც ვერ იტყოდით, სად გაისმოდა. მერე ისეთნაირად შეწყდა, თითქოს უკანასკნელი ბგერა გამოსცაო, მაგრამ მალევე მოიკრიბა ძალა, დაგროვდა, შეიკრა და არემარეს მთელი ძალით გადმოეფრქვა რეკვა-წკრიალი. სადღაც მარცხნივ ეკლესიის სამრეკლო შეიძლებოდა გეგულისხმა. მაგრამ უეცრად პარკის კონტური გამოჩნდა, მაღლა, თითქმის ჩვენს ზემოთ, და გრძელ ხეივანში ამოვყავით კიდეც თავი. ზარების რეკვა ხან ძლიერდებოდა, ხან სუსტდებოდა, მაგრამ შეწყვეტით აღარ შეწყვეტილა. თითქოს ხეებს მტევნებად ეკიდებოდა მარჯვნივ თუ მარცხნივ. შემდეგ მარხილმა უეცრად შეუხვია, რაღაცას შემოუარა, რაღაცას წინ ჩაუარა და სადღაც შუაში გაჩერდა.

გეორგს სრულიად დავიწყებოდა, რომ სასახლე კარგა ხანი იყო, რაც დაიწვა და აღარ იდგა. და ჩვენთვისაც სასახლე ისევ იქ იდგა, თავის ძველ ადგილას. აი, ავუყევით საპარადო კიბეს, ძველ ტერასას რომ უერთდებოდა, და მხოლოდ გაუვალი სიბნელე გვიკვირდა. უეცრად ქვემოთ, ჩვენს ზურგს უკან რაღაც კარი გაიღო, დაბურული სინათლე გამოიჭრა და ვიღაცამ დაიძახა: „აქეთ! აქეთ!“ „ჩვენ აქ აჩრდილებივით ავდი-ჩავდივართ“, — ჩაიცინა მამაჩემმა და კიბეზე ჩასვლაში მოგვეხმარა.

„კი მაგრამ, ამ წუთას ხომ აქ სახლი იდგა!“ — ჩაილაპარაკა დედამ და დაბნეულმა ისე სწრაფად ვერ იგუა მომცინარი ვერა შულინი, გულთბილად რომ გამოგვეგება. მერე შინ შევედით და სასახლეზე ფიქრი უკვე შეუძლებელი გახდა. ვიწრო წინკარში გავიხედეთ თუ არა, მაშინვე შიგნით, ოთახში შევედით და სინათლესა და ბუნარის სითბოში აღმოვჩნდით.

ეს შულინები დიდად დამოუკიდებელი ქალების ძლევამოსილ

საგვარეულო გახლდათ. არ ვიცი, ამ ოჯახს საერთოდ ჰყავდა ვაჟები თუ არა. მე მხოლოდ სამი და მაგონდება: უფროსი და ნეაპოლში ვილაც მარკიზზე იყო გათხოვილი და ურიცხვი პროცესების საშუალებით ნელ-ნელა და ხანგრძლივად ეყრებოდა ქმარს; შემდეგ, ზოია, რომელზედაც ამბობდნენ, ქვეყნად არაფერია ისეთი, რაც ამან არ იცოდესო. ყველაზე კარგად კი ვერა მახსოვს. ის თბილი ვერა. ღმერთმა უწყის, რა ადამიანი დადგა ბოლოს და რა ბედი ეწია. გრაფინია, ნარიშკინების გვარიდან, კაცმა რომ თქვას, მეოთხე დად შეიძლებოდა ჩაგეთვალათ და გარკვეული თვალსაზრისით, ყველაზე უმცროსადაც. ამქვეყნად არაფერი იცოდა და არაფერი გაეგებოდა, და მუდამ რომელიმე ქალიშვილი ასწავლიდა ხოლმე, ხან რას და ხან რას. კეთილი გრაფი შულინი კი ამ ოჯახში თავს ისე გრძნობდა, თითქოს ოთხივე ქალზე ყოფილიყო დაქორწინებული, აქეთ-იქით დადიოდა და რომელიც მოხვდებოდა, იმას კოცნიდა.

ახლა ის ხმამაღლა იცინოდა და დიდის ამბით გვესალმებოდა. ქალებმა ჩემი თავი ერთმანეთს გადასცეს, შეფერებოდნენ, რაღაცას მეკითხებოდნენ, მაგრამ მე მტკიცედ გადავწყვიტე, როგორც კი ეს ყველაფერი ჩათავდებოდა, მასპინძლებს ხელიდან გავსხლტომოდი, გარეთ გავპარულიყავი და სასახლე მენახა. მთელი არსებით მჯეროდა, რომ იმ დღეს ის სახლი ნამდვილად იქ იდგა. გარეთ გაპარვა არ გამჭირვებია. დავიკუზე და იმდენ შრიალა, ფუშფუშა კაბებს შორის ძაღლივით გავძვერი. ბედად წინკარის კარიც ჩაკეტილი კი არა, მიხურული აღმოჩნდა მხოლოდ, მაგრამ სადარბაზოს კარმა გამაწვალა ძალიან, არაფრით არ დამყვა: კარს ათასნაირი საკეტი, ჯაჭვი თუ ანჯამა ჰქონდა ასხმული და მეც იმ სიჩქარეში უაზროდ ვაფათურებდი ხელებს მერე უცბად გაღებით კი გაიღო მაგრამ საშინლად დაიჭრიალა და ვიდრე გარეთ გავვარდებოდი ვილაცამ ხელი მტაცა კიდეც და უკანვე შემიყვანა.

„მოიცა აქედან ვერ გახვალ!“ — თქვა ვერა შულინმა დამცინავად და თან ჩემკენ გადმოიხარა. იმწამსვე გადავწყვიტე, ამ თბილი არსებისათვის არაფერი არ გამემხილა. მან კი ჩემი დუმილი ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე ისე გაიგო, თითქოს მოულოდნელ სხეულებრივ შეჭირვებას მივეგდე იმ კართან. ხელი ჩამჭიდა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა კიდეც, თან გულმოწყალედ, თან ქედმაღლურად სადღაც წათრევა დამიპირა. ამ ინტიმურმა გაუგებრობამ ენით აღუწერელი შეურაცხყოფა მომაყენა. ხელი გამოვგლიჯე, გააფთრე-

ბულმა შეეხედე და ამაყად ვუთხარი: „მე მინდოდა სახლი მენახა“. მან ვერ გაიგო. „დიდი სასახლე, გარეთა კიბესთან“.

„კი მაგრამ, — გაოგნებული მომშტერებოდა, — იქ ხომ არავითარი სახლი აღარ დგას“.

ვერ გადამარწმუნა.

„კარგი, ერთად მივიდეთ. ერთხელ, დღისით და ვნახოთ“, — შემომთავაზა შეცვლილი, დამთმობი ხმით. „ახლა იქ ფორთხიალი არ შეიძლება. ორმოებია, ხვრელებია, სულ ქვემოთ კი მამაჩემის თევზების გუბურებია, რომლებსაც ეუფრთხილდებით, რომ არ გაიყინონ. აი, იქ ჩავარდები და თევზად გადაიქცევი“.

ამ სიტყვებით ოდნავ მიბიძგა და ისევ შიდა, გაჩახჩახებულ ოთახში აღმოვჩნდით. ყველანი ისხდნენ და მასლაათობდნენ. მათ რიგრიგობით შევაჩერდი სახეში. „რა თქმა უნდა, ეს ენი მაშინ მიდიან იქ, როცა იქ სახლი მართლაც არა დგას. მე და დედას რომ აქ გვეცხოვრა, სახლი ყოველთვის აქ იქნებოდა“. დედა დაბნეული ჩანდა, ასე ყველა ერთდროულად რომ ლაპარაკობდა. მე კი ვიცი, ის ნამდვილად სახლზე ფიქრობდა ისევ.

ზოია გვერდით მომიჯდა და რაღაც შეკითხვების მოცემა დამიწყო: დაწყობილ-დალაგებული სახე ჰქონდა და იერი დროდადრო ისე უახლდებოდა, თითქოს შიგნით, სულის სიღრმეში განუწყვეტლივ რაღაც ახალ რასმე იმეცნებსო. მამაჩემი ოდნავ მარჯვნივ გადახრილიყო და ყურადღებით უსმენდა ერთთავად მოცინარ მარჯზას, ხოლო გრაფი შულინი დედაჩემსა და თავის შეუღლეს შორის ჩამდგარიყო და რაღაცას ჰყვებოდა. მაგრამ უეცრად გრაფინიამ წინადადება შუაზე გააწყვეტინა.

„არა, ჩემო პატარავ, გეჩვენება“,—დაუყვავა გრაფმა, მაგრამ იმწამსვე მასაც თავის შეუღლესავით შეშფოთებული სახე გაუხდა და ეს სახე ორივე ქალბატონის თავზემოთ წინ აიშვირა. და გრაფინიასაც, ეტყობოდა, თავისი ეგრეთ წოდებული მოჩვენებებისაგან ადვილად ვერავინ დაიხსნიდა: ისევ ისეთი გაფაციცებული და გაქვავებული იჯდა, იმ ადამიანივით, რომელსაც ოდნავ ხელის შეშლაც კი გადარევს; ძლივს შესამჩნევად ატოკებდა ბეჭდებასხმულ თითებს და ამ დროს ვიღაცამ დაიჩურჩულა:

ჩჩუო, და წამსვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ადამიანთა ზურგს უკან ძველი სასახლის ძველებური, დიდი ნივთები წამოიწივნენ, ძალზე ახლოს მოვიდნენ თითქოს. საგვარეულო

ვერცხლეულობა ბრწყინავდა და იზვირთებოდა, თითქოს გამადიდებელ შუშაში მოჩანდა. მამაჩემმა შეცბუნებულმა მიმოიხედა.

„დედა ყნოსავს, — წარმოთქვა სადღაც მის ზურგს უკან ვერა შულინმა. — ამიტომ ყველანი უნდა გავჩუმდეთ, რადგან ის ყურებით ყნოსავს“. თან თვითონაც წამოდგა წარბებაძგიბული და ერთიანად ცხვირად ქცეული. აი, ასეთი უცნაურობანი დასჩემდათ შულინებს იმ ხანძრის შემდეგ. რაკი ვიწრო, გადახურებულ ოთახებში წარამარა რაღაც სუნი დგებოდა, ისინი მაშინვე იწყებდნენ შემოწმებას და ამ საკითხზე თავიანთი აზრის გამოთქმას. ახლაც, ზოია ღუმელს მისდგომოდა და ერთობ საქმიანად ირჯებოდა. გრაფი ოთახში მიდი-მოდიოდა, მცირე ხნით ყოველ კუთხეში ჩერდებოდა და, აქ არ არისო, ამბობდა ბოლოს. გრაფინია წამომდგარიყო და არ იცოდა, საიდან დაეწყო ძებნა. მამაჩემი ისე შებრუნდა სკამზე, თითქოს ის სუნი ჩემს ზურგს უკან იმალებოდა. მარკიზას, რომელმაც, ალბათ, ჩათვალა, რომ რაღაც მყრალ სუნზე იყო ლაპარაკი, ცხვირზე ცხვირსახიცი მიეჭირა და ხან ერთს შესცქეროდა, ხან მეორეს, გაიარა თუ არაო. „აქ, აქ“, — ისე იძახდა ვერა, თითქოს ხელში სჭერდეს ის, რასაც ყველანი ეძებდნენ. და ყოველი სიტყვის შემდეგ კვლავ უცნაური სიჩუმე მეფდებოდა. რაც შემეხება მე, დიდის გულმოდგინებით შევუდექი მათთან ერთად ყნოსვას, მაგრამ უეცრად (არ ვიცი იმის გამო, რომ ოთახებში ძალზე ცხელოდა, თუ მეტისმეტად ბევრი სინათლე რომ ენთო და თან ძალიან ახლოს), ცხოვრებაში პირველად დამეუფლა მოჩვენებების წინაშე შიში. ჩემთვის ცხადი გახდა: ეს უფროსი, ჩამოყალიბებული ადამიანები, წელან რომ ჩვეულებრივ საუბრობდნენ და იცინოდნენ, ახლა კი წელში წახრილი დაეძებდნენ რაღაც უჩინარს, თავიანთი საქციელით იმ უხილავის არსებობას აღიარებდნენ. და საშინელება გახლდათ, რომ ის უხილავი მათზე ბევრად ძლიერი ჩანდა.

შიში თანდათან მიძლიერდებოდა. მეგონა, რომ ის, რასაც ისინი დაეძებდნენ, შეიძლებოდა უცებ ჩემგან ამოფრქვეულიყო და სხეულზე გამონაყარივით მომდებოდა. და მაშინ ყველანი დაინახავდნენ და ჩემკენ გამოიშვერდნენ ხელს. სასოწარკვეთილმა დედას გავხედე. უცნაურად წელში გამართული ისევ თავის ადგილას იჯდა, და მომეჩვენა, რომ მე მელოდებოდა. მოვეხვიე და მაშინვე ვიგრძენი, როგორ ერთიანად ცახცახებდა შინაგანად და იმავე წამს იმასაც მივხვ-

დი, რომ მისთვის სასახლე მთელი ეს ხანი სულ იდგა და აი, ახლა დაინგრა ისევ.

„მალტე, შშიშარა!“ — სიცილი გაისმა სადღაც, ვერა იყო. მაგრამ მე და დედაჩემი ერთმანეთს აღარ მოვშორებივართ, ერთად ავიტანეთ ის გაცინება. და ჩვენ ასე დავრჩით, ჩახვეულები, მე და დედა, ვიდრე სასახლე მთლიანად, ბოლომდე არ დაიფერფლა.

●

ჩემი ბავშვობის თითქმის შეუცნობელი გამოცდილებებიდან ყველაზე მდიდარი მაინც დაბადების დღეები გახლდათ. თუმცა კი უკვე მაშინ ვიცოდი, რომ ცხოვრება თავს დიდად არ იწუხებს, რათა დღეები ერთმანეთისაგან განასხვავოს, მაგრამ ამ დღეს მაინც განსაკუთრებული უფლების განცდით ვიღვიძებდი. სიხარულის უფლება მქონდა და ეჭვიც არ მეპარებოდა მის სამართლიანობაში, როგორც ჩანს, უფლების ამგვარი განცდა ადამიანში ადრევე ყალიბდება, ალბათ მაშინ, როცა ჯერ კიდევ სრულიად ბავშვი ყველაფერს ეწვდება, ითხოვს და იღებს. და საგნებს, რომლებიც მტკიცედ უპყრია ხელთ თავისი შეუპოვარი წარმოსახვით ძირეულ ფერთა იმ ინტენსიობას ანიჭებს, რაც მის იმწამიერ მოთხოვნილებებს გააჩნია.

შემდეგ კი მოდიან ის ყოვლად უცნაური დაბადების დღეები, როდესაც შენ საკუთარი უფლების მტკიცე შეგნება გმსჭვალავს, გარშემომყოფთ კი რატომღაც განსაკუთრებული დაბნეულობა და მერყეობა ეუფლებათ. გინდა ისევე ჩაგაცვან და მოგკაზმონ, როგორც წინა წელს, და სხვა სიამოვნებანიც თავისი წესითა და რიგით მოგერთვას; მაგრამ თვალს გაახელ თუ არა, მაშინვე ვიღაცის ყვირილი შემოგესმება: ტორტი ჯერ მზად არ არისო, ან რაღაცის გატეხვის ხმა მოაღწევს შენამდე, იმ ოთახიდან, სადაც საჩუქრების მაგიდას გიმზადებენ. ანდა ვიღაც შემოდის შენს საძინებელში და კარს ღიას ტოვებს და შენ მთელ საჩუქრებს ერთბაშად დაინახავ, ყველაფერს, რაც ახლა კი არა, თავის დროზე უნდა დაგენახა, როცა დაგიძახებდნენ. და ეს ისეთი წუთია, თითქოს ოპერაცია გაგიკეთესო. წამიერად, მაგრამ ჭკუისშემშლელად მტკივნეულად ჩაგიჭრეს სული. მაგრამ ხელი, ოპერაციას რომ აკეთებს, გავარჯიშებული და მტკიცეა. ამიტომ ტკივილი მაშინვე გაგივლის და გაუძ-

ლებ თუ არა იმ ტანჯვას, მერე აღარც კი ფიქრობ საკუთარ თავზე. ახლა მთავარია, როგორმე დაბადების დღე გადაარჩინო. ირგვლივ მყოფთ დააკვირდე, წამსვე შეეგებო მათ შეცდომებს და დაარწმუნო, რომ ყველაფერი ჩინებულად გამოსდით. ეს კი არც ისე ადვილია, რადგან მალევე აშკარავდება, რომ არნახულად უნიათო, თითქმის ჩლუნგ სალესთანა გაქვს საკეთე. ოთახაც ცეო ხვდებიან. ერის ოთახში სხვებისთვის განკუთნილი რაღაც ფუთებით ხელში არ შემოვიდნენ, და შენ, საჩუქრებს რომ ელოდები და ამიტომ მაშინვე მათკენ გარბიხარ, იძულებული ხდები, თავი ისე დაიჭირო, თითქოს, ისე, შენთვის დარბოდი ოთახში, რადგან კუნტრუში გეხალისებოდა. მერე, ვიღაც შენს მოულოდნელ გახარებას მოინდომებს და ზერელედ გამოგონილი მოლოდინით გამოსწევს სათამაშოების ყუთის სულ ქვედა უჯრას. იქ კი სხვა არაფერი აღმოჩნდება ბამბის გარდა და ამ დროს კიდევ იქით უნდა შეუმსუბუქო შეცბუნება. ან თუ რაღაც მექანიკურ სათამაშოს მოგიტანენ, მომართვისას ისე უხეშად გადაატრიალებენ საქოლს, რომ მერე კარგს იზამ, იმ ზამბარაგაწყვეტილ თაგვსა თუ კატას ცოტა ფეხით თუ უბიძგებ იატაკზე: აგრე ზოგჯერ ხერხდება უფროსების მოტყუება, და თან ეხმარები უხერხულობა დასძლიონ. ეს ყველაფერი ჩვეულებრივ მშვენივრად გამომდიოდა. დიდი ნიჭიერება არ იყო საჭირო. ნიჭი და ტალანტი მაშინ ხდებოდა აუცილებელი, როდესაც ვიღაც მართლა გულით მოინდომებდა შენს გახარებას და დიდის ამბით კეთილად მოჰქონდა შენთვის სიხარული, შენ კი შორიდანვე ხედავდი, რომ ეს სიხარული შენი არ იყო. ეს იყო სიხარული ვიღაც სულ სხვისათვის, ვერც კი იტყოდი, რომელ ადამიანს მიესადაგებოდა ეგი. ისე უცხო იყო ის სიხარული.

●

ადამიანი რომ ჰყვებოდა, ნამდვილი თხრობა რომ შეეძლო, ეს ჩემამდე დიდი ხნით ადრე უნდა ყოფილიყო. მე პირადად არ მომისმენია, ვინმეს რაიმე მოეყოლოს. როცა აბელონე დედაჩემის ყმაწვილქალობაზე მიამბობდა, ცხადად ვხედავდი: მან მოყოლა არ იცოდა. მაგრამ ამბობდა, მოხუცი გრაფი ბრაე[8] იყო უკანასკნელი, ვისაც თხრობა კიდევ შეეძლოო. მსურს ჩაეიწერო ყველაფერი, რაც კი აბელონემ ამის თაობაზე იცოდა.

თურმე აბელონე, სრულიად ნორჩი გოგონა რომ იყო, ერთი ხანობა რაღაც უცნაური, შინაგან მოუსვენრობას ასე ვთქვათ — სულის აზვირთებას განიცდიდა. მაშინ ბრაეთა ოჯახი ქალაქში, ბრეედგადზე ცხოვრობდა და დიდი სტუმრიანობით გაჭოირჩეოდა. როცა საღამოობით აბელონე თავის ოთახში ადიოდა, თავი სხვებივით დაღლილი ეგონა და ძილს აპირებდა. მაგრამ, მერე ერთბაშად შეიგრძნობდა ხოლმე ფანჯარას და, თუ სწორად გავიგე, შეეძლო საათობით მდგარიყო ღამის წინაშე და ეფიქრა: „მე მეხება". „ტყვესავით ვიდექი, — ამბობდა აბელონე, — და ვარსკვლავები მიმაჩნდა თავისუფლებად". და მაშინ თურმე, აბელონეს ისე წაიღებდა ხოლმე ძილი, რომ არავითარ მოშვება-მოთენთვას არ გრძნობდა ძილის წინ. გამოთქმა „ძილში ჩაიძირა" აბელონეს ცხოვრების იმ წელიწადზე არ ვრცელდებოდა. ძილში კი არ იძირებოდა, პირიქით, ძილი მძინარესთან ერთად სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა, და როცა გოგონა შიგადაშიგ თვალებს ახელდა, ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, თითქოს წყლის სულ ახალ-ახალ ზედაპირზე იწვა, და ასე მაღლა-მაღლა აზიდული ბოლოს უეცრად, უკვე ზეზეულად, განთიადის პირისპირ რჩებოდა. ასე ხდებოდა ზამთარშიც, როცა სხვები, სახენამძინარევნი დაგვიანებით იკრიბებოდნენ საუზმეზე. საღამოობით, როცა ბნელდებოდა, სანთლებს უნთებდნენ ყველას, საერთო სანთლებს. მაგრამ ის ორი სანთელი, დილაადრიან, რიჟრაჟის ხასხასა ბინდში რომ იწვოდა, მხოლოდ აბელონესთვის იყო განკუთვნილი. ეს სანთლები აბელონეს დაბალ, ორტოტიან შანდალში იდგა და წყნარად ანათებდა პატარა, ვარდებმოხატული აბაჟურიდან, დროდადრო ფვერდზე რომ უნდა გადაეწია. ამით სულაც არ ეშლებოდა ხელი, რადგან ჯერ ერთი, არსად ეჩქარებოდა, და მერე, ხანდახან ხომ ისედაც უნდა აეღო თავი, აეხედა და ჩაფიქრებულიყო, როცა სიტყვებს ამწკრივებდა წერილსა თუ დღიურში, რომლის წერაც ოდესღაც, სრულიად განსხვავებული ხელით, შიშნეულად, მონდომებულად და ლამაზად დაეწყო.

გრაფი ბრაე თავისი ქალიშვილებისაგან სრულიად გამიჯნულად ცხოვრობდა. იგი ახირებად და სისულელედ მიიჩნევდა მოსაზრებას ადამიანებმა ერთმანეთის ცხოვრება უნდა გაიზიარონო („დიახ, გაიზიარონ, როგორ არა", — ჩაილაპარაკებდა ხოლმე). მაგრამ მას თურმე სიამოვნებდა, როდესაც მის ქალიშვილებზე უწყებდნენ ლა-

პარაკს. იხეთი ყურადღებით უსმენდა თურმე, თითქოს მისი შვილები სხვა ქალაქში ცხოვრობდნენ.

ამიტომაც, რაღაც განსაკუთრებული ამბავი მოხდა, როდესაც მან ერთხელ, საუზმის შემდეგ, აბელონეს ხელი დაუქნია, მოდი აქო. „როგორც ვხედავ, ჩვენ ერთნაირი ჩვეულება გვქონია, მეც დილადრიან მიყვარს წერა. შენ შეგიძლია მომეხმარო“. აბელონეს დღევანდელივით ახსოვდა ის სიტყვები.

მეორე დილითვე აბელონე მამამის-ს კაბინეტში შეიყვანეს, სადაც ყველას ეკრძალებოდა შესვლა. მაგრამ აბელონეს ეს აღარ გახსენებია, ველარ მოასწრო, რაკი მაშინვე საწერ მაგიდას მიუსვეს გრაფის პირისპირ. ეს უზარმაზარი მაგიდა აბელონეს დაბლობს აგონებდა. იქ დახვავებული წიგნებისა და ნაწერი ფურცლების დასტა-გროვები კი ქედებს, გორაკებსა თუ სოფელ-ქალაქებს.

გრაფი კარნახობდა. ვინც ამტკიცებდა, გრაფი ბრაე მემუარებს [10] წერსო, არცთუ შორს იყო სიმართლისაგან. მაგრამ ერთი კია, რომ არავითარ პოლიტიკას თუ სამხედრო მოგონებებს არ ეხებოდა საქმე. ასეთ ამბებს მაშინვე ვივიწყებო, მოკლედ მოსჭრიდა ხოლმე მოხუცი თავადი, თუკი ვინმე ამ საკითხზე ჩამოუგდებდა სიტყვას. მაგრამ რისი დავიწყებაც შას არა და არ სურდა, გახლდათ ბავშვობა. ბავშვობას ჩასჭიდებოდა ხნიერი გრაფი და მისი აზრით, ძალზე ბუნებრივი იყო, რომ ის, აგრე შორეული და გარდასული ხანა მთელს დანარჩენ ცხოვრებაზე მძლავრობდა მის არსებაში, და რომ ბავშვობა — როცა მოხუცი საკუთარი სულის სიღრმეში იხედებოდა — ხელუხლებლად ესვენა იქ: ჩაუთვლემავი და გაზრდილ-აღვსილი, ისე ესვენა ღრმა წიაღში, როგორც ნორვეგიული ზაფხულის მშვრალე ღამეში.

დროდადრო გრაფი ბრაე წამოხტებოდა და სანთლებისაკენ ისროდა სიტყვებს, და ალიც თრთოლას და ცახცახს იწყებდა. ან უცებ მთელი წინადადების წაშლას ბრძანებდა, და ამ დროს ფიცხად მიდიმოდიოდა ოთახში, აბრეშუმის მუქ-მწვანე საღამურის ფრიალ-ფრიალით. მათ გარდა იქ კიდევ ერთი პიროვნება იმყოფებოდა: სტენი, გრაფის ძველი, იუტლანდიელი კამერდინერი, რომლის მოვალეობაც ის გახლდათ, რომ, როცა გრაფი წამოხტებოდა, მაგიდაზე მოფანტულ, შენიშვნებით აჭრელებულ ფურცლებზე ხელი რაც შეიძლება სწრაფად დაეფარებინა. მისი მოწყალების აზრით, დღევანდელი ქაღალდი არაფრად ვარგოდა, მეტისმეტად სიფრიფანა იყო, და სუ-

ლის ოდნავ შებერვაზეც კი მაგიდიდან მიფრინავდა. და სტენიც, ჩვეულებრივ სხეულის ზედა ნაწილით რომ მოჩანდა, იზიარებდა ამ განაჩენს. იგი ისე იჯდა, თითქოს საკუთარ ხელებს აზისო, ღამის ფრინველივით სერიოზული და სინათლით დაბრმავებული.

ეს სტენი კვირაძალს, როგორც წესი სვედენბორგის [11] კითხვაში ატარებდა. მსახურებიდან არავის ჰქონდა მის ოთახში შესვლის უფლება, რაკი ცნობილი გახლდათ, რომ მას ხმამაღლა კითხვა სჩვეოდა. სტენის მთელ ოჯახს კარგა ხანი იყო ახლო ურთიერთობა ჰქონდა სულებთან. სტენი კი ყველაზე მეტად ყოფილიყო დაჯილდოებული ამდაგვარი კავშირის ნიჭით. თურმე, დედამისს რაღაც მოეჩვენა იმ ღამით, როცა სტენი დაიბადა. ამ კაცს დიდი, მრგვალი თვალები ჰქონდა და მისი მზერა თითქოს იმ ადამიანის ზურგს უკან გაწვებოდა ხოლმე, ვისაც უცქერდა. აბელონეს მამა ხშირად ეკითხებოდა მას სულების შესახებ, ზუსტად ისე, ნათესავ-ახლობლებს რომ მოიკითხავს ადამიანი: „მოდიან ხოლმე, სტენ? კარგია, თუკი მოდიან“, — ამბობდა კეთილგანწყობილად.

რამდენიმე დღე კარნახის საქმე კარგად მიდიოდა. მაგრამ ერთხელაც აბელონემ ვერ შესძლო დაეწერა სიტყვა: „ეკერნფიორდე“ [12]. თურმე საკუთარი სახელი იყო და აბელონეს არასოდეს გაეგონა. გრაფი, რომელიც უკვე ეძებდა საბაბს, თავისი სწრაფი მოგონებებისათვის შეუფერებლად ნელი წერა შეეწყვიტა, უკმაყოფილოდ შეჩერდა.

„ამას ამ სიტყვის დაწერაც კი არ შეუძლია, — თქვა მკვახედ, — და სხვები ალბათ წაკითხვითაც ვერ წაიკითხავდნენ. და საერთოდ, დ ა ი ნ ა ხ ა ვ ს კი ვინმე, რასაც მე ვამბობ? — განაგრძობდა გაბრაზებული და აბელონეს თვალს არ აშორებდა. — დაინახავენ ისინი იმ სენ-ჟერმენს?—დაუყვირა მან გოგონას,—სენ-ჟერმენი ვთქვით? წაშალე, დაწერე: მარკიზ ფონ ბელმარი“ [13].

აბელონემ წაშალა და რაც უთხრეს, დაწერა. მაგრამ გრაფმა ისე სწრაფად განაგრძო ლაპარაკი, რომ აბელონე ვეღარ მიჰყვა.

„ბავშვებს ვერ იტანდა ეს დიდებული ბელმარი, მე კი რატომღაც ხშირად მისვამდა მუხლებზე; ისეთი პატარა ვიყავი მაშინ და ერთხელ აზრად მომივიდა, მისი ალმასის ღილებისათვის კბილი ჩამესო, რამაც ის დიდად აღაფრთოვანა. გაიცინა, თავი ამიწია და ერთმანეთს თვალებში ჩავხედეთ: „შენ ჩინებული კბილები გაქვსო, — ასე, მითხრა, — კბილები, რაღაცას რომ მოიმოქმედებენ აუცილებ-

ლად". მე კი მისი თვალები დამამახსოვრდა. მას შემდეგ სად აღარ ვყოფილვარ, რანაირი თვალები აღარ მინახავს, მაგრამ, დამიჯერე, ასეთი არსად აღარაფერი შემხვედრია. ამ თვალებს გარეთ არაფრის დანახვა არ სჭირდებოდათ. ყველაფერი საკუთარ წიაღში ჰქონდათ. ვენეცია გაგიგონია? კარგი. გეუბნები, ის თვალები ვენეციას აქ, ამ ოთახში დაინახავდნენ, თითქოს აი, ამ მაგიდასავით აქ ყოფილიყოს. ერთხელ, ოთახის კუთხეში ვიჯექი და ყურს ვუგდებდი, მამაჩემს როგორ უყვებოდა სპარსეთის შესახებ. ზოგჯერ ახლაც მგონია, რომ ჩემი ხელები მისი ნაამბობის სურნელს აფრქვევენ. მამაჩემი დიდად აფასებდა მარკიზ ფონ ბელმარს, მისი აღმატებულება ლანდგრაფი მის მოწაფედაც კი თვლიდა თავს. მაგრამ, ცხადია, ბევრს აბრაზებდა, რომ ამ კაცს მხოლოდ ის წარსული სწამდა. რომელიც საკუთარი წიაღით დაჰქონდა. აბა, როგორ გაიგებს ხალხი, რომ ფასი მხოლოდ იმასა აქვს, რაც შენთან ერთად იბადება".

„წიგნები ცარიელია! — ხელების გააფთრებული ქნევით შეჰყვიროდა გრაფი ოთახის კედლებს. — სისლი, სისხლია მთავარი, სისხლი უნდა იკითხოს ადამიანმა! და ამ ბელმარს განსაცვიფრებელი ამბები და სურათხატები დაჰქონდა სისხლით, და შეეძლო თავისი სისხლი წიგნივით ნებისმიერ ადგილას გადაეშალა. ყველგან რაღაც იყო აღწერილი, მისი სისხლის არც ერთი გვერდი არ იყო გამოტოვებული და როდესაც ის დროდადრო თავისთვის ჩაიკეტებოდა და მარტოდმარტო ფურცლავდა საკუთარ სისხლს, რას აღარ პოულობდა. აქ ოქროს დამზადებას მიადგებოდა, იქ — პატიოსან თვლებს, სხვაგან კიდევ — ფერთა სამყაროს. ან კი რატომ არ უნდა ბუდობდეს ეს ყველაფერი სადღაც ჩვენს სისხლში? ნამდვილად ჩვენშია ეს ყოველივე, სადღაც, სიღრმეში".

„ის ძალიანაც კარგად იცხოვრებდა ერთი რომელიმე ჭეშმარიტებით, მარტო რომ ყოფილიყო. მაგრამ ამისთანა სისხლისმიერი ჭეშმარიტების პატრონისათვის მარტო ცხოვრება ადვილი როდი გახლდათ. და არც ისეთი უგემოვნო იყო, ხალხი მიეწვია თავისი ჭეშმარიტების გასაზიარებლად: მისი ჭეშმარიტება ლაპარაკსა და მიეთმოეთს ვერ იგუებდა. ამისათვის ეს კაცი მეტისმეტად აღმოსავლელი იყო. „Adieu, Madame [14], სხვა დროს შევხვდებით, შეიძლება ათასი წლის შემდეგ უფრო მოეღონივრდეთ და განვმტკიცდეთ. თქვენი სილამაზე ხომ ჯერ მხოლოდ ქმნადობის პროცესშია". — ასე

უთხრა ერთხელ თავის ქალბატონს — თავის ჭეშმარიტებას. და ეს მხოლოდ თავაზიანობა არა ყოფილა. ამ სიტყვებით ის წავიდა და გარეთ თავისი სამხეცე გააშენა ხალხისთვის, რაღაც Jardin d' Acclimatation-ის[15] მსგავსი, დიდრონ-დიდრონი ტყუილებისათვის, როგორიც ჩვენთან ჯერ არ უნახავთ, და ააგო პალმების სახლი გაზვიადებებისაგან და ყალბ საიდუმლოთა პატარა, კარგად მოვლილ-მოწყობილი სათბური. და ყოველი მხრიდან მოაწყდა ხალხი და თავად აქეთ-იქით დადიოდა, ალმასის ბალთიან ფეხსაცმელებში გამოწყობილი და სტუმრებს ზედ ეგებოდა".

„ზედაპირული ცხოვრება, არა? მაგრამ თუკი სიღრმეში ჩავიხედავთ, ეს ხომ ნამდვილი რაინდობა იყო თავისი ქალბატონის მიმართ. და ამ გზით საკმაოდ შეინახა და შეინარჩუნა თავი".

ბოლოს უკვე მოხუცი აბელონეს აღარც მიმართავდა, ის სრულიად დავიწყებოდა, შეშლილივით დაქროდა აქეთ-იქით და სტენისკენ ისროდა მბრძანებლურ მზერას, თითქოს სტენი ერთ დათქმულ წუთს იმ არსებად უნდა გადაქცეულიყო, ვიზედაც გრაფი ფიქრობდა. მაგრამ სტენი ჯერ არ აპირებდა ფერისცვალებას.

„საკუთარი თვალით უნდა გენახათ ის კაცი! — შმაგად განაგრძობდა თავადი. — ერთი ხანობა ყველას თვალსაწიერზე ცხოვრობდა; ღიად, აშკარად, თუმცა ზოგ-ზოგ ქალაქში წერილები, ის რომ იღებდა, უსახელო იყო — მხოლოდ მისამართი ეწერა და სხვა არაფერი. მაგრამ მე ის მაინც ვნახე".

„ეს კაცი ლამაზი არა ყოფილა", — გრაფმა უცნაურად, რაღაც ნაჩქარევად ჩაიცინა, — არც ისეთი იყო, ხალხი დარბაისელსა და კეთილშობილს რომ უწოდებს. მის ირგვლივ გაცილებით უფრო სასიამოვნო და კეთილშობილი ხალხი ტრიალებდა. ის მდიდარი იყო, მაგრამ სიმდიდრე შემთხვევითობად მიაჩნდა, მას ვერ დაეყრდნობოდა. კარგად აღზრდილი გახლდათ, თუმცა სხვებს უკეთესად ეჭირათ თავი. ერთი სიტყვით, მაშინ არ შემეძლო განსჯა, მდიდარი სულის პატრონი იყო თუ რა იყო, რა ჰქონდა ისეთი, რასაც ფასი აქვს ხალხის თვალში, მაგრამ ის ი ყ ო".

აცახცახებული გრაფი წამოდგა და ხელი ისე მძიმედ დაუშვა, თითქოს რაღაც დადგა ოთახში, რაღაც, რაც მყარად იდგა და ასე დარჩებოდა კიდეც სამუდამოდ.

იმ წუთას აბელონეც მოხვდა თვალში.

„ხედავ იმ კაცს?“ — დაუყვირა, ხელი დასტაცა ვერცხლის შანდალს და სანთლის ალი დამაბრმავებლად შეანათა თვალებში.

აბელონე იგონებდა, მართლა დავინახეო.

შემდეგ დღეებში აბელონეს ისევ იბარებდნენ. ამ შემთხვევის შემდეგ წერა-კარნახი გაცილებით უფრო მშვიდად გაუგრძელებიათ.

გრაფს თურმე სურდა ერთად შეეგროვებინა ათასგვარ ჩანაწერებში გაბნეული თავისი ბავშვობის მოგონებანი ბერნსტოფულ წრეზე[16] სადაც მამამისი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. აბელონე ისე შესჩვეოდა თავის ახალ, უჩვეულო საქმიანობას, რომ ვინც მამა-შვილს ერთად დაინახავდა, ამ უაღრესად დაძაბულ და მიზანდასახულ შრომას უმალ განდობილთა ახლობლურ ურთიერთობად ჩასთვლიდა.

ერთხელაც, როცა აბელონე უკვე ოთახიდან გამოსვლას აპირებდა, გრაფი მიუახლოვდა და ხელები ისე წაიღო ზურგს უკან, თითქოს რაღაც სიურპრიზს უმზადებსო: „ხვალ იული რევენტლოვზე[17] უნდა ჩაეწეროთ,“ თქვა და თავადვე შეაფასა საკუთარი სიტყვები: „ის წმინდანი იყო“.

ალბათ აბელონემ იჭვნეულად შეხედა.

„დიახ, დიახ, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არსებობს, ძვირფასო აბელ“.

აბელონეს ხელებს დასწვდა და წიგნივით გადაშალა.

„მას სტიგმები ჰქონდა[18] — თქვა მან, — აქ და აქ“ — და ცალი თითით მაგრად ჩაუკაკუნა ხელისგულებში.

რას ნიშნავდა სიტყვა „სტიგმა“ მაშინ აბელონეს არა სცოდნია. წერის დროს გამოჩნდებაო, უფიქრია, და მოუთმენლად ელოდა თურმე წმინდანი ქალის ამბის გაგებას. მაგრამ გრაფს ის აღარ დაუბარებია, არც მეორე დღეს, და არც აღარასოდეს.

„გრაფინია რევენტლოვზე შემდეგ ხშირად ლაპარაკობდნენ თქვენს სახლში“, — უცბად მოჭრა აბელონემ და გაჩუმდა. როცა ვთხოვე, კიდევ ეამბნა რაიმე, დაღლილმა შემომხედა და მტკიცება დაიწყო, ბევრი რამ უკვე დამავიწყდა, აღარ მახსოვსო. „მაგრამ იმ ადგილებს ზოგჯერ ახლაც ვგრძნობ“, — გაიღიმა და ღიმილი ვეღარ მოიშორა და თითქმის ცნობისწადილით დააჩერდა თავის ცარიელ ხელისგულებს.

ჯერ კიდევ მამაჩემის სიკვდილამდე შეიცვალა ჩვენთან ყველაფერი. ულსგორი ჩვენ აღარ გვეკუთვნოდა. მამაჩემი ქალაქში გარდაიცვალა, ჩემთვის ასე მტრულ და უცხო სართულებიან სახლში. მაშინ მე უკვე საზღვარგარეთ ვიყავი და გვიან ჩავედი.

ის მაღალ საცხედრეზე ესვენა ორ რიგად გამწკრივებულ წერწეტა კელაპტრებს შორის. ოთახში ნაირ-ნაირ ყვავილთა გაურკვეველი სურნელი იდგა, ისეთივე გაურკვეველი, როგორც ნაზავი მრავალგვარ ხმათა, ერთდროულად რომ ისმოდა ირგვლივ. თვალებდახუჭულ, ლამაზ სახეზე ისეთი გამომეტყველება ეხატა, თითქოს დინჯად და მოწიწებით მიჰცემია მოგონებებსო. მონადირეთუხუცესის ფორმაში გამოეწყოთ, მაგრამ არ ვიცი რა მიზეზით, ლურჯი ზონრის მაგივრად თეთრი მიემაგრებინათ. ხელები გულზე კი არ ჰქონდა დაკრებილი, არამედ რაღაცნაირად ალმაცერად დაჰყროდა ერთმანეთზე: ეს ხელები ყოვლად უაზროდ გამოიყურებოდნენ. მეტისმეტად ეტყობოდათ, სხვის ხელებს რომ დაეწყოთ იქ. ნაჩქარევად მიამბეს, ბევრი იტანჯაო, მაგრამ მიცვალებულს ტანჯვისა არა ეტყობოდა რა. ისეთი დაწყობილ-დალაგებული ნაკვთები ჰქონდა, როგორც ავეჯია უცხო ოთახში, საიდანაც ვიღაც გაემგზავრა შორეულ შხარეს. ძალზედ ნაცნობი შეჩვენებოდა ახლანდელი მისი იერი, თითქოს მამა ადრეც ხშირად მენახა მკვდარი.

ჩემთვის უცხო, ახალი და უსიამოვნო მთელი ეს გარემო გახლდათ. ახალი იყო ეს დამთრგუნველი ოთახი, რომლის ფანჯრებიც, ალბათ, სხვათა ფანჯრებს ემიჯნებოდა, ისიც ახალი იყო, სივერსენი დროდადრო რომ შემოდიოდა და არაფერს აკეთებდა. ის დაბერებულიყო. შემდეგ რამდენჯერმე შემომთავაზეს საუზმე. მაგრამ იმ დღეს ლუკმა ყელში არ გადამდიოდა. ვერ ვამჩნევდი, რომ ჩემი გასვლა უნდოდათ ოთახიდან. ბოლოს, ფეხი რომ აღარ მოვიცვალე, სივერსენმა რაღაცნაირად ამოთქვა, ექიმები მოვიდნენო. ვერ მივხვდი, ექიმებს რაღა ესაქმებოდათ. კიდევ რაღაცაა მოსაგვარებელიო, სივერსენმა, და ჩაწითლებული თვალებით დაბნეულად შემომჰაერდა. შუადღეს რაღაც თითქოს სულმოუთქმელად, შემოვიდა ორი ბატონი, ექიმები. წინამ ისე დაიქნია თავი თითქოს რქები ჰქონდა და რქენაპ გვიპირებდა. სათვალის ზემოდან გადმოგვხედა: ჯერ სივერსენს, მერე მე.

შემდეგ სტუდენტური ფორმალობით მოიხარა წელში: „ბატონ მონადირეთუხუცესს კიდევ ერთი სურვილი ჰქონდა“. ისეთნაირად თქვა, როგორც შემოვიდა: სულმოუთქმელად. რაღაცნაირად ვაიძულე, სათვალის ზემოდან კი არა, სათვალიდან გამოეხედა. შევნიშნე, რომ მისი ქერა, ტაშმსხვილი და ნაზკანიანი კოლეგა ადვილად წითლდებოდა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. უცნაური მეჩვენებოდა, რომ მონადირეთუხუცესს კიდევ რაღაც სურვილები ჰქონდა.

უნებურად ისევ მივაჩერდი ლამაზ, აუმღვრეველ სახეს და ერთბაშად მივხვდი: ამ ადამიანს სიმშვიდე სურდა. გულის სიღრმეში მუდამ სიმშვიდესა და სიმყარეს ეძებდა, გარკვეულობას და აი, ახლა, ბოლოს და ბოლოს ეწვადა, მიეღო იგი.

„თქვენ გულის ჩასაჩვრეტად მობრძანდით, არა? გთხოვთ“, — თავი დავუკარი და უკან დავიხიე. ექიმები ერთდროულად მოიხარნენ წელში და მაშინვე თავიანთ საქმეზე დაიწყეს თათბირი. ვიღაცამ საცხედრეს კელაპტრები მოაშორა. მაგრამ ხნიერმა ექიმმა რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა ჩემსკენ. ცოტა რომ მომიახლოვდა, წინ წამოიწია, რათა დარჩენილი მანძილი აღარ გამოეელო, და გაბრაზებულმა შემომხედა:

„არ არის საჭირო... ესე იგი, ჩემის აზრით, ალბათ. უკეთესია... თუკი თქვენ...“

ეს ნაჩქარევი და თან ძუნწი ქცევების პატრონი არადჩასაგდებ, ჩამოწერილ ადამიანად აღვიქვი. მეორედ დავუკარი თავი და, მეც არ ვიცი, რატომ, კიდევ რამდენიმეჯერ გავიმეორე ეს მოძრაობა.

„მადლობთ, — მოვჭერი მოკლედ, — ხელს არ შეგიშლით“.

ვიცოდი, შემეძლო იმის ატანა, რაც მზადდებოდა და არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა, იქაურობას მოვშორებოდი. რაც ხდებოდა, უნდა მომხდარიყო. ალბათ, ეს იყო ყველაფრის აზრი. თანაც არასდროს მენახა, როგორ უჩვრეტდნენ გულს მიცვალებულს. რატომ არ უნდა შემეძინა ეს უცნაური გამოცდილებაც, მით უმეტეს თუ სრულიად ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ჩნდებოდა ამგვარი შესაძლებლობა. სასოწარკვეთის მაშინ უკვე აღარ მჯეროდა. ასე რომ, საშიში არაფერი იყო.

არა, არა, ამქვეყნად უმცირეს რაიმესაც კი ვერ წარმოიდგენ. ყველაფერი იმდენი განუმეორებელი წვრილმანისაგან შედგება, მათი წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ჩვენი წარმოსახვა კი ძალზედ სწრაფია, ამგვარი წვრილმანები გვერდზე რჩება. და ვერც კი

ვამჩნევთ, როგორ აკლია ისინი წარმოსახულს. ხოლო სინამდვილის ყველა მოვლენა აუჩქარებლად და ენით აუწერლად დაწვრილებით მიედინება.

აბა, ვინ წარმოიდგენდა იმ წინააღმდეგობას, რომელმაც მაშინ იჩინა თავი, როგორც კი მიცვალებულს ფართო და მაღალი მკერდი გაუშიშვლეს. სულწასულმა, პატარა კაცმა წამსვე მონიშნა საჭირო ადგილი, მაგრამ იქ ელვის სისწრაფით ჩარჭობილმა ხელსაწყომ სიღრმეში ველარ ჩააღწია, იმგვარმა განცდამ შემიპყრო, თითქოს მთელი დრო-ჟამი გაქრა, გაიხვეტა ოთახიდან. ისე გავქვავდით ყველანი, თითქოს სურათში ვიდექით. მაგრამ შემდეგ მსხლტომი, მისხალი რაღაც შარიშურით ისევ შემოიჭრა დრო, და იმაზე ბევრად მეტი დრო დაგუბდა, ვიდრე იქ წამოწყებულ საქმეს ჭირდებოდა. უცბად, სადღაც რაღაც კაკუნი გაისმა. ასეთი ხმა ჩემს ცხოვრებაში არ გამეგონა. თბილი, დახშული, ორმაგი კაკუნი. ჩემმა სმენამ ის ჩქამი მაშინვე დასთმო, თვალებს გადააბარა და იმავ წამს დავინახე კიდეც, რომ ექიმს გულამდე ჩაეღწია. ერთი-ორი წუთი გავიდა, ვიდრე ორივე ეს შთაბეჭდილება ჩემში შეერთდებოდა: „ეგრე, ეგრე, — გავიფიქრე, — მაშასადამე, ჩააღწიეს“. კაკუნი კი ისეთი გახდა, — სიჩქარის მიხედვით თუ განვსჯიდით, — თითქოს ხელსაწყო ენების მიტანის სიხარულმა შეიპყრო. შევხედე ექიმს, რომელსაც აი, უკვე აგრე დიდი ხანი იყო, რაც ეცნობდი: შეპყრობილივით ირჯებოდა. სწრაფად და საქმიანად მოფუსფუსე ბატონი. სიამოვნების ან კმაყოფილების ნასახიც კი არ ეტყობოდა სახეზე. ეგ იყო მხოლოდ, რომ, ალბათ, ძველი რაღაც ინსტინქტით, მარცხენა საფეთქელზე ერთი-ორი ღერი თმა ყალყზე დასდგომოდა. მან ფრთხილად ამოაძრო მკერდიდან ხელსაწყო და ის ადგილი დაღებულ პირს დაემსგავსა, საიდანაც სისხლის ორი ტალღა ამოვარდა, თითქოს რაღაც თქვა იმ პირმა, ორმარცვლიანი, და ახალგაზრდა, ქერა ექიმმა ხელის ელეგანტური მოძრაობით ბამბაში გამოამწყვდია მისი ნათქვამი. ახლა ჭრილობა დაწყნარდა, დამშვიდდა — დახუჭული თვალივით. შგონი, ერთხელ კიდევ დავუკარი თავი, ამჯერად მართლა გაუაზრებლად, ყოველ შემთხვევაში, განვცვიფრდი, როცა მივხვდი, რომ უკვე მარტო ვიყავი ოთახში. უნიფორმა ისევ შეეკრათ და თეთრი ზონარიც წელანდელივით ზედ მიემაგრებინათ. მაგრამ ახლა მონადირეთუხუცესი მართლა მკვდარი იყო და არა მარტო ის, გულიც გაბურღეს, ჩვენი გული, ჩვენი გრძელი გვარტომის გული. მა-

შასადამე ახლა ეს გვარიც წარსულს ჩაბარდა. ეს იყო ჩაჩქანის ჩამსხვრევა. „დღეს ისევ ბრიგე და მერე უკვე აღარასოდეს“, წარმოთქვა რაღაცამ ჩემში.

საკუთარ გულზე მაშინ არ ვფიქრობდი, ხოლო მოგვიანებით როცა გამახსენდა, მაშინღა მივხვდი: საქმე მას სულაც არ ეხებოდა. ეს ერთი გამიჯნული, ეული გული იყო, და უკვე აპირებდა, თავიდან დაეწყო ყველაფერი.

●

ვიცი, მაშინ თავი დავირწმუნე, არ შემიძლია ახლავე გავემგზავრო-მეთქი. ჯერ ყველაფერი უნდა მოგვარდეს, — ვუმეორებდი ჩემს თავს. რა უნდა მოგვარებულიყო, არ მესმოდა. გასაკეთებელი არაფერი ჩანდა. ქალაქში ვიხეტიალე და დავადგინე, რომ შეცვლილიყო. მსიამოვნებდა იმ სასტუმროდან გამოსვლა, სადაც ვცხოვრობდი და დანახვა, რომ ეს აღარ იყო ჩემი ბავშვობის ქალაქი, ეს იყო ქალაქი დიდებისათვის, რომელიც ჩემს წინაშე ისე იქცეოდა, როგორც უცხოს წინაშე. ოდნავ დაპატარავებულიყო ყველაფერი და მე ნელა ავუყევი ლანგელინის ქუჩას, შუქურამდე მივედი და უკანვე დავბრუნდი. შემდეგ ამალიეგადის[19] ქუჩაზე ამოვყავი თავი, და რა თქმა უნდა, სწორედ აქ უნდა მომხდარიყო ის, რომ უეცრად საიდანღაც რაღაც დაიძრა, რაღაც, რასაც წლების მანძილზე ვიცნობდი და ვაღიარებდი, და რასაც ერთხელ კიდევ სურდა თავისი ძალაუფლება ეჩვენებინა: ირგვლივ კუთხის ფანჯრები, იყო, ჭიშკრის თალები თუ ლამპიონები, რომელთაც ძალზედ ბევრი რამ იცოდნენ ჩემ შესახებ და მემუქრებოდნენ. მათ პირდაპირ სახეში შევაცქერდი, მინდოდა მევრძნობინებინა, სასტუმრო „ფენიქსში“ ვცხოვრობ და როცა მოვისურვებ, მაშინ გავემგზავრები-მეთქი. მაგრამ თან სინდისი მქენჯნიდა. ჩემში აღსდგა და ძლიერდებოდა ეჭვი, რომ ბავშვობის შთაბეჭდილებათა და საგანთა აუხსნელი კავშირებიდან ჯერ არც ერთი არ მქონდა დაძლეული. აედექი და ერთ მშვენიერ დღეს უბრალოდ დავტოვე ეს საუფლო, უჩუმრად გავერიდე, დავტოვე ისეთი, როგორიც იყო: მოუმწიფებელი. მაშასადამე, მთელი ბავშვობა მეტ-ნაკლებად ჯერ ისევ ასათვისებელი მქონდა, ყველაფერი უნდა გამეცნობიერებინა, თუკი არ მსურდა მისი სამუდამოდ დაკარგვა. და როცა ვიგრძენი, როგორ მეცლებოდა იგი ხელიდან, იმასაც მივხვდი: ბავშვობის გარდა არასოდეს არაფერი არ

მ ე ქ ნ ე ბ ო დ ა, რაზედაც დაყრდნობას, რის დამოწმებასაც შევძლებდი.

ყოველდღიურად რამდენიმე საათს ვატარებდი Dronningens Gvaergade-ზე იმ ვიწრო ოთახებში, რომლებიც განაწყენებული ჩანდნენ, როგორც ყველა დაქირავებული ოთახი, სადაც ვინმე მომკვდარა. მიმოვდიოდი საწერ მაგიდასა და დიდ, თეთრ მეტლახის ღუმელს შორის და მონადირეთუხუცესის ნაწერებს ვწვადი. წერილებით დავიწყე. თასმაშემოკერილ პატარ-აპატარა შეკვრებს ერთმანეთის მიყოლებით ვისროდი ცეცხლში, მაგრამ რაკი მაგრად იყო შეკრული, მაოლოდ კიდეები უნახშირდებოდათ. მიჭირდა ზონართა მოფამფალება.

ამ შეკვრათა უმეტესობა მძაფრ, მბრძანებლურ სურნელს მაფრქვევდა, სურნელს, რომელიც დაჟინებით ცდილობდა, ჩემში მოგონებანი წამოეშალა. მოგონებანი მე არ გამაჩნდა. შემდეგ კი ფოტოსურათები გადმოცურდა, ქალალდის ფურცლებზე მძიმე რომ იყო და წარმოუდგენლად ნელა იწვოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცბად გავიფიქრე, ეგებ ინგებორგის სურათიც აქ იყოს-მეთქი და ერთი-ორს დავხედე. არა, სულ მოწიფული, დიდებული, მკვეთრი სილამაზის ქალები მოჩანდნენ, სულ სხვაგვარ ფიქრებს რომ აღმიძრავდნენ. და აი, მაშინ, უცბად გამოირკვა: არც მთლად მოგონებათა გარეშე ვიყავი დარჩენილი. სწორედ ასეთ თვალებს ვხედავდი, ადრე, უკვე წამოზრდილი ბიჭი მამაჩემთან ერთად ქუჩას რომ ვკვეთდი ხოლმე. ისინი საიდანღაც ეტლის სიღრმიდან გამოკრთოდნენ და თავიანთ მზერაში მაქცევდნენ, ისე რომ, იქიდან თავის დაღწევა შეუძლებელი იყო. ახლა მივხვდი, მაშინ ისინი მამაჩემს და მე ერთმანეთს გვადარებდნენ. ეს შედარება კი ჩემთვის სასარგებლო ვერასდროს იქნებოდა. არა, მონადირეთუხუცესს შედარებების ნამდვილად არ ეშინოდა. მაგრამ, შეიძლება ახლა ვიცოდე, რა იყო ის, რაც მას მუდამ შიშის ზარს სცემდა. გეტყვით, როგორ მივედი ამ აღმოჩენასთან. ერთი ფურცელი ვიპოვე მაშინ მის უბის წიგნაკში. ძველი ფურცელი იყო, სულ გაცრეცილი, დიდი ხნის წინ ოთხად გაკეცილი და ნაკეცებში თითქმის გახეული. წავიკითხე, ვიდრე ცეცხლს მივცემდი. მამაჩემის ხელი იყო, მისი ყველაზე ლამაზი, თანაბარი და მშვიდი ნაწერი, მაგრამ მაშინვე მივხვდი, რომ საიდანღაც გადმოწერილ ნაწყვეტს ვკითხულობდი.

„სიკვდილამდე სამი საათით ადრე...“ [20] — აგრე იწყებოდა და ქრისტიან მეოთხეზე იყო მოთხრობილი. შინაარსს, ცხადია, სიტყვასიტყვით ვერ გავიმეორებ. სიკვდილამდე სამი საათით ადრე მას წამოდგომა უნებებია. ექიმსა და კამერდინერ ვორმიუსს მისთვის ფეხები გადმოუწევიათ საწოლიდან. მართალია, არცთუ მყარად, მაგრამ მაინც დამდგარა ფეხზე და იმათაც ღამის სამოსი გადააცვეს თურმე. შემდეგ მეფე წინ დაჩოქილ მლოცველს მიაჩერდა და რაღაც თქვა. ვერ გაარჩიეს. ექიმს მისი მარცხენა ხელი ეჭირა, რომ მეფე ისევ საწოლზე არ დაცემულიყო. მერე ისხდნენ და მეფე დროდადრო რაღაცას ლუღლუღებდა, ძლივძლივობით, მაგრამ ვერავინ ვერაფერს უგებდა. ბოლოს ექიმიც გამოელაპარაკა. ეგებ ნელ-ნელა გამოვიცნო, რისი თქმა სურსო. ერთი წუთის შემდეგ მეფემ სიტყვა გააწყვეტინა და უცბად სრულიად მკაფიოდ წარმოსთქვა, „ო, ექიმო, ექიმო, რა ჰქვია მას?“ [21] ექიმს გონზე მოსვლა გაუჭირდა.

„შპერლინგი, ყოველად მოწყალეო მეუფეო!“

მაგრამ მეფე ექიმს ნამდვილად არ გულისხმობდა. როგორც კი ჩაესმა, რომ მას გაუგეს, მარჯვენა თვალი დააჭყიტა და მთელი სახით წარმოსთქვა ერთადერთი სიტყვა, სიტყვა. რომელსაც მისი ენა მთელი ის ხანი ფორმას აძლევდა, ერთადერთი სიტყვა, რომელიც მისთვის კიდევ არსებობდა ამ ქვეყანაზე: „Döden“, — თქვა მან. — „Döden“.

ფურცელზე სხვა აღარაფერი ეწერა. რამდენჯერმე წავიკითხე, ვიდრე დავწვავდი, და გამახსენდა, რომ მამაჩემს სიკვდილს წინ ბევრი ეწვალა, აგრე მიამბეს.

●

მას შემდეგ ხშირად მიფიქრია სიკვდილის შიშზე და საკუთარ გამოცდილებასაც არ ვივიწყებდი. მგონი, შემიძლია ვთქვა, რომ ეს შიში ნამდვილად განმიცდია. ის თავს დამატყდებოდა ხოლმე სადმე ხალხმრავალ ქალაქში, პირდაპირ ხალხში, და ხშირად სრულიად უმიზეზოდ, ან პირიქით — უამრავ მიზეზთა წყალობით. როცა, მაგალითად, ვიღაც სადმე ქუჩაში მერხზე კვდებოდა, გარს ხალხი ეხვია და შესცქეროდა, და ის კი უკვე შორს იყო შიშის განცდისგან: მაშინ მე გადმომეცემოდა ხოლმე მისი თავზარი. ან მაშინ, ნეაპოლში, ერთი ახალგაზრდა პერსონა ჩემს პირდაპირ იჯდა ტრამ-

ვაიში. უცბად ადგა და მოკვდა. ჯერ სხვებივით ვიფიქრე, გული წაუვიდა-მეთქი, და ტრამვაი ერთხანს კიდევ მიჰქროდა. მაგრამ მერე კი უეცველი გახდა მისი სიკვდილი და ჩვენც გავჩერდით. ჩვენს უკან მანქანები და ეტლები დაგროვდა, თითქოს იმ მიმართულებით მგზავრობა ერთხელ და სამუდამოდ შემწყდარიყო. ფერმკრთალი, სქელი გოგონა თავის მეზობელს მიყრდნობოდა და მშიდად მომკვდარიყო. მაგრამ დედამისს არ სურდა ამ ფაქტის აღიარება და ათასნაირად აწუხებდა თავის შვილს. ტანსაცმელს უჩეჩდა. რაღაც სითხეს ასხამდა პირში, იმ პირს კი აღარაფრის მიღება და შეკავება აღარ შეეძლო, შუბლს უზელდა რაღაცა წამლით, ვიღაც მგზავრმა რომ მიაჩეჩა, და როცა გოგომ ქუთუთოები ოდნავ შეარხია, დედამ რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ჯანჯღარი დაუწყო, ეგებ თვალი აახილოს და გამოიხედოსო. იგი შვილს თვალებში ჩაჰყვიროდა, თვალებს არ ესმოდათ, ანჯღევდა, არხევდა, არწევდა, გულში იხუტებდა თოჯინასავით, და ვერაფერი რომ ვერ გააწყო, ბოლოს გაასწორა და სახეში მთელი ძალით გააწნა სილა: არ მოკვდეო.

აი, მაშინ შემიპყრო შიშმა.

მაგრამ უფრო ადრეც განმიცდია ამგვარი ძრწოლა. მაგალითად, ძაღლი რომ მომიკვდა. მომიკვდა და სამუდამოდ დამადანაშაულა. ძალიან ავად იყო. მთელი ის დღე მუხლის ჩოქზე ვედექი გვერდით. და უცბად შეჰყეფა, მკვეთრად და მოკლე-მოკლედ, როგორც უცხოს შემოსვლისას. უცხოს გამოჩენაზე ასეთი ყეფა ჩვენთვის, ორივესთვის გასაგები ნიშანი იყო და ამიტომ მაშინვე კარისკენ გავიხედე. მაგრამ ის, ვინც მოვიდა, უკვე მასში იყო. შეშფოთებული ვეძებდი მომკვდავი ნადირის მზერას და ისიც ეძებდა ჩემსას, მაგრამ არა იმისათვის, რომ დამმშვიდობებოდა. მან მკაცრად და გაუცხოებულად შემომხედა. მზერით დამტუქსა, რად შემოუშვიო. მუდამ დარწმუნებული იყო, რომ შემეძლო არ შემომეშვა. ახლა კი აღმოჩნდა: თურმე მთელი ცხოვრება გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონოდა ჩემზე და დროც აღარ რჩებოდა, რაიმე ამეხსნა. ბოლომდე ასე მიყურა: როგორც უცხომ და სრულიად მარტოსულმა, ვიდრე არ გათავდა.

და მაშინაც მეშინოდა, შემოდგომის მიწურულს, პირველი ყინვიანი ღამეების შემდეგ ბუზები რომ შემოფრინდებოდნენ ხოლმე ოთახებში და სითბოში კიდევ ერთხელ ითქვამდნენ სულს. ისინი უცნაურად გამომშრალიყვნენ და საკუთარი ზუზუნიც კი აფრთხობ-

დათ. ეტყობოდათ, წესიერად რომ არც იცოდნენ, რას აკეთებდნენ. საათობით ისხდნენ უძრავად ან დაცოცავდნენ, ვიდრე არ გაახსენდებოდათ, რომ ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. მაშინ კი ბრმად მიაწყდებოდნენ ხოლმე აქეთ-იქით და არ იცოდნენ, იქ რა უნდოდათ, და ისმოდა, წამდაუწუმ ძირს რომ ცვიოდნენ; ძირს დაცოცავდნენ და მთელს ოთახში მიმოკვდებოდნენ. მაგრამ ზოგჯერ მაშინაც მეშინოდა, სულ მარტო რომ ვიყავი ხოლმე. რატომ არ უნდა ვაღიარო ის ღამეები, როცა სიკვდილის შიშით გათანგული უეცრად საწოლში წამოვჯდებოდი და იმ აზრს ვებღაუჭებოდი, რომ: ჯდომა მაინც სიცოცხლისაა, მკვდრებს ხომ ჯდომა რა შეუძლიათ. ეს ყოველთვის იმ ოთახებში მემართებოდა, სადაც შემთხვევით ვიყავი მოხვედრილი, და რომლებიც მაშინვე მარტო მტოვებდნენ გაჭირვებაში, თითქოს ეშინოდათ, ამ ბედუკეთილმართის საქმეებში არ გავიხლართოთ და არავინ დაგვკითხოსო. მეც აგრე ვიჯექი, და ეტყობა, ისეთი საშინელი სახე მქონდა, ირგვლივ ვერც ერთი საგანი ვერ ბედავდა შემოხმიანებას. ეინათლესაც კი, რომელსაც წამის წინ მოვემსახურე და ავანთე, არაფერი სურდა სცოდნოდა ჩემი. თავისთვის ენთო, თითქოს ცარიელ ოთახში ანთიაო. უკანასკნელ იმედს ყოველთვის ფანჯარაზე ვამყარებდი. თავს ვირწმუნებდი, ალბათ იქ, გარეთ მაინც არსებობს-მეთქი რაღაც ისეთი, რაც მე მეკუთვნის, ჩემეულია, ახლაც კი, თვით ამ წუთებშიც უეცრად შემოჭრილ ამ სიკვდილისმიერ სიღატაკეში. მაგრამ გავიხედავდი თუ არა გარეთ, იმწუთსავე ფანჯრის ამოშენებას ვნატრობდი, რადგან მაშინვე ცხადი ხდებოდა, რომ გარეთაც გულგრილად მიედინებოდა ცხოვრება და მე არ მგულისხმობდა, გარეთაც არაფერი იყო ჩემი მარტოობის გარდა, მარტოობისა, რომელიც მევე გადავუწყვიტე ჩემს თავს და რომლის სიდიდესაც ჩემი გული ვეღარ აუდიოდა. და ადამიანები მახსენდებოდა, ოდესღაც რომ დავტოვე და ახლა აღარ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ადამიანების მიტოვება.

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, თუ კიდევ მიწერია ასეთი ღამეები, რაიმე აზრი მაინც მიწყალობე მე, არასმქონეს, ფიქრი რაიმე, რომ ის ვიფიქრო. არც ისეთი უაზროა, რასაც მე ვითხოვ, რადგანაც, ვიცი, ჩემი შიშია ჩემივე აზრების უშრეტი წყარო, და სწორედ იმიტომ, რომ ეს შიში მართლა დიდია. ბავშვობაში, რადგან ჯერ კიდევ არ ვიცოდი ნამდვილი შიში, ეს ფიქრები სახეში მეხლებოდნენ და მეუბნებოდნენ, მშიშარა ხარო. მაგრამ მას შემდეგ ვისწავ-

ლე სწორი და ნამდვილი შიში, შიში, რომელიც მით უფრო მატულობს, რაც უფრო იზრდება მისი წარმომშობი ძალა. ჩვენ ამ ძალაზე არავითარი წარმოდგენა არ გაგვაჩნია, მას. მხოლოდ ჩვენს შიშში ვიცნობთ, რადგან იმდენად მიუწვდომელია იგი, იმდენად ჩვენ წინააღმდეგ მომართული, რომ ტვინი გვებზარება, როდესაც მის გასააზრებლად ვძაბავთ. და მაინც ერთი ხანობაა, ვფიქრობ: ის სწორედ ჩვენი ძალაა, ჩვენი ძალების ერთიანობა, რომელიც ჯერ კიდევ მეტისმეტად აღვეემატება. მართალია, მას ჯერ არ ვიცნობთ, მაგრამ გაინა სწორედ ჩვენი უშინაგანესი, უსაკუთრესი რამ არაა ის ყველაფერი, რაც ჩვენ ყველაზე ნაკლებად ვიცით? ზოგჯერ ვცდილობ, წარმოვიდგინო, როგორ უნდა შექმნილიყო ეს უცნობი საუფლოები: ცა და სიკვდილი.

ალბათ, მხოლოდ იმიტომ შეიქმნა, რომ ჩვენი ყველაზე ძვირფასი განძი თავიდან მოვიშორეთ, გავიმანძილეთ, რადგან ვიდრე მიწათვის მოვიცლიდით, ათასი სხვა რამ საქმე გამოვიგდეთ. და მან ჩვენთან, მოუცლელებთან, თავი საიმედოდ ვერ დაიგულა. ამასობაში ურიცხვმა წყალმა ჩაიარა და ჩვენ, პატარა და უმნიშვნელო ცხოვრებას შეჩვეულებმა, დავკარგეთ სიდიდის ატანის უნარი, ჩვენივე საკუთრება ვეღარ გვიცნია და თავზარს გვცემს მისი უზომო სიდიდე. არ შეიძლება, აგრე იყოს?

სხვათა შორის, ახლა უკვე კარგად მესმის, რას უნდა ნიშნავდეს, კაცი იმ საქაღალდით, სადაც წერილები აქვს შეგროვილი, ვინმეს სიკვდილის აღწერას რომ დაატარებს მთელი ცხოვრება. სულაც არ არის აუცილებელი, საგანგებოდ მოიძიო რაც შეიძლება გამორჩეული სიკვდილი. ნებისმიერი სიკვდილი განუმეორებელია. ხომ შეიძლება, წარმოვიდგინოთ ვინმე ისეთი, რომელიც დაჯდება და გადაიწერს, როგორ მიიცვალა ფელიქს არევერი [22]. ჰოსპიტალში მომხდარა ეს ამბავი. ძალზედ მშვიდად და აუმღვრეველად კვდებოდა თურმე, და მონაზონს იმაზე შორს წასული ჰგონებია ამ ქვეყნიდან, ვიდრე სინამდვილეში იყო. მან თურმე ხმამაღლა გასძახა ოთახიდან ვიღაცას, ესა და ეს ნივთი ამა და ამ ადგილზეაო. ფრიად გაუნათლებელი მონაზონი ყოფილა, სიტყვა „კორიდორი“, ალბათ, დაწერილი არასდროს ენახა და „კოლიდორიო“ უთქვამს. თქვა თუ არა, არევერმა მაშინვე შეწყვიტა კვდომა, წუთით გადასდო თავისი სიკვდილი, რადგან აუცილებლად მიიჩნია, ჯერ იმ ქალისთვის განემარტა მისი შეცდომა. სრულიად გაუნათდა გონება, მონაზონს აუხსნა, რომ

„კორიდორი“ უნდა წარმოეთქვა, — შემდეგ კი მოკვდა. ის პოეტი იყო და სძულდა უზუსტობა. ან ეგებ მხოლოდ სიმართლე აღელვებდა სიკვდილის წინ, ან ეგებ გული ეთანაღრებოდა, რომ ბოლო შთაბეჭდილებად ეს მიჰქონდა: თუ რა უბრალოდ და დაუდევრად აგრძელებდა ქვეყანა ტრიალს. ვიღა გაარკვევს. ერთი კია, პვდანტობად არ უნდა ჩაეთვალოს ის დანუტება, თორემ ამგვარი საყვედური წმინდა ჟან დე დიუსაც[23] არ ასცდებოდა, ვინც სულთა-ბრძოლისას უეცრად წამოიტა და სხვას მართლაც რომ სულზე მიუსწრო. ბაღში ჩაირბინა და სახრჩობელაზე იმ წუთს დაკიდებულ ადამიანს თოკი გადაუჭრა. რაღაც აუხსნელად შეეღწია ამ ცნობას მისი აგონიის შეუვალ დაძაბულობაში. ამ კაცსაც სიმართლე აწუხებდა სიკვდილის წინ.

●

არსებობს ერთი რამ სულიერი, რომელსაც, როცა უყურებ, სრულიად უწყინარი და უვნებელია, ვერც კი ამჩნევ და მაშინვე ივიწყებ, მაგრამ როგორც კი უხილავად, ამა თუ იმ გზით შენი სმენის წიაღში მოხვდება, მაშინვე თითქოს პარკიდან გამოიჭუპრაო, ზრდა-განვითარებას იწყებს და ისეთი შემთხვევებიცაა ცნობილი, როცა ტვინამდე აუღწევია, იქ გამრავლებულა და ამ მგრძნობიარე ორგანოს ეპიანჭველებივით მოსდებია, ძალლის პნევმოკოკების დარად, ცხვირიდან რომ იჭრება ორგანიზმში.

ამ სულიერს ჰქვია მეზობელი.

მე, ვინც ამდენს დავეხეტები ამ ქვეყანაზე, რაღა თქმა უნდა, ათასი ჯურის მეზობელი მეყოლებოდა: ზემოთები და ქვემოთები, მარჯვნივები და მარცხნივები, ზოგჯერ კი ოთხივე საჭეობა ერთად. მე რომ ზოგი ჩემი მეზობლის ისტორია დამეწერა, ამ საქმეს მთელი ცხოვრება დასჭირდებოდა და თან იმ სნეულებათა ისტორია გამოვიდოდა, რაც მათ დამმართეს. მაგრამ, რას იზამ, ეს თვისება თურმე მრავალ სხვა არსებასაც ჰქონია: რომ მათი არსებობა მხოლოდ იმ ზიანით მტკიცდება, რასაც ისინი სხვადასხვა უჯრედებსა და ქსოვილებს აყენებენ.

ძალზედ არაკანონზომიერი ხასიათის მეზობლებიც მყოლია და ძალზეც თანმიმდევრული ბუნებისაც. ერთხელ დავჯექი და შევეცადე პირველი ჯგუფის მეზობელთა კანონზომიერება დამედგინა,

რაკიღა ცხადი იყო, რომ ასეთი რამ მათაც გააჩნდათ. და როდესაც ჩემი პუნქტუალური მეზობლები ერთ საღამოს საერთოდ აღარ გამოჩნდნენ, მაშინვე დავისურათხატე, რა შეიძლებოდა შემთხვეოდათ, ჩემს ოთახში შუქი ანთებული დავტოვე და ყმაწვილი ქალივით ამიტანა შიშმა. მყოლია ისეთი მეზობლები, სიძულვილით რომ ცოცხლობდნენ და ისეთებიც, სიყვარულით რომ იყვნენ შეპყრობილნი; იმასაც შევსწრებივარ, მათ სიძულვილს, მათ სიყვარულში რომ უსკუპია შუაღამისას, და მაშინ, ცხადია, ძილზე ფიქრიც კი სასაცილო იყო. საერთოდ, დავაკვირდი, ძილი არც ისე ხშირი მოვლენაა, როგორც ჰგონიათ. ჩემი პეტერბურგელი მეზობლები, მაგალითად, ძილს სულ არაფრად აგდებდნენ: ერთი იდგა და მთელი ღამე ვიოლინოს უკრავდა და დარწმუნებული ვარ, ამ დროს ზეფხიზელ, გაჩახჩახებულ სახლებს გადასცქეროდა, რომლებიც არც აპირებდნენ ჩაბნელებას აგვისტოს იმ სასწაულებრივ ღამეებში. მარჯვენა მეზობელს რაც შეეხება, ნამდვილად ვიცოდი, რომ იწვა. ჩემსობას საერთოდ აღარ დგებოდა საწოლიდან, თვალებსაც კი აღარ ახელდა. მაგრამ მაინც ვერ იტყოდი, სძინავსო. იწვა და პუშკინისა და ნეკრასოვის გრძელ-გრძელ ლექსებს ამბობდა ზეპირად, ისეთი ხმით, ბავშვები რომ ამბობენ ლექსებს უფროსების თხოვნით. ჩემი მარცხენა მეზობლის მუსიკა მარჯვენა მეზობლის პოეზიას ვერ ახშობდა, ეს ლექსები ჩემს ტვინში იჭუპრებოდნენ და ღმერთმა იცის, იქიდან რა გამოიჩეკებოდა, რომ ერთხელ სტუდენტს, მის ხშირ სტუმარს, კარი არ შეშლოდა და ჩემთან არ შემოსულიყო შემთხვევით. მან თავისი მწოლიარე ნაცნობის ამბავი მიამბო, რომელიც მადლობა ღმერთს, არც ისეთი გულისგამხეთქი აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთი მარტივი, თანმიმდევრული ამბავი გახლდათ, და ჩემი ვარაუდების მრვალი ჭია ერთბაშად მოსპო.

მაშასადამე, ჩემს გვერდით მცხოვრებ, აწ ლექსებად ქცეულ პატარა ჩინოვნიკს ერთ მშვენიერ დღეს ყოვლად უცნაური ამოცანის ამოხსნა მოსვლოდა აზრად. თურმე დაუშვა, რომ კიდევ დიდხანს, ასე, ორმოცდაათი წელი მაინც ვიცოცხლებო. ამ დიდსულოვნებას, რაც საკუთარი თავის მიმართ გამოიჩინა, ბრწყინვალე გუნებაზე დაეყენებინა, მაგრამ სურდა თავისივე თავისთვის გადაეპარებინა, და გადაწყვიტა, მთელი დარჩენილი წლები დღეებზე, საათებზე, წუთებზე და, თუ გაუძლებდა, წამებზეც გადაემრავლებინა. ნამ-

რავლად ისეთი რიცხვი მიიღო, ცხოვრებაში რომ არსად ეგზახა. რეტი დაესხა თურმე და სურდა, წამით სული მოეთქვა. დრო ძვირად ფასობსო, ხომ ყოველთვის ეს მოდა, და ახლა განცვიფრებული იყო, ამ თავზესაყრელი დროის ანუ თანხის პატრონს, რატომ დაცვას არ უნიშნავდნენ. რა ადვილად შეიძლებოდა მისი მოპარვა და გატაცება! შემდეგ მალევე დაბრუნებოდა შესანიშნავი, თითქმის კვიმატი გუნებ-განწყობა, ქურქი ჩაეცვა, უფრო წარმოსადეგი და დიდმნიშვნელოვანი რომ ყოფილიყო და მთელი ის საარაკო კაპიტალი ოდნავ მედიდური სიტყვებით, უშურველად ეწყალობებინა საკუთარი თავისათვის:

„ნიკოლაი კუზმიჩ, — კეთილგანწყობილად მიმართა თურმე მეორე ნიკოლაი კუზმიჩს — უქურქოს, კაფანდარასა და ღარიბ-ღატაკს, რომელიც ცხენის ძუისაგან დაწნულ სავარძელში მოკუნტულიყო, — ნუ გაგაყოყოჩებთ ეს სიმდიდრე. ყოველთვის გახსოვდეთ, სიმდიდრე არ არის მთავარი. რამდენი უქონელი, მაგრამ კეთილშობილი ადამიანია ამქვეყნად. აკი გაღატაკებული დიდგვაროვანნიც არსებობენ და დიდ-დიდ კაპიტანთა ქალიშვილებიც, ახლა რომ ქუჩა-ქუჩა დაყიალობენ და რაღაც-რაღაცების გაყიდვით ირჩენენ თავს“. და ქველმოქმედმა მდიდარმა კიდევ მრავალი, მთელს ქალაქში ცნობილი მაგალითი გაიხსენა.

ისევ სავარძელში მჯდომ, დასაჩუქრებულ ნიკოლაი კუზმიჩს, ჯერჯერობით სულაც არაფერი ეტყობოდა მედიდურობისა, და მთელი მისი იერი იმედს იძლეოდა, რომ მომავალშიც გონივრულად მოიქცეოდა. და მართლაც, მას ხომ არაფრით შეუცვლია თავისი მოკრძალებული, ჩვეულებრივი ცხოვრების წესი: კვირა დღეებს ისევ თვლასა და ანგარიშში ატარებდა. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ უეცრად დაასკვნა, ძალიან ვანიავებ ჩემს სიმდიდრეს, აგრე არ გამოვა, ხელმოჭერილად უნდა ვიცხოვროო. მეორე დღიდან მოკიდებული უფრო ადრე დგებოდა, უფრო ნაჩქარევად იბანდა ხელ-პირს, ზეზეურად სვამდა ჩაის, ბიუროში გარბოდა და უფრო ადრე ბრუნდებოდა შინ. ცოტა-ცოტა დროს ყველგან ზოგავდა. მაგრამ, კვირა დღეს მაინც არაფერი აღმოაჩნდა დაზოგილი. და მიხვდა, რომ მოატყუეს. არ უნდა გადამეხურდავებინაო, — გაიფიქრა, — რა გრძელია წელიწადი თავისთავად, და რა შეუმჩნევლად იხარჯება ეს დაწყვეტილი წვრილი ფულიო. და მერე ის ყოვლად საზიზღარი ნაშუადღევიც დადგა, როცა სავარძლის კუ-

თხეში მიიკუნტა და ქურქიან ბატონს დაუწყო ლოდინი, რათა თავისი დრო უკანვე მოეთხოვა. გადაწყვეტილი ჰქონდა, კარი ჩაერაზა და იქამდე არ გაეშვა, ვიდრე ყველაფერს არ გამოართმევდა. „ქაღალდის ფულით ვიანგარიშოთ, — ასე აპირებდა ლაპარაკს, — „ერთი ბანკნოტი ათ... წელს უდრიდეს, მაშასადამე, ოთხი — ორმოც წელს, ერთიც ზუთ წლად ჩავთვალოთ და დანარჩენი ზურდად დაიტოვეთ, ეშმაკმაც დალახვროს“. დიახ, გართულებათა თავიდან ასაცილებლად, მზად იყო, ხურდაც კი ეჩუქებინა. ნერვებაშლილი იჯდა ცხენის ტუისგან დაწნულ სავარძელში და უცდიდა... მაგრამ ბატონი არ მობრძანებულა და მას, ნიკოლაი კუზმიჩს, რამდენიმე კვირის წინათ ასე ადვილად რომ შეეძლო საავრძელში მოკალათებული საკუთარი პიროვნების დანახვა, ახლა, როცა მართლა იჯდა იმ საავარძელში, ჭეღარ ახერხებდა წარმოედგინა ქურქიანი, დიდსულოვანი და ხელგაშლილი ნიკოლაი კუზმიჩი. ღმერთმა იცის, რა დაემართა, შეიძლება, ყველგან ამხილეს მისი თაღლითობანი და ახლა სადღაც იყო ჩამწყვდეული. რა თქმა უნდა, მის გარდა სხვასაც გააუბედურებდა, ეგეთი არამზადები ფართო ქსელს აბამენ მუდამ.

მერე იფიქრა: წესით, სადღაც ნამდვილად უნდა არსებობდეს სახელმწიფო დაწესებულება, რაღაც „დროის ბანკის“ მაგვარი რამ, სადაც ჩემს უბადრუკ წამებს ისევ წლებზე გადავცვლიო. ბოლოს და ბოლოს ის წამები ხომ ნაღდი იყო. მართალია, ასეთი ბანკის შესახებ არაფერი სმენოდა, მაგრამ სამისამართო ცნობარში ნამდვილად იპოვიდა ასო „დ“-ზე, თუკი „დროს“ მიხედვით მოძებნიდა, ან „ბ“ უნდა ჩაეკითხა, ეგებ „ბანკთან“ ეპოვა რაიმე და არც „ს“ უნდა დავიწყებოდა, ეგებ ეს „საიმპერატორო ბანკი“ იყო, ასეთი დიდმნიშვნელოვანი რამ, დიახაც, შეიძლებოდა უმაღლესი ინსტანცია ყოფილიყო.

შემდეგ კი ნიკოლაი კუზმიჩი თურმე იფიცებოდა, იმ საღამოს ნამდვილად არაფერი დამილევია, თუმცა სულით მთლიანად დაცემული ეიყავიო. მაშასადამე, საკვებით სად გონებაზე იყო, როცა ის ამბავი მოხდა, თუკი საერთოდ შესაძლებელია თქმა, რა მოხდა. მაგრამ ამ თავის საკვარძელში, ალბათ, ჩათვლიმა. ხანმოკლე ძილმა თავიდან მართლა შვება მოჰგვარა. რას ავიკვიატე ეს რიცხვებიო, — უთქვამს თავისთვის გამოღვიძებულს, — მართალია, რიცხვების არაფერი გამეგება, მაგრამ ერთი კი ცხადია, მათ დიდი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოს კაცმა. აბა ვის უნახავს ქაღალდის

გარდა სადმე რიცხვები! ხომ ნამდვილად გამორიცხულია, რომ რომელიმე საზოგადოებაში უცბად „შვიდიანს“ გადააწყდე ანდა „ოცდახუთს“. ისინი იქ საერთოდ არ არსებობენ. მხოლოდ დაბნეულობის გამო დამემართა, ფული და დრო ერთმანეთში რომ ამერია, თითქოსდა არ შეიძლებოდეს მათი ცალ-ცალკე წარმოდგენა! და კიდევ კარგი, ბოლოს და ბოლოს თავი დაიძვრინა ამ ვითარებიდან, და რაც მთავარია, დროზე გაარკვია ეს უაზრობა. ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა, ოჰ, ეს დრო. დრო! დიდი უკუღმართი რაშაა, მაგრამ განა მხოლოდ მისი გასაჭირია? სხვისთვისაც ხომ სწორედ ასე მიედინება — წამებში, როგორც თვითონ დაადგინა. მერე რა, თუ იმ სხვებმა ეს არ იციან!

და ნიკოლაი კუზმიჩს თითქმის ბოროტად გაეხარდა, როცა სხვებიც თავის დღეში წარმოიდგინა. მაგრამ სწორედ იმ წუთს... მოხდა ის განსაცვიფრებელი უცნაურობა: უცებ რაღაცამ მსუბუქად ჩაუქროლა სახესთან, მერე ყურებთანაც ჩაუსრიალა და ხელებითაც შეიგრძნო წამსვე რაღაცნაირი, ოდნავი ქროლვა. თვალები დააჭყიტა. ფანჯარა რიგიანად იყო ჩაკეტილი. და ასე თვალებადქცეული იმ ჩაბნელებულ ოთახში რომ იჯდა, ნელ-ნელა მიხვდა: რასაც იმწუთას შეიგრძნობდა, დრო იყო, ნამდვილი დრო, რომელიც მიდიოდა, მიედინებოდა. მაშინვე სწორედ რომ იცნო ის წამები, ერთნაირად გულგრილი, მაგრამ სწრაფი, სწრფი წამები. ღმერთმა უწყის ახლა კიდევ რას უპირებდნენ! და რაღა მაინცდამაინც მას უნდა დამართნოდა ეს უბედურება, მას, ვინც ყველანაირ ქარს პირად შეურცხყოფად იღებდა! ახლა რაღა უნდა ექნა! აგრე მჯდარიყო და მთელი ცხოვრება ეს დენა და ქროლვა აეტანა? წინასწარ წარმოიდგინა ნევრალგიის ყველა სახეობა, რაც აუცილებლად შეეყრებოდა და მრისხანებით გონდაკარგული სავარძელიდან წამოხტა მაგრამ სიურპრიზები თურმე არ ამოწურულიყო. ფეხქვეშაც რაღაც მოძრაობა შეიგრძნო, ერთმანეთში უცნაურად გარდამავალი, უწყვეტი რხევები, და თავზარდაცემული გახედა. ნუთუ დედამიწაა? რა თქმა უნდა, დედამიწა იყო. სკოლაში ხომ ასწავლეს ერთხელ, დედამიწა ბრუნავსო, თუმცა სახელდახელოდ გაიარეს ეს საკითხი და მერე სიამოვნებით მიაფუჩეჩეს. ამაზე ლაპარაკი რატომღაც უადგილოდ ითვლებოდა ყველგან და ყოველთვის. ახლა კი საგრძნობი გახდა და ისიც გრძნობდა! ნეტავ სხვებიც თუ ამჩნევდნენ ამ ტრიალს? ალბათ. მაგრამ, ისინი არ იმჩნევდნენ. არც

მეზღვაურები იჭნებოდნენ კარგ დღეში. ნიკოლაი კუზმიჩი კი, ამ თვალსაზრისით, ფრიად დელიკატური გახლდათ. ტრამვაისაც კი ერიდებოდა! და, აი, ახლა, თითქოს გემბანზეაო, ისე დაბარბაცებდა საკუთარ ოთახში და თავს ძლივს იმაგრებდა. საუბედუროდ, კიდევ რაღაც გააცსენდა დედამიწის ღერძის ირიბ მდგომარეობაზე. არა, არა, ამდენ რყევასა და რხევას ვერაფრიდებით ვერ გაუძლებდა! განადგურებული იყო. წოლა და მშვიდად ყოფნაა საჭირო, სადღაც წაეკითხა ერთხელ და მას შემდეგ იწვა თურმე ნიკოლაი კუზმიჩი.

იწვა და თვალსაც კი აღარ ახელდა. ხანდახან შედარებით მშვიდი, ნაკლებად რხევადი დღეებიც უდგებოდა, და მაშინ ასე თუ ისე ასატანი იყო ხოლმე არსებობა. ბოლოს ლექსები გააცსენდა. სხვა არც კი დაიჯერებდა, როგორ შველოდნენ ისინი. როცა ნელა ამბობდა ლექსს და კიდურა რითმებს ერთნაირად გამოკვეთილად წარმოსთქვამდა, რაღაც სიმყარე ჩნდებოდა მაშინ და მას შეეძლო ამ სიმყარისთვის თვალიც კი შეევლო, შინაგანად, რაღა თქმა უნდა. მადლობა ღმერთს, იმდენი ლექსი იცოდა ზეპირად! ეს კი იმიტომ, რომ ყოველთვის განსაკუთრებით იზიდავდა ლიტერატურა. თავის მდგომარეობას მაინცდამაინც არ უჩივისო, დამარწმუნა სტუდენტმა, რომელიც მისი ძველი ნაცნობი ყოფილიყო. ეს იყო მხოლოდ, რომ რაც დრო გადიოდა, ნიკოლაი კუზმიჩს სულ უფრო აოცებდა თურმე ყველა ადამიანი, მათ შორის სტუდენტიც, რომლებიც ისე მიდი-მოდიოდნენ, ვითომც არაფერი, და დედამიწის ტრიალს იტანდნენ.

ამ ამბავს აგრე დაწვრილებით მისთვის ვიხსენებ, რომ მაშინ არაჩვეულებრივად დამაშვიდა. შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: ასეთი სასიამოვნო მეზობელი მერე აღარასოდეს მყოლია, მეზობელი, რომელიც, წესით, ჩემითაც უნდა ყოფილიყო განცვიფრებული.

●

ამ გამოცდილების შემდეგ გადავწყვიტე, მსგავს შემთხვევებში მაშინვე სინამდვილე დამედგინა, რადგან შევამჩნიე, რა დამამშვიდებლად მოქმედებდა ფაქტები ვარაუდებთან შედარებით. თითქოს უკვე მაშინ არა მცოდნოდა, რომ ყველა ჩვენი შეხედულება ფაქტების შემდეგ ყალიბდება, დასკვნებია და სხვა არაფერი. მათ კვალ-

დაკვალ კი მაშინვე ცხოვრების ახალი ფურცელი გადაიშლება ხოლმე, რაღაც სულ სხვა რამ იწყება, ყოველგვარი გადასვლის გარეშე. აბა, რას მარგია ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში ის თითოოროლა ფაქტი, თამაშ-თამაშით რომ დაილექნენ ჩემს შეგნებაში. ამ ფაქტებმა უფრო დაამძიმეს ჩემი მაშინდელი (უნდა ვაღიარო) ისედაც მძიმე სულიერი მდგომარეობა.

ჩემს სასახელოდ მინდა აღვნიშნო: იმ დღეებში ძალზედ ბევრს ვწერდი. ლამის კრუნჩხვაშეყრილი ვწერდი და ვწერდი. ისე რომ, გარეთ ხეტიალისას შინ დაბრუნებაზე ფიქრი აღარ მსიამოვნებდ . ხან სად შევუხვევდი და ხან სად, რათა გზა გამეგრძელებინა და ნახევარი საათი მაინც დამეკარგა, რომელსაც თუკი შინ ვიქნებოდი, ისევ წერას მოვანდომებდი. ჩემს ოთახში კი საყვედური არ მეთქმოდა. იქ წუთს არ ვკარგავდი. ვწერდი. მე ჩემი ცხოვრება მქონდა, გვერდით კი სულ სხვა ცხოვრება მიედინებოდა და მე ოდნავაც არ მეხებოდა ვიღაც სტუდენტის ცხოვრება, რომელიც მედიცინას სწავლობდა და ახლა გამოცდებისათვის ემზადებოდა. მე გამოცდისმაგვარი არაფერი მელოდა. აი, ეს იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის განსხვავება ჩვენს შორის. და ისედაც, სრულიად განსხვავებულ პირობებში მიედინებოდა ჩვენი ცხოვრება. ეს ჩემთვის აშკარა იყო, იქამდე, ვიდრე არ გავიფიქრე, ახლა ადგება და ჩემთან შემოვამეთქი. აი, მაშინ კი დამავიწყდა, რომ ჩვენ საერთო არაფერი გვქონდა. ისე სულგანაბული ვუყურადებდი, ჩემი გულის ძგერაც კი ისმოდა და მართლაც შემოვიდა. არასდროს შევმცდარვარ.

თითქმის ყველა იცნობს ამ ხმას, რომელსაც გამოსცემს თუნუქის რაიმე მრგვალი საგანი, დავუშვათ, თუნუქის ქილის ხუფი, როცა ის ხელიდან უვარდებათ. ჩვეულებრივ არცთუ მკახედ ვარდება იატაკზე, წამიერ რაღაც ხმას გამოსცემს და მერე გაგორდება ხოლმე. მხოლოდ მაშინ ხდება უსიამოვნო, როცა გორვას შეწყვეტს და რაღაცნაირად აბარბაცდება, ვიდრე საბოლოოდ დაეცემოდეს და გაჩერდებოდეს. მაშასადამე, სულ ეს არის. ჰოდა, აი, სწორედ თუნუქის ასეთი რაღაც საგანი ვარდებოდა ხოლმე მეზობელ ოთახში. დავარდებოდა, გაგორდებოდა, გაჩერდებოდა და რაღაც გარკვეული ინტერვალებით ატყაპუნდებოდა. როგორც ყველა განმეორებადი ხმაური, ესეც შინაგანად ორგანიზებული იყო. სულ იცვლებოდა, ზუსტად არ მეორდებოდა, და სწორედ ეს

მეტყველებდა მის შინაგან კანონზომიერებაზე. საგანი ხან მძაფრ ხმას გამოსცემდა, ხან რბილ ჩქამს, ან მელანქოლიურს, ხან თითქოს სულმოუთქმელად გარბოდა, ხან კი უსასრულოდ ნელა და ხანგრძლივად მისრიალებდა ვიდრე საბოლოო სიმშვიდე არ დაუდგებოდა. ბოლო შებარბაცება მუდამ განსაცვიფრებელი იყო. ამის საპირისპიროდ იმ ტყაპუნს თითქოს რაღაც მექანიკური ძალა იწვევდა, რომლის მიზანიც თითქოს ის იყო, რომ ხმა სულ სხვადასხვანაირად გაეწაწილებინა. დღეს გაცილებით უკეთ ვაცნობიერებ ამ წვრილმანებს, რადგან ოთახი ჩემს გვერდით უკვე ცარიელია, სტუდენტი შინ გაემგზავრა, რომელიღაც პროვინციაში. დასვენება უნდოდა. მე სულ ზედა სართულზე ვცხოვრობ. მარჯვნივ სხვა სახლი დგას, ჩემ ქვემოთ არავინ შემოსახლებულა, მაშასადამე, უმეზობლოდ ვარ.

ჩემს ახლანდელ მდგომარეობაში უკვე მიკვირს, რად განვიცადე ის ამბავი ესოდენ მძაფრად. მით უმეტეს, რომ გუმანი ყოველთვის წინასწარ მაფრთხილებდა. უნდა მესარგებლა ამ გაფრთხილებით. ნუ შეშინდები, — უნდა მეთქვა ჩემი თავისთვის, — ახლა დაიწყება. ხომ ვიცოდი, რომ არასდროს ვცდებოდი. მაგრამ ყველაფერი ფაქტების ბრალია, ალბათ, იმ ფაქტებისა, რომელთა დადგენის შემდეგ კიდევ უფრო დავშინდი. მოჩვენებასავით მზარავდა იმის ცოდნა, რომ ამ ხმაურის გამომწვევი ჩემი მეზობლის მარჯვენა ქუთუთო გახლდათ. ეს ქუთუთო მძიმედ ჩამოვარდებოდა ხოლმე და თვალს ეხურებოდა, როცა სტუდენტი წიგნს კითხულობდა, და ისიც, გააფთრებული სტაცებდა ხოლმე ხელს თუნუქის რაღაც საგანს და იატაკზე ახეთქებდა. აი, ეს წვრილმანი გახლდათ მისი ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა. მან რამდენიმეჯერ გადასდო გამოცდა, შინაურები კი, ალბათ, ყოველ წერილში აჩქარებდნენ. რაღა დარჩენოდა, ძალა უნდა მოეკრიბა და მომზადებულიყო. მაგრამ გადაწყვეტილებამდე რამდენიმე თვით ადრე თავი იჩინა ამ სისუსტემ, ამ აუტანელმა დაღლილობამ, რაც კაცმა რომ თქვას, ისევე სასაცილო იყო, როგორც ფანჯრის ფარდას თავის ადგილზე გაჩერება რომ არ მოენდომებინა. დარწმუნებული ვარ, მთელი კვირეების განმავლობაში შთაიგონებდა, ამ სისუსტეს უნდა ვძლიოო. სხვაგვარად არ გამიჩნდებოდა აზრი, მისთვის ჩემი ნებისყოფა შემეთავაზებინა. ერთ დღეს მივხვდი, მისი ნებისყოფა ამოწურულიყო. მას შემდეგ, როგორც კი ვიგრძნობდი, ახლა დაიწყება-მეთქი, ჩვენს საერთო კედელთან ვდგებოდი და მეზობელს გულში ვეხვე-

წებოდი, ჩემი ნებისყოფით ესარგებლა. თანდათან ცხადი გახდა ჩემთვის, რომ სარგებლობდა კიდეც. მაგრამ ეგებ არ ღირდა, არ უნდა მიეღო ეს დახმარება, მით უმეტეს, თუ ჩავუკვირდები, არაფერს შეელოდა. დავუშვათ, საქმე ცოტა ხნით გავიუფლობესკეთ, ბაინც ხომ საკითხავი იყო, შესძლებდა კი ივი ასე ერთობლივად მოგებული წუთები რაიმეში გამოეყენებინა. ჩემს შეწირულობას რაც შეეხება, ის ჩემთვის თანდათან საგრძნობი გახდა. ვიცი, სწორედ იმ ნაშუადღევს, როცა ვიღაც ჩვენს სართულზე ამოვიდა, შევეკითხე ჩემს თავს, როდემდე შეიძლება აგრე გაგრძელდეს-მეთქი. ამ პატარა სასტუმროში, ვიწრო დერეფნების გამო უხმაუროდ ვერავინ ჩაივლიდა. ერთი წუთის შემდეგ მომეჩვენა, რომ სტუდენტის ოთახში ვიღაც შევიდა. ჩვენი, ორთავეს კარები, ჩემიცა და მისიც, დერეფნის ბოლოში იყო. მისი ლამის ზედ ეკვროდა ჩემსას. ვიცოდი, ზოგჯერ მეგობრებიც მოსდიოდნენ, და მე, როგორც იტყვიან, სულ არ მაინტერესებდა მისი ურთიერთობანი. მისი კარი დღეში, მგონი, რამდენჯერმე იღებოდა და იხურებოდა, მაგრამ მე რა მესაქმებოდა! ამაზე პასუხს ნამდვილად არ ვაგებდი.

აი, იმ საღამოს კი ყველანაირად გართულდა საქმე. არ იყო გვიან, მაგრამ რადგან ძალზე დაღლილი ვიყავი, საწოლს მივაშურე. ისე კი ვეჭვობდი, რომ ძილი მეღირსებოდა. და მართლაც, მაშინვე წამოვხტი. თითქოს ვიღაც ხელით შემეხო. წამოვხტი და დაიწყო კიდეც: რაღაც დაენარცხა, ახტა და გაგორდა; გაქანდა, დაბრუნდა და შემზარავად ატეხეს. შუა ტყეში ქვემო სართულიდან ამოაკაკუნეს: აშკარად ჭერზე გაბრაზებულებმა. ახალი მაცხოვრებელიც შეწუხდა, ალბათ. ახლა: მისი კარი უნდა ყოფილიყო. ისე გამოვფხიზლდი, მეგონა, ქვედა მეზობლის მოძრაობაც კი მესმოდა, თუმცა კარს განსაცვიფრებლად ფრთხილად შეეხო. მომეჩვენა, რომ ახლოვდებოდა. ცხადია, მოინდომა გაეგო, რომელი ოთახიდან გამოისმოდა ხმაური. მაგრამ რამაც თავგზა ამიბნია, ეს გახლდათ მისი გადაჭარბებული სიფრთხილე. კი მაგრამ, რით ვეღარ შეამჩნია, ამ სახლში სიჩუმეს რომ არავინ დაგიდევდა. მაინც რატომ ახშობდა თავის ნაბიჯს, აგრე ჩუმად რად მოიწევდა? ერთ წამს თითქოს ჩემს კართან შეჩერდა, მაგრამ შემდეგ გავიგონე, ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, რომ სტუდენტის ოთახში შეაბიჯა. ადგა და ყოველგვარი კაკუნის გარეშე პირდაპირ შევიდა.

და აი, (როგორ უნდა აღვწერო?), სიჩუმე ჩამოვარდა. ისეთი

სიჩუმე, თითქოს რაღაც ტკივილი მიყუჩდა, საოცრად საგრძნობი, მოჭიმული დუმილი, თითქოს ჭრილობა იკრავდა პირს. და უკვე შემეძლო დამეძინა, შემეძლო შვებით ამომესუნთქა და დამეძინა. განცვიფრებაღა მაფხიზლებდა. ვიღაც ლაპარაკობდა გვერდითა ოთახში, მაგრამ ის ლაპარაკიც სიჩუმისა იყო; თავად უნდა განიცადო ის გარინდება, მისი აღწერა შეუძლებელია. გარეთაც კი თითქოს ყველაფერი გამოსწორდა და გაინაბა. წამოვჯექი, ყურს ვუგდებდი, სოფელში მეგონა თავი, და გავიფიქრე, ღმერთო დიდებულო, დედა ჩამოუვიდა! იგი ლამპის გვერდით იჯდა. შვილს უყვაებდა, მასაც, ალბათ, დედის მხარზე ჩამოეყრდნო თავი და დედაც. ალბათ, სადაც იყო ლოგინში ჩააწვენდა. ახლაღა მივხვდი, წეღან დერეფანში აგრე წყნარად ვინ მოდიოდა. ო, ღმერთო ჩემო, ეს რომ არსებობს ამქვეყნად! — ასეთი არსება, ვის წინაშეც სულ სხვაგვარად იღება ყოველი კარი, ვიდრე ჩვენს წინაშე. ჰო, ჰო, ახლა შეგვეძლო დაგვეძინა.

●

ჩემი მეზობელი თითქმის უკვე გადამავიწყდა. ახლა ვხედავ: რასაც მის მიმართ განვიცდიდი, მაინც არ იყო ნამდვილი თანაგრძნობა. ისე კი, ქვემოთ, გასასვლელში ზოგჯერ ვკითხულობ, რაიმე ამბავი ხომ არ ისმის მისგან. და მიხარია, სასიკეთოს თუ ვიგებ რასმე. მაგრამ არც ესაა ნამდვილი. გადაჭარბებაა ჩემი საქციელი. კაცმა რომ თქვას, მე ხომ სულაც არ მჭირდება მისი ამბის ცოდნა! ზოგჯერ საშინლად რომ გამიწევს გული და მის ოთახში შესვლა მინდება, თვითონ ჩემი მეზობელი არაფერ შუაშია. უბრალოდ, ჩემი კარიდან მის კარამდე ერთი ნაბიჯია, თანაც ვიცი, კარი ღიაა, და მაინტერესებს, ოთახი როგორ არის მოწყობილი სინამდვილეში. კაცი ნებისმიერ ოთახს ადვილად წარმოიდგენ, და ასე თუ ისე დაემთხვევა სინამდვილეს, მაგრამ გვერდითა ოთახი, რატომღაც ყოველთვის სხვანაირი აღმოჩნდება ხოლმე, ვიდრე გეგონა.

კი ვთქვი, რაც მეწევა იმ ოთახისკენ, მაგრამ, კარგად ვიცი: ყველაზე მეტად ეს ის თუნუქის რაღაც საგანია, იქ რომ მელოდება. მე ხომ დავუშვი, ქილის ხუფი იქნება-მეთქი, მაგრამ, რა თქმა უნდა, შეიძლება ეცდებოდე კიდეც. ეს არ მაწუხებს. სწორედაც რომ ჩემი ბუნებაა, ყველაფერი თუნუქის სახურავს დავაბრალო. არა

მგონია, სტუდენტს ის ხუფი თან წაეღო. ალბათ ოთახი დაალაგეს და ის ხუფიც, როგორც წესი და რიგია, თავის ქილას დაახურეს. და ახლა ხუფიც და ქილაც ერთ ცნებად — ქილად იქცა, მრგვალ ქილად, უფრო ზუსტად, ერთ ძალიან უბრალო, ნაცნობ ცნებად შეერთდა. თითქოს მახსენდება, რომ ორივე ბუხარზე ძევს, ის ორი — რაც ქმნის ქილის ერთიანობას. უფრო მეტიც — სარკის წინაა და მაშასადამე, კიდევ ერთი ქილა ჩნდება, ნამდვილისაგან ძნელად განსასხვავებელი, ასახულ-არეკლილი ქილა, რომელსაც ჩვენ არაფრად ვაგდებთ, მაიმუნი კი შეიძლება წაეტანოს. ნამდვილად. ის კი არადა ორი მაიმუნი ერთად ეცემა, რადგან მაიმუნიც მაშინვე გაორმაგდება, როგორც კი მიადგება ბუხარს. მაშასადამე, ქილის ხუფია, რამაც მე მიზანში ამომიღო. მოდით, შევთანხმდეთ: ქილის ხუფს, უფნებელი ქილის სახურავს, ქილისა, რომლის პირიც ზუსტად ისეა მომრგვალებული როგორც კიდე მისი ხუფისა, წესით ხომ სხვა არც არაფერი უნდა უნდოდეს, გარდა იმისა, რომ თავის ქილაზე იყოს დამხობილი. ეს უნდა იყოს უმაღლესი რამ, რისი წარმოდგენაც კი ამ ხუფს შეუძლია, მისი ბედნიერების მწვერვალი, ყველა ნატვრასურვილის აღსრულება. განა სწორედაც იდეალური არ არის, თვინიერად და ნეტარად იყოს მორგებულ-მოჭერილი ქილის პირზე, რომელიც ზუსტად ისევეა მომრგვალებული და წამახული, როგორც თავად ხუფის კიდეა? მაგრამ, ეჰ, რა ცოტაა, ისეთი ხუფი, ამისი ფასი და ყადრი რომ იცის. აი, სწორედ აქ ვლინდება, თუ რა თავგზისამბნევი ზემოქმედება მოახდინა საგნებზე ადამიანებთან ურთიერთობამ. განა ადამიანებიც, თუნდაც ყოვლად ზერელედ რომ შევადაროთ ისინი სარქველებს, ასევე უხალისოდ და უხეიროდ არ არიან მორგებულნი თავიანთ საქმიანობას? ნაწილობრივ იმ მიზეზით, რომ სიჩქარეში არასწორ ადგილას მოხვდნენ, ნაწილობრივ იმის გამო, რომ ისინი მრისხანედ და მრუდედ დაახურეს მიჩენილ საქმეს, ზოგჯერ კი მიზეზი ის გახლავთ, რომ ერთმანეთისთვის განკუთვნილი თავსარტყელები გაღუნულია. ვიყოთ გულწრფელნი. ადამიანებს ძირითადად ხომ სულ ეს უტრიალებთ თავში: გადახტნენ, ჩახტნენ, გაგორდნენ და ირახრახონ, — თუკი მოახერხებენ. აბა, მაშ საიდან მოდის მთელი ეს ეგრეთ წოდებული დაბნეულობა და ხმაური, რასაც ეს დაბნეულები აღძრავენ?

საუკუნეებია, რაც საგნები ადამიანთა საქციელს შესცქერიან. და რა გასაკვირია, რომ მათი ზნეც წახდა, რომ აღარ ესმით თავი-

ანთი ბუნებრივი, მოკრძალებული მიზნის ფასი, და ისევე უდგებიან თავიანთ ყოფიერებას, როგორც ადამიანები სჩადიან ამას. საგნები ცდილობენ თავი აარიდონ საკუთარ დანიშნულებას, უხალისონი და გულგრილნი გახდნენ და ადამიანებსაც არ უკვირთ, როცა მათ ფუქსავატობაზე წაასწრებენ ხოლმე: ეს ხომ ასეთი მშობლიური და ნაცნობია მათთვის. და თუ ბრაზობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ საგნებზე ძლიერნი არიან და აღიზიანებთ, როცა სუსტები მათ ბაძავენ. აგრე ჰგონიათ, თითქოს მხოლოდ მათ ჰქონდეთ გადაგვარების უფლება. მაგრამ, არსებითად, მათ საგნები თავიანთ ნებაზე მიუშვეს, ისევე როგორც საკუთარი თავი ჰყავთ მიშვებული. და თუკი სადმე აღმოჩნდება ვინმე ასეთი, ვინც თავს ხელში აიყვანს, ვინმე მარტოსული ადამიანი, რომელსაც სწადია მთლიანად მოეკიდოს საკუთარ არსს და მასში სუფევდეს, აი, ეს კაცი თავის წინაღმდეგ აიმხედრებს გადაგვარებულ საგან-ნივთების მთელ ურიცხვ მოდგმას, მათ გესლსა და სიძულვილს დაატეხს თავზე, რადგანაც ისინი, სინდისის ქენჯნით გაავებულნი, ველარ იტანენ სხვის ძალისხმევასა და აზრიან სწრაფვას; ისინი ერთიანდებიან მარტოსულის წინაღმდეგ, რათა ხელი შეუშალონ, თავგზა აუბნიონ, თავზარი დასცენ და კარგად იციან, რომ ეს შეუძლიათ. ისინი თვალს უკრავენ ერთმანეთს და იწყებენ მის ცდუნებას. ვიღას არ ითრევენ ამ საქმეში! — ყველა სულიერს, მთელ სამყაროს, უფალ ღმერთსაც კი, იმ ერთის, ერთადერთის წინაღმდეგ, რომელმაც, ვინ იცის, ეგებ გაუძლოს კიდეც და: გახდეს წმინდანი.

●

ო, როგორ მესმის ახლა ის გამაოგნებელი ნახატები [24], სადაც ვიწრო, ყოველდღიური დანიშნულების საგნებს თავი აუშვიათ, ცნობისმოყვარედ აცდუნებენ და თვალს უკრავენ ერთი-მეორეს, ატაცებულნი ზნედაცემული აღრეულობით: ქვაბები, ხარშვისას აქეთ-იქით რომ დაეხეტებიან, კოლბები, რაღაც ფიქრი რომ გასჩენიათ, თუ ძაბრები, დასაამებლად ხვრელებში რომ იჭედებიან. და აი, უკვე ისინიც აქ არიან, ამათ შორის ტრიალებენ — ეჭვიანი არა-რას მიერ გადმოსროლილი: სხეულის ნაკვთები და ასოები, სახეებიც კი, ზედ რომ ანთხევენ იმ ყველაფერს თბილ, მძიმე ნარწყევს, და

მჭშენი უკანალები, სიამოვნებას რომ ანიჭებენ იმ აცეტებულ საგანთა მოდგმას.

და წმინდანი მოკრუნჩხულა, მთლად შეკუმშულა. მაგრამ მაინც შეიცავდნენ მისი თვალები ერთ ისეთ მზერას, რომელმაც აიტანა ის ყველაფერი: შეხედა. და დაწმენდილი განცდა-ფიქრები წამ' ¡ე ჩამოსწყდნენ მისი სულის ხსნის ნათელ სიმაღლეს. წმინდანის ლოცვა ფურცელ-ფურცელ ჩამოიშალა და შეძარცვული თაიგულივით შერჩა მის ბაგეს, და წაპირქვავდა მისი გული, გადაყირავდა და სიმღვრიეში გადაიღვარა. და თვითგვემის გრძელი მათრახი ისევე დასთრევს, ვით დუნე კუდი, ბუზებს რომ აფრთხობს. მისი სქეს¡ც ისევ თავს იყრის იმავ ადგილას და, როცა ქალი აღემართება ამ ამაო ორომტრიალში, მოშიშვლებული ძუძუ-მკერდის რხევათამთამით, — საჩვენებელი თითივით მისკენ მიიმართება.

ერთ დროს ამ სურათებს მოძველებულად ვთვლიდი. იმიტომ კი არა, რომ მათ სიმართლეში ეჭვი მეპარებოდა. არა, უბრალოდ, ვფიქრობდი, ეს მხოლოდ წმინდანებს ემართებოდათ-მეთქი, — სულსწრაფ არსებებს, რომელთაც სურდათ, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, საქმე პირდაპირ ღმერთით დაეწყოთ. ჩვენ კი ამდენს აღარ ვიღებთ საკუთარ თავზე, იმას ვგრძნობთ მხოლოდ, რომ ღმერთი ძალზედ ძნელია ჩვენთვის, და ის სულ მუდამ უნდა გადავდოთ, რათა ნელა აღვასრულოთ ხანგრძლივი სამუშაო, რაც მას გვაშორებს. ახლა კი ვიცი: ეს ჯაფაც წმინდანობასავით სათუო გამხდარა. და იმ კაცის გარშემო, ვინც ამ სამუშაოს აღსასრულებლად განმარტოვდება, ისეთივე უკუღმართობა დატრიალდება, ღვთის მარტოსულებს რომ ეხვია ირგვლივ, ოდესღაც, უდაბნოსა თუ ქვაბ-მღვიმეებში.

●

როცა მარტოსულ ადამიანზე ლაპარაკობენ, ძალზედ ბევრს იღებენ საკუთარ თავზე: ტყუილად ჰგონიათ, თითქოს იცოდნენ, ვის და რანაირს ეხება საქმე. არა, არ იციან. ხალხს მარტოსული არასოდეს დაუნახავს, ის მხოლოდ სძულდა. სძულდა, ისე, რომ არასოდეს უნებებია მისი გაცნობა. ისინი იყვნენ მარტოკაცის შეზობლები, მას რომ აცდენდნენ, და ხმები გვერდითა ოთახებში, — რომ აცდუნებდნენ. ისინი საგნებს აქეზებდნენ მის წინააღმდეგ, რათა ეხმა-

ურათ და ის ჩაეხშოთ. ბავშვები ერთიანდებოდნენ მარტოსულის წინააღმდეგ, რადგანაც ის სათუთი იყო და თავადაც ბავშვი, და თავისი ზრდის ყოველი წამით იზრდებოდა მოზრდილთა წინააღმდეგ. ისინი კვალში მისდევდნენ მუდამ: როგორც ნადირს მოსანადირებელს, თავს ესხმოდნენ თავის საფარში, და მისი ხანგრძლივი სიბავშვე და ახალგაზრდობა ოდნავადაც არ დაუზოგავთ. და თუ მან სული არ გააქელინა, არ დაიშრიტა და ასე დააღწია თავი მათ მტრობას, მაშინ ხალხი მის ქმნილებას ითვალწუნებდა, საზიზღრობაა, სიმახინჯეო, გაიძახოდა, და თუ ის ყურს არ ათხოვებდა ამ ღრიანცელს და თავის საქმეს განაგრძობდა აუმღვრეველი, მაშინ ისინი დაუფარავ მტრობას უწევდნენ: საქმელს უნთქავდნენ, თავიანთ ბუდეს ასუნთქებდნენ პირისახეში და უფურთხებდნენ სილატაკეში, რომ საკუთარი სილატაკე შეჰზიზღებოდა. სახელს უტეხდნენ, ხმებს უვრცელებდნენ, ქვებს ესროდნენ როგორც კეთროვანს, რათა სწრაფოდ გარიდებოდა იქაურობას. და არც ღალატობდა თავიანთი ძველი ინსტინქტი. რადგან ის მართლაც მტერი იყო მათი ოდითგან.

მაგრამ შემდეგ, თუკი იგი მათ ღრიანცელს არად აგდებდა, გონს მოდიოდნენ. გრძნობდნენ, რომ ამ სიძულვილ-მტრობით ის განამტკიცეს თავისსავე მარტოობაში და დაეხმარნენ, მათ საუდამოდ განშორებოდა. მაშინ ისინი უკანასკნელ ხერხს მიმართავდნენ, უკიდურეს საშუალებას, სხვა დაბრკოლებას აღუმართავდნენ: დ ი დ ე ბ ა ს. ამ ხმაურზე კი თითქმის ყველა მარტოსული თავს იღებდა თავის საქმიდან, და ბრბოსაკენ იხედებოდა. იბნეოდა და იფანტებოდა.

●

ამ ღამით ისევ თვალში მომხვდა პატარა, მწვანე წიგნი, რომელსაც ხშირად ვკითხულობდი ჩემს ბიჭობაში. არ ვიცი, რატომ, მაგრამ მეგონა, მატილდე ბრაეს ეკუთვნოდა. როცა პირველად ჩამივარდა ხელში, არ დამაინტერესა და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ წავიკითხე. მგონი მაშინ, ულსგორში რომ ვიყავი არდადეგებზე. პირველივე წუთიდან მიმიჯაჭვა. მთელი წიგნი, თვით გარეკანიც კი რაღაც ფარულ, შინაგან ერთიანობას ასხივებდა. ყდის სიმწვანე რაღაც მნიშვნელოვანს გპირდებოდა, და რომ გადაშლი-

დი, მართლა იპოვიდი დანაპირებს. თითქოს საგანგებოდ, რაღაცა მიზნით, თავფურცელი გლუვი იყო, წყალში განზავებული თეთრით ნაფერი, და მას სათაურიანი გვერდი მოსდევდა — რაღაც საიდუმლოებით მოცული ფურცელი, რომელიც ისე განგაწყობდა, რომ შემდეგ უკვე ნახატებს ელოდი. მაგრამ წიგნს ნახატები არ ახლდა, და გინდოდა თუ არა, უნდა გეღიარებინა: სწორედ ასეა საჭიროო. და მერე, როცა გადავშალე და ერთგან სანიშნე ზონარი აღმოვაჩინე, ისეთი განცდა დამეუფლა, თითქოს დამაჯილდოვეს. ღმერთმა უწყის, რა დროიდან იდო ერთსა და იმავე ორ გვერდს შორის ეს გაცრეცილი, ოდნავ ირიბად მდებარე ზონარი. გულისამაჩუყებლად რომ მიმხელდა თავის საიდუმლოს: ოდესღაც ვარდისფერი ციყავიო. ვინ იცის, ეს სანიშნი სულ მთლად უხმარი იყო და ამკინძავმა ჩადო წიგნში სწრაფად და ბეჯითად, ისე რომ არც დაუხედავს. ან ეგებ არც იდო შემთხვევით. შეიძლება, ვიღაცამ სწორედ იმ ადგილას შეწყვიტა კითხვა და ველარასდროს ვერ გააგრძელა, რადგან სწორედ იმ წუთს მიუკაკუნა კარზე ბედისწერამ, რათა სხვა საქმეზე გადაერთო, და შორს გაიტაცა წიგნებიდან, რომლებიც, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება ხომ მაინც არ არის. ვერ მიხვდებოდი, წიგნი ბოლომდე იყო წაკითხული თუ არა. ისიც შეიძლებოდა გეფიქრა, რომ ყოველთვის სწორედ ეს ფურცელი უნდა გადაშლილიყო და სწორედ მას შლიდნენ კიდეც ყოველთვის, მერე რა თუ ზოგჯერ გვიან ღამით! ყოველ შემთხვევაში, ეს გადაშლილი ორი გვერდი ისე მაკრთობდა, როგორც სარკე, რომლის წინაც ვიღაც დამდგარა. ეს გვერდები არ წამიკითხავს. ისიც არ ვიცი, მთელი წიგნი კი წავიკითხე თუ არა. წიგნი არ იყო მაინცდამაინც დიდი ღირსების, მაგრამ მთელ რიგ ამბებს გთავაზობდა, განსაკუთრებით ნაშუადღევს: ამ დროს ყოველთვის აღმოჩნდებოდა ხოლმე რაღაც ისეთი, რაც ჯერ კიდევ არ წამეკითხა.

მხოლოდ ორი ამბავი მახსენდება. ახლავე ვიტყვი, რომლები: გრიშა ოტრეპიევის[25] სიკვდილი და კარლოს მამაცის[26] აღსასრული.

ღმერთმა უწყის, შთაბეჭდილება მოახდინა თუ არა მაშინ, მაგრამ ახლა, ამდენი წლის შემდეგ, დაწვრილებით მახსენდება, ცრუ მეფის გვამი ქვემოთ ბრბოში როგორ ისროლეს; და როგორ ეგდო იქ მთელი სამი დღე სახეზე ნიღაბაფარებული, დაჯიჯგნილი და მთლად დაფლეთილი. ცხადია, მხოლოდ ამ ამბის გამო არ მივბრუ-

ნებივარ ამ პატარა, მწვანეყდიან წიგნს. მაგრამ ხსენებული ადგილი მართლაც განსაკუთრებული იყო. მინდოდა ხელახლა ჩამეკითხა, როგორ ჩაიელიდა დედასთან შეხვედრა. ნამდვილად გრძნობდა გრიშა ოტრეპიევი, სხვის დედას მოსკოვში რომ ჩააყვანინებდა. უეჭველია, იმ დროს ისე იყო დარწმუნებული საკუთარ თავში, რომ ის ქალი მართლა საკუთარი დედა ეგონა. მართლაც და იმ მარია ნაგაიამ[27] თავისი მწირი მონასტრიდან ეგზომ საჩქაროდ რომ გაემგზავრა, ხომ ყველაფერი მოიპოვა, როცა დაუდასტურა: მაგრამ განა არ ფაიბზარა მისი სიმტკიცე იმით, რომ დედამ ის აღიარა? ჩემთვის არ არის უცხო, ვიფიქრო: ამ ადამიანის გარდასახვის ძალა მაშინ აღწევდა მწვერვალს, როცა ის ამქვეყნად არავისი ეაჟი აღარ იყო.

[1](სამოლოოდ ეს არის ძალა, ყველა იმ ახალგაზრდისა, ვინც თავის კერას სტოვებს და მიდის).

ხალხმა, რომელსაც იგი სურდა, ისე რომ წარმოდგენაც არ ჰქონდა მასზე, კიდევ უფრო დიდი, უსაზღვრო შესაძლებლობანი და თავისუფლება მიანიჭა. მაგრამ დედის განცხადებას, თუნდაც როგორც შეგნებულ ტყუილს, აღმოაჩნდა ძალა მისი შებოჭვისა. მან გამორიყა ოტრეპიევი შისი გამოგონების სისავსიდან, ღონემიხდილ მიმბაძველად გადააქცია, აქცია იგი ცრუდ და თვალთმაქცად: რადგან რაღაც ერთსა და ცალკეულზე ჩამოაქვეითა მისი ზოგადობა. და აი, მოვიდა ის მარია მნიშეკი[28], რომელმაც უფრო რბილად და ჩუმად გაალღო მისი გამონაგონის სიმტკიცე: თავის მხრივ უარყო იგი, და, როგორც შემდეგ გამოირკვა, ოტრეპიევის კი არა სჯეროდა, არამედ ყველაზი. არ მახსოვს, იყო თუ არა ეს ამბავი იმ წიგნში სათანადო სიღრმით წარმოდგენილი. მგონი, ღირს მოყოლა.

როგორც არ უნდა იყოს წარმოდგენილი, ერთი ცხადია: მოძველებული სულაც არ არის. მაგრამ ისეთი მთხრობელი უნდა არსებობდეს, ვინც დიდის სიფაქიზით მოეკიდებოდა ცრუმეფის სიცოცხლის სულ ბოლო წუთებს. და მართალიც იქნებოდა. რა აღარ ხდება იმ ბოლო წუთებში: როგორ ისკუპა მან თავისი უშინაგანესი ძილიდან ფანჯრისკენ, ფანჯრიდან კი ეზოში — მცველთა შორის. ისკუპა, მაგრამ აი, ვეღარ წამოდგა. მცველები ეხმარებიან. ალბათ, ფეხი მოიტეხა. ორნი მხრებში შეუდგნენ და გრძნობს:

---

[1] ხელნაწერში კიდეზეა მიწერილი. (რილკეს შენიშვნა).

სჯერათ მისი. ირგვლივ ისედება, სხვებსაც სჯერათ, თითქმის ებრალებათ: ამ გოლიათ „სტრელეცებს". შორიდან მოდის ეს სიბრალული. ივან გროზნის იცნობდნენ ისინი, და ახლა სჯერათ მ ი ს ი, ცრუმეფეს სურს განუმარტოს, გააგებინოს, მაგრამ ახლა პირის გაღება დაყვირებას ნიშნავს: ჭკუიდან შემშლელად სტკივა ფეხი, და იმ წუთს ისე ნაკლებად ფიქრობს თავის თავზე, რომ აღარაფერი ახსოვს ტკივილის გარდა. და თან დროც აღარ იცდის. აი, ისინი მიაწყდნენ კიდეც, შუისკის[29] ხედავს და მის ზურგს უკან ყველა დანარჩენს. მალე ყველაფერი დამთავრდება. მაგრამ აქ, უცებ: შეიმართნენ მისი მცველები. ისინი მას არ გასწირავენ. და სასწაული ხდება. ძველ მეომართა რწმენა სხვებსაც გადაედო. ალარაევინ ცდილობს დაეწიოს და შუისკი — სასოწარკვეთილი იძახის ფანჯრისკენ. იგი თავსაც კი არ აბრუნებს. კარგად იცის, ვის უძახიან, ვინ დგას შიგნით, იმ ფანჯარასთან. გრძნობს: სიჩუმე ჩამოვარდა. ყოველგვარი გადასვლის გარეშე უცებ დადუმდა ყველაფერი. ახლა გაისმება ხმა, რომელსაც მეფობის დროიდან იცნობს, მაღალი, ყალბი ხმა, მუდამ ზედმეტად რომ იძაბება. და აი, მოესმა კიდეც ძახილი დედა-დედოფლისა, ხმა, რომელსაც იგი უარყო.

აქამდე საქმე თავისით მიდიოდა. მაგრამ ახლა, მთხრობელი, მთხრობელი, თუ შეიძლება! რადგან იმ ბოლო სტრიქონებიდან, რომლებიც დაგვრჩა, ის ძალა უნდა ამოიმართოს, ყოველგვარ შეუსაბამობას რომ დააცხრობს და გადასცდება. არა აქვს მნიშვნელობა, მიღებულია თუ არა ამის აღნიშვნა, მაგრამ მთხრობელმა უნდა დაიფიცოს და შეგვაგონოს, რომ დედოფლის ძახილსა და პისტოლეტის გასროლას შორის მასში ჯერ კიდევ ბორგავდა უკიდურესად დაწნეხილ-შეკუმშული ძალა და ნება: ყოფილიყო ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი. სხვაგვარად გაუგებარი იქნება ეს ბრწყინვალე თანმიმდევრობა, რომ წამში დაცხრილული ღამის სამოსი ისე ჩაუჩურთეს ჯერაც თბილ ხორცში, თითქოს პიროვნების სიმაგრე უნდა დაეფშვნათ და დაეკუწათ მის მკვდარ სხეულში. და რომ სიკვდილშიც ნიღაბს ატარებდა, მთელი სამი დღე, ნიღაბს, რომელიც თითქმის უარყო.

●

ამ ამბავზე ფიქრისას უცნაური, მეჩვენება, რომ იმ კაცს აღსასრულიც ამავე წიგნში იყო მოთხრობილი. რადგან ის კაცი ხომ

მთელი ცხოვრება ე რ თ ი იყო, ერთი და იგივე, ტინივით მაგარი და ნირუცვლელი, სულ უფრო მძიმე ტვირთად რომ აწვებოდა იქ ადამიანთ, ვინც მას უძლებდნენ. მისი ერთი სურათია გამოფენილი დიეონში[30]. მაგრამ უსურათოდაც ცნობილია, რომ ეს კაცი ტანდაბალი იყო, ანჩხლი, თავნება და სასოწარკვეთილი. ხოლო მის ხელებს რაც შეეხება, მათზე კი შეიძლება დღემდე არვინ დაფიქრებულა. ეს გახლავთ ავად მხურვალე ხელები, სულ რომ გაგრილებას ნატრობენ და უნებურად ცივ საგნებს ეტანებიან, თითებგაფარჩხული: რათა თითებშორის ჰაერმა გაუაროთ. ამ ხელებს ისე მიაწყდებოდა ხოლმე სისხლი, როგორც თავში უვარდებათ სხვებს. და ისინიც ადამიანთა თავებივით მომუშტულიყვნენ, იმ თავებივით, რაღაც გიჟური გაელვებანი რომ აბობოქრებთ.

წარმოუდგენელი სიფრთხილე სჭირდებოდა ცხოვრებაში ამ სისხლის პატრონს. და ჰერცოგიც თავის სისხლთან ერთად საკუთარ წიაღში ჩაკეტილიყო და დროდადრო ძრწოდა, როდესაც გრძნობდა, როგორ უვლიდა სისხლი მთელ ტანში — იქ ჩამწყვდეული და ჩაწყვდიადებული. შემზარავად უცხო ეჩვენებოდა ეს სწრაფი, მოუხელთებელი, ნახევრად პორტუგალიური სისხლი, თავადაც რომ არ იცნობდა ხეირიანად. ზოგჯერ ეშინოდა, ძილში არ მეცეს და არ გამფატროსო. თავი ისე ეჭირა, თითქოს მოთოკილი ჰყავდა, მაგრამ სწორედ სისხლი გახლდათ მისი შიშის უწყვეტი წყარო. ქალის შეყვარებაც ვერ გაებედა, რომ სისხლს არ ეეჭვიანა, და არც ღვინოს აკარებდა პირს. სისხლს, ღვინის ნაცვლად, ვარდის მუსით აშოშმინებდა, თუმცა ერთხელ მაინც დალია: ლოზანასთან გაშლილ ბანაკში[31], როდესაც გრანსონი[32] დაიკარგა. ავად იყო მაშინ, ლოგინად ჩავარდნილი, და ბევრი ღვინო დალია, წითელი ღვინო. მაგრამ მაშინ ეძინა მის სისხლს. თავის უაზრო, ბოლო წლებში ზოგჯერ ჰერცოგს მძიმე, ცხოველური ძილი შთანთქამდა ხოლმე, და მაშინ ცხადად ჩანდა, სისხლი როგორ მთლიანად ბატონობდა თავის პატრონზე. რადგან თუ სისხლს ეძინა, ისიც ყოველგვარ ძალას ჰკარგავდა. არავინ უნდა გაჰკარებოდა სიახლოვეს; არ ესმოდა, რას ეუბნებოდნენ. უცხო ელჩებთანაც ვერა ჩნდებოდა: ისეთი დაშრეტილ-დაცლილი იყო. ისიც იჯდა და იცდიდა: როდის გაიღვიძებდა სისხლი, რომელიც ერთი ნახტომით წამოვარდებოდა ხოლმე უეცრად, გულიდან ინთხეოდა და ღრიალებდა.

ამ სისხლის გულისთვის იყო, თან ათასნაირ საგნებს რომ და-

ათრევდა, საგნებს, რომლებიც სინამდვილეში არაფრად ულირდა. სამ ვეება ბრილიანტსა და სხვა იშვიათ თვლებს; დახვავებულ ფლანდრიულ მაქმანებსა და არასულ ხალიჩებს; თან დაჰქონდა ოქროსთასმებიანი აბრეშუმის კარავი თავისთვის და ოთხასი კარავი ამალისათვის; ხეზე მოხატული სურათები და სუფთა ვერცხლში ჩამოსხმული თორმეტი მოციქული. მუდამ თან ახლდნენ ტარენტის პრინცი და ჰერცოგი ფონ კლევე, ფილიპ ფონ ბადენი და château cuyon-ის დიდი მთავარი. რადგან მას სურდა შეეგონებინა თავისი სისხლისთვის: მეფე ვარ და ჩემზე ვერავინ იბატონებსო. რათა სისხლს მისი შინებოდა. მაგრამ სისხლი ყურს არ უგდებდა, ამ საბუთების მიუხედავად არ უჯერებდა: უნდო სისხლი იყო შეიძლება ერთი წუთით კი შეეჭეშმანდა, მაგრამ მალევე გამოერკვა: ურის ბუკებმა[33] გასცეს ჰერცოგი და მას შემდეგ მყარად იცოდა ჰერცოგის სისხლმა, რომ ის დამარცხებული ადამიანის ტანში სახლობდა. იცოდა და გარეთ იწევდა.

ახლა ამგვარად მეხატება კარლოს მამაცი. მაშინ კი, ამ წიგნს როცა ვკითხულობდი, ყველაზე მეტად ის ამბავი მაღელვებდა, მას რომ დაეძებდნენ სამი მოგვის დღეს.

არნახული შმაგი ბრძოლის შემდეგ ახალგაზრდა ლოტარინგიელი თავადი დილაადრიან ნანსში[34] შემოჯირითდა და მთელი ქალაქი წამოშალა. ჰერცოგს ეძებდა. შიკრიკს შიკრიკზე გზავნიდნენ და თავადი თვითონაც ხშირ-ხშირად ჩნდებოდა ფანჯარასთან, შეწუხებულ-შეშფოთებული; ყოველთვის ვერ სცნობდა, ვინ მოჰყავდათ ეტლებითა თუ საკაცეებით, მაგრამ ჰერცოგი რომ არ იყო, ამას ხედავდა. ვერც დაჭრილებში იპოვეს და ტყვეებიდანაც, რომელთა რიცხვიც სულ მატულობდა, არვინ აღმოჩნდა მისი მნახველი. ხოლო ლტოლვილებს ოთხივ მხარეს მიჰქონდათ მისი გაუჩინარების ამბავი და თან შიშისგან აცახცახებდათ, ვაითუ სადმე გადავაწყდეთო. უკვე შებინდდა, ჰერცოგის ასავალ-დასავალი კი ჯერ ვერ გაეგოთ. მისი დაკარგვის ცნობას ზამთრის იმ გრძელ საღამოს საკმაო დრო ჰქონდა, იქაურობას მოსდებოდა, და სადაც კი აღწევდა, ყველგან გადაჭარბებულ, შმაგ რწმენას აღძრავდა, რწმენას: რომ ის კაცი ცოცხალი იყო. ალბათ, ჰერცოგი არასოდეს ყოფილა აგრე ნამდვილი ადამიანთა წარმოდგენაში, როგორც იმ ღამეს. არ დარჩა სახლი, სადაც არ ფხიზლობდნენ, არ ელოდნენ და წამდაუწუმ მისი კაკუნი არ ელანდებოდათ. და სჯეროდათ: თუ არ მივიდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დაუკაკუნებლად ჩაიარა გზად.

ყინავდა იმ ღამით და თითქოს გაიყინა რწმენაც — რომ ჰერცოგი ცოცხალი იყო, ისე გამყარდა ეს აზრი, მრავალ, მრავალ წყალს უნდა ჩაევლო, ვიდრე გალღვებოდა. თუმცა არაფერი იცოდნენ მისი, ყველამ დაიყინა, ცოცხალიაო. ბედი, რაც ჰერცოგმა თავს დაატეხათ, მხოლოდ მისი პიროვნების წყალობით გამხდარიყო ასატანი. მათ ისე ძნელად შეითვისეს მისი ყოფნა და არსებობა, რომ ახლა უცებ აღმოაჩინეს: კარგად დამახსოვრებოდათ და ეეღარაფრით დაივიწყებდნენ.

მაგრამ მეორე დღეს, 7 იანვარს, სამშაბათს, ძებნა განახლდა. ამჯერად წინამძღოლი გამოჩენილიყო — ჰერცოგის პაჟი. ამბობდნენ, თითქოს პაჟს შორიდან დანახა, როგორ დაეცა მისი ბატონი და ახლა ადგილი უნდა ეჩვენებინა. თვითონ პაჟი ხმას არ იღებდა, გრაფ ფონ კამპო-ბასოს[35] მოეყვანა და მის მაგივრადაც თვითონ ლაპარაკობდა. პაჟი წინ წავიდა და დანარჩენებიც ახლოს მიჰყვნენ. ვინც მას ასღოს — ზოსასპამში გახვეულსა და უცნაურად დაბნეულს ხედავდა, ძნელად ირწმუნებდა, რომ ის მართლაც გოგონასავით ლამაზი და ვიწროკიდურებიანი ჯანბატისტა კოლონა იყო. სიცივისაგან კანკალებდა. ღამის ყინვას ჰაერი გაეხეხეშებინა. მათ ფერხთა ქვეშ თოვლი კბილთა ღრჭიალივით ხმას გამოსცემდა. ყველანი ითოშებოდნენ. მხოლოდ ჰერცოგის მასხარა — მეტსახელად ლუდოვიკ XI[36] დაწრიალებდა. იგი ძაღლს განასახიერებდა. წინ გარბოდა, უკანვე ბრუნდებოდა, მერე ბიჭის გვერდით ოთხზე იწყებდა ხტუნვას, მაგრამ წინ სადმე ვიღაცის ცხედარს თვალს რომ მოჰკრავდა, გახტებოდა, სკუპ-სკუპით მიირბენდა და წელწახრილი ყურში ჩასჩურჩულებდა: „თავს ცოტა ძალა დაატანე და გახდი ის კაცი, ვისაც ჩვენ ვეძებთო“. დაფიქრების დროს აძლევდა და მერე ისევ ცოცხლებთან ბრუნდებოდა გაბრაზებული: იმუქრებოდა, იწყევლებოდა და ქოქოლას აყრიდა მკვდრების სიჯიუტესა და წელმოწყვეტილობას. და აი ასე, უსასრულოდ და გაუთავებლად. ქალაქი თითქმის აღარ მოჩანდა, რადგან სიცივის მიუხედავად მოიქუფრა და ნისლი ჩამოწვა, თვალთან თითსაც კი ვერ მიიტანდი. მიდამო ბრტყელად და გულგრილად განფენილიყო და პატარა, შემჭიდროებულ ჯგუფს სულ უფრო ებნეოდა თავგზა, რაც უფრო წინ მიიწევდა. არავინ იღებდა ხმას. მხოლოდ ერთი ადევნებული დედაბერი რაღაცას ლუღლუღებდა გაუთავებლად და თავს აქნევდა. ალბათ, ლოცულობდა.

უცბად მეწინავე შეჩერდა და მიმოიხედა. შემდეგ ოდნავ შებრუნდა ლუპისაკენ, ჰერცოგის პორტუგალიელი ექიმისაკენ და წინ გაიშვირა ხელი. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ყინული მოჩანდა, გაყინული გუბურა თუ ტბორი, და იქ ათიოდე დამტვრეულ-დასახიჩრებული, შიშველი და გაძარცული გვამი ეგდო. წელში მოხრილი და ყურადღებად ქცეული ლუპი ხან ერთთან მიდიოდა, ხან მეორესთან. და სხვებმაც, ახლა ცალ-ცალკე რომ მიმოდიოდნენ, სათითაოდ ამოიცნეს ოლივიე დე ლა მარში[37] და კარის მღვდელი. დედაბერმა კი ჩაიჩოქა და წრიპინ-წრიპინით დაიხარა თოვლიდან ამოჩრილი ერთი დიდი, გაფარჩხული ხელისმტევნისკენ, რომლის გახევებული თითებ-ც უჯიათად ამოსცქეროდნენ. ყველა იქით გაემართა. ლუპიმ და კიდევ რამდენიმემ პირქვედამხობილი გვამის გადაბრუნება სცადეს, მაგრამ დამზრალი სახე ყინულს დაჰკვროდა და რომ ააგლიჯეს, ცალი ლოყა თხლად ჩამოეფცქვნა, ხოლო მეორე სულ აღარ ჰქონდა — ძაღლებსა თუ მგლებს გამოეჭამათ. სხეულიც შუაზე გადაპობოდა: ყურიდან იწყებოდა ვეება ჭრილობა. ისე რომ, სახეზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

ყველამ ირგვლივ მიმოიხედა, რომაელები ხომ არ გვიდგანან ზურგს უკანო[38]. მაგრამ მხოლოდ მასაარა დაინახეს, გაანჩხლებულმა და გასისხლიანებულმა რომ მოირბინა. რაღაც მოსასხამი ეჭირა განზე გაწვდილი და ისე ბერტყავდა, თითქოს იქიდან რაღაც უნდა ჩამოვარდნილიყო. მაგრამ მოსასხამი ცარიელი აღმოჩნდა. ადგნენ და სხვა ნიშნების ძებნა დაიწყეს, და მართლაც წააწყდნენ რაღაც წვრილმანებს, რითაც ჰერცოგის ამოცნობა შეიძლებოდა. ცეცხლი დაანთეს და ცხედარი თბილი წყლითა და ღვინით გაბანეს. აი, ნაიარევი გამოჩნდა ყელზე და ორი დიდი აბსცესის ნაკვალევი. ექიმს ეჭვი აღარ ეპარებოდა, მაგრამ მაინც განაგრძეს ძიება. ლუდოვიკ XI-მ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით უზარმაზარი, შავი ცხენის — მოროს გახევებული ლეში იპოვა. ამ ცხენზე ამხედრებული გამოვიდა ჰერცოგი იმ დღეს ნანსიდან. ახლა კი მასხარა გადაჯდა და მოკლე ფეხები ააქანავა. სისხლი ისევ სწვეთდა ცხვირიდან და პირში ჩასდიოდა, და შეამჩნიეს, რომ გემოს უსინჯავდა საკუთარ სისხლს. ვიღაცას მსახურებიდან გაახსენდა, ჰერცოგს მარცხენა ტერფზე ფრჩხილები ჰქონდა ხორცში ჩაზრდილიო, და ყველანი ფრჩხილის ძებნას შეუდგნენ. მასხარა კი ისე ათამამდა, თითქოს ულიტინებენო და დაიყვირა: „ე, მონსინიორ! მოუტევე ამ ბრიყვებს, რომ ისინი შენს უხეშ შეცდომებს ამზეურე-

ბენ და ვერა გცნობენ ჩემს გრძელ სახეზე, სადაც შენი სათნოებანი შეკრებილან“.

[1] (პირველად სწორედ ჰერცოგის მასხარამ იხილა გაპატიოსნებულ-დასვენებული ცხედარი ვინმე გეორგ მარკიზის სასახლეში. არავინ იცოდა, როგორ მოახერხა. სუდარა ჯერ არ გადაეფარებინათ. ასე რომ, მან სრული შთაბეჭდილება მიიღო. კამზოლის სითეთრე და მოსასხამის მეწამულობა ბასრად და მტრულად ემიჯნებოდნენ ერთმანეთს ბალდახინისა და სარეცელის ორგვარ სიშავეში. წინ ოქროსდეზებიანი, ხასხასა წითელი ჩექმები გაქვავებულიყვნენ. ხოლო ზემოთ: რაკი გვირგვინი მოჩანდა. მაშასადამე გარდაცვლილის თავი ესვენა. ეს დიდი, მძიმე საჰერცოგო გვირგვინი ვახლდათ, მოოქვილი ათასგვარი ძვირფასი თვლებით. ლუდოვიკ XI დინჯად მიდი-მოდიოდა და ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. ატლასიც კი გასინჯა, მიუხედავად იმისა, რომ ქსოვილებისა ბევრი არაფერი გაეგებოდა. კარგი ატლასი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ბურგუნდელთა გვარისათვის თითქოს უბრალო. უკან დაიხია. რათა მთელი სანახაობისათვის უკეთესად მოეევლო თვალი. ამ თოვლისმიერ მკვეთრ სინათლეში ფერები საოცრად არ ეხამებოდნენ ერთმანეთს და მასხარას თითოეული ამ ფერთაგანი მჭახედ და განცალკევებულად ებეჭდებოდა მზერაში.

„კარგადაა გამოწყობილი. — აღიარა ბოლოს, — მაგრამ ზედმეტად ეტყობა მონდოშვების კვალი“. სიკვდილი მას თოჯინებით მოთამაშე მსახიობად ეჩვენებოდა, რომელსაც უცბად დასჭირდა ჰერცოგი.)

●

სწორედ იქცევიან, როცა ზოგიერთ ფაქტს, რისი შეცვლაც აღარ შეიძლება, ყოველგვარი სინანულისა და განსჯის გარეშე, უბრალოდ აღიარებენ. აგრე უნდა ვაღიარო, რომ ნამდვილი მკითხველი არასდროს ვყოფილვარ. ბავშვობაში კითხვა რაღაც პროფესიად მიმაჩნდა, რომელიც, მერე როცა გავიზრდებოდი, მრავალ სხვა ვალდებულებასთან ერთად უნდა მეტვირთა. გულწრფელად რომ ვთქვა, ზუსტად არ ვიცოდი, როდის დადგებოდა ეს ხანა. ვფიქ-

[1] ხელნაწერში კიდეზეა მიწერილი. (რილკეს შენიშვნა).

რობდი, ალბად, მაშინ დაიწყება, როცა ცხოვრება მეტ-ნაკლებად შეიცვლება და უცებ გარედან მომეახლება, ისევე როგორც ახლა ჩემივე წიაღიდან ამოდის-მეთქი. რატომღაც მეგონა, დიდობაში ცხოვრება უფრო ცხადი, მკაფიო, ერთნიშნა და გასაგები გახდებოდა. მარტივი კი არა, არა, პირიქით: უფრო პრეტენზიული, ჩახლართული და მძიმე — ჩემს გამო, მაგრამ მაინც ხილული. მჯეროდა, იმ დროისათვის უკვე დაძლეული და უკან მოტოვებული მექნებოდა ბავშვის უცნაურად მოუხელთებელი სამყარო: ვერგასამიჯნი, ვერგასარკვევი და ვერგასათვალისწინებელი. ცხადია, არ ვიცოდი, ეს რა გზით მოხდებოდა. სინამდვილეში, ჩემი შინაგანობა ჯერჯერობით მხოლოდ მატულობდა, ყოველი მიმართულებით ფართოვდებოდა. რაც უფრო მეტად ვიხედებოდი გარეთ, მით უფრო მეტად ვამღელვარებდი საკუთარ სიღრმეს: იგი სულ უფრო უძირო ჩანდა. ღმერთმა უწყის, საიდან იღებს სათავეს ბავშვის ეს უკიდეგანო, უშრეტი წიაღი. მაგრამ, ალბათ, უკიდურესი სიჭარბისათვის უნდა მიეღწია, რათა ერთბაშად გადმოღვრილიყო. ოღონ შესამჩნევი გახლდათ, რომ დიდებს ის ნაკლებად აწუხებდათ: დადიოდნენ, მსჯელობდნენ და მოქმედებდნენ — ვითომც არაფერი, და თუ რაიმე გაჭირვება ადგათ — სულ გარეგანი ცხოვრებით გამოწვეული.

აი, ამ დროისთვის გადავდე წიგნის კითხვა, როცა მეც შეეცვლებოდი; დიდი გავხდებოდი. ეფიქრობდი, წიგნებთან ისეთ ურთიერთობას დავამყარებ, როგორც ნაცნობებთან, და დროც იმდენი მექნება, რამდენიც ერთ ადამიანს სჭირდება-მეთქი: თანაბრად და სასიამოვნოდ მიმდინარე დრო. ცხადია. შეიძლებოდა სხვა წვრილმანებისაკენ უფრო გაეწია გულს და, ალბათ ვერც უარს ვიტყოდი, ნახევარი საათი მაინც დამეთმო: გასეირნებისათვის თუ ნაცნობებთან შეხვედრისათვის; ან სასწრაფო წერილის დაწერა დამჭირდებოდა ან კიდევ მომინდებოდა რომელიმე სპექტაკლის დასაწყისი ერთხელ კიდევ მენახა თეატრში და აგრე წავიდოდა ცხოვრება. მაგრამ, ღმერთო ჩემო, ბავშვობის ის ენითგამოუთქმელი საშინელებანი ხომ ნამდვილად გამორიცხული იქნებოდა! თმა რომ უცებ ყალყზე გიდგება და მერე გადაგეტკიცება, თითქოს ვიღაც თავზე დაგაწვაო, ყურებზე ცეცხლი რომ წაგეკიდება მოულოდნელად და ხელები კი რკინასავით გაგეთოშება, ან გრძელი

სანთელი შენს წინ ნელ-ნელა რომ ჩაიღვენთება და ოთახი ჩაწყვდიადდება.

ამ ამბებს ახლა მისთვის ვიხსენებ, რომ ეს ყველაფერი განსაკუთრებით მძაფრად განვიცადე მაშინ ულსგორში, არდადეგებზე, როცა უცებ დავიწყე კითხვა. მაშინვე გამოჩნდა: წიგნის კითხვა ჯერ არ შემეძლო, ალბათ, უფრო ადრე შევუდექი ამ საქმეს, ვიდრე მოფიქრებული მქონდა. მაგრამ იმ წელს სორიოში, ჩემს თანატოლებს შორის უნდობლად განვეწყვე წინასწარ მოფიქრებული გეგმებისადმი. იქ სწრაფი, მოულოდნელი ამბები მატყდებოდა თავს, ამბები, რომლებიც, აშკარა იყო, სულაც არ მთვლიდნენ ბავშვად, და იმ სიმძიმით მაწვებოდნენ, რა სიმძიმეც ცხოვრებაში გააჩნდათ. და რაც უფრო ჩავწვდი მათ სინამდვილეს, მით უფრო ცხადლივ დავინახე, რა უსასრულო იყო ბავშვის სამყარო. მივხვდი: ეს სამყარო არასდროს ამოიწურებოდა, იგი არ შეწყვეტდა არსებობას, თუმცა სხვა ცხოვრება უკვე დაიწყო. ვამბობდი, ყველასა აქვს უფლება საზღვარი გაავლოს ბავშვობასა და დიდობას შორის, მონაკვეთებად დაყოს-მეთქი თავისი ცხოვრება. მაგრამ ეს მონაკვეთები გამოგონილია და ვერც მე მოვახერხე მათი დადგენა: რამდენჯერაც დავაპირე. ცხოვრებამ იმდენჯერმე მაგრძნობინა: ეგეთი რამ მე არ ვიცი. მაგრამ, როცა არ დავუთმე და დავიჟინე, ჩემი ბავშვობა უკვე წავიდა-მეთქი, მაშინვე მთელი მომავალიც გადამეკარგა, და იმხელა საყრდენილა დამრჩა, რამდენიც კალის სათამაშო ჯარისკაცსა აქვს ფეხქვეშ, რათა როგორმე დგომა შეიძლოს.

ამ აღმოჩენამ, ცხადია, კიდევ უფრო მეტად გამრიყა ყველასაგან, ჩემსავე თავში გამიჩინა საქმე და მერე იმ საბოლოო სიხარულით ამავსო, რომელიც მე მწუხარებად ჩავთვალე, რადგან იგი დიდად სცილდებოდა ჩემს მაშინდელ ასაკს. იმხანად ისიც მაწუხებდა, რომ, რაკი წინასწარ რაიმეს დაგეგმვა შეუძლებელი აღმოჩნდა, მაშასადამე, ზოგი რამ საქმის განხორციელება საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა. და აი, აგრე განწყობილი რომ დავბრუნდი ულსგორში და ყველა წიგნი ერთად დავინახე, მაშინვე ვეცი. ჩქარა-ჩქარა ვკითხულობდი და თან სინდისი მაწუხებდა. მაშინ ბუნდოვნად ვგრძნობდი, შემდეგ კი უკვე აშკარა გახდა: ან არც ერთი წიგნი არ უნდა აიღო ხელში, ან ყველა უნდა წაიკითხო. ყოველი სტრიქონით მთელი სამყარო მეხსნებოდა. წიგნებამდე ეს სამყარო წმინდა იყო, და, ალბათ, მთლიანიც — ვიდრე მათ მიღმა იდგა. მაგრამ ახლა

როგორ ამომეკრიბა იგი ყველა წიგნიდან, როცა კითხვა არსებითად არ შემეძლო?! ეს წიგნები კი ეწყო იქ, ჩემს წინ, თვით ამ მოკრძალებულ ბიბლიოთეკაშიც ასეთი სასოწარმკვეთი სიმრავლით წარმოდგენილი: ერთმანეთის გვერდიგვერდ ჩამწკრივებულიყვნენ და ერთმანეთს გულისხმობდნენ. მე კი ხან ერთ წიგნს ვეცემოდი გონდაკარგული, ხან მეორეს, და ისე მივარღვევდი ფურცლებს, თითქოს ციხესიმაგრე მქონდა ასაღები. მაშინ წავიკითხე შილერი და ბაგესენი[39], ელენშლეგერი[40] და შაკ სტაფელდი[41], ვალტერ სკოტის ყველაფერი, რაც იყო, და კალდერონი. ბევრი შემხვდა ისეთი წიგნი, დიდი ხნის წაკითხული რომ უნდა მქონოდა წესით, ზოგიც ისეთი, რომლის წაკითხვაც ჯერ ადრე იყო. ჩემი ასაკისთვის შესაფერი არაფერი ჩანდა, და მაინც ვკითხულობდი.

უფრო გვიან, წლები რომ გამოხდა, ზოგჯერ ასეთი რამ მემართებოდა: ღამღამობით უცბად ვიღვიძებდი და ვხედავდი, ვარსკვლავები რა ნამდვილად ენთო ზეცაზე, აღვსებული რაღაც აზრით და მნიშვნელობით, და არ მესმოდა, როგორ შეიძლებოდა ამხელა სამყაროს გაცდენა, ძილში გამოტოვება. და აი, დაახლოებით ამგვარი განცდა მეუფლებოდა წიგნის კითხვისას, უცებ თავს რომ ავიღებდი და ვხედავდი: გარეთ ზაფხული იდგა და აბელონე მეძახდა. რაღაც მოულოდნელად დაგვემართა ეს ამბავი: რომ იგი იძახდა და მე არ ვპასუხობდი. თანაც ხსენებული უცნაურობა სწორედ ჩვენი ურთიერთობის უნეტარეს დღეებში დაიწყო. მაგრამ რაკი ერთხელ შემიპყრო კითხვამ, მეც შმაგად მივეჯაჭვე და ჩვენს ყოველდღიურ დღესასწაულებს უგუნური ქედმაღლობით ვემალებოდი. მე ხომ ვერასოდეს ვახერხებდი ბუნებრივი ბედნიერების უჩუმარ ნეტარებათა შერგებას. ახლაც მოახლოებული განხეთქილების წინაშე, მომავალ შერიგებას ვპირდებოდი საკუთარ თავს, შერიგებას, რომელიც მით უფრო ტკბილი მეჩვენებოდა, რაც უფრო შორს მეგულებოდა.

სხვათა შორის, ჩემი გაბრუებული და შმაგი კითხვა ისევე უეცრად შეწყდა, როგორც დაიწყო, აი, სწორედ მაშინ, როცა გვარიანი შეხლა-შემოხლა მოგვივიდა. აბელონესაც არ დაუკლია გესლი და ბრაზი, და მერე, როცა ბაღის ჩიჩოში შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს, მიმტკიცებდა, მეც შინ ვზივარ და წიგნს ვკითხულობო. და დადგა ის კვირა დილაც: თუმცა დახურული წიგნი მართლა ედო გვერდით, მაგრამ თვითონ საჩიჩოზე მეტად გატაცებული ჩან-

და მოცხარის შეგროვებით: პაწია ჩანგლით ნელა აცლიდა მარცვლებს დახუნძლულ კუნწულას.

ისეთი დილა იყო, ივლისში რომ იცის ხოლმე; როცა მსუბუქად მიედინებიან ცინცხალი, დასვენებული საათები და ყველგან თავისთავად ხდება რაღაც სასიხარულო. მილიონობით უნებლიე მოძრაობისაგან იკვრება უსაზღვროდ დამაჯერებელი ყოფიერების მოზაიკა. საგნები თითქოს ერთმანეთში და ჰაერში ვიბრირებენ, ჰაერის სიგრილე ჩრდილებს ამკაფიოებს, მზის ნათებას კი ჰაეროვან, სულიერ ნათებად აქცევს. ასეთ დროს ბაღში არ არსებობს მთავარი და არამთავარი. ყველგან ყველაფერია. და ყველაფერში უნდა ჩაერთო, თუკი გინდა, არაფერი გამოგრჩეს.

აბელონეს ამ უბრალო საქმიანობაში ბაღის ეს დიდი მთლიანობა მეორდებოდა. რა ბედნიერი გამოგონებაა, აი ეს — რასაც და როგორც აბელონე აკეთებს-მეთქი, გავიფიქრე. მისი ჩრდილდაფენილი, თეთრი ხელები შეხმატკბილებულად და მსუბუქად ფუსფუსებდნენ, ჩანგლის კბილებიდან კი ყოჩაღად ხტებოდნენ მოცხარის მარცვლები ვაზისცვრიანფოთოლჩაფენილ ჯამში, სადაც ადრე ჩაყრილი მარცვლები გროვა-გროვა შეჯგუფებულიყვნენ: წითელვარდისფერი, მბზინავკანიანი, ციცქნა ნაყოფები, ჯანმრთელ კურკებს რომ მალავდნენ მკვრივ წიაღში. არაფერი მსურდა იმის გარდა, ეგრე ემდგარიყავი და უსასრულოდ მეცქირა მისთვის, მაგრამ ვიცოდი, არ დამაცლიდნენ. და მეც ვითომ უშუალოდ და ლაღად ვიქცევი-მეთქი. ავდექი და ისევ წიგნს ვეცი, მეორე მხრიდან მიეუჯექი მაგიდას, და დიდხანს არ მიფურცლია, სადღაც ჩავეშვი.

„ეგებ ხმამაღლა მაინც წაიკითხო, წიგნის ჭიავ!“ — ჩაილაპარაკა აბელონემ ცოტა ხნის შემდეგ. რადგან მისი სიტყვები არცთუ გამომწვევად ჟღერდა, და კიდევ იმიტომ, რომ ვიფიქრე, დროა ანგარიში გავათანაბროთ-მეთქი, მაშინვე ხმამაღლა შევუდექი კითხვას. უაზროდ ჩავიკითხე რაღაც ნაწყვეტი, მომდევნო სათაურამდე: „ბეტინას“ [42]. „არა, არა, პასუხები არ გინდა“, — შემაწყვეტინა აბელონემ და ძალგამოლეულივით დაუშვა ძირს პატარა ჩანგალი. მაგრამ მაშინვე გაეცინა ჩემს შემხედვარეს, ისეთი სახით ვიყურებოდი.

„ღმერთო ჩემო, რა საშინლად წაიკითხე, მალტე!“

რაღას ვიზამდი, უნდა მეღიარებინა, რომ არც გამიგია, რა წავიკითხე.

„მე მხოლოდ იმიტომ ვკითხულობდი, რომ შეგეწყვეტინები-

ნა", — გამოვუტყდი და დამცხა, და წიგნი უკვე გადავფურცლე, სათაურისკენ, და ცნობისწადილით ვკითხე: „პასუხები რატომ არ ვინდა?"

აბელონეს თითქოს არც გაეგონოს. ისე იჯდა, ლია ფერის კაბაში გამოწყობილი, თითქოს შინაგანად თავისი თვალებივით ჩამუქდაო.

„მომეცი" — მითხრა უცებ, ლამის განრისხებულმა, წიგნი გამომართვა. ჩანდა, სწორედ სასურველ ადგილას გადაშალა. არ ვიცი, გავიგე თუ არა რაიმე მისი წაკითხულიდან, მაგრამ ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საზეიმოდ დამპირდა, ამ ყველაფერს ოდესმე შენ თავად გამოსცდიო. მისი ხმა თანდათან გაძლიერდა და ბოლოს იმგვარად აელერდა, როგორც სიმღერისას სჩვეოდა. და მე შემრცხვა. ჩვენი შერიგება ესოდენ უმნიშვნელოდ რომ წარმოვიდგინე. რადგანაც მივხვდი: ჩვენ შევრიგდით. მაგრამ შევრიგდით სადღაც სხვაგან, რაღაც დიადში, ისეთ სიმაღლეში, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ ვწვდებოდ[illegible].

❸

ის დაპირება ახლაც სრულდება. აკი ეს წიგნი. ერთხელ რომ შეერია, მერე სამუდამოდ დარჩა კიდეც იმ წიგნებში, რომლებსაც განუყრელად თან დავატარებ. მეც იმ ადგილას გადამეშლება ხოლმე, სადაც მაშინ აბელონემ გადაშალა და როცა ვკითხულობ, არც კი ვიცი, ბეტინაზე [42] ვფიქრობ თუ აბელონეზე. არა, ბეტინა უფრო განამდვილდა ჩემში, ხოლო აბელონე, რომელსაც ნამდვილად ვიცნობდი, მისი მომამზადებელი საფეხური გახლდათ. და ახლა ბეტინაში გადამეზარდა, როგორც თავისსავე საკუთარ, მის უნებლიეთ მისგან გამომდინარე არსებაში, რადგან ბეტინამ — ამ უვრცელესმა ხატებამ ქალის — ადგილი დაუტოკა თავისი წერილების უსაზღვრო სივრცეში. მან იმთავითვე ისე განავრცო სამყაროში თავისი თავი, ისე განზავდა ყოველივეში, თითქოს საკუთარი სიკვდილის შემდეგ ცხოვრობდა. ყველგან ღრმად შეიჭრა ყოფიერებაში, ყველანაირი არსებობის წილი და ზიარი, და რაც ემართებოდა, ბუნებისმიერი და ბუნებრივი იყო ყოველთვის. ბუნებაში შეიცნო მან თავისი თავი და თითქმის მტკივნეულად გაიწოვა უკანვე: მან ხელახლა გამოიცნო ბუნებაში გაღვრილი თვისი არსება. თითქოს თქმულებებში

ეპოვოს იგი, როგორც სული თავისმეტად გაიხმო უკან და გაეძ-
ლო.

თითქოს წუთის წინ იყავი აქ, ბეტინა, — გხედავ! განა დედა-
მიწა ისევ თბილი არ არის შენით? და ჩიტებიც კვლავ სივრცეს უთ-
მობენ შენი ხმის წკრიალს. ნამი, ალბათ, ის აღარაა, მაგრამ ვარს-
კვლავები ხომ იგივეა — შენს ღამეებშიც ხომ ესენი ენთნენ! და გა-
ნა მთელი ვრცელი სამყარო შენით არ არის? რადგან, გაიხსენე, თუ
რამდენჯერ მიეც იგი ცეცხლს: შენეული სიყვარულით ააგიზგიზე,
დაინახე, როგორ გაჩაღდა. დაიფერფლა, ისევ აენთო, და რამდენ-
ჯერ შესცვალე სხვა სამყაროთი, როცა ყველას მშვიდად ეძინა. რა
თანხმობაში იყავი ღმერთთან. როცა მას ყოველ დღე-ცისმარე ახალ
დედამიწას ეუდრებოდი, რათა ყველა იქ მისულიყო, ყველა, ვინც
შექმნა. უბადრუკობად გეჩვენებოდა დედამიწის დაზოგვა, გაუმ-
ჯობესება, შენ მას ბოლომდე ხარჯავდი და ხელებს იწვდიდი სულ
უფრო დიდი სამყაროსათვის, რადგან შენი სიყვარული ყოველივეს
შეზრდოდა.

განა შეიძლება, რომ ირგვლივ ყველა შენს სიყვარულზე არ ლა-
პარაკობს? განა უფრო დიდი რა სასწაული მოხდა მას შემდეგ? უფ-
რო დასამახსოვრებელი? ნეტავ, ასეთს რას საქმიანობენ, რომ არ
სცალიათ? თავადვე იცოდი შენი სიყვარულის ფასი და ყადრი და
ხმამაღლა უთხარი შენი ქვეყნის უდიდეს პოეტს, რომ იგი შენს
გრძნობას მეტისმეტად ადამიანურს ხდიდა. ეს სიყვარული ჯერ
ისევ სტიქიონი იყო. მან კი პოეტმა, ხალხს მოჰფინა, როცა მოგ-
წერა. აწ ამ პასუხებს კითხულობს ყველა და მათი უფრო ესმით
და სჯერათ, ვიდრე შენი სიყვარულისა, რადგან ხალხისთვის პო-
ეტი მუდამ ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე ბუნება. მაგრამ ერთხე-
ლაც ეგებ გამოჩნდეს, რომ ხსენებული პასუხები იყო სწორედ
ზღვარი მისი სიდიადისა. ეს მეტრფე ქალი მას დაეკისრა და მან
ვერ გაუძლო ამ დავალებას. აბა, რას ნიშნავს: „პოეტს არ შეეძლო
მის გრძნობაზე ეპასუხაო“. ასეთ სიყვარულს შეგებება არა სჭი-
რდება, იგი ძახილსაც და პასუხსაც თვითონ შეიცავს. იგი თავის
თავს თვითონ უსმენს, თვითონ შეისმენს. პოეტს ჰმართებდა თვი-
ნიერებით აღვსილიყო წინაშე ამ სიყვარულისა და პათმოსზე მუსლ-
მოდრეკილ იონესავით[43] დაჩოქილს ჩაეწერა ორივე ხელით. რასაც
ეს ხმა უკარნახებდა, და ეღაღადა მთელს სამეფოში. ამ ხმის წინა-
შე არჩევანი არ არსებობდა, ხმისა: „ანგელოზთა სამსახურად რომ

ამწესებდა. ეს ხმა მოვიდა, რათა პოეტს შემობრუნებოდა და მარადმ-
ყობის სიმაღლეში ზეაეტაცა, ის იყო ეტლი მისი ცეცხლოვანი ცაღ-
ამაღლებისთვის. ამ სიყვარულმა მას განუმზადა სიკვდილის ცხელი,
ბნელი მითოსი, რომელშიც იგი ვერ ჩასახლდა და გააცუდა.

●

ბედისწერას უყვარს ნიმუშებისა და სიმბოლოების გამოგონება.
მისი სიძნელე — სირთულეშია. ცხოვრება კი ძნელია უბრალოების
გამო. მას მხოლოდ რამდენიმე საგანი აქვს ჩვენთვის მიუწვდომელი
სიდიდისა. წმინდანი, უარყოფს რა ბედისწერას, ამ საგანთ ირ-
ჩევს — ღმერთის პირისპირ. მაგრამ რომ ქალმა, თავისი ბუნებიდან
გამომდინარე იგივე უნდა აირჩიოს მამაკაცთან მიმართებაში, —
იწვევს ყველა სასიყვარულო ურთიერთობის უბედურებას. გადაჭ-
რით და უბედისწეროდ, როგორც უკვდავი, დგება იგი მამაკაცის
გვერდით, მამაკაცისა, რომელიც მუდამ გარდაიქმნება. მეტრფე კი
სატრფოს მარადჟამულად აღემატება, რადგან ცხოვრება უფრო ღი-
დია ვიდრე ბედისწერა. მეტრფეს სწყურია: უსამანოდ მიეცეს სატ-
რფოს. აი, მისი ბედნიერება. ხოლო ენით უთქმელი ტანჯვა მისი
სიყვარულისა მუდამ ეს იყო: მისგან ითხოვდნენ, შეეზღუდა ეს თავ-
მიცემა.

დასაბამიდან სულ ამასე ჰგოდებდნენ ქალნი: ამ მოთქმას ვუს-
მენთ პირველ ორ წერილში ელიოზასი[14], და ხუთასი წლის შემდეგ
კვლავ ალსდგება იგივ გოდება პორტუგალიელი ქალის ყველა წე-
რილში, ფრინველთა გადაძახილს მოგვაგონებს ვაება მათი და ამ-
დაგვარი სიყვარულის უნათლეს სივრცეს უცბად გაკვეთავს საფოს
შორზე-შორი სახება, რომელიც ვერ იპოვეს საუკუნეებმა, რადგან
ბედისწერაში ეძებეს იგი.

●

ვერასოდეს გავბედე იმ კაცისგან ვაზეთი მეყიდა. რა ვიცი, ანკა
მართლა დააქვს ერთი-ორი ნომერი მაინც იმ ძველი ჩანთით, ლუქ-
სემბურგის პარკის მოაჯირს რომ მიუყვება ქუჩის მარჯვენა მთელი
საღამო? ზურგი მესერისკენ მიუქცევია და ხელს კედელზე მი-
აცურებს, საიდანაც გისოსები ამოზიდულან. ისე ბრტყლად ეკარის

რკინის მოაჯირს, ყოველდღე ათასობით ადამიანი ჩაუვლის წინ და ვერავინ ამჩნევს. თუმცა მას ჯერ კიდევ შერჩენია ხმის ნალეკი და გამვლელთაც უხმობს, მაგრამ ის ხმა იმ შარიშურს ჰგავს, ალის პარპალი რომ გამოსცემს ღუმელში ან ლამპის შუშაში, ან თავისებური შუალედებით რაღაც რომ წვეთს მრუმე მღვიმეში. და ისეა ეს ქვეყანა მოწყობილი, რომ ასობით ადამიანი სწორედ იმ მოკლე შესვენებებზე ჩაუვლის ხოლმე, როცა ის კაცი ყველაზე უფრო უჩუმარია ამქვეყნად მოძრავ საგანთა შორის; როცა ეს კაცი ისე გადაადგილდება როგორც საათის დიდი ისარი, ვით ისრის ჩრდილი, როგორც თავად დრო. რა უსამართლოდ ვიქცეოდი, როცა არ მსურდა მისკენ გახედვა. მრცხვენოდა დაწერა, რომ მის სიახლოვეს დანარჩენ გამვლელთ ავუწყობდი ხოლმე ფეხს, თითქოს მის შესახებ არცრა მცოდნოდეს. და შემდეგ მესმოდა: „La Presse[45]“-ო ულონოდ მეორედაც რომ დაიძახებდა, და მესამედაც — სწრაფი შუალედებით, ხალხი აქეთ-იქით იხედებოდა: მის ხმას ეძებდა. აქ კი ნაბიჯს ვუჩქარებდი და სხვებზე ადრე მივდიოდი, თითქოს ვერაფერს ვამჩნევდი ირგვლივ, თითქოს საკუთარ თავში ვიყავი ჩაძირული.

არადა, მართლა ვიყავი ჩემშივე დანთქმული, რადგან ვლამობდი, ეს კაცი წარმომედგინა. საკმაოდ ძნელი ამოცანა გახლდათ: შემეთხზა ამ ხმის პატრონი. ოფლიც კი ჩამომდიოდა დაძაბულობისგან. მე ის უნდა შემექმნა, როგორც მიცვალებულთ ქმნიან წარმოსახვაში, გარდაცვლილთ, რომელთა ამსახველი არავითარი საბუთი არ დარჩენილა. მათ ყოველ ნაკვთს შენი სულისგან უნდა შეასხა ხორცი. ახლა ვიცი, ამ საქმეში მცირეოდენ ქრისტეს გარდამოხსნილ სხეულებზე ფიქრიც მშველოდა. სპილოს ძვლისაგან ნაკვეთ ასეთ სხეულებს ირგვლივ ყველგან ნახავდით — ძველი ნივთებით მოვაჭრეებთან. პიეტაზე ფიქრი ხან წინ იწევდა ჩემს გონებაში, ხან უკან იხევდა. და, ალბათ, იმისთვის ხდებოდა ეს ყველაფერი, რომ მკაფიოდ წარმომედგინა: მისი მოგრძო სახე გვერდზე როგორ გადახრილიყო, თავს როგორ იმაგრებდა აგრე გვერდულად, ამ სახეს როგორ მოსდებოდა ჩავარდნილი ლოყების ჩრდილებში უნუგეშოდ ამოზრდილი წვერი და როგორ მტკივნეულად ჩაეკეტა სიბრმავეს უდაბური იერი მისი ზემოთ აწეული სახისა. მაგრამ, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი წვრილმანისგან შედგებოდა ეს უცხო კაცი, რომლებიც აუცილებლად უნდა წარმომედგინა, რადგან იმთავითვე მიეხვ-

დი: ამ წვრილმანებიდან ყველაფერი მთავარი იყო: ისიც, თუ როგორ აჩენდა უკანგადაქანებული პალტო თუ პიჯაკი მთელ საყელოს, თალად რომ ამობურცულიყო თითქოსდა ნიშშეკრილი კისრის გარშემო, კისრისა, რომელსაც არც ეხებოდა; მისი მომწვანო-მოშავო კაშნე, კისერ-საყელოს ერთიანად რომ შემოხვეოდა, და განსაკუთრებით კი ძველი, მაღლა აზვირთული, მომრგვალებული ქუდი, რომელიც ისე ეხურა, როგორც საერთოდ ახურავთ ბრმებს: უსინათლონი ხომ ვერ ახერხებენ ქუდი თავიანთი სახის წყობას შეუხამონ და ამ დანამატი საგნისა და საკუთარი თავისაგან რაიმე ახალი, გარეგნული ერთიანობა შექმნან. ქუდი ისე ახურავთ, როგორც რაღაც სრულიად უცხო საგანი, რომელიც დახურვაზე დაიყოლიეს.

ვიდრე მისკენ გახედვა მეშინოდა, ჩემი წარმოსახვა დროს არ ჰკარგავდა და ბოლოს ისე გაშალა ფრთები, რომ ამ კაცის სახე უეცრად, სრულიად უმიზეზოდ შენივთდებოდა ხოლმე ჩემში. იგი ისევ უსაშველო ტანჯვა-ვაებას გამოხატავდა, რომ ამ გაუსაძლისი ხატით გაწამებულმა გადავწყვიტე, ჩემი წარმოსახვის მზარდი მოწადინებისთვის ნამდვილი ფაქტით დამესვა წერტილი: გადავწყვიტე, მაშინვე ჩამეკლო ამ კაცის წინ და მისთვის ყურადღებით შემეხედა.

მაგრამ უნდა იცოდეთ: გაზაფხული ახლოვდებოდა, დღის ქარი ჩაცხრა, გრძელი ქუჩაბანდებიც კარგ გუნებაზე ჩანდნენ. მათ ბოლოში სახლები კაშკაშებდნენ, ბრწყინავდნენ როგორც თეთრი ლითონის ახალი ნაპრალები, ოღონდ განსაცვიფრებლად მსუბუქი ლითონისა. ფართო, შორსმიმსწრაფ ქუჩებში ხალხი ირეოდა და თითო-ოროლა ეტლს ზედ არ უყურებდნენ. კვირა დღე უნდა ყოფილიყო.

სან-სულპიციის [46] სამრეკლოები ხალისიანად და ლაღად გაძოიყურებოდნენ, თითქოს უეცრად კიდევ უფრო გამაღლებულიყვნენ ამ უქარობაში. და ვიწრო, თითქმის რომაულ ქუჩაბანდებს შეუმჩნევლად გაჰყავდი გარეთ: წელიწადის დროში. ბაღში და ბაღს გარეთაც იმდენი ხალხი ირეოდა, რომ ის მაშინვე ვერ დავინახე, ან ეგებ მაშინვე ვერ ვიცანი იმ ზიმზიმში?

შევხედე თუ არა, მაშინვე მივხვდი, რომ ჩემი წარმოსახული ხატი კაპიკად არ ღირდა: ამ კაცის სიდუხჭირე არავითარ სიფრთხილეს არ იჩენდა, ყოვლად დაუფარავად გადმოტვრილიყო. ამ უკიდეგანო სივალალის წარმოდგენა ჩემს ძალებს აღემატებოდა. მე გამომრჩენოდა მისი დგომის გადახრის კუთხეც და ის საშინელებაც, რი-

თაც მას თავისი ქუთუთოს შიდამხარე აღაესებდა. მის პირზედაც არ დავფიქრებულვარ, ავზის ღია სადინარივით რომ ჩავარდნილიყო. შეიძლება, მოგონებანი ჰქონდა ოდესღაც, მაგრამ ახლა უკვე ველარაფერი აღწევდა მისი სულის წიაღში ყოველდღიური კედლის ამორფული შეგრძნების გარდა, კედლისა, რომელზედაც მისი ხელი ცვდებოდა. გავჩერდი და ვიდრე ყველაფერ ამას თითქმის ერთდროულად აღვიქვამდი, მიეხვედი: სულ სხვანაირი ქუდი ეხურა, და ექვი არ იყო, საკვირაო, ყვითელი ისფერი, კუბოკრული კაშნე ეკეთა. ხოლო ქუდს რაც შეხება — ეს გახლდათ იაფი, მწვანებაფთიანი ჩალის შლაპა. ცხადია, ფერები საერთოდ არაფერ შუაშია, და რა წვრილმანობაა, რომ მახსოვს! მხოლოდ იმის თქმა მსურდა, რომ ამ ადამიანის მმოსავი ფერები მაგონებდა უნაზეს ღინღლს ჩიტის მუცელზე: იგი ხომ ამ ფერებს ვერ ხედავდა, არ შეჰხაროდა, და საღ იყო ის კაცი (ირგვლივაც კი მიმოვიხედე), ვისაც ძალა შესწევდა ეფიქრა: რომ ეს სახელმწიფო ამ უბედურის გულისთვის არსებობდა? [47]

ღმერთო ჩემო, ღმერთო! — შმაგად გამახსენდა, — მაშასადამე, შენ ხ ა რ! თურმე არსებობს საბუთი შენი არსებობისა! ეს საბუთები შევნებულად დავივიწყე და აღარასდროს მომითხოვია, რადგან რა შემზარავ პასუხისმგებლობას დამაკისრებდა შენი არსებობის უეჭველი ცოდნა! მაგრამ აი, ახლა სახეზე ამეფარა ეს ნივთმტკიცება. აი, ასეთი გემოვნება გაქვს, სივალალე გესათნოება. ო, ნეტავ გვესწავლა: ყველაფრის გაძლება — განუსჯელად და განუკითხავად.

რა არის სიმძიმე? რა არის წყალობა? — მხოლოდ შენ უწყი.

ოღონდ, ერთხელ კიდევ რომ დაზამთრდება და ახალი პალტოს შეძენა დამჭირდება, შემეწიე. ახალივით ვატარო იგი, ვიდრე ახალი იქნება.

●

არა, ამათგან გამორჩევა კი არ მინდა [48], ამათზე უკეთესი, თავიდანვე ჩემი ტანსაცმელი რომ მაცვია; საჭიროდ რომ ვთვლი, თავზე საკუთარი ჭერი მეხურის. არა, აგრე შორს როდი მივდივარ. უბრალოდ. ვერასოდეს გავბედავ მათსავით ცხოვრებას. მე რომ მკლავი გამხმობოდა, ალბათ, დავმალავდი. ეს ქალი კი (არ ვიცი,

სხვა დროს ვინ იყო) ყოველდღე ჩნდებოდა კაფეების ტერასათა წინ. თუმცა ძალზე უჭირდა პალტოს გახდა და რაღაც გაუგებარი კაბიდან და კაბისშიდა ბოლოკაბიდან ამოძრომა, ძალ-ღონეს მაინც არ იზოგავდა; იხდიდა და იხდიდა. თან ისე ნელა, უფრო ნელა გახდა ვერც წარმომიდგენია. შემდეგ კი ჩვენ წინ იდგა მორიდებულად: დაგრეხილ, გამხმარმკლავიანი და ყველა ხედავდა, რომ ეს მკლავი აღარ ვარგოდა.

არა, მათგან გამორჩევა ნამდვილად არ მინდა. მაგრამ ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა უნდა მქონოდა, მათებურად ცხოვრება რომ მომენდომებინა. ვერა, ვერ დავემსგავსები. არც მათსავით ძლიერი ვარ და არც მათი საზომები გამაჩნია. მე ჩემს თავს ვაპურებ და პურობიდან პურობამდე ყოველგვარ საიდუმლოს მოწყვეტილი ვარ. ისინი კი თავს ისე ირჩენენ და ინახავენ, თითქოს უკვდავები ყოფილიყვნენ. იმ თავიანთ კუთხეებში დგანან ყოველდღე, ნოემბრის თეეშიც. და არ ყვირიან ზამთრის წინაშე. მერე ნისლი მოდის, მათ ბურავს და აბუნდოვანებს. ისინი მაინც დგანან და დგანან. წასული ვიყავი, ვმოგზაურობდი, ვიავადმყოფე. ბევრი რამ შემემთხვა, ხოლო ისინი არ დახოცილან.

[1] (არ ვიცი, არა, როგორ დგებიან სკოლის მოწაფეები დილადრიან რუხსუნიანი ყინვით ავსებულ ოთახებში. ვინ აძლევს ძალას სიჩქარით აცახცახებულ ამ პატარა ჩონჩხებს, გაიქცნენ, გაიქცნენ უფროსთა ქალაქში, მღვრიე რიჟრაჟში, მარადიული სასწავლო დღისკენ: ჯერ ისევ სრულიად პატარა ბავშვები. მუდამ სავსენი წინათგრძნობებით, ყველგან ყოველთვის დაგვიანებულნი. წარმოდგენა არა მაქვს იმ უზარმაზარ. საიდუმლო თანადგომაზე, რასაც ბავშვები ერთთავად ხარჯავენ საწვავივით).

ეს ქალაქი სავსეა იმგვარი ადამიანებით, ნელ-ნელა მათკენ — ფსკერზე მყოფთაკენ რომ ეშვებიან. უმეტესობა ჯერ იშრიტება და იფანტება. მაგრამ არიან ხანში შემავალი. ძლიერი. სრულიად დაუხარჯავი ქალიშვილებიც. ამქვეყნად არავის რომ არ ყვარებია. ისინი გაუბრძოლებლად ნებდებიან ბედს.

უფალო ჩემო, ეგების ფიქრობ, რომ სწორედ მე უნდა მივატოვო ჩემი ცხოვრობა და ეს ქალიშვილებიც მე შევიყვარო? მაშ, რატომ მიმძიმს აგრე ძალიან, არ ავედევნო, როდესაც ისინი გამისწრებენ

[1] ხელნაწერში კიდეზეა მიწერილი (რ. მ. რილკეს შენიშვნა).

ხოლმე ქუჩაში? და რატომ ვიწყებ მაშინ ერთბაშად ემ:ურვალესსულამეულეს საალერსო სიტყვების შეთხზვას და რად მილღვება ხმა გულსა და ბნელ ხორხს შორის ნეტარებისგან? რატომ წარმოვიდგენ ხოლმე, რომ ჩემი სუნთქვით უსაზღვროდ ნაზად ვათბობ, ვაცოცხლებ ამ დიდ თოჯინებს, რომლებითაც ცხოვრებამ ითამაშა გაზაფხულობით. ტყუილად, არაფრის შესაგებებლად რომ უშლიდა მკლავებს, ვიდრე მხრისთავები არ მოუფამფალდათ. ისინი დიდი იმედის სიმაღლიდან არასოდეს ჩამოცვენილან და ამიტომ არც დამსხვრეულან. მაგრამ გაცვდნენ კი, და ცხოვრებისთვის აღარ ვარგანან. უპატრონო კატები თუ ეწვევიან შეღამებისას. ისინი შეუმჩნევლად უკაწრავენ შემჭკნარ სხეულებს და მათ მკერდზე იძინებენ საბანზემოდან. ზოგჯერ ორი ქუჩის მანძილზე გავედევნები, ისინი ნელა მიუყვებიან სახლების რიგს, და მოდის და მოდის ხალხის ნაკადი, თანდათან ფარავს, და ისინიც უჩინარდებიან, თითქოს არ ყოფილან.

და მაინც, თუკი ვინმე შეეცდება მათ შეყვარებას, მეტისმეტად გაუჭირდება. რადგანაც ეს ქალიშვილები უკვე ძალზედ შორს არიან თავიანთი მარტოობის გზაზე წასულნი, და იძულებულნი გახდებიან, შეჩერდნენ და დაუცადონ იმ ადამიანს. ალბათ, მათ ატანას იესო ქრისტე შესძლებდა მარტო, რომლის მთელი სხეული ჯერ ისევ თრთის აღდგომის თრთოლვით. მაგრამ მას ესენი არ აინტერესებს. მას მეტრფენი იზიდავენ მხოლოდ და მხოლოდ, მეტრფე ქალები და არა ისინი, სატრფოდ ყოფნის პატარა ნიჭით რომ დგანან და იცდიან, თითქოს ცივი ლამპარი სჭეროდეთ ხელში[49].

●

ვიცი, თუკი უმძიმესი ხვედრი მიწერია, ვერას მიშველის. მათზე უკეთეს ტანისამოსს თავს რომ ვაფარებ. განა თვით მეფეს, უზენაესი მეუფეებით გარემოსილს, არ მისწვდა ბედისწერა, აღზევების ნაცვლად ფსკერზე რომ დაძირა და შეუერთა ყველაზე ბედკრულთ? მართალია, ზოგჯერ სხვა მეფეების უფრო მჯეროდა, თუმცა ძველი ბაღნარები მათ შესახებ აღარას ამბობენ, მაგრამ ახლა ღამეა, ზამთარია, მე ვიყინები და მწამს ის მეფე, უბედურებამ ვინც აირჩია. რადგან დიდებულება—წამია მხოლოდ, ჩვენ კი არრა

:გვიჩვენებს სივალალეზე უფრო ხანგრძლივი. ხოლო მეფემ ყამთა ტრიალს უნდა გაუძლოს.

განა იგი ერთადერთი კაცი არ არის[50], რომელმაც თავი შეინარჩუნა თავისი სიგიჟის დიდ სიბნელეში. როგორც ცვილიანას ნაბუყვავილებს აჭარებენ მინის ხუფებქვეშ[51] სხვა მეფეთათვის ხანგრძლივ სიცოცხლეს ევედრებოდნენ ალსთა გამრიგეს ეკლესიებში. ამას კი კანცლერმა ყან შარლ ფერსონმა[51] მოსთხოვა: მარადიულად უნდა იყოო. და ეს მაშინ, როცა მეფე ყველაზე გახწირული გაჰხდარიყო ბოელ საბეფოში, წმინდაწყლის სიღატაკეში დანთქმულიყო, თავისი გვირგვინიც მიუხედავად.

მაშინ იყო, ყამი-ყამ უცხოდ გადაცვლილი, საჭეშემურული კარისკაცები მეფეს საწოლშივე რომ ესხმოდნენ თავს, რათა წყლულებში ჩასრწნილი ძვირფასი ბერანგი რამენაირად წაეძროთ ტანიდან. ბერანგი, რომელიც, უკვე რა ხანია მეფეს საკუთარი სხეული ეგონა. ბნელოდა ოთახში, და ისინი ფლეთდნენ და ფლეთდნენ ჩაძენძილ ქსოვილს მეფის გახევებულ, უგრძნობ მკლავებქვეშ. ერთხელაც, ერთმა მათგანმა ჩირაღდანი აანთო და მაშინღა დაინახეს მეფის მკერდზე ღია ჭრილობა, სადაც რკინის ავგაროზი ჩაძირულიყო, რადგან მას მეფე ყოველ ღამე მკერდზე იკერდა თავისი სიშმაგის მთელი ძალღონით და აი, ახლა ღრმად ჩაჭროდა შემაზრზენად ძვირფასი ნივთი: ჩირქის მარგალიტებით, ქობამოვლებული, როგორც სასწაულმოქმედი ნარჩენი რელიქვიის მეწამულ ღრმულში. უფრო ამტანი მსახურები მოაყვანინეს. მაგრამ ვერც ისინი მოერივნენ ზიზღს, როდესაც მყუდროებადარღვეული ჭია-მატლები ზედ შეაცოცდათ ფლანდრიული ხავერდის ნაფლეთებიდან და შეუმჩნეველად სახელოებშიც შეუსავსავდათ. ნათლად ხედავდნენ, ხელმწიფის საქმე მთლად წასულიყო Parva regina-ს[52] სიკვდილის შემდეგ. ადრე ამ დღეში არ იქნებოდა, რაკი იმ გოგონას — აგრე ნორჩსა და აგრე კრიალას — შეეძლო მისი სარეცელის გაზიარება. მაგრამ ის მოკვდა და ვეღარავინ ბედავდა ამ ცოცხალი მძორისათვის თანამწოლის შეთავაზებას; რადგან მოკვდა და თან წაიღო სიტყვები და მოფერებანი, რითაც მეფეს ალმობიერებდა და ამშვიდებდა. და აწ ვეღარავის შეეღწია ამ გაპარტახებული სულის უდაბურობაში, აღარავინ ეხმარებოდა, რომ მეფეთ-მეფეს თავისი ზიანის ხრამ-ხევებიდან გამოეღწია. და ვერავინ მიხვდა. ერთხელ უეცრად თავისით როგორ გამოვარდა იმ სიბნელიდან, პი-

რუტყვიით ხარბმზერიანი, პირუტყვივით საბალაბოდ რომ მიჩქარის. და როცა მაშინ ქიუეენალის[53] საეშმიანი სახე შეიცნო, სახელმწიფო გაახსენდა. ისეთი. როგორც დასტოვა ბოლოს. და მოინდომა დასწეოდა ყოველივეს, რაც გამოსტოვა.

მაგრამ იმ დროის მოვლენები ისეთი გახლდათ, რომ ლმობიერად ვერ აცნობებდნენ. თუ რამ ხდებოდა, ხდებოდა მთელი თავისი სიმძიმით. და როცა უყვებოდნენ, თითქოს ერთ გაბმულ სპექტაკლს ისმენდა. ან რა უნდა გამოეყო იქიდან, რომ მისი ძმა მოკლეს[54], რომ გუშინ ვალენტინა ვისკონტიმ[55], ვისაც მეფე საყვარელ დას უწოდებდა. დაუჩოქა და დამახინჯებულ-მომჩივანი სახის გოდებას ქვრივის სამგლოვიარო პირბადე ახადა? დღეს კი სასტიკი, სიტყვაუხვი დამცველი იდგა და იმდენ ხანს ასაბუთებდა სამეფო მკვლელის წმინდა უფლებას, ვიდრე დანაშაული ერთიანად არ გამქვირვალდა და აკაშკაშდა. თითქოს აგრე ნათელმოსილს ცად ამაღლება განუზრახავსო. სამართლიანობად ყველას გამართლება ითვლებოდა: და ვალენტინა ორლეანელი მწუხარებით გარდაეცვალა, თუმცა შურისძიებას შეჰპირდა მეფე. ან რა აზრი ჰქონდა. ბურგუნდიის ჰერცოგი რომ შეიწყალა. ერთხელ, მეორედ და ბოლოს-ბოლოს რომ იწყალებდა. იგი სასოწარკვეთის პირქუშმა სიშმაგემ შეიპყრო და რამდენიმე კვირა არგილის ულრან ტყეში ბინადრობდა, თავის კარავში. თან ამტკიცებდა ღამ-ღამობით ირმების ყვირილი მინდა ვისმინო, ეგებ ცოტაოდენი შვება ვნახოო.

აი, ამ ყველაფერს ჩაუფიქრდა, თავიდან ბოლომდე. და ამასობაში ხალხმაც ითხოვა. მეფე გვანახეთო, და იხილეს: თავგზააბნეული და უნუგეშო. მაგრამ ხალხს გაეხარდა მეფის დანახვა, რადგანაც მიხვდნენ. სწორედაც რომ ეს იყო მეფე: ეს მშვიდი, თვინიერი ადამიანი, რომელიც ახლა აგრე წყნარად, უჩუმრად იდგა. რათა ღმერთს თავისუფლად ემოქმედა მის მიმართ და დაეტეხა ის დრტვინვა-ხიშმაგე. რასაც ჟამი-ჟამ ატეხდა თავს. იმ ნეტარ წუთებში, როდესაც მეფე სან პოლის სასახლის აივანზე იდგა, ალბათ. თავის საიდუმლო, შინაგან წინსვლას გრძნობდა გუმანით. და მას გაახსენდა როზბეკის ის დღე[56]. როდესაც ბიძამისმა, ჰერცოგმა ბერიელმა ხელი ჩასჭიდა და თავიანთი პირველი დაგვირგვინებული გამარჯვება დაანახა. და ის კენტერში. ნოემბრის საოცრად გრძელ-ნათელ დღეს მონუსხული გადასცქეროდა შედედებულ მასას ხალხისას. იმ ჭყლეტაში ადამიანებმა ერთმანეთი გაგუდეს. რო-

ცა ყოველი მხრიდან მიაწყდნენ მხედრები. ერთმანეთში აზელილები, ისინი გიგანტური ტვინის მსგავს გროვებად დახვავებულიყვნენ. თვითონ შეგროვდნენ აგრე, რადგან შემჭიდროვება, ერთმანეთთან ახლოს ყოფნა უნდოდათ. მაშინ მას სუნთქვა ეკკროდა ამდენი გაგუდული სახის დანახვაზე. ვერ მოეშორებინა განცდა, რომ ჰაერი აღარ დარჩა, რადგან იმ სივიწროვეში ჯერ კიდევ ფეხზე მდგომი გვამებიდან აღმომხდარი ურიცხვი სასოწარკვეთილი სულით გაიჭედა მთელი ის სივრცე.

და მეფეს შთააგონეს, რომ სწორედ იმ დღეს დაიწყო მისი დიდება, და დაიმახსოვრა. მაგრამ თუ ის დღე სიკვდილის ტრიუმფი იყო, ახლა მისტერია იშლებოდა სიყვარულისა. სხვათა შემხედვარეს ესმოდა: იმ ხოცვა-ყლეტის გაგება შეიძლებოდა, იმგვარ საშინელებას წარმოადგენდა იგი. მაგრამ რაც ახლა მეფის სულში ხდებოდა, შეუცნობელი იყო და შეუცნობლად სურდა დარჩენა. მეფეს თავისი სულის საიდუმლო ისეთივე სასწაულად ეჩვენებოდა, როგორც ოქროსსაყელურიანი ირემი[57], როზბეკის ბრძოლის წინ სენლის ტყეში რომ დაესიზმრა. მაგრამ ახლა თავად იყო სხვათა ხილვა, სხვათა სიზმარი, და ის სხვანი ჭვრეტად ქცეულიყვნენ. მეფემ იცოდა: იმგვარსავე მოლოდინს აეტანა სუნთქვაშეკრული მისი მჭვრეტელნი, როგორმაც იგი შეიპყრო ერთხელ სიჭაბუკეში, ნადირობისას: როდესაც თვალებდაქცეულმა, მწყაზარმა სახემ ტოტებფოთლებიდან ამოანათა. მისი ხილვადობის საიდუმლო მის მშვიდ სხეულზედაც ვრცელდებოდა. არც კი ირხეოდა შიშისაგან: არ გავქრეო. ვიწრო ღიმილს მეფის უბრალო, ფართო სახეზე — წმინდანთა ქანდაკებებისა არ იყოს — ბუნებრივი მუდმივობა შეეძინა, და არ ქანცავდა. აგრე იდგა სულგანაბული და გრძნობდა, ეს იყო წუთები, რომლებიც შეკუმშული მარადისობაა. ხალხი ამას როგორ გაუძლებდა. უსასრულოდ გაზრდილი ნუგეშით დაპურებულმა ბრბომ სიხარულის ყიჟინით გააპო სიჩუმე. მაგრამ ზემოთ, აივანზე ჯერ მხოლოდ ქიუვენალ დეზიურსენი იდგა. რომელმაც, ჩაცხრა თუ არა ყიჟინა, დაიძახა: მეფე სენ დენის ტაძარზე[58] მიბრძანდება უფლის ვნებათა ძმობასთან, მისტერიის სანახავად.

. ასეთ დროს მეფეს ლმობიერება და სინანზე ავსებდა. იმ დროის მხატვარს სამოთხის ბინადართა ასახვა რომ მოენდომებინა, მეფის დაწყნარებულ სახებაზე უფრო სრულყოფილ ნიმუშს, ალბათ, ვერც იპოვიდა — როცა მეფე ლუვრის მაღალ ფანჯარაში რინდდებოდა,

თავისი დამრეცი მხრების თაღს შებჯენილი. იგი ქრისტინე პიზანელის[59] მომცრო წიგნს ფურცლავდა, „ხანგრძლივი სწავლის გზა“ რომ ერქვა და მას ეძღვნებოდა. მეფე როდი კითხულობდა გაჭსწავლულ პაექრობებს იმ ალეგორიული პარლამენტისა, რომელსაც მიზნად დაესახა, ეპოვა თავადი, მსოფლიოზე ბატონობის ღირსი რომ იქნებოდა. წიგნი ყოველთვის ყველაზე უბრალო ადგილას გადაეშლებოდა ხოლმე, იქ, სადაც გულზე იყო ლაპარაკი, გულზე, რომელიც ცამეტი წელიწადი მხოლოდ იმიტომ ეხურა ტკივილებს ცეცხლგამძლე კოლბასავით, რომ სიმწრის წყალი გამოეხადა თვალებისათვის. და მეფემ შეიცნო: ნამდვილი ნუგეში სწორედ მაშინ აღმოცენდა, როცა ბედნიერება საკმარისად განქარდა, სამუდამოდ განეშორა. და არაფერი იყო მეფისათვის ამ ნუგეშზე უფრო ახლობელი. და როცა მზერას გალმა გადებულ ხიდს მიაპყრობდა, სიხარულს ანიჭებდა, მძლავრ ქალაქ კუმადან დიადი გზებისთვის აღძრული გულის თვალით დაენახა მაშინდელი ქვეყნიერება, იმ გულის თვალით, რომელზედაც წიგნი მოუთხრობდა[60]: აი, შეუპოვარი ზღვები. შორეულ სივრცეთა მოწოლით შეგუებებულნი, უცხოკოშკებიანი ქალაქები, აღტყინებული მარტოობის გადაბმული მთაგრეხილები, შიშნეული იქვით ნაკვლევი ცანი, ახლადა რომ მკვრიედებიან ჩვილის ყიფლიბანდივით.

მაგრამ თუ ვინმე დარბაზში შევიდოდა, კრთებოდა მეფე და ნელ-ნელა ებინდებოდა სული. თანახმა იყო, ფანჯრიდან მოეშორებინათ და გაერთოთ. მათ მიაჩვიეს, საათობით ეთვალიერებინა ილუსტრაციები, და მეფეც კმაყოფილი იყო. მხოლოდ ის სწყინდა, ფურცვლისას სურათებს სულ ცალ-ცალკე რომ ხედავდა და არა ერთად, რომ სურათები მაგრად ისხდნენ ფოლიანტებში და არ შეიძლებოდა მათი ამოძრავება. მაშინ ერთმა ბანქოს რაღაც თამაში გაიხსენა, სამეფო კარზე დიდი ხნის წინ დაეწყებული. ასწავლა მეფეს და დიდი სიხარულიც მიანიჭა. ო, გულს როგორ ეფონებოდა ეს ათასგვარნახატიანი ფერადი ქაღალდები, აგრე თავისუფლად რომ მოძრაობდნენ. და როცა ბანქოს თამაში კარზე ისევ შოდად იქცა, მეფეც თავის ბიბლიოთეკაში იჯდა და მარტო თამაშობდა. ღმერთმაც ხომ აგრე ერთ დროში მოგვაქცია მე და იმპერატორი ვენცელი[61] — ფიქრობდა ხოლმე, როცა ორ მეფეს მაგიდაზე ბევრიგვერდ დებდა. ზოგჯერ დედოფალი კედებოდა და მაშინ მეფე ბელის ტუზს ადებდა გულზე. საფლავის ლოდივით. სულაც არ უკვირდა, ამ თამაშში რამდენიმე პაპი რომ ტრიალებდა. რომს —

იქით. მაგიდის ბოლოს აგებდა, ავინიონი კი აქეთ, მარჯვენა ხელის ქვეშ ეგულებოდა. რომის მიმართ გულგრილი იყო, რატომღაც მრგვალი წარმოედგინა და სხვა არც არაფრის ცოდნას არ იჩენებდა. ავინიონს კი კარგად იცნობდა[62], და როგორც კი ავინიონზე დაფიქრდებოდა, მისი ხსოვნა მაშინვე იმეორებდა მაღალი, ჰერმეტული სასახლის კონტურს და მეტისმეტად იძაბებოდა. მეფე თვალებს ხუჭავდა მაშინ და სულს ითქვამდა. შიში იპყრობდა, რომ ცუდ სიზმრებს ნახავდა ღამით.

საერთოდ კი, რა თქმა უნდა, თამაში ნამდვილად ამშვიდებდა და სწორად იქცეოდნენ, მეფეს ისევ და ისევ რომ სთავაზობდნენ ბანქოს ქაღალდებს. თამაში განუმტკიცებდა რწმენას, რომ იგი მეფე იყო, მეფე კარლოს VI. განა მედიდურობდა! არა, ძალზედ შორს გახლდათ იმ აზრისაგან, თითქოს თავად მუყაოს ამგვარ ნაჭერზე შეტი იყო, მაგრამ უმტკიცდებოდა რწმენა, რომ თვითონაც ერთ განსაზღვრულ ნახატს წარმოადგენდა; შეიძლება, ცუდად, ანჩხლად და მრისხანედ გათაშაშებულს, რომელიც მუდამ იღუპებოდა, მაგრამ ყოველთვის ერთსა და იგივეს, არასოდეს — რომელიმე სხვას. და მაინც, ამგვარ თანაბარ თვითდგენაში ერთი კვირა რომ გაივლიდა, უცბად თავს ვიწროდ იგრძნობდა ხოლმე საკუთარ თავში. კანი უჭერდა შუბლსა და კეფაზე, თითქოს ერთბაშად შეიგრძნობდა უზომოდ მკვეთრად თავის ქალის მოხაზულობას და არავინ იცოდა, რა ცდუნებას დაჰყვებოდა ხოლმე. როცა მისტერიებს იხსენებდა, ერთი სული რომ ჰქონდა, როდის დაიწყებოდა სანახაობა. და როცა აქამდე მიდიოდა საქმე, მაშინ უმეტესად სენ დენის ქუჩაზე ცხოვრობდა და არა სენ პოლის დიდ სასახლეში.

იქ წარმოდგენილ მისტერიებს ერთი საბედისწერო რამ სჭირდათ: მათი ტექსტი თანდათან მატულობდა, ათიათასობით სტრიქონად იერცობოდა, იმდენ დღეს გრძელდებოდა, ვიდრე მათი დრო ბოლოს და ბოლოს ნამდვილ დროს არ დაემთხვეოდა. დაახლოებით ისე, დედამიწის ხელა გლობუსი რომ გაეკეთებინათ. შეღრმავებული ესტრადა. — რომლის ქვემოთაც ჯოჯოხეთი მოეწყოთ. ზემოთ კი ერთადერთი, სვეტზე შემდგარი, უმოაჯირო აივანი სამოთხის დონეს მიანიშნებდა. — ილუზიის დაძლევასაც უწყობდა ხელს. რადგან იქ საუკუნემ ზეცაც და ჯოჯოხეთიც მართლაც რომ მიწაზე ჩამოიტანა. ორთავე საუფლოს ძალებით ცოცხლობდა, რათა საკუთარი თავისთვის გაეძლო.

ავინიონური საქრისტიანოს ხანა იდგა[63], მრავალი წლის წინ რომ დაიწყო და იოანე ოცდამეორის[64] მეუფებაც მოიყოლია. და იქაურობა უნებურად იმდენისთვის იქცა თავშესაფრად, რომ დაიწყო თუ არა მისი პაპობა, მაშინვე აღიმართა ამ სასახლის ერთიანი მასაც, პირქუში, მძიმე და ჩაკეტილი, როგორც უკიდურეს ძნელბედობაში მრავალი უსახლკარო სულისთვის იძულებით მიჩენილი ერთი სხეული. ხოლო ის თავად — პატარა, მსუბუქი, სულისმიერი მოხუცი ჯერ ისევ ღიად ცხოვრობდა. ხეირიანად არც იყო იქ ჩასული, მაშინვე შეუდგა ფუსფუსს ყოველგვარი მიმართულებით. ათასგვარი წვრილ-წვრილი საქმის მოსაგვარებლად. ვიდრე პაპი აგრე ფაციფუცობდა, მის ტაბლაზე შხამშერეული სასმელით სავსე ფიალები დაედგათ უკვე. პირველი სასმისიდან მუდამ უხდებოდათ ღვინის გადაღვრა. რადგან მარტორქის ნაჭერი მაშინათვე ცუდ ფერს იღებდა, როგორც კი ამოიღებდნენ ხოლმე სასმელიდან, და სამოცდაათი წლის მოხუცმა არ იცოდა, რა ეღონა და სად დამალულიყო. აქეთ-იქით აწყდებოდა და ცვილისგან ჩამოქნილ საკუთარ გამოსახულებებს დაარბენინებდა: ეს ფიგურებიც მისი მოსპობის მიზნით შეექმნათ, და მოხუცს თითები ეჩხვლიტებოდა ნემსებსა და ქინძისთავებზე, მათში რომ ჩაერჭოთ. ისეთი თავზარი დასცა ამ ავბედითმა ჯადო-ნიშნებმა, თავისი ძლიერი ნებისყოფის მიუხედავად, შიშმა აიტანა, მეც არ გავჭრე, როცა ცეცხლი ცვილს დაადნობსო. ამდენმა საშინელებამ მისი გალეული სხეული მთლად გამოაწრთო და გამძლე გახადა. მაგრამ, სამაგიეროდ, პაპის საუფლოს სხეულს ჩასწვდნენ და შეუტიეს. გრანადიდან მოკიდებული ებრაელებმა ყველგან წამოიწყეს საქრისტიანოს დარბევა და ამჯერად შემზარავი აღმსრულებელნი შეისყიდეს. ატყდა თუ არა მითქმა-მოთქმა, აღარავინ ეჭვობდა კეთრის გაჩენას. მავანს და მავანს საკუთარი თვალით ენახა, ებრაელებს ჭებში როგორ ჩაეყარათ კეთროვანთა გვამების ერთად გამოკრული ნაგლეჯ-ნაფლეთები. ქარაფშუტობა როდი გახლდათ ამის მაშინათვე დაჯერება. უბრალოდ, რწმენა გამხდარიყო იმდენად სამძიმო, რომ მაშინვე მოსწყდა შიშით აცახცახებულთ და ჭის ფსკერზე ჩაეცა. და ბეჯითსა და დაუდეგარ მოხუცსაც ისევ უნდა დაეცვა საკუთარი სისხლი შხამისაგან. ცრუმორწმუნეობრივი შემოტევის ჟამს მან საკუთარ სულსა და მთელ იმ ქვეყანას დილა-მწუხრის საგალობელი გამოუწერა ღამის დემონთა წინააღმდეგ და მთელი აფორიაქებული ქვეყნის თავზე ყოველ სა-

ღამო რეკდნენ ზარები დამამშვიდებელ ლოცვა-გალობას. ისე კი. ყველა ბულა და ეპისტოლე, რაც ამ მოხუცის ხელიდან გამოდიოდა, უფრო შეზავებულ ღვინოს ჰგავდა, ვიდრე სამკურნალო ნაყენს. იმპერატორის კარი პაპის მკურნალობის წესში არ ერეოდა. მაგრამ მოხუცი არ იღლებოდა, კარისთვის სახელმწიფოს ავადმყოფობა დაესაბუთებინა. და აი, უშორესი აღმოსავლეთიდანაც მიმართეს ამ მბრძანებელ ექიმს.

მაგრამ, სწორედ მაშინ მოხდა ყოვლად წარმოუდგენელი რამ. ყველა წმინდანის დღეს[65] მან ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს, უფრო მხურვალედ იქადაგა. უცებ ყველას, მთელ საკრებულოს დაანახა თავისი რწმენა, თითქოს თავადვე მოესურვა. მისი კიდევ ერთხელ დანახვაო: მთელი ძალების დაძაბვით ნელა ამოიღო ოთხმოცდახუთი წლის სანაწილედან[66] და ამბიონზე გადმოაფრქვია: და ყველამ ყვირილი დაატეხა თავს. მთელი ევროპა აყვირდა: არ ვარგა ეგ რწმენაო.

და მაშინ იყო, პაპი რომ გაქრა. დღე დღეს მისდევდა, მისგან კი არავითარი განკარგულება აღარ ისმოდა. თავის სამლოცველოში მუხლის ჩოქზე იდგა და საქმის კაცთა საიდუმლოს იკვლევდა, ზარალს რომ აყენებენ საკუთარ სულს. ბოლოს დაბრუნდა, ამ მძიმე დაბრუნებით ქანცგაწყვეტილი, და განუდგა თავის რწმენას. რამდენჯერმე უარყო ზედიზედ. მისი სულის ბებრულ სანახად იქცა ეს უარყოფა. და ისიც მოხდა, რომ ღამღამობით კარდინალებს აღვიძებდა, რათა თავისი მონანიება გაენდო მათთვის. ალბათ. მხოლოდ იმედის წყალობითღა ინარჩუნებდა ბატონობას ხალხზე: მას იმედი ჰქონდა, რომ თავს მოიდრეკდა თვით ნაპოლეონ ორსინის[67] წინაშეც კი, ვისაც პაპი სძულდა და არ სურდა ხლებოდა.

პაპი იოანე ფონ კაპორი[68] განდგა. და თითქოს ღმერთმა თავად მოინდომა მისი შეცდომის მხილება, როცა ამ ამბიდან მცირე ხნის შემდეგ გრაფ ფონ ლინის ვაჟი[69] აღაზევა ავინიონში. ეს ბიჭი თითქოს თვისი ბავშვობის გასრულებასღა უცდიდა დედამიწაზე. რათა ყმაწვილკაცურად მისცემოდა ზეციური საუფლოს ვნებათაღელვას.

ბევრს ახსოვდა ან ნათელმოსილი ყრმის კარდინალობა. ახსოვდათ, როგორ გახდა ეპისკოპოსი თავის სიჭაბუკის დამდეგს და თვრამეტ წელს მიუღწეველი როგორ გარდაიცვალა საკუთარი სრულყოფილების ექსტაზში. და სხვა გარდაცვლილთაც კი ხვდებოდნენ ხოლმე იმხანად: რადგან ჰაერს ჭაბუკის სამარის თავზე მისი

განთავისუფლებული, წმინდა, კამკამა სიცოცხლე შეეწოვა და კიდევ კარგა ხანს ზემოქმედებდა გვამებზე. მაგრამ განა ამ ადრე მომწიფებულ სიწმინდეშიც არ იმალებოდა რაღაც უსაზღვროდ სასოწარკვეთი? განა უსამართლობა არ იყო ყველას მიმართ: რომ ამ სულის წმინდა ქსოვილი ის-ის იყო შეიწნა და თითქოს მხოლოდ იმისთვის, რომ ეგზომ სხივმფინარე მაშინვე დრო-ჟამის მსუყე სისხლისფერით შეღებილიყო?

განა საპასუხო დარტყმად არ უნდა აღექვათ ამ ნორჩი პრინცის უეცარი ნახტომი ცისკენ? რად არ რჩებიან მანათობელნი ღონემიხდილ მეჩირაღდნეთა შორის? განა უკუნეთი არ იყო იმ საუკუნისა, იოანე XXII-ს რომ ათქმევინა: „სრული სიწმინდე არსად ყოფილა, თვით ნეტარ სულთა შორისაც კი არ არსებობს და არც იარსებებს განკითხვის დღემდეო!“ რა თავნება და უჯიათი უნდა ყოფილიყო ადამიანი, ვინც, ამ გაუვალი სიბნელისა და ორომტრიალის შემხედვარე, მაინც წარმოიდგენდა: რომ სადღაც მავანთა სახეებს უკვე უფლის შუქი ეფინათ, ანგელოზებს მიყრდნობოდნენ და დარწყულებულიყვნენ უფლის უშრეტი სანახის ჭვრეტით.

●

და აი, მე ვზივარ, ცივი ღამეა, და ვწერ, ვწერ და ვიცი ეს ყველაფერი. ალბათ, იმიტომ ვიცი, რომ იმ კაცს გადავაწყდი მრავალი წლის წინ, ჩემს ბავშვობაში. დიდი ტანისა იყო, ახლაც ასე ვარ დარწმუნებული. თვალში საცემად დიდიც კი უნდა ყოფილიყო.

ახლაც არ ვიცი, როგორ მოვახერხე, მაგრამ ერთ საღამოს სახლიდან გავიპარე. გავიქეცი, სადღაც კუთხეში შევუხვიე და დაველოდე კიდეც იმ კაცს. ვერ ვაცნობიერებ, როგორ ეყო იმ ყველაფერს, რაც მაშინ მოხდა, სულ რაღაც ხუთიოდე წამი. რა მოკლედაც არ უნდა მოვყვე, მაინც გაცილებით დიდხანს გრძელდება. მაშასადამე, დავეჯახე და რაღაც ვიტკინე. პატარა ვიყავი, ისიც დიდი ამბავი იყო ჩემგან, რომ არ ავტირდი. და რა თქმა უნდა. ახლა დამსახურებულ მოფერებასა და ნუგეშს ველოდი. რაკი ის კაცი მსგავსს არაფერს აპირებდა, ვიფიქრე. ალბათ, შეცბუნებული და დარცხვენილია, ველარც ხუმრობას ახერხებს, რომ ეს ამბავი გაქარწყლოს-მეთქი. გული მომილბა, უკვე მზად ვიყავი. თავად მივხმარებოდი, მაგრამ ამისათვის სახეში უნდა შემეხედა, ხომ

უთქვი ჯავე. რომ ძალიან მაღალი იყო, და არც კი ღაბრილა ჩემ-კენ, რაც ბუნებრივი იქნებოდა. იდგა იმ თავის სიმაღლეში გაბე

ლას რომ აღაფრთოვანებდა, საჯაროდ არ მოკლა თავისი ძმისშვილი ერნაუტი, ინგლისის მეფის ჰასისთავი ქალაქ ლურდში[73]! და რა იყო ეს აშკარა მკვლელობა იმ შემზარავ შემთხვევასთან შედარებით, როცა მას დაავიწყდა, ფრჩხილების პატარა, ბასრი დანა სადმე დაედო და სილამაზით განთქმული ხელით იმ დანიანად ეფერებოდა მწოლიარე ვაჟიშვილის გაშიშვლებულ ყელს! ბნელოდა ოთახში. უნდა გაენათებინათ, რომ სისხლი დაენახათ, სისხლი, რომელიც აგრე შორი გზიდან მოდიოდა და აწ სამუდამოდ ტოვებდა ძველ, ძვირფას გვარტომს, მომჭრალი ბიჭის ციცქნა ჭრილობიდან გადმომდინარე.

ან ვის გააჩნდა ესოდენი ძალმოსილება, რომ მკვლელობას გადარჩენოდა? განა იმ დროის ადამიანთა შორის მოიძებნებოდა ვინმე ისეთი, რომელმაც არ იცოდა, უკიდურესი საშინელებაც გარდუვალი რომ გამხდარიყო? აქ თუ იქ, მავან ადამიანს, ვინც ყოველ ცისმარე მკვლელის შემმოწმებელ მზერას აწყდებოდა, უცნური წინათგრძნობა ეუფლებოდა. იკეტებოდა, იმალებოდა, უკანასკნელ სურვილებს წერდა, ბოლოს კი ტირიფის რტოთაგან შეწნულ საკაცეს ითხოვდა, ცელესტინელთა ორდენის[74] მუქ ანაფორას და გამოუვალ დარდს ეძლეოდა. უცხო მენესტრელები ჩერდებოდნენ მის სასახლესთან და მათ გულუხვად აჯილდოებდნენ, რადგან მოხეტიალე მომღერალთა ხმებიც სასახლის პატრონის შიშნეულ წინათგრძნობას ესიტყვებოდა. ძალლების გამოხედვაშიც ეჭვი ჩაბუდებულიყო, მათ უტყვ მოლოდინსაც შფოთი გასჯდომოდა. იმ დევიზიდანაც, მთელი ცხოვრება ვარგისად რომ ითვლებოდა, აშკარად სხვა, უცხო აზრი ამოზრდილიყო. ზოგი ძველი ადათი მოძველებულად მიაჩნდათ და მათ შემცვლელ ახალ წესებსაც ვერ პოულობდნენ. მომავლის გეგმებს აწყობდნენ, მომავლისა კი აღარ სჯეროდათ. სამაგიეროდ, წარსულის რაღაც მოგონებებმა მოულოდნელად შეიძინეს საბოლოო აზრი და სინამდვილე. და სურდათ, ამ მოგონებებს მისცემოდნენ ცეცხლის პირას საღამოობით. მაგრამ უეცრად ღამე ახმაურდებოდა შემაშინებლად, ღამე, რომელსაც ვეღარ სცნობდნენ. იმდენ თავისუფალ თუ საშიშ ღამეთა განმცდელი სმენა სიჩუმის უმცირეს რხევებსაც კი განასხვავებდა, მაგრამ ახლა სულ სხვაგვარი ღამე დამდგარიყო. ის აღარ იყო ღამე — ჩამდგარი გუშინდელსა და დღევანდელს. შორის. ის იყო ერთი გაბმული ღამე. თავისთავადი. ღამე. და რჩებოდათ მხოლოდ და მხოლოდ

Beau Sire Dieu[75] და მკვდრეთით აღდგომა. ამ უკუნეთში რაღა აზრი ჰქონდა სატრფოსათვის თავის გამოდებას, კაცი როგორღა გახდებოდა სატრფოს პატრონი: ალბებმა და სირვენტებმა[76] და ეზიხინჯეს სატრფოთა სახე, გაწელილმა, ბრჭყვიალა მეტსახელებმა შეუძლებელი გახადეს მათი შეცნობა. ისიც დიდი ანბავი იყო, თუ სიბნელეში მათ სავსე და ქალურ მზერას წააწყდებოდი მათ ნაშიერ ვაჟიშვილთა გამოხედვაში.

და მერე გვიანი ვახშმის შემდეგ ფიქრი წაიღებდათ ხოლმე წყლით სავსე ვერცხლის თასში ჩაძირულ ხელებზე. საკუთარ ხელებზე. იყო რაიმე კავშირი, ერთიანობა ამ ხელების მოძრაობაში? რაიმე თანმიმდევრობა ხელის ტაცებასა და ხელის გაშვებაში? არა. ირგვლივ ყველანი აქეთ-იქით აწყდებოდნენ. თვითონ ჭრიდნენ და თვითონ კერავდნენ. ამდენად, საქმე არ კეთდებოდა. ქმედებას ვერაფერს დაარქმევდი.

მხოლოდ მისიონერებზე შეიძლებოდა თქმა, რომ ისინი მართლა მოქმედებდნენ. და მათი საქციელის შემყურე მეფემ საგანგებო სიგელი გამოიგონა. მისიონერებს თავის საყვარელ ძმებს უწოდებდა, მათზე ახლობლად არავინ მიაჩნდა: სიტყვიერი უფლება მიანიჭა. თავისუფლად ეტრიალათ მოკვდავთა შორის და თავიანთი საქმე ეკეთებინათ. რადგან მეფეს ესლა ეწადა: მისიონერთ ყველანი მოექციათ და თავიანთ მძლავრ ქმედებაში ჩაერთოთ, ქმედებაში, დიად წესრიგს რომ ასხივებდა. თავად კი ნატრობდა, რაიმე ესწავლა მათგან. განა თვითონაც რაღაც განსაკუთრებული აზრის გამომხატველ ტანისამოსს არ ატარებდა, რაღაც იდუმალი ნიშნებით არ იყო აღბეჭდილი? და როცა შესცქეროდა, სჯეროდა, თვითონაც ისწავლიდა აგრე მოქცევას: მათსავით შემოსვლას. მათსავით გასვლას, მეტყველებასა თუ უკან გადახრას. და თან სრულიად დამაჯერებლად. უსაზღვრო იმედები უესებდა გულს. სამების მონასტრის[77] წრიალა შუქით განათებულ, უცნაურად გაურკვეველ დარბაზში ყოველდღე საუკეთესო ადგილას იჯდა და აღელვებული წამოდგებოდა ხოლმე უეცრად, მთლად მოწაფესავით ირჯებოდა. სხვები ტიროდნენ. მისი სული კი ცრემლის მბრწყინავი ნიაღვრებით ავსებულიყო, და ხელს ხელზე იტერდა. ის ნიაღვრები რომ აეტანა. ზოჯჯერ, საბედისწერო წუთს, თამაშს ჩამოწყვეტილი რომელიმე მსახიობი მისი ფართო მზერიდან რომ გავიდოდა, მეფე თავს ასწევდა, აიხედავდა და შიში იპყრობდა: ო, უკვე რა ხანია რაც ის

იქ იდგა: მონსინიორ მიქელ-მთავარანგელოზი[78], თავის სარკოვან, ვერცხლის აბჯარში გამოწყობილი, ესტრადის თავზე, აივნის პირას რომ აღმართულიყო.

ასეთ წუთებში მეფე მაშინვე ფეხზე დგებოდა. მიმოიხედავდა, თითქოს გადაწყვეტილებას რასმე იღებსო. ის უკვე მზად იყო მოეთხოვა, ნანახი წარმოდგენის საწინააღმდეგო დადგმა ეჩვენებინათ: ხანგრძლივი შიშით დაზაფრული, დიდი, გაუბრალოებული ჯვარცმის ამბავი, სადაც თვითონ შეასრულებდა მთავარ როლს. მაგრამ ეს წუთი მალევე ქრებოდა: ყველანი უაზროდ მოძრაობდნენ. ანთებული ჩირაღდნები იწევდნენ მეფისკენ[79] და უფორმო ჩრდილებს ისროდნენ თაღის სიღრმეში. მას კი თამაში სურდა. მაგრამ პირიდან სიტყვა არ ამოსდიოდა, ვერც მისი ხელების მოძრაობა იკვრებოდა აზრიან ჟესტებად. ისინი კი რა უცნაურად მოიწევდნენ. მეფეს აზრი დაებადა, ჯვარს ავიკიდებო. და იცდიდა, ვიდრე მოუტანდნენ. მაგრამ ისინი მეფეზე ძლიერნი იყვნენ. ჯვრის მოტანა გადაუდეს და ნელა მოაცილეს იქაურობას.

●

გარეთ ბევრი რამ შეიცვალა. არ ვიცი, როგორ. მაგრამ ჩვენს შიგნით და შენს წინაშე, უფალო ჩემო, ჩვენს წიაღში: შენს წინაშე, მაყურებელო: განა მოქმედების გარეშე არ ვართ? თუმცა კი ვხვდებით, როლები რომ არ ვიცით ჩვენი, და სარკეს ვეძებთ, რადგანაც გვინდა სახიდან გრიმი ჩამოვირეცხოთ, მოვიშოროთ ჩვენი სიყალბე და გავნამდვილდეთ. მაგრამ სადღაც მაინც აგვკრობია შენიღბულობის რაღაც მისხალი, რომელიც ჩვენ აღარც კი გვახსოვს. გადაჭარბების კვალი რჩება ჩვენი წარბების მოძრაობაში, ვერც იმას ვამჩნევთ, ტუჩის კუთხეები რომ გაგვმრუდებია. და აგრე ვცხოვრობთ და ვიარებით: გამქირდავნი და ნახევარნი: არც ყოფიერნი, არც მსახიობნი.

●

ეს იყო ორანჟის ძველთაძველ თეატრში[80] წესიერად ვერც შევავლე თვალი ფასადს, მხოლოდ დიდი, გაურანდავი ქვები ჩავრჩა ცნობიერებაში, ქვები, რითაც ის იყო აგებული, და პირდაპირ შე-

ვაღე დარაჯის ოთახის მინის კარი. იქიდან შევედი შენობაში. ირგვლივ მიმოყრილ სვეტებსა და ტუხტის ჯუჯა ხეებში აღმოვჩნდი. მათი წყალობით ერთ წამს ვერც დავინახე მაყურებელთა დარბაზის დაფერდებული იატაკი, დარბაზისა, გიგანტურ ღია ნიკარას რომ წააგავდა. მას ისე ეფინებოდა ნაშუადღევის შუქჩრდილები, როგორც ვეებერთელა ჩაზნექილ მზის საათს. სასწრაფოდ იქით გავემართე. როდესაც რიგებშორის ზემოთ მივიწევდი, ვიგრძენი, რომ ვპატარავდებოდი. ზემოთ, სულ მაღლა რამდენიმე მოცლილი ადგა და უსაგნო ცნობისმოყვარეობით აქეთ-იქით იყურებოდა. მათი ტანსაცმელი უსიამოვნოდ, მკაფიოდ და მჭახედ ხვდებოდა მზერას, თუმცა თავად ერთი ბეწონი ჩანდნენ. ერთ წამს შემავლეს თვალი და გაიკვირვეს, რომ მეც ასე პატარა ვიყავი. ამის გამო უკანვე მივტრიალდი.

მივტრიალდი და გავქვავდი. ო. ნამდვილად მოუმზადებელი აღმოვჩნდი იმისათვის, რაც დავინახე. იქ უზარმაზარი, ზეადამიანური დრამა იყო გაჩაღებული. იმ სცენის ძალეთამძლე კედლის უწყვეტი დრამა. ეს კედელი სამ შვეულ ნაწილად მოიწევდა წინ, მუქარით აღვსილი და თვალშეუდგამი, თითქმის გამანადგურებელი თავისი სიდიდით, და უცებ ზომიერდებოდა იმ უზომობაში.

იქით დავეშვი, ბედნიერად გაოგნებული. ამ ვეება შვერილის ვეება ჩრდილები სახის ნაკვთებად იკვეთებოდა. შუაგულში, როგორც დაღებულ პირში, თავს იყრიდა მთელი სიბნელე, ხოლო ზემოდან მთავრდებოდა გვირგვინოვანი ქვის თანაბრად ხვეული თმის ზვირთებით: ეს იყო უძლიერესი, ყველაფრის მომცველი და დამფარავი ანტიკური ნიღაბი, რომლის მიღმაც მთელი სამყარო ერთ უზარმაზარ სახედ იკვროდა.

ამ დიდ, მორკალულ სამაყურებლო სივრცეში მომლოდინე, ცარიელი, შემსრუტავი ყოფიერება გამეფებულიყო: მთელი ხდომილება მოჩანდა მიღმა: ღმერთები და ბედისწერა. და იქიდან (თუკი მაღლა აიხედავდი) მსუბუქად იღვრებოდნენ კედლის კიცურზე: მარადიულად გარდმომავალნი ცანი.

ახლა ვხვდები, სწორედ იმ წუთმა გამომდევნა სამუდამოდ ჩვენი ოპერიდან. აბა, რა მინდა მისი სცენის წინ, საიდანაც ის კედელი ხატებით დაფარული კედელი რუსული ეკლესიებისა) აღებულია, რადგან ძალა აღარ ჰქონდათ მისი სიმკაცრით შეეკუმშათ აირივით აღვრილი მოქმედება, რომ იგი ზეთის მძიმე წვეთებად გადმოსუ-

ლიყო. და ახლა სანახაობა სცენის უხეშად დასვრეტილ საცერში ნამცეცდება. მერე ხვავდება და ბოლოს იყრება, როცა საკმაოა. ეს ხომ იგივე უდღეური სინამდვილეა, ქუჩებსა და სახლებში რომ განფენილა, ოღონდ იქ უფრო მეტი გროვდება, ვიდრე სცენაზე.

[1] (ზოდით. გულახდილნი ვიყოთ. ჩვენ თეატრი არ გვაქვს ისევე როგორც არა გვყავს ღმერთი; ორივესთვის ერთიანობაა საჭირო. ყველა ჩვენგანს კი საკუთარი, პატარ-პატარა მიგნებები და შიშები აქვს, და სხვებს მხოლოდ იმდენად უჩენს, რამდენადაც თვითონ სჭირდება.

ჩვენ განუხრელად ვაწყალწყალებთ ჩვენს შეგნებას, რათა ის რამენაირად ყოველნაირ წვრილმანს გადასწვდეს, ნაცვლად იმისა, რომ საერთო უბედურების კედლისკენ ვკიოდეთ; ამ კედლის მიღმა ხომ მიუწვდომელი ძალა აღმართულა, მხსნელი ძალა, და საკმაო დრო აქვს, რათა შეიკრიბოს, დაიძაბოს და შეიმართოს).

●

და ნამდვილი თეატრი რომ გვქონოდა, ნუთუ მაშინაც ასე იდგებოდი დარბაზის წინაშე, შენ, ტრაგიკულო[81], ასე ტანთხელი, გაშიშვლებული, უსაფარველო, იმათ წინაშე, შენი გამოფენილი ტკივილებით თავიანთ სულსწრაფ ცნობისწადილს რომ იქარვებენ? წინასწარვე იგრძენ ნამდვილობა შენი ტანჯვისა, გამოუთქმელად გულის შემძვრელო; იგრძენი უკვე ვერონაში, როცა შენ, ჯერ კიდევ პატარა გოგონას, სცენაზე ვარდები გეჭირა ხელში — წინახედვით, რომელსაც კიდევ უფრო უნდა დაეფარე. მართალია, შენ მსახიობთა შვილი იყავი, და როცა შენიანები თამაშობდნენ, სურვილიც ჰქონდათ, რაც შეიძლება ბევრს დაენახა, მაგრამ შენ ხომ მათ არა ჰგავდი. შენი ხელობა იგივე უნდა გამხდარიყო შემთვის, რაც მარიანა ალკოფორადოსთვის მონაზვნობა იყო (თუმცა თვითონ ეს არ იცოდა): გადაცმულობა — საკმაოდ მკვრივი, გამძლე და ხანგრძლივი, იმისათვის, რომ ამ საფარველს მიღმა თავშეუკავებლადბოლომდე ღატაკი ყოფილიყო, ყოფილიყო ღატაკი იმ დაჟინებით უხილავ ნეტართა ნეტარება რასაც ასხივებს. ყველა ქალაქში, სადაც კი შენ გითამაშია, შენს ჟესტებსა და მიმოხვრას აღწერდნენ

[1] ხელნაწერში კიდეზეა მიწერილი. (რილკეს შენიშვნა).

მაგრამ ვერავინ ხვდებოდა, შენ — დღითი დღე სულ უფრო უნუ-
გეშო და მარტოსული — როგორ ცდილობდი წინ რაიმე გაუმ-
ჭვირვალე საგანი აგეფარებინა, რომ დაეფარე, თმა ან ხელები
გეჭირა ხოლმე შენი სახის ორ გამჭვირვალე, გამომსხივარ სარკის
წინაშე: შენ მათ ორთქლავდი, რადგანაც გამჭვირვალენი იყვნენ.
პატარავდებოდი, იმალებოდი. ბავშვებმა რომ იციან, ისე. და აი,
მაშინ გეწვეოდა ხოლმე ბედნიერი სულისგანაბვა და ანგელოზსღა
ელოდებოდი. მას უნდა მოეძებნე, უნდა ეპოვნე და სხვას არავის.
მაგრამ მერე ფრთხილად რომ ასწევდი ეუთუთოებს და აიხედავდ-
აშკარა ხდებოდა: მთელი ეს ხანი მხოლოდ ისინი გიყურებდნენ —
მაყურებელნი. შემოგცქეროდა თვალებად ქცეული საზიზღარი ფუ-
ტურო — დარბაზი, და მხოლოდ შენ გხედავდა. მხოლოდ შენ და
ანგელოზს აღარ, და მაშინ იყო, იდაყვში მოხრილ, დამოკლებულ
ხელს დარბაზისკენ რომ იშვერდი უცებ. თითებით ნიშანს გამო-
ხატავდი: ავი თვალის საწინააღმდეგოს. და იმ მზერას გამოგლეჯ-
დი ხოლმე შენს სახეს, სახეს, რითაც ავი თვალი იკვებებოდა: აი,
ამ დროს შენ შენ იყავი. და თანამოდასეთ შიში იპყრობდათ ქალ-
ავაზასთან მიემწყვდია თითქოს ვიღაცას. კულისების კედლს ეკვ-
როდნენ და მხოლოდ იმ სიტყვებს ამბობდნენ, რაც ევალებოდათ:
ოღონდ კი არ გაეღიზიანებინათ. შენ კი ისინი წინ გაგყავდა. ხალხს
ანახვებდი და ისე ექცეოდი, როგორც ნამდვილებს. სცენის მთელი
ბუტაფორია — ფარატინა კარები. მოტყუებული ფარდები. მთელი
ის საგნები, უკანა მხარე რომ არ გააჩნია — წინააღმდეგობას, შე-
უსაბამობას გიქმნიდა მუდამ. რადგან ხომ გრძნობდი, გული რო-
გორ განუხრელად გიზვირთდებოდა უზარმაზარი სიმართლისა და
სინამდვილისკენ. და შეშინებული, კიდევ ერთხელ ლამობდი შენ-
კენ მომართული მზერები აბლაბუდასავით ჩამოგეწყვიტა. მაგრამ
უკვე გვიან იყო: უკვე ტაშად ინთხეოდნენ მაყურებელნი: ზარდაცე-
მულნი შენგან დაძრული უკიდურესობით ბოლო წუთს თავიდან
იშორებდნენ შენეულ ძალას. რომელიც მათ აიძულებდა: შეეცვა-
ლათ ცხოვრება თვისი.

●

ცუდად ცხოვრობენ სატრფონი და მუდმივ საფრთხეში. ო, ნე-
ტავ თავი დაეძლიათ და გამხდარიყვნენ მოყვარულნი. დიდი მეტრ-

ფენი. მეტრფეთა ირგვლივ უხიფათობა გამეფებულა. მათში აღარავინ აღარ ეშვდება, და აღარც თავად შეუძლიათ საკუთარი თავის ღალატი. მათში საიდუმლო მთლიანი და წმინდა გამხდარა და ისინიც ბულბულებივით ამოთქვამენ მთელ საიდუმლოს: ერთიანსა და უნაწილებოს. ერთის გამო მოთქვამენ ისინი. მაგრამ ხმას უწყობს, უდასტურებს მთელი ბუნება. რადგან უკვე მარადიულის გამო ვაებენ. დაკარგული სატრფოსკენ მიჰქრიან, მაგრამ პირველივე ნაბიჯებით უსწრებენ მას და წინ უკვე ღმერთია და სხვა აღარავინ. მათი ლეგენდა ბიბლიდან[62] ლეგენდაა, კაენოსს რომ გაედევნა თვით ლიკამდე[33]. გულის აზავთება სატრფოს კვალდაკვალ მიაგელვებდა, ქვეყნიდან ქვეყნად, ვიდრე თავისი ძალის ნაპირს არ მიაღწია. მაგრამ ისეთი მძლავრი და მალი გამხდარიყო ქროლვა-სწრაფვა მისი არსების, რომ როს დაეცა, სიკვდილის მილმა წმინდა წყაროდ ამოჩქრიალდა, სისწრაფეშეყრილ, სწრაფ წყაროდ წარდინდა.

და პორტუგალიელ ქალსაც განა იგივე არ დაემართა, რომ წყაროსთვალად გადაიქცა თავის წიაღში? და განა ეს არ დაგემართა შენც, ელოიზა, თქვენ მოყვარულნო, დიდო მეტრფენო, რომელთა მოთქმა-გოდებამაც ჩვენ მოგვაღწია: გასპარა სტამპა, გრაფინია ფონ დია[34], კლარა დ'ანდუზე[35], ლუიზე ლაბე[36], მარსელინა დებორდ[37], ელიზა მერკიორ?[38] მაგრამ შენ კი, საბრალო და სულსწრაფო აიშე[39], უკვე ყოყმანობდი და ბოლოს დასთმე. ღონემიხდილო ქიული ლესპინას![40] ან შენ, ბედნიერ ბაღნარის უსასოო თქმულებავ: მარი-ანნა დე კლერმონ![41]

ახლაც ნათლად მახსოვს, დიდი ხნის წინათ შინ რაღაც ძველი, პატარა ზარდახშა ვიპოვე. მარაოს ფორმის ბუდეს ორი მტკაველი სიგრძე ექნებოდა და მუქმწვანე ტარსიკონში ჩატვიფრული ყვავილების ქობა დაჰყვებოდა. ავხადე, ცარიელი იყო. ამას ახლა ვამბობ. ამდენი ხნის შემდეგ. მაშინ კი, როცა ავხადე, მხოლოდ იმას ვხედავდი, რისგანაც ის სიცარიელე შედგებოდა: ხავერდს. ძველი, უკვე ჰკნობაშეპარული ხავერდის პატარა ბორცვს, და სასამკაულე სალუქ ღარს, — სევდის ერთი პატარა ტალღით უფრო ნათელი, იმ ბორცვის გულში რომ გადიოდა. მხოლოდ ერთ წამს შეიძლებოდა ამ ხილვის შენარჩუნება. მაგრამ მისთვის, ვინც სატრფოდ დარჩა სამარადისოდ, და არა მეტრფედ, ის ზარდახშა, ალბათ, მუდამ ცარიელია.

●

აბა, დასაწყისისკენ გადაფურცლეთ თქვენი დღიურები. ვინა არა გაქვთ აღწერილი გაზაფხულების ის მონაკვეთი. როცა ამოთქვი, ალბელი წელიწადი თითქოს საყვედურად ეხებოდათ ყველს? გიპყრობდათ სურვილი—ბახარებელი ყოფილიყავით, მაგრამ გარეთ რომ გადიოდით ვეება სივრცეში, ჰაერს რაღაც გაუცხოება მოქონდა თითქოს, და ისეთი გაუბედავი გიხდებოდათ სიარული, თითქოს გემბანზე მიიკვლევდით გზას. აი, ბალი იწყებდა ახალ სიცოცხლეს. თქვენ კი ზამთარს მოათრევდით ღა შარშანდელ წელიწადს. საკეთესო შემთხვევაში გაგრძელება იყო თქვენთვის ეს გზა ფიქრი. ეს ვიდრე იცდიდით, როდის ჩაერთვებოდა თქვენი სული არემარეში, უცებ სხეულის ყოველი ნაკვთის სიმძიმეს გრძნობდით და ალაღ გახდომის შესაძლებლობა გეჩრებოდათ ღია გუმანში. რაღა დაგრჩენოდათ, უნდა გადაგედოთ თხელი, მსუბუქი სამოსის ჩაცმა და თბილი შალი მოგესხათ მხრებზე. შემდეგ ხეივანში გარბოდით, ხეივნის ბოლოს ვრცელ ყვავილნართან შეჩერდებოდით გულამოგარღნილი. უკვე მიგეღოთ გადაწყვეტილება: მთელ გარემოს შეერთებოდით. მაგრამ აი, ჩიტი ამღერდა, მარტო იყო, მარტო მღეროდა და თქვენ უარგყოთ. ოჰ, ნუთუ მასთან შესაერთებლად მკვდარი უნდა ყოფილიყავით?

ალბათ. ალბათ ჩვენთვის ჯერ ახალია: შეკძლოთ დაძლევა წელიწადის და სიყვარულის. ყვავილი გაშლილია, ნაყოფი მწიფე. როდესაც ცვივა. ნადირცხოველნი ერთმანეთს გრძნობენ. პოულობენ და ამდებიან. ჩვენ კი — ღმერთი განვიზრახეთ. წამოგიწყეთ და ვეღარ-ფერი. გაგვიწყვია. ჯერ შორსაა ჩვენი მწიფობა. ჩვენი ბუნება გავიმანძილეთ, შორს გადავწიეთ. ჯერ დრო გვჭირდება. რა არის ჩვენთვის ერთი წელი, ან ყველა ერთად? ჯერ ღმერთს რიგიანად არც შევდგომივართ და უკვე შეეღალადებთ: „მომეც ძალა, ღამეს გავუძლო“. მერე სნეულებას, მერე სიყვარულს.

ო, კლემენტინა დე ბურჟი[92] რომ უნდა მომკვდარიყო ყვავილობისას! უბადლო გოგონა. უმშვენიერესი საკრავი იმ საკრავთა შორის, რომელთა აყღერებაშიც ტოლი არ ჰყავდა: მისი ხმის უმცირესი რხევაც კი განუმეორებლად იყო შესრულებული. მის ქალიშვილობას ისეთი შემართება ახლდა, ერთმა ანიაღვრებულმა მეტრფე ქალმა ამ მზესავით ამომავალ გულს სონეტების წიგნი აჩუქა, წყურ-

ვილმოუკვლელი ლექსებით სავსე: პოეტ ლუიზე ლაბეს არ ეშინოდა, რომ იმ გოგონას თავზარს დასცემდა, თუ სიყვარულის ტანჯვათა ხანგრძლივობას გაუმხელდა თვისი ლექსებით. და მან აჩვენა ღამეული აზვირთება მონატრებისა, დაპირდა ტკივილს — როგორც უფრო დიად სამყაროს, უფრო ვრცელს, ვიდრე სამყაროა სიხარულისა. და მან იგრძნო, რომ თავისი განცდილი და გამოცდილი ტკივილით ბევრად ჩამორჩებოდა ბავშვის ბუნდოვნად ნაწინათგრძნობ, მომავალ ვაებას, რაც იყო წყარო იმ ჭაბუკ-ასულის არნახული სილამაზისა.

●

ჩემი სამშობლოს გოგონებო. ნეტავ თქვენ შორის ულაბაზესმა ზაფხულის ერთ ნაშუადღევს ჩაბნელებულ ბიბლიოთეკაში ერთი პატარა წიგნი იპოვოს. ჟან დე ტურნემ[93] რომ დასტამბა 1556 წელს. ნეტავ სიგრილემოფბერი, გლუვი ტომი თან გაიყოლოს ამღზუნებულ ხეხილის ბაღში, ან იქით, ფლოვსის რბილი ტევრისკენ, რომლის ზეტკბილ სურნელებაში შეუერეველი. წმინდა სიტკბოს ლექი იგრძნობოდა. ნეტავ გოგონამ არ დაფგვიანოს ამ წიგნის პოვნა, არ გაეპაროს ის დღეები, როცა საკუთარ სხეულზე იწყებს მზერის შეჩერებას, როცა იმის ყმაწვილურ. ნორჩ პირს ჯერ კიდევ ძალუძს დიდად. ღონივრად ჩაკბიჩოს ვაშლი და ამოიცოს ბნელი წიალი.

და მერე. როდესაც უფრო აჩქროლებულ მეგობრობათა ჟამი გეწვევათ, ო, ქალიშვილებო, ნეტავ თქვენი საიდუმლო ის იყოს სწორედ. რომ ერთმანეთს დიკეს უძახდეთ და ანაქტორიას, გირინოს და ატთიდას[94]. და ნეტავ. ერთმა თქვენზე ბევრად უფროსმა კაცმა. შეიძლება სულაც მეზობელმა. რომელმაც ყმაწვილკაცობაში იმოგზაურა და დიდი ხანია ახირებულ ვინმედ ითვლება. გამოიცნოს თქვენი საიდუმლო: ის სახელები. ხანდახან შინაც მიგიპატიჟოთ და გაჩვენოთ თავისი სახელგანთქმული ატმები. ან თეთრ დერეფანში გამწკრივებული რიდინგერის გრავიურები[95], რომლებზედაც იმდენს ლაპარაკობენ. რომ კაცმა თავისი თვალით უნდა ნახო ბოლოს და ბოლოს.

ეგებ დაიყოლიოთ და რაიმე აამბობინოთ. ვინ იცის, ეგებ თქვენ შორისაა ის ქალიშვილი, რომელსაც შეუძლია ისე შეეხვეწოს, რომ ამ კაცმა თავისი მოგზაურობის დღიურებიც გამოიტანოს? ის ქალი-

შვილი, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს, იმასაც დააცდენინებს. — საფოს ლექსების ცალკეულმა ნაწყვეტებმა ჩვენამდე მოაღწიეს, — და ვერ მოისვენებს, სანამ არ ათქმევინებს — თითქმის საიდუმლოს, რომ ამ ჩვენამდე მოღწეულ ლექსებს ეს გარიყული, გულჩათხრობილი ადამიანი[96] მოცალეობის ჟამს თარგმნიდა თურმე. და მაშინ კაცი აუცილებლად დასძენს, რომ დიდი ხანია აღარ მოუცლია თარგმანებისთვის, და ის კი, რაც თარგმნა, სალაპარაკოდაც არ ღირს. თუმცა, ბოლოს მაინც სიხარულით ამბობს ერთ-ორ სტროფს -მ გულწრფელი ქალიშვილების წინაშე, რომლებიც აღარ და აღარ დაეხსნენ. ბერძნული ტექსტიც კი ახსენდება, ბერინულად ამბობს, რადგან, მისი აზრით, თარგმანი არაფერს იძლევა. და თან გულით სწადია ახალგაზრდებს აჩვენოს ქვისსატეხი იმ ძველი, მასიური, კაზმული ენისა, რომელიც ასეთ ზემძლავრ ცეცხლში იდრიკებოდა.

და ეს ყოველივე კაცს ისევ სამუშაოს სურვილით აღანთებს. და მას ეწვევა ლამაზი, თითქმის ახალგაზრდული საღამოები, მაგალითად, შემოდგომის საღამოები, გრძელი და მშვიდი ღამე რომ მოსდევთ. და მერე მის სამუშაო ოთახში გვიანობამდე ანთია შუქი. მუდამ ასე კი არ ზის, ფურცელზე თავდახრილი, არა, ხშირად უკან გადაიწევა, თვალებს ხუჭავს ხელახლა წაკითხულ სტრიქონთა ზემოთ და მათი აზრი კაცს მთელ სისხლში უნაწილდება. არასოდეს ყოფილა აგრე ცხადი ანტიკურობა. მან ლამის მოწყალედ გაუღიმოს მთელ იმ თაობებს, საბერძნეთი დამთავრებულ, ჩავლილ სპექტაკლად რომ წარმოიდგინეს, სპექტაკლად, სადაც თვითონაც სიამოვნებით ითამაშებდნენ. და მეყსეულად შეიგრძნობს იგი იმ ადრეული სამყაროული მთლიანობის დინამურ მნიშვნელობას: განა ის ერთიანობა ყველა დროის სულიერი წვისა და დაგვის დიდ ერთობას არ გულისხმობდა?!

მას როდი აბნევს ის გარემოება, რომ საბერძნეთის თანმიმდევრული კულტურა მთელი თავისი ნეტ-ნაკლებად სრულყოფილი გამოვლინებებით გვიანდელ საუკუნეთა მზერას ერთ ცალკეულ მთელად და მთლიანად გარდასულ სამყაროდ ეჩვენებოდა. თუმცა იქ მიწიერი ყოფის ნახევარ-თასს ნამდვილად ეხურებოდა ხოლმე სიცოცხლის მეორე, ზეციური ნახევარი, სწორედ ისე, ორი ჰემისფერო რომ ერთდება ღვთაებრივ, ოქროვან სფეროდ, მაგრამ შეერთდებოდნენ თუ არა ეს ნახევრები, მათში ჩართული სულები ჯერ ისევ მხოლოდ სიმბოლოდ აღიქვამდნენ ამ უნაშთო განხორციელე-

ბას: მასიური ვარსკვლავეთი წონას კარგავდა და მაღლა მიიწევდა ღამის სივრცეში, და მის ოქროვან სიმრგვალეში თავშეკავებულად ირეკლებოდა მწუხარება ჯერ ვერმიღწეულის და ვერდაძლეულის გამო.

და ამას რომ ფიქრობს მარტოსული თავის ღამეში, რომ ფიქრობს და აცნობიერებს, უცბად შეამჩნევს ხილით სავსე თეფშს ფანჯრის რაფაზე. უნებურად ხელს სტაცებს ერთ ვაშლს, მაგიდაზე დებს და დაჰყურებს. ნეტავ გარს როგორ ეკვრის ჩემი სიცოცხლე ამ ნაყოფსო, გაიფიქრებს. ყველა მწიფე და დასრულებული საგნის ირგვლივ ამოიზრდება განუხორციელებელი და შეუქმნელი სინამდვილე, ამოიზრდება და ძლიერდება.

და იმ განუხორციელებლობაზე რომ დაფიქრდება, უეცრად, ძალზე სწრაფადაც კი, თვალთა წინაშე აღემართება პატარა, უსასრულობისკენ გაძაბული ფიგურა, რომელსაც (გალენის[97] მტკიცებით) გულისხმობდა იმ ეპოქის ყველა ადამიანი, როდესაც ამბობდა: „პოეტი ქალი". რადგანაც, თუ ჰერაკლეს თავის საგმირო საქმეთა შემდეგ სამყაროს დანგრევა და გადაკეთებაღა რჩებოდა, ამ ქალის დასრულებულ გულს მიაწყდნენ მთელი ნეტარებანი და სასოწარკვეთანი, რაც კი ყოფიერებას მარაგად ჰქონდა, მიაწყდნენ. რათა სიცოცხლე მოეპოვებინათ ამ გულის წყალობით და საგზლად გაჰყოლოდნენ საუკუნეებს.

და ნაყოფს დაჩერებული ყაცი ერთბაშად შეიცნობს იმ შეუპოვარ გულს, რომელიც მზად იყო თავის თავზე აეღო და განეხორციელებინა მთელი სიყვარული — ბოლომდე. ამ კაცს არ უკვირს, რომ ეს გული ვერ ამოიცნეს, რომ ამ ფრიად და ფრიად მომავლის მეტრფეში მხოლოდ გადაჭარბება დაინახეს და უზომობა, და არა-ახალი საზომი სიყვარულისა და გულის ტანჯვისა. რომ ხელწერა მისი ყოფიერებისა ისე განმარტეს, როგორც მაშინ იქნებოდა დასაჯერებელი და ბოლოს იმ ადამიანის სიკვდილიც მიაწერეს, რომლის მსგავსთაც ღმერთი სათითაოდ აქეზებს: უპასუხო სიყვარულად გადმოიღვაროს. შეიძლება მეგობარ გოგონათა შორისაც (თავად რომ შეექმნა) იყვნენ ისვთები. რომელთაც არ ესმოდათ: რომ იგი თავისი გულისმიერი ქმედების სიმაღლეზე იმ ერთი კაცის გამო კი არ ვაებდა, რომელმაც მისი მკლავები სამუდამოდ გაშლილი დატოვა. არამედ უკვე შეუძლებელი სატრფოს გამო გოდებდა იგი. მის სიყვარულს რომ შეეზარდა.

აქ, მოფიქრალი დგება და ფანჯარასთან მიდის. უცებ შეაწუხებს თავისი მაღალი ოთახის ზედმეტი სიახლოვე და ვარსკვლავების დანახვა სწყურია. და არც ტყუვდება. იცის, რომ ეს მოძრაობა მის სულს აღავსებს, რადგან მეზობელ გოგონათა შორის ერთი მისთვის ახლობელია და ამ კაცს სურვილები აქვს (არა თავისთვის, არამედ იმ ქალიშვილისთვის). მისი გულისთვის შეიცნობს იგი ერთ მიმავალ, ღამეულ საათში მთელ მომთხოვნელობას სიყვარულისა. იგი გადაწყვეტს ქალიშვილს არაფერი უთხრას ამის შესახებ. უდიდეს საქმედ მიაჩნია, მარტო იყოს და მარტომ იფხიზლოს, და ქალიშვილის გულისთვის იფიქროს: თუ რა მართალი იყო ის შორეული მეტრფე ქალი, რომელმაც იცოდა: ორის შეერთებით მარტოობა იზრდება მხოლოდ; რომელმაც სქესის დროებითი მიზანი დაამსხვრია თავისი განზრახვის უსაზღვროებით; რომელიც მოხვევნათა სიბნელეში წყურვილის მოკვლას კი არ ეძებდა, არამედ მონატრებას; რომელსაც სძულდა, თუ ორიდან ერთი მეტრფე იყო, მეორე — სატრფო. და როცა სუსტი სატრფოები სარეცელისკენ შიჰყავდა, ისევ და ისევ ღვივდებოდა მეტრფედ, როცა ისინი მას სტოვებდნენ. ამ მაღალ დამშვიდობებათა წყალობით მისი გული ბუნებად იქცა. ბედისწერაზე ამაღლებული. იგი საქორწინო სიმღერებს უმღეროდა თავის საყვარელ მეგობარ ასულებს, როგორც შწვერვალთა გაყინულ თოვლს — ალღობდა მათ გულს, მათ ქორწინებას აღაზევებდა. გადაჭარბებით უქებდა ახლომყოფ საქმროს, რათა მათ ძალა მოეკრიბათ საქმროსათვის. როგორც ღმერთისთვის. და თავად ღმერთის დიდებულებისთვისაც გაეძლოთ.

●

ბოლო წლებში. აბელონე, ერთხელ კიდევ გიგრძენი და გალიარე მოულოდნელად. მას შემდეგ. რაც დიდი ხანი იყო, აღარ მეფიქრა შენზე. ეს ვენეციაში მოხდა, შემოდგომით, ერთ-ერთ ისეთ სალონში. სადაც ვზად მყოფი უცხოელები სალონის ფიასახლისის ირგვლივ იკრიბებიან, რომელიც მათსავით უცხოა. ისინი ,ირგვლივ მიმოდიან ფინჯანი ჩაით ხელში და აღტაცება იჰყრობთ. როდესაც ვინმე გვერდით მდგომი, იქაურობას ვინც კარგად იცნობს, სწრაფად და მალულად კარისკენ გაახედებს და ყურში ვენეციურად მჟღერ რაღაც სახელსა თუ გვარს ჩასჩურჩულებს. ესენი დიდად

გახმაურებულ სახელებს არიან მიჩვეულნი, არაფერი აკვირვებთ, რადგან, შინ რა ძუნწი განცდებითაც არ უნდა ცხოვრობდნენ. აქ, ამ ქალაქში დაუდევრად ეძლევიან უკიდურეს შესაძლებლობებს. თავიანთ ჩვეულებრივ ყოფაში განსაკუთრებული მოვლენა აკრძალულში ერევათ, ისე რომ სასწაულებრივის მოლოდინი, რასაც უფლებას აძლევენ, მათში იარსებოს, ტლანქ, აღვირახსნილ გამომეტყველებად ეფინებათ სახეზე. რაც შინ მხოლოდ კონცერტებზე, ან რომელიმე რომანში ჩაძირულებს ემართებათ, აქ დასანახად გამოჰფენენ ხოლმე ამ ლაქუცა, პირმოთნე საზოგადოებაში: როგორც სულის გამართლებულ მდგომარეობას. სრულიად მოუმზადებელნი, საფრთხის ვერშემგრძნობნი, ისინი მუსიკის მომაკვდინებელ აღსარებებს ისე ეძლევიან, როგორც სხეულებრივ უხამსობებს. მხოლოდ გაღიზიანება სწადიათ. აი, ასევე ეძლევიან ამ ქალაქში იმ ანაზღაურებულ მოთენთვას, გონდოლების რწევა რომ იწვევს და ოდნავადაც ვერ აცნობიერებენ ვენეციის ყოფიერებას. ახლად დაქორწინებულნი, მთელი მოგზაურობის მანძილზე მძულვარე სიტყვებით რომ ჩხვლეტდნენ ერთმანეთს, აქ აღარ იძირებიან მდუმარე თვითშეგუებაში. მამაკაცს თავისი იდეალების საამო დაღლილობა ეუფლება, ქალი კი თავს ნორჩად გრძნობს და უნდილ აქაურებს ისეთი ღიმილით უქნევს თავს, თითქოს შაქრის კბილები ჰქონდეს და ერთთავად უდნებოდეს. და თუ ყურს მიუგდებ, გამოირკვევა, რომ თურმე მიემგზავრებიან: ხვალ, ზეგ ან კვირის ბოლოს.

აი, ასეთ ხალხში ვიდექი და მიხაროდა, რომ არსადაც არ მივემგზავრებოდი, ცოტა ხანში აცივდებოდა და ამ უცხოელების ხედვათა და მოთხოვნილებათა შესაბამისი დუნე, დაბანგული ვენეციაც მათთან ერთად გაქრებოდა. მერე კი, ერთ დილით თვალწინ სულ სხვა ქალაქი გადამეშლებოდა: ნამდვილი, ფხიზელი, ცინცხალი და სალუქი — ლამის შუშასავით მსხვრევადი ქალაქი, რომელზეც კი არ ოცნებობდი, არამედ გსურდა: არაფრის შუაგულში ჩაძირულ ტყეებზე წარმოსახვის მიერ იძულებით გაჩენილი ქალაქი და ბოლოს მაინც ფრიად და ფრიად ნამდვილი და არსებული ვენეცია. შეკუმშული, შეკრული სხეული — რაც აუცილებელია, მხოლოდ ის რომ აქვს — სხეული, რომელშიც დღედაღამ ფხიზელი არსენალი სისხლს ამუშავებს, და ამ სხეულის გამსჭვალავი სული, განუხრელად რომ იზრდება და ფართოვდება, და უფრო ძლიერია, ვიდრე არომატული ქალაქ-ქვეყნების მძაფრი სურნელი. შთამაგონებელი, დენადი ქალა-

ქი, რომელიც თავისი სიღატაკის მარილსა და მინას სხვადასხვა ხალხების სიმდიდრეზე ცვლის. მსოფლიოს მშვენიერი საპირწონე. ჩუქურთმებამდე ავსებული ფარული ენერგიითა და ძალებით, სულ უფრო ფაქიზად რომ იტოტებიან. აი, ეს ვენეცია.

შეგნება იმისა, რომ ამგვარ ქალაქს ვიცნობდი, გაუსაძლისად მძაფრად მომეძალა იმ თავმოტყუებულ ხალხში და მეც შემიპყრო სურვილმა, ჩემი ცოდნა ვინმესთვის გამეზიარებინა. მივიხედ-მოვიხედე. ნუთუ იმ დარბაზებში ერთი ადამიანიც კი არ აღმოჩნდებოდა, ვინც უნებურად ელოდებოდა, როდის განუმარტავდნენ იქაურობის არსს? მაგალითად, ვინმე ახალგაზრდა, რომელიც მაშინვე გაიგებდა, რომ ამ ქალაქში სიამე და კმაყოფილება კი არა ჩქეფდა, არამედ იგი იყო მაგალითი ისეთი მომთხოვნი, მკაცრი და მბრძანებლური ნებისყოფისა, რომლის ბადალსაც ქვეყანაზე ვერსად ნახავდა. მივდი-მოვდიოდი. ჩემი ჭეშმარიტება არ მასვენებდა. ეტყობა, ამ ჭეშმარიტებამ ამდენ ხალხში იმიტომ შემიპყრო, რომ სურვილი ჰქონდა: გამომეთქვა, დამეცვა და დამტკიცებინა. უცებ გროტესკული რამ წარმოვიდგინე: დავინახე, როგორ დავიწყე ტაში ცემა, რათა გამომეხატა ჩემი სიძულვილი იმ აბდაუბდის გამო, რასაც ვენეციაზე ლაყბობდნენ სტუმრები.

აი, ამ ს

გორც ყოველთვის აღფრთოვანებული და დაბნეული — თანამ.გომ-
თა მთელი ამალით მიაწყდა ქალიშვილს და სიმღერისათვის განკუთ-
ვნილი ოთახისაკენ წარიტაცა. დარწმუნებული ვიყავი, ქალიშვილი
იმ საბაბით მოუბოდიშებდა, დანიური სიმღერა ამ საზოგადოებაა
არ დააინტერესებსო. ასეც მოიქცა. მაგრამ ამან კიდევ უფრო გააბ-
ლიერა ჩოჩქოლი, ნათელ კაბაში გამოწყობილი მომღერლის ირგვ-
ლივ. მავანმა, თურმე, ისიც იცოდა, რომ ქალიშვილი გერმანულადაც
მღეროდა და „იტალიურად"—შეავსო ინფორმაცია ვიღაცის მოცი-
ნარმა. ბოროტად დარწმუნებულმა ხმამ. ახლა უკვე აღარ ვიცოდი, რა
საბაბის მოფიქრება მესურვა მისთვის, მაგრამ მაინც მჯეროდა, რომ
ვერ გასტეხდნენ. აი, დამყოლიებელთ სიცილი შეაცივდათ, დაჭიმუ-
ლი სახეები გადაუსწორდათ და მშრალი წყენა გადაეფინათ. აი, ლა-
მაზი გრაფინიაც უკვე უკუდგა, ერთი ნაბიჯით: თანაგრძნობით და
ზვიადად, რათა საკუთარი ღირსება არ შეელახა. და აი, მაშინ, რი-
ცა ყველაფერი მოგვარდა და აღარაფერი იყო საჭირო, ქალიშვილმა
დასთმო. ისე გავწბილდი, მევე ვიგრძენი, მიტკლისფერი როგორ
დამედო. თვალებიც საყვედურით ამევსო, მაგრამ პირი ვიბრუნე:
არ ღირდა ქალიშვილის წყენინება. ის კი სხვებს გამოეყო და,
უცბად, ჩემს გვერდით აღმოჩნდა. მისმა კაბამ შემომანათა, მისი
სითბოს ყვავილოვანი სურნელი შემომეხვია. „მე მართლა მინდა
სიმღერა". — თქვა დანიურად სადღაც ჩემს ღაწვთან. — „იმიტომ,
რომ ვალდებული ვარ, სწორედ ახლა ვიმღერო".

ნელა გავყევი სტუმრების ჯგუფს, რომელთან ერთადაც გოგონა
გამშორდა. მაგრამ მერე ყველას ჩამოვრჩი, ერთ მაღალ კართან შე-
ჩერდი და დაველოდე, როდის დალაგდებოდნენ. შავად ამრეკლავ
კარს შიდა მხრიდან მივეყრდენი და ვიცდიდი. ვიღაცამ იკითხა, რა
ხდება, სიმღერას ხომ არ აპირებენო. ვუთხარი, არ ვიცი-მეთქი.
ვიდრე ვიტყუებოდი, ის უკვე ამღერდა.

ვერ ვხედავდი. თანდათან თითქოს სივრცე გაფართოვდა იტა-
ლიური სიმღერის გარშემო. რომლის მსგავსი სიმღერებიც ჩამოსუ-
ლებს ნამდვილი ჰგონიათ, რადგან გასაგები და ადვილია. მაგრამ
მომღერალი ასე არ ფიქრობდა. იგი ტანჯვით უწევდა ხმას, ეძნელე-
ბოდა. ტაშის ხმაზე მივხვდი, რომ დაამთავრა. მოწყენილი და დარც-
ხვენილი ვიდექი. ხალხი ამოძრავდა და გადავწყვიტე, როგორც კი
ვინმე გავიდოდა, მეც გავყოლოდი.

მაგრამ უეცრად სიჩუმე ჩამოვარდა. წარმოუდგენელი სიჩუმე

გამეფდა. გაგრძელდა, დაიძაბა, და უცებ ამ სიჩუმ-დან ამოიზარდა ხმა. (აბელონე, გავიფიქრე მაშინ, აბელონე). ახლა ეს ხმა ძლიერი და სავსე იყო, მთლიანი, ყოველგვარი ბზარისა და ნაკერის გარეშე და არაფერი უმძიმდა. ქალიშვილი უცნობ გერმანულ სიმღერას მღეროდა; მღეროდა უბრალოდ, როგორც რაღაც აუცილებელს:

შენ, რომელსაც არ გაგიმხელ, რომ ცრემლების ღვრით
ვათენებ ღამეს,
ვისი არსებაც აკვანივით
მქანცავს და მარწევს,
შენ, რომელიც არ გამიმხელ, ჩემს გამო დარდით
თვალს რული რომ არ გეკარება,
აბა, მითხარი, ამ ნეტარებას
ვით ავიტანდით,
რომ არა ვდუმდეთ?

(მცირე ხანს შეჩერდა და ყოყმანით განაგრძო)

შეხე მიჯნურებს.
მაშინვე, როცა აღსარება გადახსნის გულებს,
უკვე სტყუიან.

ისევ სიჩუმე. ღმერთმა უწყის, რა იწვევდა ამ მდუმარებას. შემდეგ მსმენელნი აჩოჩქოლდნენ, ერთმანეთს მიეჯახნენ, მოუბოდიშეს, ჩაახველეს. უკვე სურდათ საყოველთაო, ყოველივეს წარმხოც ხმაურში გადანარცხებულიყვნენ, რომ ხმა ისევ ამოირხა, შეუპოვარ, ფართო ნაკადად ამოიტყორცნა:

შენ მარტოს მტოვებ. და შენ მარტოდენ შემიძლია
გაგცვალო ასე:
შენ წამი იყავ შეჩერებული,
და ახლა ისევ შრიალი მავსებს
ყოველი ჩქამი შენს თავს მაგონებს, შენითაა სამყარო სავსე,
ქარიც შენა ხარ და უკვალო კეთილსურნელიც...
მე ყველა ქალი დამყარგვია, შემოვაჭდე ვისაც მკლავები,
მხოლოდ შენ ერთი ისევ და ისევ დაიბადები,
რადგან არასდროს მიგიჯაჭვე, ხარ განუყრელი.

არავინ ელოდა. თითქოს წელში მოიხარნენ ამ ხმის ქვეშ. ბოლოს ისეთი რწმენა და შეურყეველობა იდგა იმ ხმაში, თითქოს ამ ხმამ დიდი ხნით ადრე იცოდა: სწორედ ახლა, სწორედ ამ წუთში უნდა ეთქვა თავისი სათქმელი, ეჩვენებინა თავისი ძალა.

ადრე ზოგჯერ ვეკითხებოდი ხოლმე ჩემს თავს, თუ რატომ არ მიმართავდა აბელონე თავისი დიდებული გრძნობის კალორიებს ღმერთისაკენ. ვიცი, ნატრობდა, თავისი სიყვარული უსაგნო გაეხადა. მაგრამ ნუთუ მისი მართალი გული ტყუვდებოდა, და ვერ ხვდებოდა, რომ ღმერთი მხოლოდ მიმართულებაა სიყვარულისა და არა საგანი? არ იცოდა, რომ არ უნდა შინებოდა მისგან საპასუხო სიყვარულისა? არ იცოდა ამ ზვიადი, ზეაღმატებული სატრფოს თავდაჭერა, აგრე მშვიდად სულ უფრო იქით და იქით რომ გვიწევს სიყვარულის სიხარულს, რათა ჩვენ — ნელებს — შესაძლებლობა მოგვცეს, გამოვცადოთ და განვახორციელოთ მთელი ძალისხმევა ჩვენი გულისა? ან ეგებ აბელონე ქრისტეს გაურბოდა? ეგებ ეშინოდა შუაგზაზე ქრისტეს არ შეეჩერებინა და მისი სატრფო არ გამხდარიყო? ეგებ ამიტომ იყო, რომ არ სიამოვნებდა იული რევენტლოვის გახსენება?

თითქმის მჯერა: ქრისტეს წყალობით, რომელიც ღმერთს ააღვილებს, დაეშვა ფრთები ისეთი უბრალო და ძლიერი მეტრფისა. როგორიც იყო მეჰტილდა[99] ისეთი შმაგისა, როგორიც გახლდათ ტერეზა ფონ ავილა[100] და ტკივილადქცეული ნეტარი როზე ფონ ლიმასი[101]. მათ დათმეს, საპასუხო სიყვარულით დადრეკილებმა. ო, ის, ვინც შემწე იყო სუსტთათვის, უსამართლობად ევლინებოდა ძლიერთა გულებს: სადაც ესენი, სიყვარულით დაძრულები, შორი გზის გარდა აღარაფერს აღარ ელოდნენ. იგი ეგებებოდა ზეცის დაძაბულ წინკარში, ანებივრებდა მათ თავშესაფარით და თავგზას უბნევდა თავისი მამრობით. მისი მძლავრადგამპობი გულის ლიწზა კიდევ ერთხელ კრებს მათი გულების უკვე პარალელურ ორ ჭავლს, ისევ აერთებს, და ისინიც, უკვე ანგელოზთ რომ შესცქეროდნენ და ღმერთი ეგონათ, იფერფლებიან მონატრებისა და ლტოლვის გვალვაში.

[1] (სატრფოდყოფნა — დაწვაა, სიყვარული კი — ნათება დაუშრეტელი ზეთით. სატრფოდქცევა — წარმავლობაა, სიყვარული კი — მარადისი ყოფიერება).

შესაძლოა, აბელონემ მოგვიანებით სცადა კიდეც გულით ეაზ-

---

[1] ხელნაწერში კიდეზეა მიწერილი. (რილკეს შენიშვნა).

როვნა, რათა შეუმჩნეველად და უბრალოდ დაკავშირებოდა ღმერთს. შემიძლია წარმოვიდგინო, რომ წერილებიც არსებობს მისი, რომლებიც გვიმეღავნებენ ისეთ დაკვირვებულ შინაგან მზერას, თავადვ ქალის ამალია გოლიცინას[102] წერილებში რომ გვეგებება, მაგრამ, თუკი ეს წერილები ვინმე კაცისადმია მიმართული, რომელთანაც აბელონე წლების განმავლობაში ახლოს იყო, როგორ დაიტანჯებოდა ის ადამიანი ამ წერილების თანდათანობით ფერისცვალებით! და თავად აბელონე: მე მგონი, მას ყველაზე უფრო ეშინოდა ამ სხვადქცევისა, რასაც ჩვეულებრივ ვერ ამჩნევენ ხოლმე, რადგან მის დამამტკიცებელ ყოველგვარ საბუთს, როგორც ყველაზე უცხო საგანს, მუდმივად ხელიდან უშვებენ.

●

ძნელად თუ ვინმე გადამარწმუნებს, რომ ძე შეცთომილის ლეგენდა არ არის ამბავი იმ კაცისა, რომელსაც არ სურდა. ვინმეს ყვარებოდა. როდესაც ბავშვი იყო, შინ ყველას ეყვარდა, იზრდებოდა, მხოლოდ ასეთი ცხოვრება იცოდა და ეჩვეოდა თავისიანთა ვულის სილბოს, რადგანაც ბავშვი იყო. მაგრამ. ბიჭს უკვე ეწადა ეს შეჩვევა და ჩვეულება თავიდან მოეშორებინა. ამას ხმამაღლა ხომ ვერ იტყოდა, მაგრამ, ამიტომ იყო, მთელი დღე გარეთ მარტოდმარტო რომ ეხეტებოდა, და ძაღლებიც კი აღარ სურდა ჰყოლოდა ვერდით, რადგან მათაც უყვარდათ ბიჭი: რადგან ძაღლების მზერაშიც მუდამ დაკვირვება იკითხებოდა, თანაგრძნობა, ზრუნვა, ლოდინი და მათ წინაშეც ვერაფერს მოიმოქმედებდი, რომ ან სიხარული არ მიგეყენებინა ან მწუხარება. ხოლო რაც ბიჭს უკვე მაშინ სწყუროდა, ეს გახლდათ თავისი გულის შინაგანი განურჩევლობა. ეს განცდა ზოგჯერ დილასისხამზე ისეთი სიწმინდით ეუფლებოდა ხოლმე მინდვრებში. რომ ყმაწვილი სირბილს იწყებდა. რათა არ ჰყოფნოდა დრო და სუნთქვა, ყოფილიყო იმაზე მეტი. ვიდრე ერთი მსუბუქი წუთია, წუთი, როცა დილას ეგებება ჩვენი შეგნება.

ჯერ არყოფილი მისი ცხოვრების საიდუმლო იშლებოდა და იერცობოდა ბიჭის წინაშე. უნებურად გადარბოდა ბილიკიდან და შეგულ მინდორში მიგელავდა მკლავებგაშლილი. თითქოს სურს ყველა გზა და მიმართულება ერთდროულად დაიტიოსო. მერე კი სადღაც ღობის იქით მიეგდებოდა და ყურადღებას არავინ აქცევდა.

სალამური გამოითალა, ქვას ესროდა რომელიმე პატარა ნადირს, იკუზებოდა და ხოჭოს აიძულებდა ზურგზე გადაბრუნებულიყო. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ არ იყო ბედისწერა, და ცანიც ისევე განურჩევლად მიედინებოდნენ მის თავზე, როგორც მთელი ბუნების ზემოთ. ბოლოს დგებოდა ნაშუადღევი. და ბიჭი რაღას არ იგონებდა. აი, მეკობრე იყო კუნძულ ტორტუგაზე, და არავინ ავალდებულებდა ის ყოფილიყო, აი, კამპეჩეს[103] იღებდა ბრძოლით, იპყრობდა ვერაკრუსს; შეეძლო მთელ ლაშქრად წარმოედგინა თავი ან ცხენზე აბზეკრებულ, დიდ წინამძღოლად ანდა ხომალდად შუაგულ ზღვაში და ყველაფრად, რადაც თავს გრძნობდა, და თუ გააზსენდებოდა, და დაიჩოქებდა, დეოდატ დე გოზონი[104] ხდებოდა, ურჩხულს ამარცხებდა და ავარვარებული ისმენდა, ეს გმირობა ცუდმედიდურობა და ურჩობაა, რადგან მან ეს საქმე ბოლომდე მიიყვანა. და თუმცა უსასრულოდ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს უმკვეთრესი სურათ-ხატები, შიგადაშიგ მაინც ახერხებდა, ჩიტი ყოფილიყო, ერთი პატარა, უბრალო ჩიტი, სულ ერთია, რომელი. ეს იყო მხოლოდ: ბოლოს მაინც სახლის გზას უნდა გასდგომოდა.

ღმერთო ჩემო. ახლა რამდენი რამ უნდა დაევიწყებინა! წინააღმდეგ შემთხვევაში თავს გასცემდა, როცა ოჯახის წევრები მიესეოდნენ. ეჰ, რამდენიც არ უნდა მდგარიყო ჭიშკართან, აქეთ-იქით ეცქირა და ფეხი ეთრია, ბოლოს ხომ მაინც უნდა შეეღო კარი. და აი, სახლი პირველივე ფანჯარას თვალივით აჭყეტდა და შეესცქეროდა. რა თქმა უნდა, იქ ვიღაც იდგა. ძაღლები, რომელთა მოლოდინიც მთელი დღე იზრდებოდა, ბუჩქებიდან გამოცვივდებოდნენ, მიაწყდებოდნენ და ბიჭს აიძულებდნენ ის გამხდარიყო, ვინც თვითონ ეგონათ. დანარჩენს კი ოჯახი გააკეთებდა. აი, შეაბიჯებს თუ არა სახლის სავსე, შეჩვეულ ოხშივარში, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილი იქნება. რაღაც წვრილმანები შეიძლება სხვაგვარად მოხდეს, მაგრამ ძირითადად მაინც ის ადამიანი გახდება ისევ, რა ადამიანადაც თვლიან შინაურები, ის სულიერი, ვისაც ხანმოკლე წარსულიდან და თავიანთი სურვილებიდან რაღაც ცხოვრება შეუქმნეს და მიუსაჯეს, საერთო არსება, რომელსაც დღედაღამ თავიანთ სიყვარულს შთააგონებენ, და ვინც დგას ასე მათი იმედითა და ეშვებშიშებით, შექებითა და კიცხვა-ტუქსვით გარშემორტყმული.

და აბა, ასეთს რაღას არგია, ფეხაკრეფით რომ ადის კიბეზე.

ყველანი შუა ოთახში იქნებიან და კარი შეიღება თუ არა, მაშინვე ერთად გამოხედავენ. ბიჭი კი სიბნელეში რჩება. სურს იქ დაუცადოს იმათ შეკითხვებს. მაგრამ აი, ყველაზე აუტანელი წუთიც: ხელს ჰკიდებენ და მაგიდასთან მიჰყავთ, და თავად ყველანი ლამპასთან აისვეტებიან ცნობისწადილით. ამათ რა ენაღვლებათ, მათი სახეები ზემოთაა სიბნელეში და მხოლოდ მას მოიცავს ლამპის შუქი და სირცხვილი, რომ სახე გააჩნია.

აგრე დარჩება ამათთან ერთად და გაავრძელებს არანამდვილი ცხოვრების ტყუილს? განაგრძობს ცხოვრებას, მას რომ დაუწესეს და მიაწერეს, და თანდათან სახითაც კი დაემსგავსება ყველა ახლობელს? მუდამ აგრე უნდა გაიყოს თავისი ნების ნაზ სიმართლესა და ტლანქ ტყუილს შორის, იმ სიმართლეს რომ უმახინჯებს? ნუთუ ფარ-ხმალს დაჰყრის და ხელს აიღებს თავის სურვილზე. გახდეს ის, ვინც ვნება უნდა მოუტანოს თავისიანებს, რომელთაც ჯერჯერობით მხოლოდ ჩვილი გული გააჩნიათ და სხვა არაფერი?

არა, ის წავა. დასტოვებს კერას. თუნდაც მაშინ, როცა ყველანი ფაციფუცში არიან და აპირებენ დაბადების დღეს ყოვლად შეუფერებელი საჩუქრებით აუვსონ მაგიდა, საჩუქრებით, რომელთა დანიშნულებაა კიდევ ერთხელ გამოასწორონ საქმე და გადაასწორონ წინაალმდეგობა-განსხვავებანი. წავა სამუდამოდ. და მხოლოდ გვიან, ძალიან გვიან მიხვდება იგი, რა ძლიერ ჰქონდა განზრახული ყმაწვილობისას, რომ არავინ არ ჰყვარებოდა, რათა არავისთვის დაეტეხა თავს ის საშინელება, სხვისგან მომდინარე სიყვარული რომ ატეხს ადამიანს. ეს წლების შემდეგ გაახსენდება და დაინახავს: მრავალი სხვა სურვილივით ესეც ვერა და ვერ განხორციელდა. რადგან იმ თავის მარტოობაშიც მას ისევ უყვარდა, მაინც უყვარდა, და სიყვარულს ვერ იშორებდა: ყოველი ახალი სიყვარულისას მთელ თავის არსებას უნაშთოდ ფლანგავდა და თან შიშობდა, სხვისთვის თავისუფლება არ წაერთმია. ძალიან ნელა, თანდათან ისწავლა, რომ საყვარელი საგანი თავისი განცდის გიზგიზა ჭავლით კი არ დაეფლითა, არამედ გაენათებინა. და ის გაანებივრა თავზესაყრელმა აღტაცებამ: ნათელდაფენილ სატრფოს მშვირვალე სახების წყალობით ვეება სივრცეებს რომ შეიცნობდა, სივრცეებს, რომლებიც სატრფომ შეაგება მის უზარმაზარ სურვილს ფ ლ ო ბ ი ს ა ს.

როგორ შეეძლო ღამღამობით კიდევ ეტირა წყურვილისაგან: ნეტავ მეც დამაფინოს ვინმემ თავისი სიყვარულის შუქ-ნათელიო!

მაგრამ სატრფო, რომელიც ნებდება, განა მეტრფეა? ო, უნუგეშო ღამეები, როცა ის თავის მიერ გაცემული მადლის ნაკადებს ნაკუწ-ნაკუწ იღებდა უკან, დამძიმებულს წარმავლობით. ო, როგორ ჩაუფიქრდა მაშინ იგი ტრუბადურთა დიად მაგალითს. მათ ხომ ყველაზე უფრო ის აშინებდათ, რომ სატრფოს შეიძლებოდა შეეცვლინა მათი ღაღადი! და იგი მთელ მოპოვებულ ნამატ თანხას იძლეოდა დაუზოგავად, ოღონდ კი საპასუხო სიყვარული ჯერ არ სწვეოდა. იგი შეურაცხყოფას აყენებდა სატრფოს ამ უხეში საფასურით, რადგან ეშინოდა: სატრფო მის სიყვარულს არ შეგებებოდა; რადგან უკვე აღარ ჰქონდა იმედი, რომ შეხვდებოდა ისეთ მეტრფე ქალს, რომელიც მას შინაგანად დაანაცრებდა.

იმ ხანებშიც კი, როცა სიღატაკე ყოველდღიურად სულ უფრო მეტის დაუნდობლობით ეტანებოდა, როცა მის თმაგახუნებულ თავს სიდუხჭირე საყვარელი ნივთივით მუდამ თან დაათრევდა, როდესაც ტანზე ჩირქოვანი იარები მომოეფინა, იარები, იძულებითი თვალებივით რომ გახელილიყვნენ განსაცდელის ღამის პირისპირ, როცა ზარავდა უწმინდურება, სადაც მიაგდეს, რადგან თვითონაც უწმინდურებას მოჰგავდა უკვე: იმ ხანებშიც კი, გონს რომ მოდიოდა, უდიდეს საშინელებად მაინც ის ეჩვენებოდა: ჩემს სიყვარულს სიყვარულით არ უპასუხონო. აბა რა იყო მას შემდეგ მოსულ წყვდიადთა წყება იმ მოხვევნათა შედეგებულ ნაღველთან შედარებით, როცა ყველაფერს მკლავებში კარგავდა? განა იმ გრძნობით არ ახელდა თვალს, რომ წინ მისხალი მომავალიც აღარა ჰქონდა? განა უაზროდ არ დაბორიალებდა, სიყვარულით გულნაჯერები, რადგან დაჰკარგვოდა ყველანაირი ხიფათის ნება? განა ათასჯერ არ უნდა მიეცა პირობა სატრფოსათვის, არ მოეკვდებიო: ალბათ, ამ უკეთური მოგონების სიჯიუტე და ახირება გახლდათ, დაბრუნებიდან დაბრუნებამდე ესაზრდოებინა და შეენარჩუნებინა ამ კაცის სხეული, ბინძურ ნაყარნუყარში მაინც რომ განაგრძობდა არსებობას მისი ცხოვრების ნება-სურვილით. და ბოლოს ისევ იპოვეს მარტოსული და მხოლოდ მაშინ, მწყემსობის წლებში დამშვიდდა მისი ვრცელი წარსული.

ვინ აღწერს, რა ემართებოდა მაშინ? რომელი პოეტი დაიჟინებს რომ შეუძლია მისი მაშინდელი დღეების სიგრძე ჩატიოს ერთი ცხოვრების ხანმოკლეობაში? რომელ ხელოვნებას ხელეწიფება ერთდროულად გამოიხმოს ამ კაცის თხელი, მოსასხამში გამოკრული, სუსტი სხეული და მისი სულის უზარმაზარ ღამეთა სივრცე?

მისი ცხოვრების ეს მონაკვეთი იმით დაიწყო, რომ იგი თავს რაღაც ზოგად და ანონიმურ არსებად გრძნობდა, როგორც სნეული, შეფერხებებით რომ ჯანმრთელდება. მას არაფერი აღარ უყვარდა, თუ არ ჩავთვლით, რომ ყოფნა უყვარდა. თავისი ცხვრების დაბალი სიყვარული არ ეხებოდა, როგორც სინათლე ლრუბლებშორის მიმოფანტული, ის სიყვარულიც ირგვლივ აგრეიბნეოდა და რბილად ციმციმებდა მინდორ-ველებზე. მათი შიმშილის უცოდველ კვალს ადევნებული, ის მიაბიჯებდა შორს, ამ ქვეყნის დიდ საძოვრებზე. უცხონი ხედავდნენ მას აკროპოლისზე. ეგებ ქალაქ ბოს[106] მწყემსებშიც ერია ერთ ხანს, და იხილა როგორ იგერიებდა ბოს პრინცების მაღალი მოდგმა გაქვავებულ ჟამს, მოდგმა, რომელიც შვიდისა და სამის მთელი ძალისხმევით ცდილობდა დაემარცხებინა თავისი ვარსკვლავის ავბედითი თექვსმეტი სხივი[107]. ან ეგებ ორანეში უნდა წარმოვიდგინო, ტრიუმფალურ თაღს მიყრდნობილი? ეგებ იქ უნდა დავინახო სულებით დასახლებულ ჩეროებში ელისეისა, სადაც ჭრიჭინას ადევნებს მზერას საფლავებშორის, რომლებიც ისე დაღებულან, ვით საფლავები მკვდრეთით ალმდგართა?

სულ ერთია სად, მე უფრო მეტს ვხედავ, ვიდრე თვითონაა. მე ვხედავ მის ყოფიერებას, რომელიც შეუდგა ხანგრძლივ სიყვარულს ღმერთისადმი, ჩუმ, გარინდებულ, უმიზნო საქმეს. რადგან იგი, ვინც სამუდამო თავდაკოებას ელტვოდა მუდამ, კიდევ ერთხელ შეიპყრო თავისი გულის ს ხ ვ ა გ ვ ა რ ა დ ყ ო ფ ნ ი ს სულ უფრო მზარდმა ვ ე რ შ ე მ ძ ლ ე ო ბ ა მ. ამჯერად კი მას იმედი ჰქონდა, რომ შეისმენდნენ. მთელი არსება, ხანგრძლივ მარტოობაში შეუმცდარი წინათგრძნობა რომ შეეძინა, ჰპირდებოდა: მ ა ს, ვისაც ახლა გულისხმობდა, ესმოდა სიყვარული, შეეძლო ჰყვარებოდა გამსჭვალავი, სხივოსანი გზნებით. მაგრამ როდესაც მოინატრა, ნეტავ როდის შემიყვარებენ ეგზომ დიდოსტატურადო, სიშორეებს გაჩვეული მისი გუმანი ჩასწვდა უკიდურეს მანძილს ღმერთამდე. დადგა ღამეები, როცა ეგონა, რომ სული ღმერთისკენ ასტყორცნა სივრცეში; ალმოჩენებით სავსე საათები; როდესაც გრძნობდა, რომ შეეძლო იმ სიმაღლიდან დედამიწისკენ დაშვებულიყო და თავისი გულის ქარიშხლებით ზეაეტაცა. იმ კაცსა ჰგავდა, რაღაც დიდებული ენა რომ ესმის და სიცხიანივით ლამობს ამ ენაზე ლექსების შეთხზვას. მაგრამ ჯერ წინ უცდიდა გაოგნება, როცა მიხვდებოდა,

თუ რა ძნელი იყო ეს ენა. ჯერ არც კი სურდა დაეჯერებინა, რომ მთელი გრძელი ცხოვრება დასჭირდებოდა პირველი. მოკლე. უაზრო წინადადებების შედგენას. ისე გაიჭრა სწავლის ძნელ გზაზე, როგორც მორბენალი სარბენ ბილიკზე. მაგრამ იგი შეანელა შესასწავლი საგნის სიმკვრივემ. ძნელი წარმოსადგენია უფრო დიდი რუდუნება და თვინიერება, რაც მისი სწავლის დასაწყისს ახლდა. მას სიბრძნის ქვა ჰქონდა ნაპოვნი და აი, აიძულებდნენ, თავისი ბედნიერების აგრე სწრაფად დამზადებული ოქრო განუწყვეტლივ გადაექცია მოთმინების შეკუმშულ ტყვიად. და კაცი, ვინც ვეება სივრცეებს შეთვისებოდა, ახლა მატლივით მიცოცავდა მიხვეულ-მოხვეულ ბნელ გვირაბებში, არც მიმართულება იცოდა და არც გამოსასვლელი. და აი, ახლა, რაკი ეგოდენი წვითა და დაგვით სწავლობდა სიყვარულს, ეჩვენა: რა დაუდევარი და კნინი იყო ყველა წარსული სიყვარული, და რომ, არც ერთი მათგანისაგან არაფერი არ გამოვიდოდა, რადგან აქამდე მას არ ეცადა: სიყვარული მძიმე სამუშაოდ გადაექცია და ეს სამუშაო აღესრულებინა.

იმხანად მის სულში დიდი ცვლილებები ხდებოდა: ლამის თვით ღმერთი გადაავიწყდა დაუნდობელ მუშაობაში, რომლის მიზანიც ღმერთთან მიახლოვება იყო. და ყველაფერი, რის მიღწევასაც, ალბათ, დროთა განმავლობაში იმედოვნებდა ღმერთთან, ახლა ამ ჭეშმარიტებად ქცეულიყო: „sa patience de supporter une âme“ [108]. ადამიანთათვის ეგზომ მნიშვნელოვანი და მრავალისმეტყველი — შემთხვევები ბედისწერისა დიდ-ხანი იყო. რაც ანამოსწყდა იმის ცხოვრებას, მაგრამ დაიკარგა ის ყველაფერიც. სიხარულსა და ტანჯვა-ტკივილს რაც სჭირდებოდა: საკმაზის ვემო, და დაიწმინდა და საკვებად ვარგისი გახდა მისი სულისთვის. მისი ყოფიერების ფესვებიდან ამოიზარდა სულ სხვაგვარი — ნაყოფიერი სიხარულის ნაზამთრალი, გამძლე მცენარე. მთლიანად ჩაიძირა ამ სიხარულში, რათა დაუფლებოდა იმას. რასაც მისი ფუტკრისებრი რუდუნება ელტვოდა. მას არ უნდოდა რაიმეზე გადამხტარიყო, გამოეტოვებინა, რადგან ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ყველაფერში მისი სიყვარული სახლობდა და იზრდებოდა. შინაგანი თვითფლობა ისე გაუძლიერდა, რომ გადაწყვიტა: განეხორციელებინა უმთავრესი საქმე, რის განხორციელებასაც ადრე ვერ შესძლებდა. ბავშვობა ჰქონდა მხედველობაში. რაც უფრო მშვიდად ფიქრობდა ბავშვობაზე, მით უფრო განუხორციელებელი ეჩვენებოდა იგი;

ბავშვობის მოგონებებს წინათგრძნობის ბუნდოვანება ეფინათ, და სწორედ იმიტომ, რომ წარსულად ითვლებოდნენ, მომავლის სახე ჰქონდათ მიღებული. უნდოდა ბავშვობის მძიმე სამყარო ისევ თავის თავზე აეღო. აი, ეს იყო მიზეზი გაუცხოებულის შინ დაბრუნებისა. არ ვიცით, შინ დარჩა იგი თუ არა. ვიცით, რომ დაბრუნდა.

ხსენებული ამბის მთხრობელნი ცდილობენ ამ ადგილას სახლი გაგვახსენონ, სახლი — ისეთი როგორიც იყო. რადგან იმ სახლში ცოტა დროს გაევლო მხოლოდ, მცირეოდენ დათვლილ დროს. ცხადია, სახლის ყველა ბინადარს შეეძლო ეთქვა, რა ხანმა განვლო. ძაღლები დაბერდნენ, მაგრამ ცოცხლობდნენ. გვიამბობენ, ერთმა მათგანმა კიდეც შეჰყმუვლაო. ყოველდღიური საქმიანობა უეცრად შედგა. აი, სახეები ჩნდებიან ფანჯრებში. დაბერებული, მოწიფული თუ ნორჩი სახეები, გულისამაჩუყებლად რომ წააგვანან ერთიმეორეს. და ერთ-ერთმა ყველაზე ხნიერმა სახემ უეცარი გადაფითრებით გამოხატა: რომ იცნო მისული. ცნობა? ნუთუ მხოლოდ ცნობა იყო ეს? არა — პატიება. პატიება? კი მაგრამ, რა საფუძველზე? — სიყვარულის. ღმერთო ჩემო! მას, ვინც იცნეს, აშაზე სულ აღარ უფიქრია, ეგზომ დატვირთული იყო მთელი ის ხანი. აღარ უფიქრია რომ სიყვარული ისევ შეიძლება არსებულიყო. გასაგებია. რომ ყველაფრიდან, რაც იქ ხდებოდა, მხოლოდ ეს გადმოგვცეს: დაბრუნებულის მოძრაობები. მისი გაუგონარი ჟესტები, იქამდე რომ არავის ენახა: უსაზღვრო ვედრების გამომხატველი აპყრობა ხელთა, როცა ის მათ ფერხთით დავარდა და შეჰღაღადა: ნუღარ, ნუღარ გეყვარებითო. დამფრთხალმა შინაურებმა ააყენეს დაჩოქილი და გულში ჩაიკრეს. მისი სიშმაგე თავისებურად ახსნეს და მიუტევეს. და აი, მაშინ, ალბათ, ენით აღუწერელი თავისუფლება იგრძნო მისულმა: რომ დამხვდურებმა ვერ გაუგეს, ვერ გაუგეს, მისი საქციელის სასოწარკვეთილი ერთაზროვნების მიუხედავად. ახლა კი შეეძლო დარჩენილიყო. რადგან დღითი დღე რწმუნდებოდა, რომ ოჯახის წევრთა სიყვარული მას აღარ ეხებოდა, სიყვარული, რითაც აგრე მოჰქონდათ თავი და რისკენაც ერთმანეთს ფარულად აქეზებდნენ. ალბათ თითქმის ეღიმებოდა, მათ მოწადინებას როცა ხედავდა. ცხადი იყო: შინაურნი მას აღარ გულისხმობდნენ.

აბა, რა იცოდნენ, ვინ იდგა მათ წინ. დაბრუნებულის სიყვარული ახლა ძალიან ძნელი იყო და გრძნობდა კაცი: მხოლოდ ი ვ ე რ თ ს შესწევდა ძალა, ის ყვარებოდა. მ ა ს კი ჯერ არ სურდა.

შენიშვნები

I ნაწილი

1. ტულიეს ქუჩა — ქუჩა პარიზის ცენტრში, სადაც რილკე დასახლდა პარიზში პირველად ჩასვლისას, 1902 წლის აგვისტოში.
2. ვალ-დე-გრასი — (ფრანგ.) სიტყვასიტყვით: „მოწყალების ველი", მონასტერი და სამხედრო ჰოსპიტალი.
3. Ah tais-tois, je ne veux plus (ფრანგ.) — ო, გაჩუმდი, აღარ მინდა.
4. Nôtel-Dieu — (ფრანგ.) სიტყვასიტყვით: „ღმერთის თავშესაფარი": პარიზის და თვით ევროპის უძველესი საავადმყოფო, აშენებული VII საუკუნეში.
5. საგანის ჰერცოგი — ოცდაათწლიანი ომის გერმანელი მხედართმთავრის ალბრეჰტ ვალენშტაინის ერთ-ერთი, იშვიათად ხსენებული ტიტული. უფრო ცნობილია მისი ტიტული: ჰერცოგი ფრიდლენდერი.
6. მადამ ლეგრანი — მეძველმანე ტანჯულთ ქუჩიდან—სიკვდილის მეტაფორა.
7. მეფე ქლოდვიგი — (დაახლ. 466—511) ფრანკთა მეფე მეროვინგების გვარიდან, ფრანკთა სამეფოს დამაარსებელი.
8. Voila votre mort, monsieur (ფრანგ.) — ინებეთ თქვენი სიკვდილი, ბატონო.
9. სევრული ფაიფური — სევრი, ქალაქი პარიზის მახლობლად.
10. ტიულრის ბაღი — ბაღი პარიზში, ლუვრსა და თანხმობის მოედანს შორის.
11. იგულისხმება ახალი — მთვარე. რომელიც ხალხში გავრცელებული შეხედულებით, ამინდს განსაზღვრავს.
12. Pont-neuf — (ფრანგ.) — „ახალი ხიდი" ხიდი მდინარე სენაზე. პარიზის ხიდებიდან უძველესი.
13. როგორც სახე მანეს ნახატზე — ედუარდ მანე (1832—1883) ფრანგი მხატვარი.
14. ვიტორე კარპაჩო (დაახლ. 1455—1525) აღორძინების ეპოქის ვენეციელი მხატვარი, ავტორი ცნობილი ციკლისა „წმინდა ურსულას ცხოვრება". რილკე აპირებდა მასზე მონოგრაფიის დაწერას.
15. ფრიდრიპ IV — დანიის მეფე (1699—1730).
16. როსკილლე — XIII საუკუნის ტაძარი, სადაც მდებარეობს დანიის სამეფო გვარის აკლდამა.
17. ვერლენი — პოლ ვერლენი (1844—1896) დიდი ფრანგი პოეტი, რომელიც რილკეს გამორჩეულად უყვარდა.

18. მაგრამ ეს სულ სხვ — პოეტია — იგულისხმება ფრანგი პოეტი ფრანსის ჟამი (1868—1938) რომელიც უმეტესად მშობ-ლიური პირენეის მთებში ცხოვრობდა.

19. Chou-fleur — (ფრანგ.) — ყვავილოვანი კომბოსტო.

20. têtes-de moineau — (ფრანგ.) — სიტყვასიტყვით „ბეღურის თავები", ქვანახშირის სახეობა, დაბალი ხარისხის.

21. დიუვალი — ერთ-ერთი იმ პარიზულ კაფეთაგან, რომელთაც კარგი რეპუტაცია აქვთ. 'ფრანგი არქიტექტორის შარლ დიუვალის (1800—1876) სახელის მიხედვით, რომლის პროექტებითაც აიგო უამრავი ასეთი კაფე.

22. Meiontent e tous... (ნაწყვეტი, ბოდლერის „ლექსები პროზად". „უკმაყოფილოს ყველათი და საკუთარ თავით, მსურს გავამართლო საკუთარი არსებობა და აღვივსო ღირსების გრძნობით სიჩუმესა და ღამისეულ მარტოობაში. ო, თქვენ, სულებო, ვინც მე მიყვარდით, ო, სულნო მათთა, ვისაც გიმღერდით, განმამტკიცეთ, დამიფარეთ და განმარიდეთ უკეთური ოხშივარი ამა ქყვეყნისა. და შენ უფალო, ღმერთო ჩემო, მოიღე მადლი, რომ შევქმნა ერთი-ორი კეთილი ლექსი, რომელიც მე დამიმტკიცებს, რომ არა ვარ კაცთა შორის უკანასკნელი და მათზე უარესი, რომელნიც დავგმე და შევიძულე").

23. „ძეზი უმეცართა და უპატიოთა"... ბიბლია, წიგნი იობისა, 30, 8—31.

24. სალპეტრიერი — ნერვულ ავადმყოფთა კლინიკა პარიზში.

25. Chapeau á huit reflets— (ფრანგ.) მოდური, ელეგანტური (აბრეშუმის მბზინავი) შლაპა.

26. S'il vous plaît (ფრანგ.) — გთხოვთ.

27. „Riez Mais riez, riez(ფრანგ.) — გაიცინეთ. კი მაგრამ გაიცინეთ, გაიცინეთ".

28. „Ditez-nous le mot; avant (ფრანგ.) — „გვითხარით სიტყვა „წინ" („ადრე")... — არაფერი არ ისმის, კიდევ ერთხელ".

29. რადგან წმინდანი ვიხილე პანთეონში... — პარიზის პანთეონი თავდაპირველად წარმოადგენდა წმინდა ჟენევიევას ეკლესიას. გადმოცემით, წმინდანმა იხსნა ქალაქი ჰუნების თავდასხმისაგან. ეს პასაჟი წარმოადგენს ფრანგ მხატვარ-მონუმენტალისტის პიერ პიუვი დე შავანის (1824—1898) ნახატის აღწერას.

30. Une charogne — (ფრანგ.) „ლეში" ბოდლერის ცნობილი ლექსი ციკლიდან „ბოროტების ყვავილები", რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა რილკეს პოეტიკაზე, მის ესთეტიკურ მრწამსზე.

31. „Sait-Julien —l'Hospitaller — (ფრანგ.) „წმინდა ჟულიენ მფარველი“ იგულისხმება ფლობერის „ლეგენდა წმინდა ჟიულიენზე — მფარველზე“, რომელსაც პაგიოგრაფიული საფუძველი აქვს — ეს არის ამბავი მორწმუნე ადამიანისა, რომელმაც კეთროვანი მიიწვინა გვერდზე, რათა გაეთბო იგი.

32. კაცის სახე... — აქედან მთელი პასაჟი მიმართულია ბეთჰოვენისადმი.

33. თებაისი — მხარე ზემო ეგვიპტეში.

34. ონანი — ბიბლიური პერსონაჟი.

35. Courage de luxe — (ფრანგ.) ირონიული: გაუგონარი გაბედულება.

36. მეფის მასხარა, ლუდოვიკ XI — კარლოს მამაცის მიერ მასხარასთვის შესენი (1828—1906) რომელსაც რილკე დიდ პატივს სცემდა.

37. და შენ აღმოჩნდი ცეცხლის შუაზე კოლბათა შორის — მინიშნებულია იმ გარემოებაზე, რომ ახალგაზრდა იბსენი ექვსი წლის განმავლობაში იყო მეაფთიაქის თანაშემწე.

38. კავალერი — ძაღლის სახელი.

39. სპილოს ორდენი — რაინდთა პირველი ორდენი დანიაში. 1459 წელს განაახლა ქრისტიან I-მა და რომის პაპის ბულით დამტკიცდა, როგორც „ქალწულ მარიამის ძმობა“. როგორც ჩანს, მალტეს მამა სპილოს ორდენის კავალერი იყო.

40. საცეკვაო ბარათი — პატარა ფურცელი, რომელზედაც არისტოკრატი ქალები წერდნენ იმ კავალერთა სახელებს, რომელთაც ამა თუ იმ ცეკვას შეპირდნენ.

41. ადმირალი იუელი — იენს იუელი, დანიელი ადმირალი (1631—1700).

42. დანებროგის ორდენი — დანებროგი — დანიის სახელმწიფო დროშა, ლეგენდის მიხედვით 1219 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში ციდან ჩამოეშვა. დანებროგის ორდენი — დანიის მეორე რაინდული ორდენი დააარსა ქრისტიან V-მ 1671 წელს.

43. დომინოები — საკარნავალო კოსტიუმი, კაპიშონიანი განიერი ლაბადა.

44. პიეროები — პიეროს ნიღბები, პიერო-იტალიური ნიღბების თეატრის პერსონაჟი, უნუგეშოდ უყვარდა მსახური ქალი კოლომბინა.

45. ლაფატერი — იოჰან კასპარ ლაფატერი (1741—1801) შვეიცარელი მწერალი და თეოლოგი.

46. ქრისტიან IV — დანიის მეფე (1577—1648).

47. ნიმეგენის კონგრესი — იგულისხმება ნიმეგენის სამშვიდობო მოლაპარაკებანი 1678—79 წლებში, რომელმაც წერტილი დაუსვა ე. წ. ჰოლანდიურ ომს. ხელმოწერილ იქნა ნიმეგენში (ახლანდელი ნეიმგენი, ნიდერლანდები).

48. გრუბბე... ბილლე... როზენკრანცი... გიულდენლიოვე — XVII საუკუნის დანიელ არისტოკრატთა გვარები.

49. ... ვერცხლისფერი სვეტი მრუმე მინდორზე — ბრაუთა საგვარეულოს რეალური ღერბის აღწერა.

50. განა ეს ის ერიკ ბრაე არ არის?.. — აქ იგულისხმება შვედი გრაფი ერიკ ბრაე (1722—1756), რომელიც დასაჯეს შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

51. ფელიქს ლიხნოვსკი — თავადი ფელიქს ლიხნოვსკი (1814—48) ფრანკფურტის ნაციონალური კრების დეპუტატი, მოკლეს აჯანყების დროს 1848 წელს.

52. სორიო — ქალაქი დანიაში.

53. აქ ხალიჩებია, აბელონე... იგულისხმება XVI საუკუნის ექვსი გობელენი ბუსაკების გვარის ძველი ციხე კოშკიდან, რომლებიც დაცულია საფრანგეთის ერთერთ მუზეუმში. მათზე გამოსახულია ქალი მითიურ ცხოველთან ცალეშვასთან (единорог) ეოთად. შუასაუკუნეებში ეს ცხოველი ქალწულებრივი უბიწოების სიმბოლოდ ითვლებოდა. მაშინდელი რწმენით იგი ჩნდებოდა მხოლოდ იმ სარკეში, რომელშიც უბიწო ქალწული ჩაახედებდა.

54. „A mon seul désir„ (ფრანგ.) — „ჩემს ერთადერთ სასურველს“:

II ნაწილი

1. Dame à la licorne (ფრანგ.) — ქალი ცალეშვასთან ერთად.

2. დელე-ვისტები — გობელენები გინკუთვნილი იყო ვინმე კლოდ დე ვისტისათვის, როგორც საქორწინო საჩუქარი.

3. პიერ დ ობიუსონ — (1425—1503) იოანიტების ორდენის დიდი მაგისტრი, ბუსაკის ციხე-კოშკის მფლობელი, სადაც ინახებოდა ხსენებული გობელენები.

4. გასპარა სტამპა — (1523—1554) ვენეციელი პოეტი ქალის სონეტების ციკლში („ლექსები სიყვარულზე“) მისი სიკვდილის შემდეგ რომ გამოქვეყნდა, მან უმღერა თავის სიყვარულს გრაფ კოლალტინო და კოლალტოსადმი.

5. პორტუგალიელი ქალი — იგულისხმება პორტუგალიელი მონაზონი მარიანა ალკოფორადო (1640—1723). 1669 წელს პარიზში გამოქვეყნდა „პორტუგალიური წერილები", სადაც მოთხრობილია ამბავი მისი ტრაგიკული სიყვარულისა მარკიზ დე შამილისადმი. დღესდღეობით მკვლევარნი თვლიან, რომ ეს წერილები სინამდვილეში ეკუთვნის ვიკონტ დე გიიერაგს (1628—1685), რილკე კი მათ პორტუგალიელი მონაზვნის წერილებად მიიჩნევდა და გერმანულად თარგმნა ისინი (1913 წ.).

6. ვალანსენი — ჩხირებით ნაქსოვი მაქმანი ყვავილოვანი ორნამენტით, ასე ეწოდება ჩრდილო-აღმოსავლეთ საფრანგეთის ქალაქ ვალანსენის მიხედვით.

7. ბიწში — ქალაქი ბელგიაში (ბელგია ჩხირებით ნაქსოვი მაქმანების სამშობლოდ ითვლება).

8. გრაფი ბრაე — გერმანულ კომენტატორთა აზრით გრაფ ბრაეს პროტოტიპი უნდა იყოს ჰესენის ლანდგრაფი, რომელიც ხელმძღვანელობდა მისტიკურ-თეოსოფიურ საზოგადოების კოპენჰაგენში და დროდადრო აწყობდა სპირიტიზმის სეანსებს.

9. ბრედგადი — ქუჩა კოპენჰაგენის ცენტრში.

10. გრაფ ბრაეს მემუარები — წარმოადგენს ი. კ. ლაფატერის (1741—1802) ჩანაწერებს, როდესაც იგი მინისტრ გრაფ ანდრეას პეტერ ბერნსტორფის (1723—1797) მიწვევით მონაწილეობდა ჰესენის ლანდგრაფის სპირიტუალურ სეანსებში (1793 წ.) ეს ჩანაწერები რილკეს რომანის ერთ-ერთი წყაროა.

11. სვედენბორგი — ემანუილ სვედენბორგი (1688—1772) შვედი თეოსოფი. ცნობილია მისი თხზულება „ზეცის, ჯოჯოხეთისა და სულთა საუფლოს შესახებ" (1758).

12. ეკერნფიორდე — ქალაქი შლეზვიგ გოლშტანში, სადაც თავისი ცხოვრების ბოლო ოთხი წელი გაატარა ცნობილმა ავანტურისტმა გრაფ სენ ჟერმენმა (1710—1784), რომელსაც ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჰესენის ლანდგრაფთან და მის წრესთან.

13. მარკიზ ფონ ბელმარი — გრაფ სენ ჟერმენის ერთ-ერთი სახელი.

14. Adieu, Madame — (ფრანგ.) ნახვამდის, ქალბატონო,

15. Jardin d'Acclimatation — (ფრანგ.) პარკი გასართობი სანახაობებით, ნაწილობრივ ნადირთა ვოლიერებით (პარიზში).

16. ბერნსტორფული წრე — იგულისხმება მინისტრ გრაფ ანდრეას პეტერ ბერნსტორფის არისტოკრატიული წრე—რევენტლოვებისა და შიმელმანების ოჯახები.

17. იული რეენტლოვი — გრაფინია იული რეენტლოვი (1763—1863)—დაბადებით შიმელმანი, ცნობილი იყო თავისი სილამაზით, სინატიფითა და ღვთისმოსაობით.

18. სტიგმები — ჭრილობები, რომლებიც უჩნდებათ განსაკუთრებით მგრძნობიარე სულის მორწმუნეებს იმ ადგილებზე, სადაც ქრისტეს ლერსმნები ჰქონდა ჩარჭობილი.

19. ლანგელინი, ამალიეგად — ქუჩები კოპენჰაგენის ცენტრში.

20. „.. სიკვდილამდე სამი საათით ადრე..“ — როგორც გერმანელმა კომენტატორმა დაადგინეს, ეს ნაწყვეტი წარმოადგენს თითქმის ზუსტ თარგმანს დანიური ტექსტისა („დანიელ მეფეთა პორტრეტები“), სადაც აღწერილია ქრისტიან IV-ის სიკვდილი.

21. „ო, ექიმო, ექიმო, რა ჰქვია მას?“ — დანიური წესისამებრ, მეფე მესამე პირში მიმართავდა ქვეშევრდომთ. ამიტომ ექიმმა იფიქრა, რომ მეფეს მისი სახელი დავიწყდა და შეახსენა: შპერლინგიო. სინამდვილეში მეფეს ექიმის სახელი კი არა, სიტყვა „სიკვდილი“ დავიწყდა. Döden დანიურად სიკვდილს ნიშნავს.

22. ალექსის ფელიქს არვერი (1806—1850) ფრანგი პოეტი. მისი სიკვდილის ისტორია გახმაურებული ამბავია.

23. ჟან დე დიუ (1495 — 1550) ბერთა ერთ-ერთი ორდენის დამაარსებელი.

24. ...ის გამოგზნებელი ნახატები — გერმანელ კომენტატორთა აზრით აქ შეიძლება იგულისხმებოდეს ბრეიგელის ან ბოსხის ნახატები.

25. გრიშა ოტრეპიევი — ცრუ დიმიტრი I, რომელიც ბოიარებმა მოკლეს 1606 წელს.

26. კარლოს მამაცი — ბურგუნდიის ჰერცოგი (1467 წლიდან) „ევროპის პირველ რაინდად“ წოდებული. მეფის ხელისუფლების მოწინააღმდეგე და ფეოდალური შეუზღუდავობისათვის თავზეხელაღებული მებრძოლი.

27. მარია ნაგაია — ივანე მრისხანეს უკანასკნელი (მეშვიდე) ცოლი. მეფის სიკვდილის შემდეგ (1584) ბოიარებმა გააასახლეს უგლიჩში მცირეწლოვან შვილთან, უფლისწულ დიმიტრისთან ერთად, რომელიც რვა წლის ასაკში დაიღუპა. 1605 წელს მარია ნაგაია ცრუ დიმიტრი I-მა გადასახლებიდან დააბრუნა. მარია ნაგაიამ, რათა ხელისუფლებისათვის სამაგიერო გადაეხადა, ცრუ დიმიტრი ანუ გრიშა ოტრეპიევი საკუთარ შვილად სცნო.

28. მარია მნიშეკი — ცრუ დიმიტრი I-ის საცოლე (შემდეგ ცრუ დიმიტრი II-ისა), დათანხმდა მასთან ქორწინებაზე, რადგან ამ უკანასკნელმა მამამისს აღუთქვა ქალაქები — ნოვგოროდი და ფსკოვი.

29. შუისკი — თავადი ვასილი შუისკი, რომელიც ცრუ დიმიტრი I-ის მოკვდინების შემდეგ მეფე გახდა (1606—10)

30. დიჟონი — ბურგუნდიის საპერეოგოს დედაქალაქი შუასაუკუნეებში (რიღკე დიჟონში იმყოფებოდა 1903 წლის 29 აპრილს გზად ვიარეჯოდან პარიზისაკენ).

31. ქალაქი ლოზანა — ვერ აიღო კარლოს მამაცმა.

32. გრანსონი — ამ ქალაქთან კარლოს მამაცის ჯარი დაამარცხეს შვეიცარიელებმა 1476 წლის 2 მარტს.

33. ურის ბუკები — იგულისხმება შვეიცარიელთა ბუკები (ური შვეიცარიის ერთერთი კანტონია), რომელთა ხმაც ძალზე აღიზიანებდა კარლოს მამაცს, რადგან ახსენებდა დამარცხებას ქალაქ გრანსონთან.

34. ნანსი — ქალაქი ლოტარინგიაში, სადაც კარლოს მამაცი დაამარცხეს ლოტარინგიის ჰერცოგმა და მისმა მოკავშირე შვეიცარიელებმა. იქ დაიღუპა კარლოს მამაცი.

35. გრაფი ფონ კამპო-ბასო — XV საუკუნის იტალიელი კონდოტიერი. ნანსის ბრძოლაში მიატოვა კარლოს მამაცი, რითაც ხელი შეუწყო მის დაღუპვას.

36. მეფის მასხარა, ლუდოვიკ XI — კარლოს მამაცის მიერ მასხარასთვის შერქმეული სახელი ნიშნად იმისა, რომ აბუჩად იგდებდა თავის კუზენსა დ მტერს — საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XI-ს (1461—1483), რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა ცენტრალიზებული სახელმწიფოს შესაქმნელად.

37. ოლივიე დე ლა მარში — (1425—1502) ფრანგი პოეტი და ისტორიკოსი კარლოს მამაცის კარზე.

38. „...რომაელები ხომ არ — გვიდგანან ზურგს უკანო...“ — იგულისხმება ის ფაქტი, რომ ნანსის ბრძოლაში კარლოს მამაცი გასცეს დაქირავებულმა იტალიელმა ჯარისკაცებმა, რომლებიც მოისყიდა ლუდოვიკო XI.

39. იენს ბაგესენ — (1764—1820) დანიელი მწერალი.

40. ადამ ელენშლეგერი — (1779—1850) რომანტიზმის ეპოქის დანიელი მწერალი.

41. შაკ ფონ სტაფელდი (1769 — 1828) დანიელი მწერალი.

42. ბეტინა — ბეტინა ფონ არნიმი (1785—1859) კლემენს ბრენტანოს და ახიმ ფონ არნიმის მეუღლე, გერმანელი მწერალი ქალი, რომანტიზმის ეპოქის მნიშვნელოვანი პიროვნება, უაღრესად ემოციური, ინტუიტური, უშუალო ბუნების ადამიანი. ცნობილია მისი მიმოწერა გოეთესთან („გოეთეს მიმოწერა ბავშვთან“ 1835).

43. „... პათმოსზე ძუძლმოდოეკილი იოანესავით“ — იგულისხმება მოცოქული და მახარობელი იოანე, რომელიც იმპერატორმა გასდევნა კუნძულ პათმოსზე. სადაც მან დაწერა თავისი აპოკალიპსი („გამოცხადება“).

44. ელიოზა — იგულისხმება ფრანგი ფილოსოფოსისა და თეოლოგიის, პიერ აბელიარის (1079—1142) მეუღლე ელიოზა და მისი წერილები აბელიარისადმი, რომელთაც ის სწერდა მონასტრიდან, მას შემდეგ, რაც მოსწყვიტეს თავის მეუღლეს.

45. La presse — (ფრანგ.) — პრესა, გაზეთები.

46. სან სულპიცი — წმინდა სულპიცის ეკლესია პარიზში, ლუქსემბურგის ბაღის ჩრდილოეთით.

47. „ომ ეს სახელმწიფო ამ უბედურის გულისთვის არსებობდა... იგულისხმება: სახელმწიფო წარმოშობს ასეთ ბედკრულ, გაუბედურებულ ადამიანებს, რომლებიც ბედნიერებზე უფრო ახლოს იმყოფებიან ღმერთთან, რადგანაც მათი გრძნობები (ტანჯვა-ტკივილი, შიში) უკიდურესად გამძაფრებულია. ისინი არიან „ღვთის რჩეულნი“, ნამდვილ ყოფიერებაში მდგომნი, განსხვავებით ბედნიერებისა და დალხინებულებისაგან, რომელთა ყოფიერებაც ზედაპირულია.

48. იგულისხმება ჭინა პასკალში აღწერილი გაზეთების გამყიდველი და მისი მსგავსნი — ცხოვრების ფსკერზე მყოფნი, უბედურებისა და ტანჯვისთვის განწირულნი.

49. „...თითქოს ცივი ლამპარი სჭეროდეთ ხელში“ — მათეს სახარება 25,2.

50. „...განა იგი ერთადერთი კაცი არ არის... „— ლაპარაკია საფრანგეთის მეფეზე, კარლოს VI შეშლილზე (1368—1422), რომელსაც ხშირად ჰქონდა სულიერი ავადმყოფობის შეტევები. იგი სულ უფრო და უფრო გაჭლგრილი ხდებოდა თავისი მეფობის მიმართ და ხალხმა მას „საყვარელი მეფე“ შეარქვა, რადგან მან დაიახლოვა მესამე წოდება.

51. კანცლერი ჟან შარლ ჟერსონი (1363—1429) ეკლესიის უდიდესი ქადაგი XIV საუკუნეში, თეოლოგიის პროფესორი პარიზის უნივერსიტეტში.

52. Parva regina — (ლათ.) პატარა დედოფალი. იგულისხმება ნორჩი და თვალწარმტაცი ოდეტა დე შანდიერი, ავადმყოფი მეფის კონკუბინა.

53. ჟან ჟიუვენალ დეზიურსენი (1369—1431) გავლენიანი პოლიტიკოსი კარლოს VI კარზე.

54. „... რომ მისი ძმა მოკლეს...“ — იგულისხმება ლუდოვიკო ორლეანელი, კარლოს VI-ის ძმა, მისი რეგენტი. იგი 1407 წელს მოკლეს დაქირავებულმა მკვლელებმა, რომლებიც მიუგზავნა მეფის ბიძაშვილმა ბურგუნდიის ჰერცოგმა იოანე უშიშარმა (1371—1419).

55. ვალენტინა ვისკონტი — ლუდოვიკო ორლეანელის მეუღლე. იგი მეუღლის სიკვდილის შემდეგ მალე გარდაიცვალა (1408 წელს).

56. კარლოს VI-ს ახსენდება დიდი გამარჯვება ფლამანდიაში, როზბეკთან.

57. ეს ირემი დასიზმრებია ახალგაზრდა კარლოს VI როზბეკის ბრძოლის წინ.

58. სენ დენის ეკლესიაზე — ეკლესია პარიზში, სადაც შუასაუკუნეებში იმყოფებოდა რაღაც „თეატრალური გაერთიანება“ მისტერიათა დასადგმელად (დაარსდა 1402 წელს). ამ გაერთიანებას განსაკუთრებულად მფარველობდა კარლოს VI.

59. ქრისტინე პიზანელი — (1364—1431) იტალიური წარმოშობის ფრანგი მწერალი ქალი. აქ მინიშნებულია მისი წიგნის („ხანგრძლივი სწავლების წლები“, 1402) ზოგიერთი მოტივი.

60. ქრისტინე პიზანელის წიგნში მოთხრობილია სიზმარი, რომელშიც ქალაქ კუმაში მცხოვრები წინასწარმეტყველი ქალი მთავარ გმირს აიყვანს ზეცაზე, სადაც ქვეყნიერების-ოთხი დედოფალი იმაზე კამათობს, თუ ვინ არის საუკეთესო მეფე.

61. იმპერატორი ვენცელი — იგულისხმება ჩეხი მეფე ვაცლავი IV (1378—1419), რომელიც 1400 წლამდე იყო გერმანული იმპერიის იმპერატორი. 1397 წელს კარლოს VI ჩავიდა რაიმსში იმპერატორთან საეკლესიო საკითხებზე მოსალაპარაკებლად.

62. „...ავინიონს კი კარგადიცნობდა“. — 1398 წელს კარლოს VI ჩავიდა ავინიონში, სადაც მას მასპინძლობდა პაპი კლიმენტ VII.

63. „... ავინიონური საქრისტიანოს ხანა იდგა“ — საფრანგეთის მეფე ფილიპ IV ლამაზმა პაპის ტახტზე დასვა ფრანგი არქიეპისკოპოსი და უბრძანა მას ყოფილიყო არა რომში, არამედ პროვანსის ქალაქ ავინიონში ე. წ. „პაპების ავინიონური ტყვეობა“ 1309 წლიდან 1377 წლამდე გრძელდებოდა. შემდეგ კი კათოლიკურმა ეკლესიამ ისევ მოახერხა რეზიდენციის გადატანა ვატიკანში. 1378 წლიდან 1417 წლამდე შუდამ ორი პაპა იყო. ერთი რომში, ერთი ავინიონში. სწორედ ამ დროს მეფობდა კარლოს VI.

64. პაპი იოანე XXII — (1245—1334) ავინიონის მეორე პაპი იყო (1316 წლიდან).

65. ყველა წმინდანის დღე — ყველა წმინდანის მოხსენების კათოლიკური დღესასწაული (I ნოემბერს) ლაპარაკია 1331 წლის ქადაგებაზე.

66. იგულისხმება თავად ოთხმოცდახუთი წლის პაპი.

67. ნაპოლეონ ორსინი — (1263-დაახ. 1342) კარდინალი. პაპ ნიკოლოზ III-ის ნათესავი.

68. იოანე ფონ კაპორი — პაპ იოანე XXII-ის საერო სახელი.

69. გრაფ ფონ ლინის ვაჟი— პიერ დე ლუქსემბურგ-ლინი (1369—1387) შუასაუკუნეების ვუნდერკინდი, რომელიც 17 წლისა უკვე კარდინალი იყო ავინიონში.

70. იგულისხმება შუასაუკუნეები.

71. წმინდა ლუდვიგი — წმინდა ლუდოვიკო (1214—1270) ლუდოვიკო IX, საფრანგეთის მეფე

72. გრაფი ფონ ფუა — გასტონ ფები (1331—1391) ასწლიანი ომის ეპოქის ერთ-ერთი დიდი ფეოდალი, ცნობილი თავისი სისასტიკით.

73. ლურდი — ქალაქი სამხრეთ საფრანგეთში, კათოლიკე პილიგრიმთა ცენტრი.

74. ცელესტინელთა ორდენი— პაპმა ცელესტინმა დააარსა ბერთა უმკაცრესი ორდენი (რომელსაც მისი სახელი ეწოდა).

75 Beau Sire Diu — (ფრანგ.) კეთილი უფალი ღმერთი...

76. ალბა, სირვენტი — შუასაუკუნეებრივი პროვანსული ლირიკის ჟანრები.

77. სამების მონასტერი — საავადმყოფო.

78. მიქელ მთავარანგელოზის ბრძოლა ეშმაკთან შუასაუკუნეების მისტერიათა გავრცელებული თემა იყო.

79. გერმანელ კომენტატორთა ვარაუდით, აქ მეფეს უნდა აგონდებოდეს, თავისი ცხოვრების ერთი ეპიზოდი, როცა ერთ-ერთ საქორწინო ზეიმზე შემთხვევით ხანძარი გაჩნდა და მეფე კინაღამ დაიწვა.

80. ორანჟის თეატრი — რომაული ამფითეატრი ორანჟში (პროვანსი) გვიანანტიკური არქიტექტურის შესანიშნავი ძეგლი მე-2 ს. ჩ. წ. გათვალისწინებული დაახლოებით 7 ათას მაყურებელზე. ამ თეატრის გარეთა (37 მეტრის) კედელს ლუდოვიკო XIV თავისი სამეფოს საუკეთესო კედელი უწოდა. რილკე იქ იყო 1909 წლის შემოდგომაზე.

81. იგულისხმება ელეონორა დუზე (1859—1924) გამოჩენილი იტალიელი მსახიობი, ვისი ხელოვნებაც რილკეს უსაზღვროდ აღაფრთოვანებდა. პირადად გაიცნო 1912 წელს ვენეციაში.

82. ბიბლიდა — მილეტის ასული (მილეტმა დააარსა ქალაქი მილეტი მცირე აზიაში), რომელიც იმდენხანს ტიროდა თაკისი ძმისადმი — კავნოსისადმი ცალმხრივი სიყვარულის გამო, რომ წყაროდ გადაიქცა (ოვიდიუსი, მეტამორფოზები, წიგნი 9).

83. ლიკია — ადგილი მცირე აზიაში ანტიკურ ეპოქაში.

84. გრაფინია უონ დია — ცხოვრობდა XIII საუკუნის დასაწყისში, უყვარდა ტრუბადური რამბაუტ III და უძღვნიდა მას კანცონებს.

85. კლარა დ'ანდუზე — XIII საუკუნის პროვანსელი პოეტი ქალი.

85. ლუიზა ლაბე — (1525—1566) — ლიონის სკოლის ფრანგი პოეტი ქალი. რილკემ თარგმნა მისი 24 სონეტი (1917), სადაც პოეტი ეკამათება სატრფოსთან (როგორც ეკამათებენ პოეტ ოლივიე დე მანისთან) განშორების გამო.

87. მარსელინა დებორდ-ვალმონი (1786—1859)—ფრანგი პოეტი ქალი.

88. ელიზა მერკიორი — (1809—1855) ფრანგი პოეტი ქალი.

89. აიშე — იგულისხმება ავტორი „მადმუაზელ აიშეს წერილები"-სა. არის თუ არა ამ წერილების ავტორი ახალგაზრდა ხერქეზი ქალი, რომელიც განგებამ პარიზის არისტოკრატიულ წრეში მოახვედრა (1695—1733), ჯერჯერობით საკითხავი რჩება. ზოგიერთები ამ წერილებს ანონიმურ ავტორს ეკუთვნებენ.

90. ჟიული ლესპინასი — (1732—1776) ცნობილი იყო, როგორც უაღრესად განათლებული და ღრმა პიროვნება. მის სალონში იმ დროის მრავალი გამოჩენილი ადამიანი იყრიდა თავს.

91. მარი-ანნა დე კლერმონ — (1697—1741) უზომოდ მწუხარებდა და ღრმესულად იტანდა ტანჯვას—ჰერცოგ დე ბელიუნის სიკვდილის გამო, ვისთანაც ფარულად იყო დაქორწინებული.

92. კლემენტინა დე ბურჟი — ლუიზე ლაბეს მეგობარი, განსაცვიფრებლად ლამაზი და გონიერი ქალიშვილი, რომელიც გარდაიცვალა მწუხარებისაგან, როდესაც მისი შეყვარებული პროტესტანტებმა სიცოცხლეს გამოასალმეს.

93. ჟან დე ტურნი — (1504—1561) ლიონელი მბეჭდავი, რომელმაც გამოსცა ლუიზე ლაბეს სონეტები.

94. დიკე, ანაქტორია. გერინო, ატთიდა—სოფოს მეგობარ ქალიშვილთა სახელები.

95. რიდინგერის გრავიურები — იოჰან ელიას რიდინგერი (1698—1769) გერმანელი ფერმწერი და გრავიერი.

96. მკელევართა აზრით უნდა იგულისხმებოდეს პოლ სეზანი (1839–1906), რომლის ხელოვნებამაც დიდი გავლენა მოახდინა რილკეზე.

97. კლავდიუს გალენი (131—210) ცნობილი ძველბერძენი ექიმი.

98. ბენედიქტა ფონ ქვალენი — ქალი, რომელსაც დანიელი მწერალი იენს ბაკესენი ამაოდ ეტრფოდა.

99. მეჰტილდა ფონ მაგდეენბერგი (1210—1292–3) შუასაუკუნეებრივი მისტიკის წარმომადგენელი.

100. ტერეზა ფონ ავილა — (1515—1582) ესპანეთში მცხოვრები კათოლიკე წმინდანი ქალი, ფილოსოფიურ-რელიგიური თხზულებების აეტორი.

101. როზე ფონ ლიმა (ისაბელ ფლორესი, 1586–1617) პერუელი რელიგიური მოღვაწე, 1671 წელს წმიდანად იქნა შერაცხული.

102. თავადის ქალი ამალია გოლიცინა—დაბადებით გრაფინია შმეტაუ (1748–1806) მეუღლე რუსი თავადის დმიტრი გოლიცინისა, რომელიც იყო რუსეთის ელჩი პარიზში. თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ქალი, ქალთა ემანსიპაციისათვის მებრძოლი.

103. კამპეჩე — ქალაქი კამპეჩეს ყურეში, მექსიკის ყურეს სამხრეთ ნაწილში.

104. დეოდატ დე გოზონი — შუასაუკუნეების რაინდი, რომელიც დასაჯეს, რადგან აკრძალვის მიუხედავად მოკლა დრაკონი.

105. ბო — ძველი ქალაქი პროვანსში.

106. როგორც თავად რილკე განმარტავს, ბოს პრინცების უძველესი მოდგმა ერთ-ერთი აღმოსავლური მოგვიდან, მეფე ბალთაზარიდან იღებდა სათავეს, და ალბათ ღერბზე გამოსახული იყო თეკვსმეტსხივიანი ვარსკვლავი, რომელიც დაბნათის ბაგას. უაღრესად ცრუმორწმუნე პრინცებს ავბედითად მიაჩნდათ ამ ვარსკვლავის თეკვსმეტი სხივი და ებრძოდნენ მას „ბედნიერი" რიცხვებით: სამით და შვიდით; ყოფდნენ მამულებს შვიდ ნაწილად და ა. შ.

107. Patience de supporter une âme — (ფრანგ.) მოთმინება, რითაც ის გაიმტკიცებდა ცოცხალ სულს.

კომენტარების ნაწილი თარგმნილია წიგნიდან:

Reiner Maria Rilke, Ausgewählte Prosa, Moskau, 1984.

მხატვარი გ. ფირცხალაიშვილი
მხატვრული რედაქტორი მ. დედანაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ო. კაპანაძე
კორექტორები: დ. ფირცხალავა,
თ. ფირცხალავა
გამომშვები ნ. რაზოევი

შეკვეთა № 143

ფახი ხახელშეკრულებო

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის გამზ. 42. თბილისი, 1992.

გამომცემლობა „ლომისი", რუსთაველის გამზ. 42. თბილისი, 1992.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის № 1 სტამბა.
თბილისი, ჩუბინაშვილის, 50.